



© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2015

Titsian Tabidze

© Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature
Tbilisi, 2015

მისამართი: გიორგი ჭანტურიას ქუჩა 8
www.literaturemuseum.ge
ტელ.: +995 322 93 20 45
info@literaturemuseum.ge

გამომცემელი	ლაშა ბაქრაძე
რედაქტორი	თეა თვალავაძე
შემდგენელი	ეკა გრიგოლია
კორექტორი	ნანა კობალაძე
ამკრეფი	ელისო კალმახელიძე
დამკაბადონებელი	ირინე ამირიძე
ფოტორეპროდუქციები	მირიან კილაძე
ყდა	ფატი გაგულია



ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემის დაფინანსებისთვის

დაიბეჭდა შპს გამოცემლობა სამშობლოში

ISBN 978-99940-28-39-9 (ყველა წიგნი)

ISBN 978-99940-28-47-4 (მეორე წიგნი)

ტიცინან ტაბიძე

წიგნი II

პროზა
მიმონერა

ლიბერატორის  მუზეუმი
Literature Museum

თბილისი, 2015

პროზა



Չգործող միտքի մեռած...
(ԵՄՄՄՄՄՄ)

Век времени как застывший
Каприол

5

ԵՆՆՆ ՎԿՏԵ ԵՅՄԵՐՈՅ ԶՅԱ, ԿՆՅԵ ԲԱՅԺԵՐԱՐԱՆՆ ԲԱՆԵՐԵ ԼՈՅԸՈՒ,
ՍԱՅ ԲՈՂՅՈՒՆԵՆ ԳՅԵ ՂՅԱՆԵ ՐՈՒՅ, ԱՅ ՅԵՂԻԿԵԱԺՐԱՆ Զ ԼՈՒԵՒԼ ԱՅ-
ԶՐՈՒՑՄՈՒ "ՆԵՅ ԶԼՈՂՅԱԶԵՐԵ ՈՒՒՍՐՈՒՄԸ ԴՆՏՈՐԱՆԵՆ ԶՐՈՍԵՏԻՎ ԾՆՈՒՑ
ԲՈ ԶՈՒ ԱՅՐՈՍՉՅՑ ԲԵՅԹՈՒ ՄՈՐՈՅԻՈ ՅՐՈՍԵՏԻՆ ԵՅՄՈՐՋՈՒ Լ ԲՈ
ԶԵՐԱՄԵ ԶԹՈՒՅՏՅՐԱՆՈՒ ԶՆՅՅՆԱԿՄՈՒ ՐՈՒԹՐՈՒՈ ՅՍԻՎԻԴԵՐԵ " ԿԵ
ԶԵՐՈՅԵՍՈՒՄ, ԿՈՒ ՈՒԴՈՐՄՈՒՈ, ԵՂՐԱՅՈՒ ՎԵՆՈՒ ԲՈ ՈՅՐՈՒՆԵՅՈՒ" ԵՄԿԵՑ
ԼԵՅՆՅՐՈՒՄԱՆ ՈՒՄ ԲԱՅԹՐՈՒ. ԵՑԵՆԵՅՆԵ ՈՐՈՅ ԲՈ, ԱՌՈՒԶԵ ՅՆՏԵՈՒ ԵՒ ԿԱՅ-
ԶՈՒՑՆՆԵՒԸ ԲԻՒՐՅԱՆԱ. ՅՅԻ ԵՄՈՒՄՈՐՋՅԻՆ ԵՄՈՒՄՈՅ ՑՐԵՅՐՆԵ, ԲՈՒՄԼՈՒՈՒ
ԶԼՅՈՐՈՒ ՎԼՐՈՐՄԱՆ ԼՈՒՆԵ, ԿՅԵ ՈՒՅՅՏԵՆՈ ՅԼՐՈՒՈ ԱՅՈՒ ՑԵՐԵՅՑՐՈՅ ԴՈՒՄ
ՏՂՐՈՒՈՒ ԿՅԵՆ ԶՈՒՄԱՆԵ" ԱՅԵՐՈ ԿԱՅԸ ԲՈ ՆԱՐՅԱՅՄԱ ՈՅՆԻՅԵՐՈ
ԶՈՒ ՑՐԱՅԻ. ԲՈ ԲՈՐՅՆՅՈՐՄՈՒ... ԲՈ ԶՒՑՈՒՄ ԲԼՈՂՈՒ ԵՒ ԵՑՈՒՄ, ԱՌՈՒԶ
ԶՈՒ ՊՈՑՏՅՐՆԵ ՈՒՍՈՅՅԵՒ ԻՅԻԹԱՅ ԲԵՅԵՐՈ, ՉՅԵՐԱՄԵ ԵՑՐԱՄԵ ՉՐՈՅ, ՍԱՅ
ԶՈՒՑՆԵՐ ԻՄ ՅՈՐԱՆ ԲՈՅՈՒՄՈՅ-ԶԱՅՈՒՅԸ ՈՅՈՒ ԵՂՐԱՄ ԼՈՒՅՅԵՒ
ՈՒՅ, ՅՈՒ ՉԵՐԵՅԻ ԲՈՒՄՈՒՄ ՆՈՒՄ ԴՈՒՅՐՈՒՅ ԵՂՐՈՒՅ ԵՂՐՈՒՅ ԿՅԻՅԻՅԸ
ԶՅՐՈՒ Ա ԵՂՅՅ ԲՈՒՍԵՅՈՒՅ ՅՐՈՒՈ ԵՂՐՈՒՈ... ԴՐԱՄ ԼՈՒՄՅՈՒ ՐՅԻԹՈՒ
ԿԱՅԻՅԻՅԸ ԲՈՒՄ ԶՅՈՒՄ ԵՂՐՈՒՈ ԲՈ ՅԱՒՈՐՈՒ ԲՈ ՅԱՒՈՐՈՒ ԵՂՐՈՒՈ ԵՂՐՈՒՈ
ՎՈՒՅՅՅՈՒ... ՈՅՅԻՆ ԲՈՒՅԻՅՈՒ ԲՈՒՍԵՅՈՒ ԿՅՐՈՒՅԸ ԲՈ ԶՅՈՒՅՅՅՈՒՈ
ԲՈՒՍԵՅՈՒ ԲՈ ԶՐՈՒՄՆԵՅՈՒՅ ԵՂՅՅՅՅՅՅ.

- Կայծառ!
- ՆՈՒ ԶՐՈՒ ԵՂՈՒ?

სუმბული

არცა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა შეიმოსა,
ვითარცა ერთი მათგანი.

მათე, 6, 29

I

ცას ბნელი ფარავს... ამოდის მთვარე, მუდამ მჭუნვარე, ვით ავად-
მყოფი ჰკრთება, კანკალებს. მას თან მოსდევს პირის ფარეში უცხო
ვარსკვლავი... იმას მეორე, და ვარსკვლავთ კრება, ხომლად ნთებუ-
ლი, მის გარეშემო უვლის ფერხულსა. განათდა არე, სადაც ბუჩქის
ძირს გრძნობისა მეფემ ჩაიქვითინა, უენო სატრფოს დაკვნესის სუმ-
ბულს, თავზედ ევლება, როგორც ფარვანა. ის სდგას მდუმარედ,
შვების ცრემლი სდის, ვერ დაუფარავს ცხოველი გრძნობა სიყვა-
რულისა; ბედნიერია და გრძნობს კიდევ მას. წყაროს ამშვენებს.
არა ერთხელ და ორჯერ სმენია მისგან სუმბულს: „მადლობელი
ვარ, ჩემო სუმბულო, რომ ჩემს ახლოს გაქვს ბინა. როცა შენ გიმ-
ზერ – ბედნიერებით ზეცას ვსწვდებიო“. „ნეტა, რა მოსწონს ჩემი?“
– ჰკითხავდა ხოლმე თავის თავს სუმბული, მაგრამ პასუხს რომ ვერ
მიიღებდა, გაიღიმებოდა და ისევ დაინწყებდა ცელქობას. ნამი რომ
პირს დაბანდა და მის ტანზე ნამის წვეთები მძიმებად აესხმოდენ,
სუმბული მაშინ თავის თავს უჭვრეტდა და თუმცა ამაყი არ იყო,
მაგრამ არ შეეძლო მის მშვენების მნახველს არ გაღიმებოდა. რამ-
დენი ხანია სატრფოს ელოდა, სადღაც წასულიყო უცხო ქვეყნის-
კენ და იგვიანებდა, ლოდინში გული ელეოდა... მაგრამ მოვიდა, აი,
მოესმა მისი ხმა კიდევ, თრთის და ცახცახებს, ბედნიერია სუმბუ-
ლი, ნამი პირსა ბანს, ნიავი ჰკოცნის, გულში იხუტებს, იადონი ზედ
დაჰქვითინებს და სული რომ მის წიაღში დალიოს – არ ენალვლება...
მკრთალი მთვარე-კი მათ სდარაჯობს და, მგონი, ისე ეცვლება ფერი,
რომ მათი ბედნიერება ეხარბება კიდევ...

II

მაგრამ ჟამი მიჰქროდა.

როგორც სიზმარი, დიახ, წარმტაცი და მშვენიერი, გაჰქრა ზაფ-
ხული. შემოდგომაა. ხენი საშინლად სტირიან... ძრწიან და შფოთ-
ვენ. „იმათ თუ ასე დაემართათ, რა კარგი დამეყრებაო“. – ფიქრობს
სუმბული. და, აი, რომ მართლაც უღალატა, სატრფომ სუმბული
სიცივეს მიუგდო და თითონ თბილი ქვეყნისკენ გაუდგა გზას; ის
მშვენიერი ტანისამოსი, რომელსაც თვით სოლომონისაც ვერ შეედ-

რებოდა, გაიცრიცა. სადღაა ნიაგი, ნაზი ზეფირი გუშინ რომ ნანას უმღერდა? ახლა ქარიშხალი, ჭმუნვით მტირალი, თავს დაჰლრია-ლებს, დასამარებას თითქო უქადებს, მგზნებარე გული უკვე გაცივდა... „ჩამოივლისო მალე სიკვდილი“ – უჩურჩულებს ხმა იდუმალი. არ იცის სუმბულმა, რაა სიკვდილი, მაგრამ წინად ჰგრძნობს, რომ კარგი არ იქნება. ცახცახით ღმერთს ვედრებს, გულჩათხრობილი ლოცულობს და ის ლოცვა მყის ოცნების ფრთებით ცისკენ მიილტვის. „ნუ გეშინია, ნუ, ჩემო სიცოცხლე! – უჩურჩულებს ანკარა ნყარო, ღმერთი მონყალეა, მალე ისევ გამობრუნდები, მალე მოგივა დრო და ჟამი შვენების, ერთ ზაფხულში კინალამ დავშირ და სასონარკვეთილი დავსტიროდი ჩემს უბედურებას, მაგრამ შევებრალე შემოქმედს. წვიმა მოვიდა და მეც გადავრჩი“.

– ოხ! რა კარგი ხარ, ნყაროვ ანკარავ, რომ უბედურიც ასე გიყვარვარ.

– მაშ, კიდევ გაზაფხულდება?

– ჰაი, ჰაი რომ...

– მაშ, როდემდი უნდა ველოდებოდე?..

– იყურე, ჩემო პატარავ, იძინე და ისე გაივილის დრო, რომ ვერ გაიგებ...

უჯერებს სუმბული და სძინავს... სძინავს გრძნეული ძილით ტკბილსა და მომხიბლავ სიზმრებსა ჰხედავს, ხან-კი მწარედ ქვითინებს, ალბათ ცუდი რამ თუ ეზმანება. უკვე ორჯერ გაზაფხულდა, მაგრამ მას კიდევ სძინავს. განთიადისას და მწუხრისას მგოსანი თავს დაჰქვითინებს და ცას შეჰკვნესის: „ნეტავი, როდის გაიღვიძებო?!“

[1910]

ნაკადის დუდუნი...

მიყვარს... მიყვარს... მე გამოურკვევი ნაკადის ჩქრიალი მისი იდუ-
მალი, სევდიანი დუდუნი...

ოხ! ღმერთო! რა არ იხატვის შიგ: მაში მოისმის რალაც მწუხა-
რე და მგლოვიარე ბგერა, დაკარგვა ბედნიერებისა – ერთხელ წარ-
სულის და დაუბრუნებელის. გულის წიაღში სწვდება ეს მჭუნვარე
სიმღერა და, ვით ზღაპრული ეოლოსის ჩანგი, რომელიც ზეფირის
ოდნავ მობერვაზე ნაზი, წარმტაცი მელოდით ავსებდა მიდამოს,
ისე ჩემი სულის სიმებიც ბანს აძლევენ და ეხმაურებიან იმავე მწუხა-
რე ხმით ამ სევდიან სიმღერას...

სოფლით დევნილი, ბედით მწარედ ანატირები, მისკენ მივეჩქა-
რები, იქ რავდენიმე წამით მაინც თუ იპოვის სულის სიმშვიდეს. როს
დაღამდება, მწუხრის ზენარში გაეხვევა სოფელი და არეს მკვდარი
მდუმარება დაეპატრონება, მაშინ მხოლოდ იმავე ნაკადის ჩუმი ქვი-
თინი, ყრუ გოდება თუ არღვევს ამ მყუდროებას, რომელიც, ვით
გლოვის რიდე, კიდით კიდემდე აწევს ქვეყანას. იდაყვდაყრდნობილი
ყურს ვუგდებ მას და სული ოცნების მხარესკენ მიფრინავს, მოგო-
ნებათა მკრთალნი აჩრდილნი თავს დამციმციმებენ და თვალთაგან
ღმობიერების მდულარე ცრემლი მდის ხოლმე. ეს სევდიანი დუდუ-
ნი... არ არის გულჩათხრობილი, სასონარკვეთილი მოთქმა – მასში
გამოსჭვივის იმედი. დიახ, ის არის ემბლემა ძლევისა, და მართლაც
ამ მძიმე ჟამს, როს დაპატრონებია სოფელს მწუხარება და ფას-
კუნჯის ფრთებით დაფრინავს ნალველი, როს გარეშემო ყველგან
და ყოველს სძინავს. ის კვლავ ბუტბუტებს და მალე მისი მწუხარე
დუდუნი ბრძოლის ყიჟინად გადაიქცევა. მეც ვგრძნობ, რომ სო-
ფელი და ადამიანი ცოდვის მორევში ჩაეფლა და ოდესღაც წმიდა,
ვით კამკამა წყალი ამ ნაკადისა, ადამიანის გული ახლა ბოროტების
სავანედ გადაქცეულა... მაგრამ ფენიქსი... კურთხეულ იყოს მისი შე-
მოქმედი, რა მაგონდება სევდა გადივლის და ნალველიც თავს მანე-
ბებს, მრწამს, რომ ადამიანი, როგორც ფენიქსი, კვლავ განახლდება:
„გრწამდეს – და ცხონდებო“ და მეც მრწამს...

ოხ, რა ტკბილია, როს რწმენა სძლევს ურწმუნობას, დღესას-
ნაულობს გამარჯვებას...

მიყვარს... მიყვარს მე დუდუნი ნაკადისა. სიტყვით არ ძალმიძს
გამოვთქვა, რასაც გრძნობს გული, აღგზნებული ღვთიურის ალით!
მშვენიერია და წარმტაცი მოთქმა ნაკადის...

საბრალო არის ადამიანი!

(გრ. ვ-ძეს)

მაისის ღამე ბნელთვალისანი გადმოსწოლია მძინარე სოფელს. სთვლემს არე-მარე, ყუჩობს ბუნება. ხმა არსაიდან. მდუმარებაა... ყრუ მდუმარება. მაგრამ ჩუ!.. ქარმა გაისისინა. სიმებს ჩამოჰკრა ეოლოსმა და აქვითინდა, ელვამ გააპო ბნელი წყვილი, ცის კაბადონზედ მკრთალი სხივები მიჰკლაკნ-მოკლაკნა. მეხის გრიალი, წვიმის შხაპუნი ერთვის ერთმანეთს. გაკითხვისა დღე ნეტავი თუ დგება?! მხეცთა მონახეს თვისი ბუნაგი და შიშით, ძრწოლით მას შეეფარენ... მხოლოდ ერთი აღარ ისვენებს – ადამიანი; არ იცის, სად დაუდვას ბრძოლას საზღვარი. წამების ჯვარსა ზურგით მიათრევს, მთლად ოფლში სცურავს, მაინც არ დრკება, აღთქმის ქვეყნისკენ გზას მიიკაფავს... მაგრამ ვაგლახ! უღვთოდ მარცხდება, სწყევლის თავის ბედს, უკან ბრუნდება.

საბრალო არის ადამიანი!

იცის ეს ზეცამ და იცრემლება.

არა ერთჯერ და ორჯერ სმენია მას მისი მოთქმა, კვნესა, გოდება.

ცრემლით ჰხატავს ის თანაგრძნობას. დიახ, საბრალო მას ებრალება.

*

წვიმამ გადაიღო და ქარიც ჩადგა, ოდნავ სისინებს ნელი ნიავი. ფოთოლს დანამულს გულში იხუტებს, თავზედ ევლება, როგორც ფარვანა, ასე ძლიერად უყვარს მას განა? ტყეც გახალისდა, ღიმილით უთხრა ზეცას სალამი; გამოიღვიძა ისევ ბუნებამ, ძლევის აღმართა დროშა, ალამი. სადღაც ბუჩქებში სევდიანის ხმით ჩაიქვითინა გრძნობისა მეფემ, უცდის სუმბული, თრთის და ცახცახებს, იცნო მისი ხმა, მისი არის იგი მგოსანი.

აგერ ნარგიზი, ვარდი, ზამბახი. ჩაჰკონებია ვაზი ვაზის ტოტს; ეთამაშება წყარო ანკარა მორთულ-მოკაზმულს ბუნების ნალკოტს, ზეცის შვენებას, მინად ჩამოსულს.

სატრფო! ბუნება! ნეტავი კიდევ არის სადმე ბედნიერება, ან შენ წიაღში ცხოვრებას ის შეედრება?!!

ჩუ!.. ეს რალა არღვევს ამ მყუდროებას, ამ ჰარმონიას, წარმტაცს, მშვენიერს? ცოდვაა.. ცოდვა; შეიგენ, ნუ შეურაცხყოფ ამ ადგილს წმიდას, აქ არ იციან, რაა ნალველი.

მაგრამ რად არის ეს ხმა, ასე გულში ჩამწვდომი.

ან რისთვის ავსებს კაეშნითა გულს?

– ეს ქვითინია ადამიანის, იგი საბრალო კვლავ მოსთქვამს, ჰგოდებს; ნუ თუ ჰგონიათ, რომ ქვეყნად ყველა ბედნერია? მაშ, გეტყვით: სცდებით.

არის კაცი, ვინც თვის ლუკმას ცრემლებით ალბობს... ხმა ხომ მოგესმათ, იქ, სადღაცა, ზარი ჩამოჰკრეს... იქ ეძახიან მონათ... მონათ საბრალოთ.

განთიადისას, როს ყველა ქებათა ქებას ზეცას უგალობს, ის მის მაგიერ ცას წყევლით ამკობს.

ხომ მოისმინეთ, როგორ დაჰკვნესდა
სუმბულს ბულბული,
ან და გედი გედს, როგორ ეტრფოდა,
ვით ჰკოცნიდა ფოთოლს ნიავი
და ველზედ შველნი ვით თამაშობდენ.

ადამიანსაც ჰყავდა სატრფო, მაგრამ სიკვდილსა იგი შეშურდა და მიაბარა შავბნელ სამარეს და საფლავი ხომ ის არის, სად ბევრი მიდის, მაგრამ იქიდან, ბევრიც ინდომოს, ვერავინ ადგეს.

„საბრალო არის ადამიანი“. – გაიხითხითა ცაში დემონმა.

ენმაურება მას ბელზებელი, მასვე გაჰკივის ტყე, მთა და ველი. „ვაი საბრალოს!“ – ჰკივის ნაკადი. იმან არ იცის, რა არის შვება. „ვაი, საბრალო?“ – სევდა, ნალველი აღარ სცილდება, თავზედ ევლება.

„საბრალო არის ადამიანი“ – დაცინვისა და ბოროტ გენიის შეუწყვეტელი ისმის ხარხარი და ხევხუვთა გამოძახილი, იმავ სიტყვებს გრგვინავს საზარი.

[1910]

მწუხრულ ჰანგზე

პასუხი

ჩემ ყურთ ჯერ არ სმენოდათ სახელი შენი. მე მაინც ვიცოდი, რა გერქვა შენ; მე მაინც გინოდებდი შენ ჩემის მოუსვენრობით, ჩემის ნატვრით, წყურვილითა და თაყვანებით.

ხმა ჩემის გულისა მარად შენ გეძახდა, შენ დაგეძებდა, შენთვის ჰკვენსოდა.

ის ხმა სინაზით თვით სიყვარულსაც შეედრებოდა; ის ხმა თვალეზზე, ოცნებაზეც კი შორს სწვდებოდა.

იგი ფრთხილად ჰკითხულობდა შენს ლამაზს სახელს თავისავით მთრთოლვარე ვარსკვლავთა სხივებზე.

იგი მოუსვენრად მეძახდა სანატრელ არსებას თავისავით მღელვარე ზღვის მძლავრ ტალღებში.

სწვდებოდა ყვავილთ შლას, ყურს უგდებდა ვარსკვლავთა სხივთ კრთომას, უერთდებოდა ტყის ჩურჩულს, ნიავის სისინს, იდუმალ გრძნობათა გამოძახილს, შენ სახელს იძახდა, შენ დაგეძებდა, შენა გნატრობდა...

ის ხმა, ვით ნატვრა ბავშვისა, ვით კვნესა გულისა, ვით ხმა ჩანგი-სა, გარს ეხვეოდა, თავს ევლებოდა, გულშიც სწვდებოდა მოულოდნელის მიზეზებით უცნაურად თვალნინ დახატულ სილამაზეს, მშვენიერობას, იქაც უნდოდა, რომ გაეგო შენი სახელი, შენ გკითხულობდა.

ხმა ჩემის გულისა ყველგან გეძახდა, ყველგან გეძებდა, მარად გნატრობდა...

პასუხი

შენ არ გიცნობ.

თვალთა ჩემთა ჯერ არ ეხილათ შენი სახე, ან რომ მაგონებს მთვარეს ბადრსა, სანთლით ჩამოქნილს, მაინც გიცნობდი; მაინც ვიცოდი ჩემ გულის ნატვრა...

ფხიზლადაც, სიზმრადაც მე შენ გეძებდი, შენა გასახავდი...

ვით მეთვალყურე – ვუცქერდი მთა-ველთ მშვენიებას; ვით შეყვარებული, ვერ ვშორდებოდი ყვავილებს, ვარდებს; როგორც მლოცველი, მივსჩერებოდი მთვარე-ვარსკვლავებს, ყველგან ვეძებდი მე შენ სახეს, ყველგან ვხედავდი: ფერმკრთალი იყო, მონყენილი და ნმინდანს ჰგავდა; მის თაყვანება, მასზედ ლოცვა მენატრებოდა.

მხოლოდ შენი ნატვრა, შენი წყურვილი ჰმატებდა ძალას თვალთა ჩემთა შენ მოტრფიალეთ.

მივსჩერებოდი ქვეყნის წარსულში ღრმად ჩამარხულ ლამაზ ღამეებს, გაზაფხულებს, ტურფა ყვავილებს – ან დამქვანარებს, ფერად-ფე-

რად ქცეულებს. ნათელ ვარსკვლავების ან მონყვეტილით, სიბნელედ ქცეული; თვალწინა ვშლიდი მთელი ქვეყნის ფართო მომავალს, ყველა ღამეს, როცა მთვარე გამოჩნდებოდა, სულ ყოველ დღეს, როცა კი მზე ამოვიდოდა, ყველა ყვავილებს, ყველა ვარდებს, რაც კი სიტურფით გადაიშლებოდა, რომ დამენახა შენი სახე, შენი შვენება...

ყველგან ყოველთვის შენ გეძებდი, შენა გსახავდი...

პასუხი

საიდან მოსულხარ?

ბავშვობისას შენ გინოდებდი, ვით ერთგულ მშობელს, ყრმამ კი გარდაგემენ უკვდავ ღმერთად სიყვარულისა, ყოველი ჩემი დღე, ყოველი ჩემი ღამე შენ გინოდებდენ, შენს ნახვას ელოდა.

შენმა ნატვრამ, შენზედ წუხილმა შემაჩვია მუდმივ ოცნებას.

შემოდგომის ბნელ ღამეში, ცივს, ქარიან ღამეში ყოველთვის მოგინოდებდი ამ ოცნებით მომავალს ბურუსიდან.

ეს ოცნება ღმერთთა სიმღერიდან, მათ ტკბილ სიზმრებიდან ცაში ჰქმნიდა შენს ღამაზ სურათს და ისე ჩამოჰყავდა ქვეყნად ჩემსა ღვთაებად.

ეს ოცნება ეთერის სფეროში, სამყაროს უხილავ ქვეყნებში თავის სიმღერით, თავის წუხილით მოგინოდებდა. იქ შეყვარებულთა გრძნობით ჰქმნიდა შენს არსებას, მგოსნის ჰანგებით ჩაჰბერდა უკვდავების სულს, წმინდანთა შარავანდედათ უქსოვდა სამოსელს შენს სიღამაზეს და ანგელოზთა გალობით, ეთეროვანთა ქება-დიდებათ ქვეყნად მომყავდი ჩემს ღვთაებად, სადაც გული ჩემი მარად მზათ იყო შენ სათაყვანოდ.

ყური დაუგდე ლაქუცა ნიავის წყნარ სისინს, ქვეყნის შემადრწუნებელ ქარიშხალის ზუზუნს, ზღვის ჩურჩულს, ღელვას, სიცოცხლის კვნესას, სიკვდილის მღერას, ყველგან, ყველგან გაიგებ შენს ღამაზ სახელს...

ეგ ძახილი, ეგ ხმა – ჩემ გულის ხმა არის, შენ რომ გინოდებს...

მინდვრებშიც, ტყეშიც, მთებშიც, მიწაზეც, ცაზეც და ცის მნათებშიაც შენ სურათს ჰნახავ, როცა შეჰხედავ...

ეს სურათი ჩემის ნატვრით არის ნახატი.

ყველა ყვავილის ყველა ფურცელზე შენი სურათი დამიხატია; ყველა მგოსანის ყოველ სიტყვაში შენი სახელი ჩამინერგია.

პასუხი

რა დაგმართნია?

ძახილი შენის სახელისა, სურათი შენის სახისა შეერთებულს ცის ღლვა-ქუხილში ზღვასა და მის ღელვაში, მთებში და მათ სიმღერაში.

მაგრამ არიან ჰანგნი ტკბილნი და ძლიერნი, რომელნიც ჯერ არ სმენია ქვეყანას, ვერც გაიგონებს ვეროდეს.

არის სილამაზე მხიბლავი, თავბრუს დამხვევი, რომელიც ჯერ არ უხილავს ქვეყნიერებას და ვერც იხილავს ვეროდეს.

იმ ხმით, იმ სილამაზით სტკბებიან სულნი უკვდავნი, ცაში მფრინავნი ქვეყანას მოშორებულნი.

მწუხარების სხივებით განათებული გული ადამიანისა მარად ეს-ნრაფვის ამ უსმენ ჰანგებს, უხილავ სილამაზეს, ვით ქვეყნის მიზანს, ვით ახალ სიცოცხლეს, მაგრამ იგინი სამარადისოდ მაინც მიუწოდო-მელნი არიან, სანატრელნი, საოცნებონი...

შენშიც არიან ნაწყვეტნი იმ შორეულ ჰიმნისა, რომლითაც სტკბებიან სულნი ციურნი...

შენშიაც დაჰქრის შენის მკრთალი სხივი იმ სილამაზისა, რომ-ლის ჭკრეტიტაც იშვებენ მხოლოდ ანგელოზნი.

გლოვა ჩემის სულისა შენ მოგიწოდებს.

მწუხარება გულისა შენ გელოდება.

ჩემის მარტოობით, შენზედ ოცნებით ბევრი ლოცვა შემით-ხზავს, შიგ ჩამირთვია კვნესა სულისა, წყურვილი მიუწვდომელის სილამაზისა, უმნიკვლო სიყვარულია ჩემის გულისა. მომეცი ნება, ჩემო ღვთაებავ მიწიერო, ცით მოვლენილო, შემოგვედრო ჩემი გუ-ლი ამ წრფელ ლოცვებით...

უკანასკნელი სიტყვა ჩემი, შორეული აზრი, უმაღლესი გრძნობა სიყვარულისა შენ მოგიწატრებს...

დღე და ღამენი ჩემის ცხოვრებისა, უკანასკნელი ამოსუნთქვა ჩემის სიცოცხლისა შენ მოგიწოდებს...

შენ მოგიწოდებს...

პასუხი

გადარეულხარ!

II

გლოვა

როგორ გამოიცვალე!.. როგორ, როგორ გამოიცვალე!..

აღვის ხე იყავ მაღალი, ლამაზი; ცის შეუმჩნეველი ნიავიც გაშ-რიალებდა, ჩაგრურჩულებდა; ყოველ გაზაფხულზე იფოთლებოდი და მწვანდებოდი. ეხლა... სვეტი ხარ მარმარილოსი, უძრავი, ცივი და შეუცვლელი...

შენ იყავ ყვავილი, ცოცხალი ყვავილი! ყოველ გაზაფხულზე ამო-დიოდი, ყოველ დილაზე იშლებოდი, იფურჩქნებოდი. ღამით ნადე-

ნი ქალწულებრივ ცრემლები ჰნამავდნენ შენს ფურცლებს. დილის ნიავი წყნარის სისინით თვალს აგიხელდა, ნამს ჩამოგბანდა; შენც ჰყვავდებოდი, სურნელად იქცეოდი, სჭკნებოდი და შემდეგ ისევ აღზდგებოდი, გაიშლებოდი, ეხლა კი... მხოლოდ სურათი ხარ ამ ყვავილისა ლამაზის ხელით დახატული ტილოს ნაჭერზე...

შენ იყავ ღვთაება, ჩემს გულში შობილი ღვთაება სიყვარულისა.

შენს უკვდავებას უკმევდა გუნდრუკს ჩემი ოცნება, ხელებ-გაპყრობით შემოვხაროდი შენს უკვდავ ზრახვათ.

მადლი ღვთიური შენის ხელითა სცვიოდა ჩემს გულში ციურ მანანად, რომელიც შემდეგ გარდიქმნებოდა შეერთებულ სიმღერად ცისა და ქვეყნისა, ცრემლებნარევ კვნესად გულის ნატვრათა და ოცნებათა; ღამის ლოცვად, სიცოცხლის ბნელ ღამეთა ლოცვად, რომელსაც ბაგენი ჩემნი მხოლოდ შენ გასმენდენ, ციურო ჩემო!

შენ მალვიძები ყოველ დილით შენის კეთილის განზრახვებით, ღვთის იმედით; შენ მიხუჭავდი თვალებს ღამით, ნანად მასმენდი ციურ ოცნებით.

ყოველ აზრს ჩემსას მიაცილებდი თავით ბოლომდის, ყოველ განზრახვას ჩემსას ფრთებად ესხმოდი. სიცივეს ჩემის გულისას ცეცხლად ეგზნებოდი, ეხლა კი... ცოცხალი ღვთაების ნაცვლად ქანდაკება ხარ მარმარილოსი, ღამაზი, ძლიერი, მაგრამ უძრავი, უსულო, ცივი... შენი ღვთიური უკვდავება მკვდარ მარმარილოს უკვდავებად გადაქცეულა; ცაში ოცნებით შექმნილი – მიწიერ არსად გადაიქცევი; შენ ან ძეგლი ხარ ღვთაებისა, მხოლოდ ძეგლი ხარ...

შენ იყავ ცოცხალი, ეხლა კი...

ჩემი გული იყო შენს ქვეყნად, შენს ცად, ეხლა კი იგი გადაქცეულა სამარედ შენის ღვთაებრიობის.

ოჰ, რად მოკვდი ეგრე ადრე, ღვთაებავ ჩემო!

მე შენსკენ მოვფრინდი, რათა გამიყინე გაშლილნი ფრთანი!

შენს მოსაძღვენად გამზადებული ჩემი ღიმილი ბაგეთ ჩააკვდა.

შენსგან საღვრელად მომდგარი ცრემლი თვალებს შეაშრა.

ხელები შენსკენ გამოპყრობილნი ცივად გაშეშდენ; ყვავილიც გასჭკნა ცივ თათებში, შენ რომ გიძღვნიდი.

ოჰ, რათა კვდება, ვინც უკვდავად დაგისახია!

ოჰ, რომ აღზდგებოდეს იგიც მკვდრეთით, როგორც იესო!

– ვინც გულში კვდება, იგი შემდეგ აღარ აღზდგება, მხოლოდ ღამაზსა, ძვირფას ხსოვნად თუ ინახება...

მეც შევინახავ გულში ხსოვნად ჩემს მკვდარ ღვთაებას...

მარტოობა

სადაც უნდა ვიყო, ყველგან, ყოველთვის მარტოობა ჩემი თანამგზავრია. მუდამ თან დამდევს, როგორც აჩრდილი, ვით შურისმაძიებელი ლანდი, გარეწარ კაენს თან რომ დასდევდა. დიდი ხანია, რაც მას ვიცნობ, არ ყოფილა ერთი წამი ჩემს ცხოვრებაში, რომ ის ჩემთან არ ყოფილიყო. განთიადისას, როს მთვარე ჩავა და ჩაჰყვება ფერგამკრთალი ვარსკვლავთა კრება, მისი აჩრდილი მზეს ამოყვება. კარგად ვამჩნევ მას, რადგან ის ჩემი სულის განუყოველი ნახევარია. სალამოს, რომ დაბინდდება და არემარეს მკვდარი მდუმარება დაეპატრონება, მაშინ მე ის მესაუბრება, სხვებს კი ჰგონიათ, რომ დუმილი ჩურჩულებს, როგორც მფარველი ანგელოსი, აღარ მშორდება და ნამდვილად კი დემონია, იჭვნეული სული, რადგან არ მაქვს მისგან მოსვენება. თვალწინ მითრთის მისი აჩრდილი, მაშინაც კი, როცა ვისმეს ველაპარაკები. მის თვალებს... კი, შურისძიების ცეცხლით აგზნებულთ, ნუ მომაგონებთ. ოხ! ვის, ვის ძალუძს გამოიაროს ტანჯვა ესოდენი, რაც მათ გამოისობით ამიტანია. მგონი, წყეული ტორკვემადოც შემებრალებდა... მაგრამ აჩრდილი სასტიკი და ულმობელია. მისი ღიმილი ღიმილია მეფისტოფელის და მის ხარხარზე კი, ვით სათაელის ქნარზე, არე-მიდამო კვნესის და მოსთქვამს. ალბად, ამ ყოფას გრძნობდა მგოსანი, რომელმაც გვამცნო – „ძნელი არის მარტოობა სულისა, მას ელტვიან სიამენი სოფლისა“, ალბად, ეს მქირდავი აჩრდილი იყო, რომელმაც მას მოუნამლა და წარუწყმიდა სარწმუნოება და დასტოვა „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი“. მითხარ, აჩრდილო, გაფიცებ, თანაც გემუდარები, დიდხანს დარჩები კვლავ ჩემთან? მარქვი – ოხ! მითხარი, არ მომშორდები? მეყო, რაც ვზიდე ტანჯვის უღელი, რაც თვალთ მდიოდა ცრემლი მდულარე; გემუდარები, ჩამომეხსენი, ტანჯვა მაკმარე, სიმშვიდე სულის დამიბრუნე?! მაგრამ ეს ბოდვა აჩრდილს არ ესმის და რომ ესმოდეს, გაიგონებს კი? კუბოს ფიცრამდი თან ჩამომეყვება! მგონი, საფლავშიც არ მომასვენოს! და რად მინდა სიკვდილის შემდეგ კიდევ ცხოვრება, თუ ის აჩრდილი იქაც იქნება?!

[1910]

ბოროტი გენია

ვუძღვნი გ. ქავთარაძეს

არ მახსოვს კარგად, ჩემთან პირველად როდის მოვიდა ის ჩემი თანამგზავრი, რომელიც მთელ შემდეგ ცხოვრებაში აღარ მშორდება და, ვით ფარვანა, თავზედ მეველება, ის – მიზეზი ჩემი ტანჯვისა მდულარ ცრემლების და მომწამვლელი მაღალ ოცნებისა.

ერთხელ, მონაფე ვიყავ, დახურულს ოთახში ვიჯექ და წიგნს ვკითხულობდი, გარეთ უთუოდ ცუდი ღამე უნდა ყოფილიყო, რადგან ქარი მწარედ გმინავდა, მწუხარებით ფრთას ფანჯარას სცემდა, თითქო სახლში შეშვებას მემუდარებოდა. იმ ადგილამდე მივალწიე, სადაც მგოსანი დასტირის დანგრეულ ილიონს, რომ ხმა მომესმა:

„ჩემო კეთილო, იმედების ნანგრევებზე შენც ბევრ მდულარე ცრემლებს დაღვრიო“.

გამიკვირდა: ოთახში ჩემს მეტი არავინ ყოფილა და ხმა ვისი უნდა ყოფილიყო. ბავშობისას ვამჩნევდი, რომ რაღაც იდუმალი ხმა თან დამდევდა, ყურში მიჩურჩულებდა, მაგრამ ხმა მისგან არასდროს მსმენია.

ის დღეა და ეს დღე, რაც ის აღარ მშორდება. ყოველ ჩემს ზრახვას, იდუმალ ლტოლვას იგი წინამძღვრობს და მასთან ისე ვგრძნობ თავს, ვით მეზღვაური უიალქო ნავით აბობოქრებულ ზღვაზე. სული მჭმუნვარებს მის კლანჭებში. მან მომიწამლა სარწმუნოება, პირველად მან ჩათესა უწვრთნელ გულში იჭვი და ახლა კი მის უმწეო ქვითინზე დაცივნის ღიმი უკრთის პირს. ძილში თუ ცხადად ყურს ჩამწივის მისი სიტყვები, ის საბედისწერო სიტყვები, რომლითაც ერთხელ ბოროტი მეფისტოფელი მარგალიტას ანუგეშებდა – „ამაო არის ახლა იმედი გადარჩენისა, დაღუპული ხარ“-ო.

შემოდგომის გძელ, მწუხარე ღამეებში ძილგაკრთობილს მე ის მეჩურჩულება და უნებლიეთ მეც ყურს უგდება, რადგან არ ძალმიძს, არ უსმინო, როცა თვალები მიძიმედ მოქანცულს მიმელულება და წარსულ დროთა განვლილ სიამის მოგონების მგლოვარ ტუჩებზე ღიმი გაკრთება, მაშინაც კი, ვით ქარიშხლით მონაბერი, მისი ხმა მესმის, შორს უფსკრულისგან ამოძახილი. ნიავის ნელი სისინი, რომელიც მე მის თანაგრძნობისა საუბრად მეჩვენება, ეოლოსი როს სიმებს ჩამოჰკრავს და მუდამ მჭმუნვით მტირალი ქარი მწუხარედ აქვითინდება, მე მის ქვითინში კვლავ დაცივნის გენიის ხითხითი ჩამომესმის და საბრალოდ გული ღონდება. მწუხრის ზენარში გახვეულ მთისა წვერვალებს როს თვალს მოვავლებ, ვნატრობ, ვით ისინი მჭმუნვარებაში გაქვავე-

ბას, მაგრამ რა გავიხსენებ, რომ ისინი დარაჯნი არიან მარადისობისა, ჩემს ყოფას ვამჯობინებ, რადგან ის დღეს თუ ხვალ კუბოდ იცვლება... ჩემო კეთილო, ნუ, ნუ მიმღერ... სამხიარულო ჩემს გულს არ სწვდება ხმები, ის უძღურია, რომ დააამოს ტანჯვა გულისა, ადრე მოკლულის, გაციებულის... ოხ! შემიბრაღე ცხოვრების გერი, ნუ შეეხები ჩემს სულის სიმებს, თორემ საბრალოდ აქვითინდება. სამარის ხმაზედ მუდამ მოსთქვამს ის და თავის ობლობას ზეცას შესჩივის, მაგრამ ჰე, ვინ შეიბრაღებს? ობოლი მუდამ ობლად ვალაღებს.

ხომ კარგად იცი, რომ არ აღდგება საფლავით მკვდარი, მე კი ჩემი ოცნება, ჩემი სიცოცხლე დავასამარე, მათი საფლავი ცრემლით დავნამე.

ძნელია, ძნელი ობლობა, სიგლახაკე სულისა, თუმცა სახარება კი მოგვითხრობს – „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითაო“. ამ მარტობას და სიობლეს სულისას დასტირის მენავე. როცა თავის ნავს ლურჯ-კამკამა ტბაზედ მიაცურებს. მას არ ანუგეშებს ვარსკვლავებით მოქარგული ცა, არც მთვარე, რომელიც, ვით ქანდაკება სიმნუხარისა და სიყვარულის ციური სიმბოლო – მგოსანმა რომ ლოცვით მოქანცულს უცოდველს სულს შეადარა – თავს დაქათქათებს, მაგრამ არარის არრის მთქმელი, ისე, ვით წმინდა კანდელი, თავს დაფარფატებს, უაზროდ კუბოში მიღეულ სახეს, მაგრამ არაფერს უამბობს. ამ სიობლეს სულისას დასტირის ბედუინი, როს ცაზედ ვარსკვლავებს ითვლის და ხრიოკ უდაბნოში ნალვლიანი სიმღერით გზას მიიკაფავს. მასვე დასტირის სალამოის ჟამს ებრაელი, როცა ბზის ტოტებს სჭრის, ყურს უგდებს იორდანის ნალვლიან დუდუნს და თითონაც სევდიანად ღლინებს, იგონებს რა მამულს, ვით სიზმარს გამქრალს, და ჩანგს, იუდის მსხვრეულს, მღუმარეს.

ჩემო კეთილო, ნუ, ნუ მიმღერი, ეგ სულის გზნებაც მალე გაჰქრება ისე, ვით გაჰქრეს წყვდიადი ღამის, როს განთიადი მოახლოვდება. არ ძალუძს ალერსს დაგვიანებულს დამარხულ გრძნობის კვლავ გაცოცხლება. მე თან გავყვები წინამძღვარს ჩემის ცხოვრებისას და კვლავ დავმარხავ, თუ რამე დამშთენია, უყურებ, შილიონის პატიმარივით, თუ, ვით, როცა მე აღარაფერი შემძძლება, გაჰქრება ნალველში უკანასკნელი ფრთა ჩემი ცხოვრების; გავყვები სულს მაშფოთარს არყოფნის კუთხისკენ; იქ გაჰქრა ჩემი რწმენის ტაძარი და მთელი ჩემი საფლავი. ოჰ! ნეტავ ვიცოდე მაინც, სად არის არყოფნის კუთხე – ჩემთვის ედემი, ჩემთვის სამოთხე.

[1910]

მთაო მაღალო...

მწუხრისა ჟამმა შემოაწია: ცის კაბადონზედ აღმოხდა მთვარე, მარტო მოარე, მოხეტიალე. მუდამ მწუხარე სევდის ზენარში გამოხვეულა, ვით ავადმყოფი ჰკრთება, კანკალებს, ხან გამოჩნდება მსუბუქ ეთერში, ძლევის მანტიით გაბრწყინებული, ხან ლეგა ღრუბელთ თავს შეაფარებს, მომაკვდავივით დახუჭავს თვალებს.

კავკასიის მთას, ამაყს, გულზვიადს, ცამდე ატყორცნილს, ცად აყოლებულს, სწვევია ბილი... გრძნეული ძილით სთვლემს და მდუმარებს, მწუხარებით სდგას გარინდებული, ალბად სწვევია მასაც ნალველი, სულის მშფოთარი, გულის დამწველი... შავი ღრუბელი, სევდის მომგვრელი თავზედ ევლება, თავს დაჰფაფატებს, მის მწუხარ ფიქრებს ცას ატყობინებს, ცას შელაღადებს.

მთაო მდუმარე, შავ ფიქრთ სავანე, ტანჯული სულით შენსკენ მოვილტვი, გულჩათხრობილთ მეგობართან მსურს საუბარი, რადგან უღმერთო და მზაკვარია ადამიანი... ოხ! ვის, ვის ვანდო ტანჯვა სულის და კვნესა გულის, ადრე მოკლულის, გაცივებულის? შემოვიარე მთელი სამყარო, კაცი ვერ ვნახე, „ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაუზიარო“. ვით შენი ყინვით ნაკვეთი მკერდი, სატრფოს გულიც ცივია, ცივი... ვაგლახ, თბილია მასზედ საფლავი. ზეცას არ ესმის ჩემი გოდება, ის ყრუა ისე, ვით დაბლა მიწა. და რომ ესმოდეს, რა გამოვა, ჩვენ შორის განყდა უკვე კავშირი. გულცივობისთვის წყევლა ჰსმენია მას ჩემგან ხშირი.

მიდიან დღენი... წუთი წამს მისდევს, ტანჯვით უფსკრული არის ცხოვრება, სამუდამოა სევდა, ნალველი, მხოლოდ ბოდვაა ბედნიერება, შეიგნევით, აღარ მოკვდებით, უკვდავი არის ამოება!

მთაო მაღალო! არც შენ გესმის ეს აღსარება, წყეულიც იყავ, შეჩვენებული, რადგან არ გინდა, ანუგეშო ობოლი სული. ბედნიერი ყოფილა, მამ, ის მგოსანი, გულდახურულთა მეგობრათ ვისაც მიაჩნდი; მე კი რა დამრჩა, თუ კი არ ისევ კვნესა-ვაება, დიდი ხანია კაემნის ბადეს გული გაება. ოხ! მწუხარებავ, სადღა ვეძიო მე მოსვენება და მყუდროება; მარქვით, სად არის გაუქმებული ჩემი ტაძარი, მანუგეშევით მწირი სოფლის მიუსაფარი!!!

[1910]

ფერია ბედნიერებისა

...იყო, იყო და გაფრინდა.

– არა, დედი, დაათავე, შენი ქირიმე, ეს ზღაპარი.

– დავათავე და ის იყო, ჩემო კარგო.

– იყო ფერია ბედნიერებისა. დილას პარნასზე აპოლონს ესტუმრებოდა და, მისი სიმების ჟღერით დამტკბარი, მერე სხვას უზიარებდა ბედნიერების გრძნობასა, არა, დედილო?..

– ჰო, ჩემო კარგო!

– მაგრამ ხარბს დიანას შეშურდა, რომ მას ადამიანები პატივსაცემდნენ და შური იძია. ერთს დღეს, როცა დიანა სანადიროდ წამოსულიყო, ისინი შეხვდნენ ჯვარედინ გზაზე. ბოროტმა დიანამ მას ძაღლები მიუსია და მისი თოვლივით თეთრი ტანისამოსი სისხლმა შეღება. არა, დედი?

– ჰო, ჩემო კარგო!

მას შემდეგ დასწყევლა ფერიამ სოფელი და დასისხლიანებულ ფრთებით ლაჟვარდოვან სივრცეში შეისრიალა. მას შემდეგ ის არავის უნახავს. იყო ფერია ბედნიერებისა და გაფრინდა... გაფრინდა.

შემდეგ ადამიანებს არ ეკარება ბედნიერება, შორს გაურბის ისე, როგორც გნოლის ლაშქარი მშვიერს არწივს. იმისთვის არის, რომ ადამიანებს სახე ჩამოსტირით ხოლმე. ვერ ნახავ პირმოცინარე ადამიანებს, გლოვობენ დაკარგულ ბედნიერებას. გადია მელაპარაკებოდა, რომ ბედნიერება ბოდეაო.

– დედა, არ მოვა კიდეც ის ფერია? – დაჟინებით ეკითხებოდა ჭირვეული ბავშვი დედას.

– რა ვიცი, შვილო. ხედავ იმ მთებს, ცათამდე რომ აყუდებულან? ასე არიან სულ ისინი; ნისლი რომ მოეხვევათ, ეს მათი ლოცვაა, ცას შეჰვედრიან – ფერია დაგვიბრუნეო და ელიან სულ დაუსრულებლივ, გული ელევით ლოდინში... უსაზღვროა მათი ლოდინი.

– ნეტა, როდემდის გაგრძელდება ეს ლოდინი, უთუოდ ჩვენ ვერ მოვესწრებით, არა, დედილო?

– არ ვიცი, შვილო!

ბავშვს ჩასთვლიმა, მხოლოდ დედა, კიდეც ჰიქტრობდა ამ საბედისწერო კითხვაზე და ბოლოს დაქანცულმა თავის ნანაზე თვითვე მიიძინა.

[1910]

ფარვანა

დღე ღამემ შესცვალა. შავ-განიერ ფრთებში გამოხვია ღამემ სოფელი და ყრუ მდუმარება დაეპატრონა არე-მიდამოს. მწუხრის ნიაგმა მალალ მთებში მწუხარებისას ჩამოჰკრა სიმებს და მწარედ აქვითინდა. ვზივარ მარტო ოთახში და წიგნს ვკითხულობ. ირგვლივ ღამეა, დაუსრულებლივ ბნელა გარშემო ისე, ვით ჩემს სულში. მომაკვდავივით ბჭუტავს სანათი და მკრთალი სხივები კედელზე აჩრდილივით დაფარფატებს. ამ დროს, არ ვიცი, სიდან, ჩემს ოთახში გაჩნდა ფარვანა, თითქოს სიკვდილისა წინდანინ იგრძნო ჟამიო, სანათს მიეფართხალდა, სუსტად სცემდა ფრთებს და მის მაგიერ, რომ უკან გამოფრენილიყო, რაღაც უცნაურ ვნებით აღტყინებული, გიჟურ ვნებით ალს თავს ევლებოდა. ვხედავდი, როგორ თრთოდა მისი პატარა ტანი, თანდათან სცვიოდა ფრთები და ბოლოს სულ დაიფერფლა. ვერც კი მოვასწარ, გადამერჩინა... მაგრამ განა ჩვენი ცხოვრებაც ასე არ მიდის? დაბადებიდან ველტვით რაღაცას, რომელიც ბედნიერებაც არის და სიყვარულიც, მაგრამ ამაოა ლტოლვა. ოცნება ჰკრთის, ოცნება ცახცახებს... ნალველში ჰქრება ჩვენი ცხოვრება. საფლავში მიგვაქვს გრძნობა დაუკმაყოფილებელი, წადილი – აღუსრულებელი, ლტოლვა – განადგურებული, და მალე დაფარავს მას გაუმჭვირვალე ჩრდილი საფლავისა, თითქოს არც კი არსებულიყოს. და ასე თავდება მუდამ უკვდავი ზღაპარი ჩვენის ცხოვრებისა...

[1910]

ეპიტაფია

ხრიოკ უდაბნოს თუ მოხვიდე, მგზავრო, ოდესმე, გვერდს ნუ აუვლი ჩემს საფლავს, იყავ მომთმენი. ჩემს ამბავს გეტყვის შენ ეს ჯვარი, თავს რომ მიყრდენია. ყური დაუგდე, ის საფლავით არის ამონაძახი და განგებას ცეცხლის ასოთი ჯვარზე წაუნერია: აქ განისვენებს წინასწარმეტყველი, ვისის ბაგითაც თვით განგებამ ღაღაღჳო ერთხელ ჭეშმარიტება, რომელიც ეხლა ჩემ საფლავში განისვენებს, რადგან ვერ იგუეს ის ადამის ძეთა. განთიადისას, მაღალ მცნების უცნაურ გზებით აღტყინებული, სოფლად მოველი, ბურანში მყოფ ძმათა გასალვიძებლად, მაგრამ ამაოდ გაჰკიოდა ჩემი ნალარა... ამო იყო ხმა სიმართლისა, არვის ესმოდა. უწყლო უდაბნოს ჩემმა სიტყვებმა ცრემლი ადინეს, იმდურებოდნენ ბუმბერაზი მაღალი მთები, მაგრამ ყოველი იყო ამო: ვინც სხვას აღვიძებდა, ეხლა თვით სძინავს და ვისაც სძინავდა, მას ხომ ეძინება უკუნისამდე. არ გაიკვირვო, რომ შეხედო ჩემს ირგვლივ ლოდებს – ეს ძეგლია, სიცოცხლეშივე რომ აღმიგეს მაღლიერებმა. ნუ დაგაშინებს, ეს ყველასი არ არის ხვედრი; კაცთ-ნათესავი მხოლოდ ჩვენ გვიმკობს მითი საფლავებს... ჩემო კეთილო, ჩემს საფლავზე ვარდებს ნუ დარგავ, თორემ ცრემლი, საფლავიდან ამონახეთქი იმათ გაახმობს, ჩვენ ცრემლში ვიშვით, ცრემლში ვცხოვრობდით და ცრემლშივე მოვკვდით, ვარდები საფლავზე მხოლოდ მწარე დაცინვაა...

[1910]

სიკვდილი

...ის ყოველგან არის და ყოველთვის.

მისი მეფობა განუსაზღვრელია და მსხვერპლი აურიცხველი, მისი ჩრდილი ყველას თან ახლავს, და განუწყვეტლივ მისის ფრთების ფრთხილი ყველას მოესმის. ის ბედია წინამძღვართა უბედურებისა. მთანი მაღალნი, მწუხარებაში გაქვავებულნი, სდგანან და ელიან. მათი ლოდინი „დანახვაა უნახავისა“ – ამბობს მგოსანი... უსაზღვროა მათი ლოდინი, რადგან მათ უკვე მოესმით ჩონჩხების ქნარზე სიმეზის ჟღერა. ის სიკვდილია, დაძინებისას უმღერის სოფელს. კარგად იციან, რომ ის გრიგალია ჟამის ოკეანიდან ამოვარდნილი, და, ვინ იცის, რამდენი ხე ძირიანად ამოუთხრია. იციან, რომ სიკვდილი მინის ძვრას, ვულკანის ლავი, მინის წიაღიდან ამოხეთქილი, და მაღალ მთებსაც იმსხვერპლებს.

...სიკვდილი აპოთეოზია ბუნებისა.

ის ერთია, რომელმაც არ იცის ღალატი. ჟამსა მწუხარეს, მისი სიმღერა ყურს ჩამოესმის, სამაგიეროდ, აკვანშიაც თავს დაფარფატებს ჩვილ ყრმას და, დედის ნანასთან ერთად, ისიც მღერის. მისი სიმღერა ნაღვლიანი და სევდიანია...

ცეცხლის ეტლით მოჰქრის დემონი სიკვდილისა, ვით ქარიშხალი დაძრწის უდაბნოდ და ვაი მას, ვინც ხელ-განწვილს მას გზაზე შეხვდება! გამოეთხოვოს ის ყველაფერს, სამარის ჩრდილი მას გადაეხვევა.

ის მიზანია ჩვენის ცხოვრებისა, მისი გზა ძვლებით არის მოკენჭილი... ის ყოველგან არის და ყოველთვის.

მის წინ სიცოცხლე თრთის და ცახცახებს, მითი სუნთქავს ყოველი სულდგმული, მითი სუნთქავს ცისა ლაჟვარდი და მშვენება განთიადისა, მის მსახვრალ ხელში ყველა გაივლის, ყველა გაჰქრება; „მოსაგონებლად, ვაგლახ! რომ ფერფლიც აღარ დარჩება“...

...და ჩვენშიაც ჰბუდობს სიკვდილი...

[1910]

სიყვარული

(აღმოსავლეთის ლეგენდა)

საკიამუნმა დასტოვა სოფელი, ცოდვის სავანე და უდაბნოდ გაიქრა, რომ იქ მაინც დაევიწყებინა ცხოვრების ამაოება. ის ცას შეჰყურებდა, ცად აღეპყრო თვალები, რადგან არ უნდოდა მიწის შეხედვა, რომელიც აგონებდა განვლილ ცხოვრების არარაობას. გი-მაღაის მწვერვალებიდან გამოჩნდებოდა, როგორც ცეცხლის ბორბალი, მომავალი მზე, დაჰხედავდა მიდამოს და ოქროს სხივებით მოქარგულს დიადემას დაადგამდა თავზე ღვთაებრივ განდეგილსა, ტყუილად ეალერსებოდა მას პირმცინარე მთვარე; განდეგილი, თითქოს მას ვერც კი ამჩნევდა, მღუმარებით იდგა საკიამუნი და მედიდურად სჭვრეტდა უკვდავებას და უახლოვდებოდა ნირვანას. ასე მიდიოდნენ მისი დღენი, გარინდებული, ლოცვაში გაქვავებული, იდგა განდეგილი და ლოცულობდა. მაგრამ ამ დროის განმავლობაში, მისი ცად აღეპყრობილი ხელები გაქვავდა. მერცხლებმა ქვად მიიჩნიეს წმინდა განდეგილი და მის ხელებზედ ბუდე ააშენეს. გაზაფხულზე ისინი ესტუმრებოდნენ თავიანთ ბუდეს. მაგრამ ერთხელ გაფრინდნენ და არ მოსულან. და მხოლოდ მაშინ ის, რაც ეხლაც დაუჯერებელია, იმ განდეგილმა, ვინც ყველაფერი გადაივიწყა, ვისთვისაც არ არსებობდა არც სურვილი და არც ტანჯვა; იმ განდეგილმა, რომლის სინმინდეს თვით ღმერთები შეჰნატროდნენ, ვერ დაინახა მოსული მერცხლები და მწარედ აქვითინდა. ამ ჟამად სტიროდა ის მერცხლებზე. ქვითინით მოსცეს ბანი მაღალმა მთებმა და განგის ტალღებიც მწარედ აქვითინდნენ.

[1910]

ეპიპოსიდიონი

და როს დაუნყებ შენ იმას
ძახილს, არ გიპასუხებს.

(იერ. VII. 27)

სული ცოდვილი, სული ცრემლებით განბანილი, ჭმუნვამ მოიცვა, უდროოდ დადგა შემოდგომა ჩემის ცხოვრებისა, უდროოდ გაჰქრა სიყვარულის მომხიბლავი, უცხო სიზმარი... ტროფობის ყვავილი, ყვავილი პირველი სიყვარულისა, რა მშვენიერი იყო და რა წარმტაცი!.. გადაიშალა ის განთიადზე. რას ვიფიქრებდი, თუ შუა ღამისას ნავილებდი ოხერ საფლავზე, მაგრამ ახლა ვინ დამიბრუნებს სიყვარულისა იმ პირველ დღეებს? შემოდგომაა. ცა სევდიანი ნალველსა ანთხევს, ნისლი გაჰკვრია ცოდვილ ქვეყანას, შავი სიკვდილი ჩონჩხების ქნარზე დაძინებისას უმღერის ნანას, სთვლემს არე-მარე, ცრემლთა სავანე, ზღვა ცრემლებისა, სდუმს ვით სამარე მყუდროებისა. სულის სარკვე! დარჩი, ნუ მიხვალ, ამ მწუხარე ღამეს ნუ მიმატოვებ. სული ცოდვილი, სული ცრემლებით განბანილი, ცრემლად იღვრება, ვაგლახ! უშენოდ არ ესვენება. დარჩი, ნუ მიხვალ... ნუ თუ არ გესმის ხმა სევდიანი, შენ რომ გეძახის, შენ რომ მოგიხმობს? ნუ თუ არ გესმის ცრემლის ჩუხჩუხი გულის ნიაღში? შენ ხარ დიდება, შენს ღანვზედა ჰკრთის ნარნარი სახე უკვდავებისა და სულის სარკვე! ნუ მიმატოვებ, დარჩი, ნუ მიხვალ, რისთვის მითხრი უდროოდ საფლავს?..

*

„არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი“ – ასე ღალად ჰყო სიონზედ იელოვამ. მე-კი შევქენი კერპი განთიადისას და მწუხრისას მას ვსწირავდი მხოლოდ მხურვალე ლოცვას, ვრწყავდი ცრემლებით, მას შევსწირე სულის უმანკოება და ის კი შეიქმნა მიზეზად ჩემი ტანჯვისა.

„ოხ! საბრალთა გულუბრყვილო, ნაზი პეპელა, ღამპარს ეტროფოდეს, არ იცოდეს, რომ დაინება“, ფერფლად იქცევა, განადგურდება!..

სტიროდეთ ყველა იმედ დანთქმულთათვის, სტიროდეთ ყველა ცოდვილთათვის, არა იყოს ღმერთნი უცხონი ჩვენსა გარეშე და მე კი შევქენი კერპი. მან მომიწამლა სარწმუნოება, მან დამისერა გული მგზნებარე.

*

„კაცო! გიყვარდეს, ცათ ჩამომძახეს, როს მათ დამბადეს“... და მეც მიყვარს, ამ ბნელშიაც გზას მინათებს ნათელი სხივი სიყვარული-სა. მხოლოდ ის თუ დაამშვიდებს არსებობის მძიმე, მაშფოთარ ტალღებს. ის თუ დაუამებს გულს დასერილს ტანჯვის იარებს. „კაცო, გიყვარდეს! მაშ ცით რად მითხრეს, თუ კი ცოდვაა სიყვარული?“

ოხ! არა, არა, შორს ჩემგან, ეშმაკო სათანაელო, შორს ჩემგან ბოროტებისაგან ლელვილო სულო! ან თვით მევე ვარ, მეუფე ჟამისა, აღარ მაშინებს ჩონჩხების ქნარზე სიკვდილის მღერა. სულს ცრემლით ნაბანს სხვა ქვეყნისკენ ინვევს მცნება, თუმც მოვიქანცე, ალთქმის ქვეყანაც ჯერედ შორს არის და გზაც, ვით აფთართ კვალი ხეობაში, ჩვენის ძვლებითა არის ნაფენი, მაგრამ მიყვებები თან ოცნებას, სანამ არ მოესმის გულს დატანჯულს ჰანგი სალხენი!..

*

ღამეა, ჩემ სულშიც ბნელა დაუსრულებლივ, ვით შემოდგომისა უღრან ტყეში. მცივა, ვკანკალებ! ოხ! ვის ესმის, ვის ეს ჩემი ბოდვა? ოთახში სანათი ძლივს ბუფტავს. ცოდვილთა სულებივით დაფარფა-ტებენ სხივნი კედელზე და უმისოდაც ნაღვლიან სადგურს უფრო საშიშარ ელფერსა სდებენ. ქარიშხალი არ ისვენებს, მწუხარებით ფრთას სცემს ფანჯარას, თითქოს მეხვეწებოდეს სახლში შეშვებას: „შემიშვით სახლში, მეც მცივა, მეც მინდა გავთბე, განა გგონიათ, ჩემთვის სიცივე არ არსებობს?“ მაგრამ ვერას გააწყობს და უკან ბრუნდება. გაჰკვივის ველურ მელოდიას შემოდგომისას და სევდიანად მღერის თავის მუდამ ხეტიალზე, არხევს რა ხეების გამხმარ ტოტებს, თითქოს უნდა გამოიტიროს ურვა ქვეყნიურ არსებობისაო. ტალღას ტალღას სცემს რიონი და მწუხარედ დუდუნებს, ალბად სევდა შემოსწოლია, ვერვისთვის უნდვია და იმისათვის არის, რომ გულ-ჩახვეული ჩუმად მოსთქვამს. ვინ იცის, იქნებ ის სულ სხვას იგონებს, იქნებ ესმოდეს კიდევ ამირანის კვნესა და ან მედიას მწუხარე სიმღერა, იქნებ დასტიროდეს ქართლოსის ჩანგს, უღვთოდ დამსხვრეულს, მახინჯ შვილთაგან დავინწყებულსა, ბევრი რამ იცის რიონმა: „მრავალ დროების მონამეა, მაგრამ უტყვიცა“, უტყვი. ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, გოლიათებივით ამართულ ბნელში და ცას შესჩივიან უმწეობასა.

ქარი ქვითინებს. სცვივა ფოთოლი, საშინლად სტირიან გატიტვლებული ხენი და გულს უფრო აღონებენ. უსაზღვროა მათი ტანჯვა და გულსაკლავი – მათი მოთქმა. წინ მარკოს ავრელიუსის დღი-

ური მიდევს და ვკითხულობ, მაგრამ ფიქრები, შავ სედიან ფიქრთა გრეხილი, დროის ხვრელიდან ამომძვრალი და მომსკდარი ჟამის, ნიაღვარის ვერ შემინყვეტია... „ყოველთვის უყურებდე თავს, როგორც მკვდარისასა. ერთის წუთის შემდეგ შენ შეიქმნები ერთი მუჭა ფერფლი, ჩონჩხი, ან და სახელი, მაგრამ სახელიც მალე გაჰქრება, როგორც ხმაურობა, როგორც გამოძახილი“. ოხ! ღმერთო ჩემო, რას არ იფიქრებს კაცი!.. – წამოვიძახე და ლოცვა-კურთხევა შევეუთვალე ფილოსოფოს იმპერატორს, რომლის, შესაძლებელია, ეხლა არც ფერფლი იყოს. განა შეიძლება ასე სიკვდილზედ ლაპარაკი... რომ არ მესვენება, ძილიც გამირბის, თითქოს ენანება ცოტა ხნით მაინც ამ ჯოჯოხეთურ გენიის ჩაქრობა.

– სულის სარკვე, დარჩი, ნუ მიხვალ, ყურად იღე ჩემი ხვეწნა. ნუ უგულუბელჰყოფ ჩემს ვედრებას... ბნელში ვიშევი, ბნელში ვცხოვრობდი... ვაგლახ, რომ ბნელში მეღება ბოლო. არყოფნის ღამე ჰაერს მოარხვეს, ჯოჯოხეთშიაც ჩამოკვრენ ზარებს და წყეული სატანაც ეწვევა სოფელს. ვინ მანუგემოს, ვინ მცეს ნუგეში ამ სევდიან და მწუხარე ღამეში?..

[1910]

შურის-ძიება

(ბიბლიურ ჰანგზე)

ა.

შუალამეა. სდუმს ქალაქი გლოვის ძაძებში გამოხვეული, სდუმს არე-მარე, როგორც საფლავი, ზოგან ადამიანის კენესა თუ დაარღვევს ყრუ მდუმარებას, რომელიც კიდიით-კიდემდე დასწოლია იუდეელთ მხარეს. ალაყაფის კარები დაკეტილია. მცველები ალბად შიშით ატანილნი ჩუმად საუბრობენ. დიდია რისხვა იელოვასი, რომელიც ზედ დაატყდა დღესა მისგან რჩეულ ერს. ძღვევა მოსილი მხედართ მთავარი ოლომფრე ურიცხვის მხედრებით გარს შემორტყმია ქალაქს და ლამობს ფერფლად აქციოს იგი. შურისძიებით აღტყინებულმა ნაბოქოდონოსორმა გამოგზავნა ოლომფრე ურჩ ერის დასამონებლად. მოახლოვებულია ჟამი, როს ისრაელთ სისხლი მორწყავს მიდამოს, რადგან მათ გადასწყვიტეს უომრად არ დამორჩილდნენ მტერს, თვალთ ცოცხლებმა აღარ უმზირონ, როგორ შელახავს მტერი მათ წმინდათა-წმინდას, როგორ ეტყობა კადნიერება და უცოდველ ქალწულთ ნამუსს ახდის. „არ გვნახოს მტერმა ძაბუნად“ – ყურში გაუნთვის ყველას მთავარის იოზიას სიტყვები. „არ შეჰშვენის მხდალობა იმ ერს, რომელსაც უძლოდა ნათლის სვეტი არაბედისა უდაბნოში, იმ ერს, რომელსაც წინამძღვრობდა მოსე. ნუ, ნუ შესწყდება ჩვენში სისხლი სამსონ ძლიერისა და მეფე დავითისაო“. ბევრს ძილშიაც ესიზმრება მოლაპარაკე მთავარი იოზია და ბრაზით კბილებს ახჭი-ალებს. ქალაქში უსაზღვროდ ბნელა. დუმილს გრძნეულ ქსელში გაუბამს ქალაქი და მოუჯადოებია. მხოლოდ ქალაქის მთავარ ქუჩაზედ მკრთალად ანათებს სანათი, ოდნავ ბუჟუტავს, მომაკვდავივით ხან სულ მიჰქრება, ხან ისევ გამოციალდება. თავქვე დამხობილა მანასეს ქვრივი ივდითი და გულ-ჩათხრობილი ლოცულობს. მის სევდიან თვალებს უკვდავება დასთამამებს, კავზე დაღალნი ჩამოშლია, მწარედ ქვითინებს ეთეროვანი მშვენიერება, ღმერთსა ავედრებს ცოდვაში ჩაფლულს სამშობლო მხარეს. უცებ ივდითიმ შეშლილივით გაიხითხთა. „ასულო ბაბილონისაო, უბადრუკო! ნეტარ არს, რომელმან მოგაგოს შენ მისაგებელი შენი, რომელ შენ მოგვაგე ჩვენ, ნეტარ არს, რომელმაც შეიპყრას ჩჩვილი და შეახეთქოს კლდესა“. დაათავა ფსალაუნი ივდითიმ და შურის ძიებით აინთნენ მისი გიშრის ტბა შავი თვალები, უცნაურმა აზრმა გაანათა მისი გონება, რა იყო ის გრძნობა, ჯერ თითონაც არ იცოდა, მისი გული შურის ძიებით იყო ავსებული და ეს გრძნობა ითხოვდა გადმონთხევას...

მკრთალი მთვარე, მუდამ მჭვუნვარე ცის კაბადონზედ თავის დაუსრულებელ გზას ისევ განაგრძობდა. მისი მკრთალი სხივები, სანათის სხივებიდან ერთად აჩრდილებივით დაფარფატებდნენ კედელზედ. „ღმერთო, შემომქმედო, ქვეყნის მპყრობელო იელოვავ, ნუ მიუშვებ მტერს შენივ სადგურისა ნასანყმედელად; ბედკრულსა, უბედურს ნუ მანახებ ძენნაზედ ჩამოკიდებულს იუდის ჩანგსა. ცრემლის ნიაღვარ თვალთაგან მოსჩქეფდა და ლოცულობდა ივდითი. რა დაათავა მან ლოცვა, გადასძახა მხევალს, რომელსაც ეძინა უბადრუკის ძილით. სუნნელოვან წყალში იბანა მან, იცნო ნელსაცხებელი, შორს გადისროლა შავი ძაძები და ოქროთ ნაკერი ტანისამოსი ჩაიცვა თვისი გვირგვინით მოირთო და უბრძანა მხევალს, უკან გაჰყოლოდა. ივდითი ქალის ბჭისკენ გაემართა, იქ უცდიდნენ მას მღვდელ მთავარი და იოზია, მათ აკურთხეს უცნაური ქალი, რომელსაც მოენდომებია მამულის სამსხვერპლოს წინ ზვარაკად შეწირვა...

ბ.

ბინდი ღამისა ცოდვილ ქვეყანას ემშვიდობებოდა. მენამულ პორფირმოსხმული ღიმიტ ელოდა განთიადს და მწუხარე მთვარე, ამ ჟამად კიდევ უფრო კაემნიანი, სისხამ დილით ძლეული, გზას განაგრძობდა, რომ სადღაც ჩამქრალიყო. მას თან სდევდა პირის ფარეში ვარსკვლავი. ვინ იცის? იქნებ კიდევ სწყინდა, რომ სტოგებდა ლაჟვარდოვან ტახტს შარავანდედით შემოქარგულს. მზემ თავი ამოჰყო, გასწვრივ ისროლა ოქროს სხივები და აღმოსავლეთისკენ მოქარგა თალი. ლიბანის მთებმა, ცად ამაყად აზიდულებმა, თითქოს ამას ელოდნენო, გადიყარეს ჯანლი, ნათელი სხივი ცხოველ მზისა მათ სპეტაკ ყინვით ნაკვეთ თავს დააკვდა კოცნითა და ოქროს სხივებით მოქარგული დიადემა ნათელ სვეტივით თავზედ დაეყრდნო. მხოლოდ იორდანე, თითქოს მომავლს ისრაელისასა წინდანინ ითვალისწინებსო, მწარედ დუდუნებდა, მოსთქვამდა ტალღა და ქაფს ღმუილით მალღა ისროდა. დაბურული შეშრიალდა ტყე და ნაძვი ლიბანის განთიადს მიესალმა. ცისკრის მგოსანი თავდავინწყებით მოსთქვამდა, ყურს უგდებდა მას იორდანის პირას სოსანი და სიხარულის ცრემლებით რწყავდა მიდამოს. ბილიკზედ გამოჩნდა ივდითი, ვით ნიმფა მშვენიერებისა, რომელიც განთიადზედ პარნასისკენ მიეჩქარება, რომ დასტკბეს აპოლონის ფერად ქნარის სიმების ჟღერით. მისი თვალეები, რომელშიაც იდგა აკვანი ოცნებისა, რისხვით ელაგდნენ, ვით ქარიშხლით აბობოქრებული ტბა. ველარ გაუძლო ნიავმა და უცნაურ გზნებით აღტყინებული მის ცხოველ ბაგეთ დააკვდა. მაგრამ ივი-

დითის ყურადღება არ მიიპყრო ამ დილის სიმშვენიერემ. ის კვლავ გზას განაგრძობდა. ანაზდეულად შეიპყრეს ის ოლომფრეს მხედრებმა და ნებიერ ბატონს მიჰგვარეს. თვალი დაუბნელდა ოლომფრეს, ვნებით აენტო, ვნების ცხოველი მედიდურად დასცურავდა მის მღვრიე თვალებში. ამ ჟამად დაავიწყდა მას ნაბუქოდონოსორი და იყო მზად, თვითონ ღმერთად ქცეულიყო. მაგრამ მაინც ვერ დაეჯერებინა, რომ დღეს ბანაკში ასტარტა ეწვია. ოლომფრემ მყის ბრძანება გასცა, ივდითისთვის კარავი გაეკეთებინათ, მოეწყოთ ოქროთ და ყვავილებით ისე, როგორც ასტარტას დაჰმშვენიდებოდა და თვითონ რომ ჩაეკლა დროებით მაინც ჟინი ავხორცობისა, ფიალას ფიალაზე სცლიდა და ტკბილი ღვინო ყელში უღიტინებდა, მხეცად გადაქცეული მაინც სვამდა და სვამდა. მხედართ მთავრებმა შეატყვევეს, რომ მძიმედ დაითრო მათი სარდალი, მოჰკიდეს ხელი და შეათრიეს კარავში მძინარე ოლომფრე.

8.

ალიმართა შურის მაძიებელი ხელი ნემეზიდასი. გული უღონდებოდა ივდითს და თან დაყოლილი შიში თვალთ უბნელდებოდა. დამდგარი იყო ჟამი, „მოჰკალ, მოჰკალ მტარვალი, მიზეზი შენის ხალხის ტანჯვისა“ – გასძახოდა ხმა იდუმალი ყურში, მაგრამ ივდითი დაბნეული გონს ვერ მოსულიყო და ვით ნამი ვარდის კუკურზედ განთიადისას, ვით შველისა ნუკრი თრთოდა ივდითი. ბოლოს გაბედა... ამოაძრო ოლომფრეს მახვილი... მისივ მახვილით სუსტმა ხელმა ქალისამ შუა გააპო მტარვალის მკერდი. ზენარში გამოხვეულ ოლომფრეს თავითურთ ჩვეულის გზით ბრუნდებოდა ივდითი: „ნეტარ არს იგი, ვინც ტყვეობის ბორკილს გასწყვეტს, დაამსხვრევს“ – შორს გაისმოდა და ბუტბუტით იმეორებდა იორდანე. შეირხა ლერწამი და ნიშნად მადლობისა გზაზედ გაერთხო ივდითს. „ნეტარ არს იგი, ვინც შენ მოგაგოს, მოსაგებელი შენი, რაიცა შენ მოგვაგე ჩვენ“ – ცის კიდურში ჟღერდა უკვდავ მგოსნის ქნარი და არე-მარე ძახილით იმეორებდა:

...გამხნევებულნი მტერს ეკვეთნენ იუდეველნი და ილტვოდნენ მოძულენი პირისაგან უფლისა. წითლად იღება იორდანე, მაგრამ რაღაც გიჟურ სიხარულით ველურად მღეროდა და ზღაზვნით მიაგორებდა სისხლიან ტალღებს მენამულ ზღვისაკენ...

[1910]

უკვდავი არის ამოვება!..

(ნოველა)

Все суета – сказал учитель.

Байрон

ა.

„სასასა აექვას წყეული ენა, ჩანგს დაუქმებულს დასწყდენ სიმე-
ბი, თუ დაგივინყო შენ, იერუსალიმ, თუ მტერს უმღერო მე სიონის
საგალობელი“, ასე მოსთქვამდენ ისრაილნი ბაბილონის მდინარეთ
პირას და მათ თვალთაგან ცრემლთ ნიაღვარი მდინარეს უერთდე-
ბოდა. მხოლოდ გამარჯვებულნი მზაკვრული ღიმილით ეუბნებო-
დენ, „რას მოგიწყენიათ, რას ინაღვლით, აიღეთ ქნარი და იგალობე-
თო“. მაგრამ საყოველთაო იყო დუმილი. ხმას არვინ იღებდა, თითქო
ეშინია ამ ყრუ მდუმარების დარღვევაო. „ვერ უღალატებთ საფლავ-
თა მცნებას, და სისხლით მოსვრილ აჩრდილთა სახეს, ჩვენ თაყვანსა
ვსცემთ თვით მოგონებას ერთხელ ნეტარის ჩვენის მამულისო“ –
ისმოდა ყრუდ და ბუტბუტით იმეორებდა მას მდინარე. ცა დაღ-
ვრემილი... ცა მენამული პორფირ მოსხმული, თითქო მათ ტანჯვას
იზიარებსო, ცრემლად დნებოდა, მხოლოდ ხანდისხან ელვა თუ გა-
აპობდა ცის კიდურს და მიკლან-მოკლანკდა თვის ნათელს სხივებს
ისე, ვით მოგონება წარსული სიამის გაჰკრთება ხოლმე მგლოვარ
ტუჩებზედ, მაგრამ ის ხომ მწარე დაცინებაა გულის ნიაღმი... გუ-
ლის სიღრმეში ცრემლის ჩუხჩუხზედ, ღამეს გაეშალა კალთები და
გულზვიადი ხარობდა მათი ტანჯვით... შეირხა ლერწამი, დაიხარა,
გამოჩნდენ ღამის წყვდიადში ლანდები და მდინარისკენ გაეჩქარენ.

– ჩუმად!

– ნავი მზათ არის?

– დედა, დედილო, მგონი გვეღირსოს თავისუფლება.

– ჩუ, დედი...

– აუ, რა გულ საკლავი ხმებია, როგორ მოსთქვამენ.

– ის ჩვენი ძმებია.

– ყრუა, ყრუ..

– ვინ?

– იელოვა, განა არ უწყის, რომ ცრემლებით მოვრწყეთ ბაბილო-
ნელთ მხარე, რისთვის არ ესმის ჩვენი ტანჯვა?!.

– როგორ არ ესმის.

– მერე, სად არის?

– „და უწყებ შენ იმას ძახილს და ის ხმას არ მოგცემს“, ასე ამბობდა ის, ვინც ჩვენ ჩავაქვავით.

– სიცრუეა გამჩენი უბედურების, მგონი, თვითვეა უბედური და ეხლა ჩვენზედ უნდა იყაროს ჯავრი... ეჰ, შერცხვეს მისთანა შურისძიება, განა ისინი კი არ აგინებენ მას, რისთვის მათზე არ აღიმართა შურის მაძიებელი მისი ხელი...

– გადაილო.

– ქარიშხალიც ჩასდგა, აღარ ქვითინებს, ტალღები აღარ ზუზუნებს.

– შეხე, მთვარე გედივით როგორ დასცურავს ეთერში, ამდებანს მწუხარე იყო მუდამ, ეხლა კი, მგონი, დასცინის ჩვენ სიბეჩავეს.

– ჰაუ, კვლავ გულ საკლავი ხმები... რა მწარედ მოსთქვამენ... ის ნოქსია.

– სანყალი ბიძია ნოქსი, ის ვერ აიტანს უთუოდ ტანჯვას.

– მაინც რა არის ჩვენი ცხოვრება, მწვანე ლამისა განთიადზედ რომ გადაიშლება, მზე დააჭერს და გახმება.

– გამხმარი ფოთოლი, შემოდგომისას რომ ჩამოსცივია. სცოცხლობ და იტანჯები, სიცოცხლე ხომ ტანჯვია.

– რაც დღეს სიმართლე გვგონია, ხვალ ტყუილია.

– შორით გვეჩვენება ბედნიერება, ახლოს მიხვალ და არ არის და ასეა სულ, დაუსრულებლივ...

– ტანჯვა-ვაება სიყმანვილისას, სიბერეშიაც ცრემლი მდუღარე და ბოლოს მაინც გელის სამარე.

– წარმავალია სოფლად ყოველი არსებობისა, მძიმე ტალღებს რა დაამშვიდებს?

– ამაოება მხოლოდ არ კვდება!

– უკვდავი არის ამაოება...

კიდევ ბევრი სიტყვები დანთქა ღუმელმა და ამ დროს ნავი დაეხეთქა კლდეს და შუაზედ გაიპო. აქაფებულმა მდინარემ უყო პირი და ჩაიკრა ცივ, სოველ წიაღში მსხვერპლნი... მომაკვდავთა კენესა, ძახილი მალე მისწყდა, მხოლოდ ტალღები ზუზუნებდენ და მიაგორებდენ ადამიანებს. ნოქსის მოთქმა შორს ისმოდა, ისევ გოდებდენ ისრაელნი.

– უკვდავი არის ამაოებაო, გაიხარხარა ცაში სატანამ და მის ქნარზედ ავი სულები მასვე იმეორებდენ: „ძენო კაცთანო, მარად სტიროდეთ, არ გელირსებათ ხე ცნობისა, სანამ ცოცხალი ხართ და მერე კი ყველას მოგელისთ შავი სამარე“. ზუზუნით იმეორებდენ მას მდინარის ზვირთები, მიაგორებდენ რა ადამიანებს. დაიტაცა ეს ხმა ნიავმა და მწარედ აქვითინდა და ამიტომ არის, რომ ყოველთვის განთიადისას და მწუხრისას მოსთქვამს და ქვითინებს.

ბ.

ის იყო, დღე ღამემ შესცვალა და განიერ შავ ფრთებში გამოხვია სოფელი, რომ გაუმჭვირვალე შავ ზენარში დაემალა მისი ცოდვები. ნილოსი ლურჯ-კამკამა ზვირთებს მიაგორებდა და თან მოსთქვამდა ნალვლიან ხმაზედ. ტირილი მას იზიდავდა ასწავლა, როცა დაკარგულ ოზირისს დასტიროდა ნილოსის ნაპირებზედ. კბილებ დაღრჯენილი ნიანგი განოლილიყო და პირი დაელო, ალბად მსხვერპლს მოელოდებოდა.

– ეს ნიანგი ჩვენ ბედისწერას მოგვაგონებს, ჩემო კარგო! – ეუბნებოდა ანტონიუსი კლეოპატრას, განა ისიც მოუთმენლად არ უცდის, როდის გადავიჩენებით არყოფნის უფსკრულში... ოხ! კარგი, კარგი, შენ სულ განსაცდელი გეზმანება. ისარგებლე ცხოვრებით მცხოვრებ-მაო, როცა დაგვბადეს, ცათ ჩამოგვძახეს ჩვენ ის ღმერთებმა.

– ესე იგი, არ დამიშლი, რომ გაკოცო, – ღიმილით უთხრა ანტონიუსმა და მხურვალე კოცნა აღბეჭდა ცხოველ ტუჩებზედ.

– უბედური ტროა ერთი კოცნისთვის დაილუპა.

– შენ ის გინდა სთქვა, რომ მე ვიქნები მიზეზი შენი უბედურებისა?

– ოხ! არა, არა... მაგას ნუ მეტყვი, უშენოდ არ შეიძლება ჩემი ცხოვრების წარმოდგენაც კი. უსაზღვრო იყო ჩემი მეფობა კეისრის შემდეგ, მე ვიყავ მბრძანებელი რომისა და დღეს, ხომ ხედავ, ვდგევარ აქ, ნილოსის ნაპირას და ყველაფერი შენთვის შემომინირავს და იქნებ გეგონოს, რომ გაყვედრიდე, არა, არასდროს!.. შენ ხარ ჩემი ცხოვრების ნავთსაყუდელი, შენით არის ჩემი სულის ლაბირინტის ყველა კუთხე ამოვსებული. როცა შენ გიმზერ, ქვეყნიერება აღარ არსებობს ჩემთვის, სული რალაც მთელ ჰარმონიას ელამუნება და ჩემამდი არ მოდის ცხოვრების კაეშნიანი ძახილი. შენ ხარ მზის ასული, მისებრ ცხოველი, ორ მზეს ვხედავ ეხლაც კი, ბნელ ღამეში და ეს შენი თვალებია, რომელშითაც სდგას აკვანი ოცნებისა... ოხ! რომ შემეძლოს, მთვარისგან და მოციმციმე ვარსკვლავთაგან დიადემას მოგიქსოვდი; ის მენამული პორფირი, ცას რომ მოუსხამს, შენ თავს დაამშვენებდა. მოხარული ვარ, გინდა, ქვე მინამ მიყოს პირი, მხოლოდ კვლავ ვგრძნობდე იმ გრძნობას, რომელსაც ქვეყნიური სხვა გრძნობა ვერ შეედრება. კლეოპატრა, მხოლოდ შენ მომხიბლავ, ნიაღში სთვლემს უკვდავება, შენსა გარეშე არ არსებობს ბედნიერება.

ხმა წყვილიადიდან:

– ეგ სულის გზნებაც მალე გაჰქრება,

ვით ღამის ბინდი, რა გათენდება...

– ჩუ, ხმა ისმის!

ხმა წყვილიადიდან:

- ნუ გეგონება, დიდხანს გელხინოს, ჟამი შვეებისა წავა, გაჰქრება, ისე კაცს არაფერი არ მოატყუებს, ვით ავხორცობა.
- ეს სიტყვები მე სადღაც წამიკითხავს!
- ეს სიტყვები, მგონი, პლატონმა სთქვა!
- მაინც ვინ უნდა იყოს?
- ეს ხმაა იდუმალი.
- ეს ხმაა მფარველი გენიისა.
- ნუ თუ?
- როგორ ყორანივით გვიქადის უბედურებას.

*

ოქტავიანისაგან დამარცხებული, ბრძოლის ველიდან ილტვოდა ანტონიუსი. რომაელთ მხედრებმა ფარაონის სასახლეს ალყა შემოარტყეს. ფარული გამოსავლით გამოვიდა ნილოსის პირად კლეოპატრა.. ნილოსი ისევ ლურჯად კამკამებდა მწუხრის შავ ზენარში გახვეული, სამწუხარო ლოცვას თითქო სწირავს შემოქმედსო, ნიანგი წყლის პირას განოლილიყო და პირი ეხლა უფრო საშინლად დაელო. „ყველაფერი გაჰქრება“ – მოესმა კლეოპატრას და ხმა იცნო. მან აიღო ის ფიალა, რომელიც ხელში ეჭირა და სულმოუთქმელად გამოსცალა. დაუსრულებელ ტანჯვას გამოხატავდა მისი სახე. მას ზედ დასთამაშებდა ღიმილი უკვდავებისა და სიკვდილის, თითქო ეს ორი მოსისხლე მტერნი შერიგებულანო. მისი ღანვები კოცნას ინვევდენ, წითლად ელავდენ. ვერ მოითმინა ნიავმა და კოცნით დააკვდა.. „ყველაფერი გაჰქრება, ყველაფერი“ – აღმოხდა კლეოპატრას, თითქო ვისმეს ელაპარაკებო. გაიმეორეს ეს სიტყვები ნილოსის ზვირთებმა და ღამის უკუნმა ბნელმა შორს წაიღო ეს ხმა და დუმილმა დანსთქა მიდამო...

[1910]

ლენორა

(ნოველა)

I

ბინდებოდა. სოფელს ყოველ მხრიდან კაემნიანი ნისლი აწვე-
ბოდა. მაღალი მთები, ცაღ ამაყად აზიდულნი, უდარდელად იდგნენ
და განცხრომით ღრუბლებთან საუბრობდნენ. მონმენდილი ცა ლურ-
ჯად კამკამებდა, ცელქი ვარსკლავები ფერხულს უვლიდნენ მწუხარე
მთვარეს გარშემო, თითქო მის მჭუნვარების გაქარვებას ლამობდენ,
სარკმელიდან ქანდაკებასავით გაქვავებული, მდუმარედ გამოიყურე-
ბოდა ახალგაზდა კაცი. იგი პირველ სიყვარულს გლოვობდა, ცრემლები
ლაპა-ლუპით სცვივოდა, გაფითრებული სახე და მხურვალე შუბლი
ნიავისთვის მიეშვირა.

– ლენორა, ლენორა!..

აღმოხდა გულის სიღრმიდან და თავის ნათქვამისა თვითვე შე-
ეშინდა. ცივმა ოფლმა დაასხა; ქუდი დაიხურა, მოისხა პალტო, თუმ-
ცა არა სციოდა, რადგან გარედ ახლად დამდგარი შემოდგომის სუ-
ლი ტრიალებდა.

ის შეშლილივით გამოვარდა კარში და ნაცნობის გზით სასაფ-
ლაოსკენ გაეშურა, რომ დაკარგული სატრფოსთვის კვლავ ეთქვა:

„ხედავ, ჩემო ლენორა, ვერ გივინყებ, მკვდარიც მიყვარხარ,
მკვდარიც! შენს სახელს ვერაფერი დამავინყებს, ვარდებით და ზამ-
ბახებით მოვრთავ შენს საფლავს!.. კრულ ვიყო, თუ რომელიმე ქა-
ლის სიყვარული გულში გავივლო, თუ ვცოცხლობ, ისევ შენთვის,
რათა ჟამსა მწუხარეს შენზე ვილოცო, შენი სახელი იყოს ჩემი უკა-
ნასკნელი სიტყვა, ჩემო ლენორა!..“

დაღვრემილი, თავჩაქინდრული მიდიოდა ჩქარის ნაბიჯით; ცელ-
ქი ვარსკლავები მას ყურადღებას არ აქცევდნენ, მათ არა ერთხელ
უნახავთ იგი სატრფოს საფლავზე და სიცილს აყრიდნენ: „სულე-
ლის“ გაკვრით ისმოდა მათი ჩურჩული.

მისი ფიქრები კი სხვაგან დაჰქროდა, ნაბიჯს უფრო უმატებდა,
თითქო იდუმალი ძალა გრძნეულებით თავისკენ იზიდავს, რომ თვით
ბობოქარი ზღვაც რომ დახვედროდა წინ, ის გაარღვევდა მის ტალ-
ლებს. თავჩაქინდრული მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით და სასაფლაოს
მიადნია...

II

რა ტკბილად და მშვიდად ვიდოდა მისი ცხოვრება, საშინელ სიკვდილს რომ არ შეშურებოდა; მაგრამ სიკვდილი დაუძინებელი მტერია ადამიანისა. ის არავის ახარებს ხანგრძლივ! ცრემლებსა და ტანჯვაზეა დამყარებული მისი კვარცხლბეკი.

და ლენორასაც ცივი ფრთები შეახო.

ლენორასთან ერთად საფლავს ჩაესვენა ლევანის ბედნიერებაც. მის სიკვდილის შემდეგ ლევანის ტუჩებს ღიმილი არ მიჰკარებია: ცრემლებმა, ტანჯვამ სახე დაუღარა და სულ ახალგაზდა ლევანი მოხუცს დაამსგავსა.

ზოგიერთი ადამიანი მთელ სიცოცხლეში ვერ გამოცდის იმდენ ტანჯვას, რაც მან მომაკვდავ ლენორას სარეცელთან განიცადა.

„მიშველეო“ – ევედრებოდა მომაკვდავი, მაგრამ ლევანს რა უნდა ექნა, გულის წიაღში ცრემლად დნებოდა, ლენორასთან ტირილს კი როგორ გაბედავდა.

ერთს კვირაზე ჩამოხმა, ჩამოდნა და საფლავიდან ამოღებულ მკვდარს დაემსგავსა.

„მგონი, ლენორას ეს გაასწრობს“ – ამბობდენ ამხანაგები; მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მოკვდა ლენორა, ხოლო ლევანი კი, როგორც თვითონ ამბობდა – სატანჯავად დარჩა.. პირველ ხანს სულ სტიროდა, სახლიდან არ გამოსულა. შემდეგ კი სასაფლაოზედ იწყო სიარული და ის დღე მისთვის დღე არ იყო, როცა ლენორას საფლავს არ დახედავდა. ხანდისხან, როცა ნაღველი შემოანვებოდა, სამჯერაც მიირბენდა, ორი ღამე სასაფლაოზედაც გაათენა, მაგრამ მესაფლავემ გაუგო და შემდეგ თვალყურს ადევნებდა.

ამ ჟამად ერთი რამ საკვირველი მოხდა: მას თავდავინწყებით შეუყვარდა ედგარ პოე; მის მეტს არავის კითხულობდა, განუშორებლად ხელში ეჭირა მისი პოემა „ყორანი“ და დღეში ათჯერ მაინც წაიკითხავდა. მოსწონდა, რომ, როგორც პოეტის სატრფოსაც, ლენორა ერქვა.

„არასოდეს აღარ აღსდგება მკვდარი“!

ამოიგმინავდა ის და ცრემლის წიაღვარი თვალთავან მოსკდებოდა.

– პოეს „ყორანი“ – ეს ჰიმნია მარტოობისა, – ამბობდა ის, – ალბად პოეტს ყორანის სახით ევლინებოდა მარტოობა, ის შავ ძაძებში გამოხვეული აჩრდილი, რომელიც მე ლენორას სიკვდილის შემდეგ აღარ მასვენებსო.

მართლაც, მარტოობა ჰკლავდა ლევანს. ბევრი ღამეები გაუტარებია მასთან საუბარში. აჩრდილის სახით მარტოობა ესაუბრებო-

და. მეგობრები მასთან ძვირად დაიარებოდნენ; როცა ეწვეოდნენ კი, იგი ლენორაზედ ლაპარაკს მოათავებდა, მწარედ დაიღრვიებოდა და ედგარ ჰოეზე ჩამოაგდებდა საუბარს:

„ადამიანს დიდ პატივს ვცემ და მზად ვარ იმაშიაც გავამართლო, რომ ლოთობაში ჩაეკლა თავიო“ – ამბობდა ის. ბოლო დროს ლევანმაც ღვინის სმა დაიწყო, რომ მაში ჩაეკლა ტანჯვა და ობლობის გრძნობა.

III

ლევანმა სასაფლაოს მიაღწია. გული საშინლად უცემდა, თითქო ბუდიდან ამოვარდნას ლამობსო. ღობეზე გადავიდა, რადგან ჭიშკარი შიგნიდან დაკეტილი დაუხვდა, ალღოს მიხედვით მიდიოდა, რადგან ცრემლები თვალებს უვსებდა.

მკვდართა დუმილი დაპატრონებოდა სასაფლაოს, სდუმდა სავანე ტანჯულ სულთა. მთვარის შუქი მალალ ნაძვს ჩაჰხუტებოდა. ღამის ნიავე მწუხრი ტიტინით ნანას უმღერდა სასაფლაოს, თითქო ეშინიან, მიცვალებულთ საუკუნო ძილისაგან არ გამოიღვიძონო.

სიკვდილის ანგელოზი თავს დაფარფატებდა სასაფლაოს. ცაცხვის ფულუროდან გამოფრინდა ჭოტი და გულსაკლავი ხმით გასძახა მიდამოს. ძახილითვე გამოეხმაურა ზარნაშო და დიდხანს ისმოდა გულშემზარავი ხმა წყეულის დუეტისა.

ამ სურათმა უფრო გული მოუკლა ლევანს. ის წინ მიდიოდა, მაგრამ წარმოუდგენელი იყო მისი გაკვირვება, როცა მან ლენორას საფლავზე ვიღაც უცხო დაინახა, რომელიც სამარეზე დახრილიყო.

– ლენორას საფლავზე ვინ უნდა ყოფილიყო? ნათესავი? დიდიხანია, რაც ის ნათესავებმა დაივიწყეს! მაშ, ვინ არის? ან რა უნდა ამ დროს აქ?

უცებ მის ყურამდის მოაღწია მესაფლავის ხმამ:

– ბატონო, კარგია, გეყოფათ, საცაა მაგის ქმარიც დაბრუნდება და აქ რომ გნახოთ, საშინლად გაჯავრდება.

უცნობმა მესაფლავეს ფული გადასცა და უთხრა, საფლავისთვის ყური ეგდო.

ლევანი თავზე წაადგა. უცნობი შეკრთა, შიშმა აიტანა და ჩუმად მიეფარა. დაბურულ ხეებში ლევანმა ვერ გაარჩია, ვინ იყო. მესაფლავეს ჰკითხა, რომელიც მხოლოდ მეფისტოფელურად იცინოდა, მაგრამ მისგან პასუხი ვერ მიიღო. მისი ყურადღება საფლავზე მდებარე თეთრმა საგანმა მიიპყრო. საშინელმა ცნობის მოყვარეობამ შეიპყრო ლევანი, დასწვდა და ხელში წერილი შერჩა. შიგ ეწერა:

„საყვარელო არჩილ!

შორიდან გნერ წერილს. არ ვიცი, როგორ გამოგიცხადო საყვე-
დური ამდენხანს დატოვებისათვის. თუმცა, დარწმუნებული ვარ, შენი
ჩემდამი ტრფობა არ განელდება, მაგრამ ეს ორი კვირა ჩემთვის ჯო-
ჯობითია. უშენოდ, განა არ იცი, ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია.
ლევანმა თავი მომაბეზრა. ისე მაჩვენებს თავს, ვითომც ძლიერ უყვარ-
ვარ. ეშმაკის კერძად გახდეს მისი სიყვარული და მისი გოგრა“... ლე-
ვანი ვერხვის ფოთოლივით თრთოდა, ზაფრანის ფერი ედო. წერილი
ასე თავდებოდა:

„12 აგვისტო. შენი მარადის მოყვარული და მარადის იქითაც ლე-
ნორა“.

ლევანს თვალთ დაუბნელდა, სახე საშინლად აელანძა. მიწა რომ
გამსკდარიყო და ქვესკნელში ჩაეტანა, ის ერჩინა.

„თურმე მლალატობდა ის, ვისაც შევსწირე ჩემი ცხოვრება, ბედნი-
ერება, პირველი გრძნობა და ვინც მკვდარიც მიყვარდა!“ – სიბრაზით
წარმოსთქვა მან და ზიზლით შეხედა საფლავს. მესაფლავეს ჩუმად ეცი-
ნებოდა; ვერ მოითმინა ლევანმა და ერთი საშინელი სილა გააწნა, თით-
ქო მასზე უნდა იყაროს ჯავრიო და განშორდა იქაურობას.

IV

თორმეტ საათამდე ის აჩრდილივით დაძრწოდა ქუჩებში, შავი ფიქ-
რები არ შორდებოდენ. მოტყუებული გრძნობა, შეურაცყოფილი თავ
მოყვარეობა ქეჯნიდა და აკვნესებდა მის გულის სიმებს.

ლენორას მერთალი სახე თვალწინ ედგა.

აგერ, მომაკვდავი ლენორა ეხვენება:

„მიშველეო“.

ცხადად ხედავს მას ლევანი და მისი ხმა აშკარად ესმის.

„ჩამომეხსენი, რა აჩრდილივით თავს დამფარფატებს, გულს მიკ-
ლავს შენი ცბიერი ხმა!“ – ბუტბუტებდა ლევანი.

დაღლილი დაქანცული, დაოსებული ლევანი სახლში დაბრუნდა.

– ღვინო! – გასძახა მსახურს, იწყო სმა, კარები დაკეტა.

„ეს მისი სულის საცხონებელი იყოს!“ – წარმოსთქვა მან და სა-
შინლად გადაიხარხარა.

თუთიყუში დიდხანს უცქერდა პატრონს და ბოლოს, რითიმე რომ
დაემსახურებია მისი პატივის ცემა, გარკვევით წამოიღრანტალა:

„ალარ აღსდგება მკვდარი“-ო.

ლევანი გამოერკვა.

– კიდევ კარგი, რომ არ ადგება, თორემ მაშინ ქვეყანა დაიქცეო-
და! – ნაიჩურჩულა მან, რევოლვერი აიღო ხელში.

რევოლვერის ხმა ფრიად გაისმა.

შეშფოთებულმა მოსამსახურემ სისხლში მოსვრილი ბატონი
დაინახა.

უკანასკნელი მისი სიტყვა იყო:

ლენორა!

[1910]

სდუმდა უკვდავი მსაჯული...

(ნოველა)

ქერუბიმთა საყვირის ცემა შესწყდა.. და სამარისებულმა მდუმარებამ ჩანთქა ცის კიდეში. გულსაკლავი და აუტანელი იყო დუმილი. უფალის მეინახედ მჯდომარე, პორფირ მოსხმული შეიშმუშნა უკვდავი მსაჯული, საშინელ ლოდივით დაანვა მას სიჩუმე. რომ ამ აუტანელ მდგომარეობიდან გამოსულიყო, ღალატყო ხმითა დიდითა, იმ ხმით, რომელიც ერთხელ გოლგოთამ ისმინა და ცივმა ქოდრონის მთებმა ჩაიკლეს გულში.

– რად არ მოგყავთ? მოიყვანეთ აქ სული ადამიანისა!

...პასუხი არ იყო. კითხვას დუმილი იმეორებდა, აუტანელი მდუმარება სუფევდა.

უკვდავ მსაჯულისა ხმამ მყუდროება დაარღვია, მან კითხვა გაიმეორა. მაშინ წინ წარმოსდგა სევდიანი ანგელოსი და წყნარის, ვით მწუხრის ნიავი, ხმით დაიწყო:

– უფალო, ვისი გასამართლებისა ჯერია ახლა, ის არაა ადამიანისა სული და მეშინია მე მისი აქ მოყვანა.

უფალმა ბრძანა, შემოეყვანათ.

ორ ქერუბიმთ შემოიყვანეს სული, სიკვდილის ანგელოსი უკან მოჰყვებოდა. გასამართლებულთ შორის არ ყოფილა არც ერთი სული ასეთი საშინელი, როგორც ის იყო. მის თვალებში ღელავდა ზღვა სევდისა, მის უძირო თვალებში იდგა ოკეანე ნაღვლისა, მხოლოდ უკვდავ მსაჯულს შეეძლო მისთვის თვალი გაესწორებინა; უსაზღვრო საყვედური და ზიზღი გამოიხატებოდა მის მიბნედილ თვალებში.

– უფალო, – ხმის კანკალით დაიწყო სულმა, – მე ვიცი, ჯოჯოხეთი მელის, მაგრამ გთხოვ, მომისმინო, ცოტა ხნით მაინც შეიკავე რისხვა, რადგან დასჯის ჟამი ყოველთვის გექნება. უფალო, შენ არ გაგრჯი, ჩემი ცხოვრების მატთანეს თვითვე წაგიკითხავ.

ცოდვილი ვარ, უფალო, ცოდვილი, მაგრამ ჩემს ცოდვაში შენც გიდევეს ბრალი, უფალო, რად გააჩინე ადამიანი უბედურებაში და თუ გააჩინე, მაშინ რად მიეცა ლტოლვა ბედნიერებისადმი. ძილში და ცხადად მესმოდა შენი ხმა „ილტვოდეთ სოფლის ცნებისაგან, ნუ ყვებით ვნებასო“, მაგრამ მე, ჩემდა უნებურად შემოიყვარდა არსება, რომელიც შენ შენის ღვთიური სახით ხატებად შეჰქმენი, რად არ დამეხმარე მაშინ, უფალო, როცა მისი თვალები შორს მეძახოდნენ,

შორს, ოკეანეს გადაღმა, ჟამის მსვლელობის იქით; რა ჩემი ბრალია, მე არ შემეძლო ცეცხლის გენია ჩამექრო, გულში გრიგალივით რომ ტრიალებდა. მაშინ უძლური იყო ჩემი ნება, სჩანს, არ ვყოფილვარ „სრული, ვით მამაჩემი“. არ მიდევს ბრალი, მას რომ შესწირავდი ლოცვას. უფალო, ცრემლებით რომ ვასველებდით მის მთრთოლვარე ტანს, თუმცა შენ კი გვითხარ: „არ იყოს შენდა ღმერთნი ჩემსა გარეშეო“. არც იმაში მიდევს ბრალი, რომ როცა მან მიღალატა და ჩემგან შორს წავიდა, რომ გულში ცეცხლი ჯოჯოხეთური ვერ ჩავაქრე, მოვნახე და მოვჰკალი.

უფალო! ყოვლთვის მესმოდა შენი ხმა: „მოველით ჩემდა ტვირთ მიძიმენო და დამაშვრალნო და მე განგისვენოთ თქვენო“. მაგრამ მე ვცოცხლობდი, სიცოცხლე მწყუროდა, ჩემს სისხლს კი ფოცხვერევით ეწაფებოდენ... ყველამ დამიბრიყვა... რადგან სუსტი და ღარიბი ვიყავ.

...და აღიმართა მაშინ შურის მაძიებელი ხელი ჩემი. ძილს მიკრთობდა დაღვრილი სისხლი, მაგრამ არ შემეძლო, არ დამეღვარა, უფალო; ბაბილონის გოდოლი ავაშენე ცოდვებისა, ჩემგან დაღვრილი სისხლის ნიაღვარი მოსკდა.

ვერ განვიკითხე მთხოვარი, რადგან არაფერი მქონდა.

მიყვარდა და სიყვარულმა გამოთხარა უფსკრული, არვინ შემბრალეზია, როცა სიყვარულის ცეცხლში ვინოდი, ვით ელიმანდრა. მაგრამ შენ არ გვიანდერძე ლტოლვა მშვენიერებისადმი?! უფალო, ცოდვილი ვარ, დამსაჯე!

ანგელოზები შიშით თრთოდენ, მდუმარებდა უკვდავი მსაჯული, გაქვავებული იდგა ტანჯული სული და მსჯავრს მოელოდა...

...უკვდავი მსაჯული გადაეხვია მას და მის თვალთაგან ღმობიერების ცრემლი მოსკდა.

ღუმიღმა მოიცვა ცის კიდენი და უკვდავმა მეზარემ ჯოჯოხეთისამ შუალამისას ჩამოკრა ზარებს...

[1910]

ანაკრეონის საფლავიდან

– ჰე, შესდექ, გამვლელი, ნუთუ შენს ყურადღებას არ იპყრობს ეს არე მარე? საფლავში ვარ... საფლავში, მაგრამ მაინც ვხედავ მენამულ პორფილ მოსხმულ ცას, სევდიანად ცრემლად რომ დნება, მე ისე შთავედი საფლავს, რომ მისი მწუხარება არ მინახავს, თურმე სხვა ყოფილა შემოდგომა. სიცოცხლეში ბედნიერებით გაბრუებულს მე არ შემიმჩნევია მწუხარება.

– ბედნიერი ყოფილა, მაშ, ანაკრეონი, მისთვის რომ გაუსწვრია. მე მხოლოდ გაზაფხულს ვუმღეროდი, გაზაფხულს ფერად სიზმრებისას უჟღერდა ჩემი ქნარი.

– ოხ! ძნელი ყოფილა, ძნელი შემოდგომა...

გამვლელი, იწამე ღმერთი, ვარდები დარგე ჩემს საფლავზე, ვარდები... მე სულ მათ ვუმღეროდი, მათ ვამკობდი; ახლაც მინდა, რომ მათ ვუმზერდე. ეს თეთრი სავანე რომ გადაფარებია მინას, სულს ხუთავს მისი სითეთრე, არ მინდა თოვლი, უიმისოდაც გაციებულს სულს უფრო აციებს.

ვარდები დარგეთ ჩემს საფლავზე, ვარდები!

ნეტა, რა იქნა ჩემი ბულბული, საფლავშიაც მესმოდა მისი სევდიანი ჰანგები, ეხლა სხვაგან წასულა, მის მაგივრად ქარიშხალი ზუის ჩემს საფლავზე, დამქვითინებს ველურ ნანას და ჩემი ძვლებიც ბანს აყოლებენ, თუმცა სულს კვლავ გაზაფხული ეზმანება.

– გამვლელი, მარქვი, რად დაღვრემილან ჩემს საფლავზე ვაზები, კვლავინდებურად რად არ ეხუტება ტოტი ტოტს, რა იქნენ, სად წარვიდნენ ვარდი, ზამბახი, რად არ ამშვენებდენ ბუნების ნალკოტს?

– ოჰ, შესდეგ, მგზავრო, მონახე სადმე ვარდი! ვარდები დარგე ჩემს საფლავზე, ვარდები!.. მე სიყვარულს ვუმღერდი, მინდა, საფლავშიაც ვიმღერო ჩონჩხების ქნარზე.

ვინ გაავერანა ვარდ-ზამბახებით შემეკული ჩემი კუნძული?..

მგზავრს არ ესმის, უსაზღვრო გზას ისევ განაგრძობს, მხოლოდ ანაკრეონის საფლავიდან ამოძახილ სიტყვებს უდაბნო გულში იკრავს.

– ვარდები დარგეთ ჩემს საფლავზე, ვარდები...

[1910]

მიმოზას სიკვდილი

(ნოველა)

შემოდგომის სევდიანი მწუხარე ღამე განთიადს ელოდა, შავი გაუმჭვირვალე ნისლი გრძნეულ ქსელივით შემოჰხვეოდა სამყაროს კიდითი კიდე, შორით შორამდე ქარიშხალი სწენდა ყველაფერს, ხან მოსთქვამდა, ვით დედა პირმშოს საფლავზე, ხან მომაკვდავივით დაიკვნესებდა, თითქო ქვეყნის ურვა მას დასწოლია გულს და ერთი მოთქმით უნდა მოიშოროსო, თითქო დამდგარა საშინელი დღე განკითხვისა და შემოქმედს გამოუგზავნია შიკრიკად, რომ ამცნოს ქვეყანას საშინელის ჟამის მოახლოვებაო და დასერილი სევდიანად ღვრიდა ცრემლებს, გულჩახვეული მოსთქვამდა ხევში ნაკადი და მის მოთქმასთან ერთად ხევი გამოძახილით იმეორებდა ყორანის ჩხავილს.

იმ მწუხარე ღამეს მიმოზა სიცოცხლეს ეთხოვებოდა. დიდი ხანია, რაც მის თვალებზე ცრემლი არ შემშრალა. „ჩამოივლის სიკვდილიო“ – ყოველ წამს უმეორებს გრიგალი. სხვა დროს მიმოზას ეს სიტყვები კანკალს მოჰგვრიდა, მაგრამ ეხლა შეაჩვია ყური. ეხლა თვით ეძახის სიკვდილს, უხმობს, აფიცებს, რომ მალე მოვიდეს, მაგრამ ხარბი გული მაინც თავისას ითხოვს, არ უნდა მიმოზას, დამორდეს ცხოვრებას, თუმცა ეხლა ის შხამ ნარევია, მაგრამ რა ვუყოთ, ოდესღაც ხომ ახსოვს მიმოზას ჟამი ბედნიერებისა, უკვდავებას განიცდიდა ის, როცა მასთან ბუღბული ჩამოჯდებოდა და დაიწყებდა თავდავიწყებით სიმღერას – ოხ! ღმერთო! რა არ იხატებოდა ამ სიმღერაში?! თავის შენირვა, სიყვარულისთვის თავდადება, მთლად სიყვარული იყო ის სიმღერა, მას რომ ისმენდა მიმოზა, არაფერი ესმოდა. იცოდა, რომ ბუღბული მღეროდა, მაგრამ შორიდან მოესმოდა და მიჰყავდა შორს... შორს, სად მხოლოდ სიყვარულს გაეშალა ლალად ფრთები და მის კვარცხლბეკს ყველა სათნოება გუნდრუქს უკმევდა, სად არ არსებობდა სევდა, ნალველი. რას იფიქრებდა მიმოზა, თუ მალე განიავდებოდა ეს გრძნობა, თუ სატრფო თავს დაანებებდა?! ოხ! პირველად როგორ ეფიცებოდა... მაგრამ რაც უნდა იყოს, მიმოზა მას მაინც არ დაივიწყებს, საფლავშიაც თან წაიღებს გრძნობას, რადგან მისთვის ძვირფასია თვით მოგონებაც კი...

სიკვდილს ებრძოდა სუსტი მიმოზა, რომ ღანვებზე თბილი კოცონა იგრძნო, თვალი გაახილა და მის წინ იდგა კეთილი ფერია.

– შეეცვივდა, განა, ჩემო კარგო?! როგორ საცოდავად კანკალეხ, იქ, ტყეში, ჩემთან თბილა, იქ ვერ იგრძნობ სიცვიეს, – ეკითხებოდა გაფითრებულ მიმოზას კეთილი ფერია, მაგრამ მიმოზა ხმას არ იღებდა.

– მე ვერ წამოვალ, ჩემო კარგო, გმადლობ თანაგრძნობისთვის, მე აქ ამეხილა თვალები, აქ განვიცადე პირველი გრძნობა, ესოდენ ტკბილი, ჩემთვის ძვირფასია ეს ადგილი, ბედნიერი ვარ, რომ აქ მოვკვდები, რადგან ტკბილი მოგონება გამინათებს საფლავისაკენ.

ფერია მოჰშორდა. ხედავდნენ ყვავილები, როგორ ჰხდებოდა სული მიმოზას... ჰხედავდნენ და შებრალების ცრემლი სდიოდათ. მაღალი ნაძვი იქვე, ტბის პირას მდგარი ყველაფერს ისმენდა, როგორ კანკალებდა მიმოზა. სასიკვდილოდ უნდოდა დახრილიყო, რომ თავის ნემსიან ფოთლებით დაეფარა სიცივისაგან მომაკვდავი. აღსრულდა. მიმოზა აღარ სუნთქავს. გლოვობენ ისედაც მგლოვიარე ყვავილები და გულსაკლავად ქვითინებენ, გულს დაიჭდიეს მათ ეს მოგონება, რომ გაზაფხულისას ზიზლით შეხვდნენ მიმოზას უღირს მეგობარს.

ნიმფათა გუნდი ფერხულს უვლის მიმოზას საფლავზე, შავ ფიქრთა სავანე იცრემლება. მაღალი ნაძვი და ქარიშხალი „სულთათანას“ უგალობს გიჟური ზუზუნით.

[1910]

სატროფო – ნალველი

არ ვიცი, რისთვის, მაგრამ მე თავდავინწყებით მიყვარს შემოდგომის საღამო იქნებ ეს იმისათვისაც იყოს, რომ მე სიცვივეს შევეჩვიე. რალაც გამოუთქმელ სიხარულსა ვგრძნობ, შემოდგომისა სხივ გამკრთალი მზე რომ დასავლეთისკენ ჩაჰქრება. კავკასიონიდან კაეშნიანი ღამის ბინდი დაანვება სოფელს და დათრთვილული ნაკადი ყრუდ მოჰყვება ხევში, როცა ქარიშხალი ჭმუნვით მტირალი „სულთათანას“ უმღერის სოფელს და ყორნის ბედით ჩხავილს გამოძახილით ხეობა იმეორებს. მაშინ მე მოსვენებითა ვარ, ეს იმის ნიშანია, რომ ჩემს მჭმუნვარებას ბუნებაც თანაუგრძნობს.

შემოდგომის ღამე მოგონებას მიშლის და მეც ვკითხულობ ჩემ ცხოვრების მატრიანიდან მწუხარე სტრიქონებზედ. ოჰ, რა გაუმაძღრად ვენაფები მე ღამის მუხჯ ალერსს, ის ალერსით მეხუტება მე, ვისი ცხოვრება... ვისი სიჭაბუკე დიდი ხნის დავინწყებულ ზღაპრის სიტყვებია. ვინც ბედნიერებას იცნობს, მხოლოდ სიზმარში და ისიც ნუთით, რადგან უბედურებს სულ უბედურება ესიზმრებათ. და ბედნიერებაზეც ფიქრიც კი ვერ გაუბედიათ. ცად ატყორცნილი ტყე მღუმარებს, თავი ძირს ჩაუქინდრია ტირიფს და საბრალოდ სტირის, ცას შეყვედრის უთვისტომობას მაღალი ნაძვი და მისი ცრემლები ტბას უერთდება.

ამისთანა ღამეში მე ნალველი თავს მევლება, ფასკუნჯის ფრთებით ღანვებზე მკოცნის და სევდიან ზღაპრებს მიამბობს ცხოვრების წიგნიდან, სად ყოველი სტრიქონი სევდას ჩაუნერია.. თავს დამციმციმებს, როგორც ფარვანა.

– სატროფო ნალველი...

ოხ! ვის ძალუძს, წარმოიდგინოს მისი მშვენიერება. მხოლოდ ტანჯული სული ეჭვით მოკლული და დასერილი გაიგებს მას. უბედურებაში ის არის ნუგეშის მცემელი, ჟამს გლოვისას მხოლოდ ის არ სცილდება ადამიანს და კუბოს ფიცრამდე მუდმივი თანამგზავრია.

ბეატრიჩეს უკვდავი მღერალი ამბობს: „არა რა არის მაზედ ცუდი, როგორც მოგონება განვლილ სიამისა ჟამსა სიმწუხარისასო“.

მე კი ბედნიერების არ ვარ მცნობელი, მე არ ვიცნობდი მის სიტკბოებას. ჩემთან შობილა ნალველი-სევდა, ის იყო ჩემი სატროფო და დედა... მაშ, სხვის შვენება მის შვენებას ვით შეედაროს? სატროფო – ნალველი, სევდა – ვაება, სამარის კარად მგზავრად მიმყვება..

[1910]

ქანდაკება მწუხარებისა

(ნოველა)

მას უნდოდა სატრფოს გასაუკვდავებლად შეექმნა რამე.

ჰსურდა სატრფოს სახე, რომელსაც სიკვდილმა მოუსო ფრთები და, რომლის საფლავსაც ეხლა ნალველი ემთხვევა, სამუდამოდ უკვდავ ეყო, მაგრამ, ოდესღაც ბუნების მესაიდუმლეს, ეხლა არავინ არაფერს ეტყოდა, თითქო დუმილისას ინახავს აღთქმასო, სდუმდა სევდიანი გაცრეცილი ცა, მლოცველ ქურუმებივით აყუდებულიყვნენ მთები და სდარაჯობდენ კვლავ უცვლელი მარადისობას, მუდამ გულჩახვეული მოსთქვამდა მდინარე და ღამის ყრუ იდუმალებში შესჩიოდა ზეცას ობლობას და უთვისტომობას, თანაც თითქო უნდა გამოიტიროს ურვა ქვეყნიურ არსებობისო, ტალღას ტალღას სცემდა და ნალვლიან ხმაზედ ქვითინებდა.

მას კი სატრფოს გასაუკვდავებლად ჰსურდა შეექმნა რამე.

– არა, რას მეტყვის ნალვლიანი ცა?!

– არა, რას მეტყვის ტიტველი მთა, ცად აგრაგნილი?!

– ყუჩობს ბუნებაც!

ფიქრობდა მოქანდაკე და გულში უფრო ზვიადდებოდა აზრი, რათა სატრფოს გასაუკვდავებლად შეექმნა რამე. ვით თოვლის ზვა-ვი, პიტალო თხემით დაქანებული, ნალეკავს ყველაფერს, ისე ცეცხლივით სწვავდა მგზნებარე ალი შემოქმედებისა მხატვრის გულს.

და ნავიდა იგი სასაფლაოზე, დაამსხვირია სატრფოს საფლავზე მდგარი ქანდაკება მლოცავ ქურუმებისა, ჩააგდო ბრძმედში და გადაადნო. გული თრთოლვით უცემდა, სევდა გულის წიაღში ჩაგუბებული გადმონთხევას ჰლამდა და ჩამოასხა მოქანდაკემ ქანდაკება სამარადისო სევდისა, ქანდაკება კაეშანისა, შთაჰბერა სული უსაზღვრო, უძირო სიყვარულისა და მლოცავ ქერუმების მაგიერ, სატრფოს საფლავზე დასდგა ქანდაკება უკუნითი მწუხარებისა, აილო მთოლვარე ხელში კალამი და გულის ფანცქალით ნაანერა სიტყვები სოლომონ მეფისა:

„დამდევს მე ვითარცა ბეჭედი გულისა ზედა შენსა, ვითარცა ბეჭედი მკლავსა შენსა ზედა, რამეთუ ძლიერ არს, ვით სიკვდილი, სიყვარული, ფიცხელ ვითარცა ჯოჯოხეთის შური. არ ძალუძს წყალს მრავალსა დაშრეტად იგი და მდინარე ვერ წარღვნის მას“.

და მით უკვდავ ჰყო ის, ვისი უკვდავებაც ენატრებოდა.

დილის ცისკარი იყო მონამე, თუ ვით შთაჰბერა სული მოქანდაკემ ქანდაკებას და მწუხრის ბინდი გაკვირვებულნი მიჰმტერებოდა მას.

გარიჟრაჟის მზე დასცქერის მას აღტაცებით, და მწუხრისა – მთვარე მუდამ მჭვუნვარე, თითქო ერთი ბელათნი შეიყარენო, მკრთალს სხივებში ჰხვევს.

სანახაობით გაკვირვებული მგზავრი თვალს ვერ აშორებს საყვარელ ქანდაკს წმიდა სიმბოლოს მწუხარებისას, ნაშთს ტრფობისას...

[1911]

სიკვდილის ანგელოზი

(ესკიზი)

...ერთხელ სიკვდილის ანგელოზსაც ეწვია სევდა. ჯალათს უკვდავებისას, ვისაც ყველგან და ყველასგან მხოლოდ წყევლა და შეჩვენება ესმოდა და ვისი შურის მაძიებელი სული სოფელს წაღეკას უქადდა, სტანჯავდა გამოუთქმელი ნალველი და მის თვალებზე ცრემლების მაგიერ საფლავის მტვერი თრთოდა. სიკვდილის ცელს დაყრდნობოდა და ლურჯ, კამკამა ტბაზედ დახრილიყო. ცელქი ზვირთები ტლაშანით უამბობდენ მას თავიანთ თავგადასავალს, გამოუცნობელ საიდუმლოებით და გამოუთქმელ სევდით მოცულს, მაგრამ სიკვდილის ანგელოზს არ ესმოდა მათი მწუხარე ხმა. მკრთალ მოგონებათა გრეხილი, მოგონება წარსულზე, როცა ისიც წმინდა ქერუბიმებთან ერთად ლოცულობდა თავის ფრთოსან მეგობრებთან ეფრატის ნაპირებზედ, ქებას უგალობდა შემოქმედს, დიდებულ ხუროთმოძღვარს, მის გონებას არ შორდებოდა. ჟამი შვებობისა თვისკენ ეძახდა, უხმობდა გარდაელახა დროთა საზღვარი და კვლავ განწმენდილი, ცოდვათაგან განბანილი წარსდგომოდა იელოვას, ოდესღაც ლმობიერს, მაგრამ რა დახედავდა განვიღო ცელს, შიშით შეძრწუნდებოდა...

ასსოვს მას და არასდროს არ დაავიწყდება გრძნობა უმანკო და უმნიკვლო სიყვარულისა, რომელსაც იგი თავდავიწყებით მიეცა... აგონდება მას, როგორ გაკადნიერდა და დიდების მოყვარულმა მოინდომა ბრძანებელის დამხობა, რომ მისი ძლიერება და სიდიადე სატრფოსთვის გამზადებულ სიყვარულის კვარცხლბეკზე მიეტანა.. მაგრამ ეხლა სანახაობა იცვლება: ხედავს ის საშინელს სამსჯავროს, აგონდება რისხვით მგზნებარე თვალები უფლისა.. მას ეპატია დანაშაული, მაგრამ სამაგიეროდ ის შეიქნა ჯალათი უკვდავებისა, გაყიდა სინდისი უმანკოებისა.

რად უნდოდა ქვეყნის მპყრობელს მისგან ასეთი საშინელი მსხვერპლი. აგონდება სიკვდილის ანგელოზს წყევლა, სასტიკი წყევლა, რომელიც დასდეს მას მომაკვდავთა, როცა მათი სული კალთაში გახვეული მას იელოვასთან ძღვნად მიჰქონდა.

იყავ წყეული... შეჩვენებული.

გაცრეცილ ტუჩებზედ ამოიკითხა მან, როცა საყვარელს სატრფოს ამორებდა. აგონდება მას ხილვა უფსკრულისა, საშინელი უფსკრულისა, რომელშიაც ჩაიხედა დედამ, როცა პირმშოს გვამს გაციებულს

გულში იკრავდა და სიცივე, საფლავის სიცივე, რომელიც სიკვდილ-
მა შთაბერა უმანკო სულს, დედის ცეცხლით მგზნებარე გულს ვერ
გაეთბო. სიკვდილის ანგელოზმაც ჩაიხედა ამ უფსკრულში და შიშით
შეძრწუნდა, იქ ნამდვილი უდაბნო იყო, არსად ისე არ ბნელოდა, რო-
გორც იმ უფსკრულში..

რად წამართვიო? – ვის ეკითხებოდა გამწარებული დედა?

განა ჩემი ბრალია!..

საშინელია, საშინელი შენი რისხვა, შემოქმედო, განა შენ თითონ
არ სთქვი, ნუ აიღებ მახვილს, რათა მახვილითვე არ მოისრაო, განა
შენ სიონზედ ცის იდუმალ ნისლში გახვეულმა არ გამოაცხადე: „არა
კაც კლაო?“ მერე შეიძლება მკვლელი ჩემისთანა? ოკეანე შესდგე-
ბოდა ჩემგან დაღვრილი ადამიანის ცრემლისა, თვით შენ ცის კიდეთ
შეზარავდა ოხვრა და კენესა, რისიც მე ვიყავი მონამე – ჩურჩულებდა
სიკვდილის ანგელოზი და გამხმარ ძვლებს საშინლად აჭრიალებდა.

საშინელია შენი რისხვა...

მაგრამ შესწყდა მისი ხმა, უკვდავმა მეზარემ ჯოჯოხეთისამ შუა-
ლამისას ჩამოჰკრა ზარებს და ცოდვილ სულთა აჩრდილნი დედამი-
ნაზედ ალოდდენ. აგერ თითო-თითოდ მოდიან და სიკვდილის ანგე-
ლოზის გარშემო ფერხულს უვლიან. საშინელია მათი სახე, სისხლით
მოსვრილნი აჩრდილნი მტკიცეთ იცავენ საფლავით დადებულ აღ-
თქმას დუმილისას, მაგრამ მათი თვალები... თვალები ვერ მალავენ
საყვედურს, ველარ გაუძლო მუნჯ წყევლას სიკვდილის ანგელოზმა,
ცელ განვდილი მისი აჩრდილი ეთერის ზვირთებს შეუერთდა და ლა-
მის ყრუ მდუმარებაში საშინელი ქვითინი ამოუშვა. დასტიროდა ის
პირველ სიყვარულს, პირველ უმანკობას და სინმინდეს – რას არ
მისცემდა, რას, ოღონდ დაბრუნებოდა წარსული ჟამი.

არას დროს!.. ისმოდა სატანის მზაკვრული ხითხითი.

არას დროს... იმეორებდა იდუმალი ბინდი ლამისა და თან თავის
გრძნეულ წიაღში იკრავდა სიკვდილის ანგელოზს.

არას დროს... მწუხარედ ბანს აძლევენ შავი ზღვის ტალღათა
ტლაშანს კოლხიდის მთები, ცად ვით ტიტანი აზიდულები.

...და ცელ განვდილი შავი აჩრდილი სიკვდილის ანგელოზისა
ეთერის გამჭვირვალე ზვირთებში იხატებოდა.

[1911]

მწუხრულ ჰანგზე

(სილუეტები)

I. სევდის სიმღერა

მახსოვს მე ჟამი, ჟამი უკუნითის შვებისა, როცა სული ეხლა სავანე ტანჯვის, გოდების, ოცნების ფრთებით ბედნიერების მთაზედ დანავარდობდა. ოხ! რა წარმტაცად ჰყვოდა მაშინ ველი. ტბის პირას მდგარი, ტბაზედ დახრილი ნაძვი ცამდე აზიდულ ლერწამს ეხუტებოდა.

ორნი ვიყავით.

მის თვალეში იდგა აკვანი ოცნებისა.

მის სიმშვენიერეს ტყის მიონაც შენატროდა.

ორნი ვიყავით, ერთად ვისხედით, ნანას გვეტყოდა ხევში ნაკადი და კაეშნის დილა მწუხრის ნიავი, ვით ფარვანა თავს გვევლებოდა.

მაგრამ ჟამი მიდის და ჟამში ნაშობი ჟამშივე კვდება.

გაჰქრა ზმანება, ვით ღამის ბინდი, ვით მოჩვენება.

მონყენით არის მთა ცხოვრებისა.

ოკეანის ჯურღმულში ვეძებ ოცნების ნამტვრევებს.

მზემან სცნო ჟამი დასავალისა თვისისა, დასდგა ბნელი და იქნა ღამე.

ბნელა სულშია. შავ ძაძებში გამობვეულნი სასოების ხეზე შემსხდარან ყორნები, სულსა აცივებს მათ ფრთათა ბარტყუნი და ასპიტით შხამავს გულ-ღვიძლს მათი ჩხავილი. ყორნები არიან სულის მესაიდუმლე, ყორნები არიან სულის მოჭირისუფლე.

გაჰქრა, წავიდა ის ჟამი, მაგრამ მოგონება კიდევ არ მომკვდარა, თუმცა კაეშნიანი და სევდიანია ეს მოგონება, და ცრემლებს მანვიმებს, მაგრამ მიყვარს მაინც, ვით ნაშთი ტრფობის და შვების დღეთა საფლავი.

როცა ტბაზე დაიხრებიან ხეთა ლანდები, როცა მონყენილი ცაც, თითქო შეეკრას ჩემთან კავშირი, სევდის ავგაროზს მოიხვევს და მწუხარედ ქვითინს მოჰყვება, როცა მიონა, ტურფა მიონა, ტყის ასული, ერთხელ რომ ჩვენს ბედნიერებას შენატროდა, მიმოზას დაუნყებს ქორრის ვარცხნას და ზღაპრების მბობას, მაშინ მე შორს სადღაც მესმის სევდის სიმღერა მგლოვიარე, რომელიც ნააგავს იმ სიმღერას, რომელსაც ვანდე ნამები შვებისა და ოკეანე ცრემლებისა... მაგონდება ჟამი... ჟამი განვლილი, რომელიც ანი არ დაბრუნდება, როგორც არ დაბრუნდება ლიკლიკა ტალღა, ზვირთებს რომ მისდევს, ვით ის ტალღა, ის სიმღერაც არაფერს ამბობს, მაგრამ მიყვარს ის სიჩუმე, მიყვარს ის სიმღერა, ვით ნაშთი ტრფობისა და აკვანი ჩემი ტანჯვისა.

ცრემლები ჩუხჩუხს იწყებენ გალიის წიაღში და ოხ! ვით მინდა ცრემლებში გადმოვღვარო ის მწუხარება სულისა, რომ სტანჯავს „უნდობლად მომინდებიან ბედკრულს ბედკრულნი მღერანი“.

სამარის ხმაზედ ქვითინებს ჩანგი, მოსთქვამენ სიმები სატრფოს დაკარგულს, სიმშვენიერეს გაზაფხულისასა სპეტაკმა ზამთარმა თეთრი სუდარა რომ გადააფარა და შავი სტუმრები, შავი ყორნები, სასობის ხეზედ მსხდომარენი ბანსა აძლევენ ჩხავილით.

გულსაკლავად ისმის სამარის ხმა ნალვლიანი.

სევდიანი დუდუნით მეხმაურება ფაზისი და ტლაშანით მიაგორებს ტალღებს.

მონყენით სდგანან თოვლით ლესილნი კოლხიდის მთები, ალბად ჩემს ტანჯვას თანაუგრძნობენ.

თქმულა, რომ ბუნების საკურთხევლის წინ მსხვერპლად სევდა მიიტანება და ყურში ისმის სულის სიმღერა ნალვლიანი, ვით მოგონება წარსულ დღეებზედ, რომელნიც არ დაბრუნდებიან.

II. ფსალმუნი

ძღვნად ნ. ჩხიკვაძეს და პავლე იაშვილს

მდინარეთ პირას ვისხედით და ვგლოვობდით ჩვენს ლტოლვილ ბედნიერებას. თავზე ნაცარი გვეყარა, ზეცას სწვდებოდა ჩვენი გოდება, მხოლოდ წყეული ბედისწერა ძაძებში გამოხვეულთაც არ გვასვენებდა და საგალობელს ითხოვდა ჩვენგან. ყრუ იყო ადონაის, საუკუნო ყურებს სმენა დახშოდათ, უდაბნოს ქვიშას ალბობდა ცრემლები, მაგრამ დახშული იყვენ ბჭენი შებრალებისა.

ვერა, ვერ გიმღერთ სამხიარულოს, შესწყდა, გულს ჩაჰკვდა ჰანგი სალხენი; სასას აექვას წყეული ენა, თუ დავივიწყოთ ჩვენ ეს ნალველი, საფლავით აღსდგეს შურისძიება, თუ შენ გიმღეროთ ჩვენ სიონის საგალობელი.

მდინარეთ პირას ვისხედით და დავტიროდით ჩვენს ლტოლვილ ბედნიერებას და გვირგვინ მოხსნილ სინმიდეს...

III. სიცრუე

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო დედაკაცისა, და იყო სიტყვა იგი – სიცრუე.

ვაი მათ, ვინც მას მიენდენ.

სტიროდეთ მათთვის, ვინცა სტირიან, სტიროდეთ მათთვის, ვინცა საუკუნეთ გადაქცევიათ შემოდგომის ღამეები.

სტიროდეთ მათთვის, ვისაც, ქალის წიაღში ბედნიერებას მიაგნო, ჰგონია, რადგან მისი გული სფინქსთა უდაბნოშია ჩაფლული და ვერავინ ამოიკითხავს შიგ ჩაწერილ სტრიქონებს; შემოქმედმა მასში ჩამალა იდუმალება შემოქმედებისა.

ადამიანის ცრემლისაგან ოკეანე დადგება.

ადამიანის ტანჯვით გოლგოთა შეიქმნება, მაგრამ არ შეირხევა არც ერთი ნაკვთი სფინქსისა.

პირველათ იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო დედაკაცისა, და იყო სიტყვა იგი – სიცრუე.

ელოდეთ მას, ის კვლავ გამოცხადდება!

IV. ანაკრონული ხორო

თენდება, თენდება. დაბნელდა მთვარე, ვარსკვლავებს უხმობს არ ყოფნის ღამე; ვაი მათ, ვინაც რომ მწუხარ ღამეს გამოიღვიძეს, ცრემლი დაღვარეს! თენდება, ტუჩები კოცნას ეძებენ, სული სულს უხმობს, სატრფო – მეგობარს, იშვებდეთ, ხალხნო, აღარ შურთ ღმერთებს, რომ ღებნა ერგოთ ადამიანებს.

– იყავ ბურანში, ნუ გაიღვიძებ, მოსწყდი სამყაროს, მოსწყდი ჟამის ფრთებს, მთვრალი იყავი: სული იყურებს, ზეცა ბანს ეტყვის შვების სიმღერებს! ეძებდეთ კუნძულს, ბედისგან აღთქმულს, იქ მეფედ არის თავდავინწყება. იყავი მთვრალი, რომ არას გრძნობდე, – ეს არის ყოფნის ბედნიერება... თენდება, თენდება. დაბნელდა მთვარე, ვარსკვლავებს უხმობს, არ ყოფნის ღამე; ვაი მათ, ვინაც რომ მწუხარ ღამეს გამოიღვიძეს, ცრემლი დაღვარეს.

V. პირველი სიყვარული

მახსოვს მე ჟამი ბედნიერების. ეს ის ჟამი იყო, როცა ადამიანს ყველაფერი სჯერა. ის ვერ მისწვდება ცხოვრების ტანჯვით გამოწვეულ მწუხარებას, ვისაც ეს ჟამი არ ახსოვს და ჩემში კი იმნაირი სული ბუდობს, რომ მზადა ვარ, მწუხარებაშიაც ვეძიო სილამაზე; ან რა გასაკვირია: აკი მანფრედი, ალპების მთებზე შავ-ფიქრებით გარემოცული, ამბობდა: „სევდავ, შენა ხარ ჩემი სატრფო“!

ის ჟამი იყო, როცა ადამიანს სიყვარული სწამს და აჩრდილებით ავსებს ქვეყანას. ანგელოსის სახით მე დემონი მეჩურჩულებოდა; მეც ყურს ვუგდებდი, რადგან არ შემეძლო, არ მესმინა: რაღაც იდუმალი, რაღაც მომხიბლავი ისმოდა იმ ხმაში, ის ცათ მიხმობდა, ცათ მეძახოდა, ფრთები რომ მქონოდა, თან გავყვებოდი არ-ყოფნის

მოციქულს. ამ დროს ის ჩემთან იყო. იდუმალ გზნებით გამსჭვალული ყურს ვუგდებდით ნაკადის ტკბილ რაკრაკს და მისი ლიკლიკა ტალღები გვამცნობდა გულის საიდუმლოს, იცოდა, რომ ჩემს გულში ქართველი დანავარდობდა და, თუ ვსდუმდი, მისთვის, რომ ის ჩემთვის ყველაფერი იყო! მე ვუამბობდი მას ზღაპრებს, ცხოვრების ზღაპრებს, მდელის მშვენიერებაზე, შემოქმედის სიდიადეზე. მოჩუხჩუხე რუ უგდებდა ყურს ჩემგან ნაამბობს, სევდის მანტიამი გამოხვეული; ვით საფლავით ლტოლვილი აჩრდილის სული, თავს გვევლებოდა მთვარე და მკრთალ სხივებში გვახვევდა.

ხმა კანკალებდა, თრთოდა; მე ჩემს გულთან ვიგრძენი მისი სუნთქვა – უკვდავების ნანად, მარადისობის სიმღერად მეჩვენებოდა მე მისი სუნთქვა, სულს აღტყინებდა მის კულულთა სუნნელება და მთვარე იყო მონამე, თუ ვით დაარღვია მორცხვმა კოცნამ ღამის დუმილი. ეს იყო პირველი სიყვარული... ის იყო პირველი კოცნა, მას მეორე არ მოჰყოლია – ვით ბინდი, იდუმალი ბინდი იმ ღამისა, გაჰქრა ის გრძნობა; მხოლოდ მგოსანი შემოდგომის ღამეებში, ჟამსა სევდისას, ისევ იგონებს და ცრემლებს აწვიმებს ეს მოგონება. სევდის ავგაროზში გაეხვია სული, მწუხარედ გოდებს, მონყენით არის მიდამო, სად განვიცადე პირველი გრძნობა და სულის დემონი, ავი სატანა, რომელიც ერთხელ აღთქმის ქვეყანას მპირდებოდა – ყორნის ფრთებით არ-ყოფნის მხარისაკენ მიაქროლებს სულს...

VI. ზარნაშო

Въ гробницѣ Колизулы заплакала сова.

Д. Мережковский

მიყვარს მე გაზაფხულის ღამე, როცა ყველას სძინავს, როცა ცათ მყუდროებაა, მიწათ – სიჩუმე, და დუმილი კაემნიანად გალობს სევდიან ჰანგებს, თითქო მარტოობა და ღამის ნისლი შეითქენო, მდუმარედ სდგანან მაღალი ჩაყვითლებული ნაძვები, ქანაობენ, თითქო წაქცევას ღამობენ, არავის ესმის მათი ლოცვა, მათთვის ყრუა ცა. ტბაზე დაუხრიათ დალალები ტირიფებს და, როგორც მიჯნური, მიმკრთალებული ჰკოცნის ლიკლიკა ზვირთებს. ფიქრი ფიქრს აეკიდება, ოცნება მიხმობს, ოცნება მეძახის.

რა ბედნიერებაა, რა შეედრება მას! მე ვარ მეფე სიზმრებისა, ვიცი, არც ერთი მათგანი არ ასრულდება, ვიცი, ტყუილია ყველა მათგანი ისე, ვით სიცრუე იყო ფიცი დედაკაცისა, მაგრამ, დეე, ასე იყოს: მე მიყვარს ის, რასაც მაშინ ვგრძნობ, დეე, ნუ ასრულდება, მე

მაინც გამოვსტაცე ჟამს ბედნიერი ნამები... ოხ! ღმერთო, რა კარგია ზაფხულის სალამო, რა სიჩუმეა, მაგრამ მე მარტო ვარ, არავინ ინდომა ჩემთან ყოფნა, ამაოდ ვაფიცებდი: „დარჩი, ნუ მიხვალ-მეთქი“, – მან არ ისმინა. სულსა ჰკლავს მარტოობა.

...ჩუ, ჩემამდი ზარნაშოს სევდიანმა მოთქმამ მოაღწია!

ოჰ, როგორ სტირის საცოდავი ღამის იღუმალებაში!

– ვერ ვიპოვეო, – ნაცნობია ჩემთვის ეს ხმა.

„ვერ ვიპოვეო“ – მე კი ვიპოვე?

რით განვირჩევით ჩვენ ერთმანეთისაგან? მხოლოდ მითი, რომ მას არ შეუძლიან ჩემსავით იტანჯოს – საბრალო, ის მაშინვე მოკვდებოდა.

რით განვირჩევით ჩვენ ერთმანეთისგან?

მითი, რომ ხვალ ის ჩემს საფლავზე ჩამოიძახებს: „ვერ ვიპოვეო“.

და ჩემი ძვლები დუმილით უპასუხებენ.

VII. ტრიუმფი

ცეცხლის ეტლით მოჰქრის დემონი სიკვდილისა. უკვდავი ღამე სდარაჯობს მას, უკვდავი ღამე, ქურუმი დანაშაულისა, და საყვარელი საუკუნეების.

– ვინ დაითვალოს მსხვერპლი?

– რამ დაიტოოს ცრემლი?

ადამიანთა ძვლებით მოიფინება ხეობა, საფლავში შეძრწუნდება ტორკვემადა – უჩვეულო სანახაობით გაკვირვებული!

ცეცხლის ეტლით მოჰქრის დემონი სიკვდილისა. ის, ვით გრიგალი, ყველაფერს ადგვის, არყოფნის ღამეში განიავდება ადამიანისაგან შექმნილი ბედნიერება.

– ის არის კიბო არსებობისა.

– ის არის ჯალათი არსებობისა.

– ის არის მეუფე ყოფნის ძლიერი ტალღებისა.

გიხაროდენ თქვენ, ვინც, ვითარცა საქორწინო სარეცელს, ელტვოდით კუბოს; გიხაროდენ თქვენ, ვინც აფიცებდით სიკვდილს მოსვლასა.

ახლოა ჟამი, როს არ-ყოფნის მოციქული მოგისობთ ფრთებს, როს არ-ყოფნის ღამეში გაჰქრება თქვენი ცხოვრების ჩირაღდანი, ცეცხლის ეტლით მოჰქრის დემონი სიკვდილისა, მისი გზა ჩვენის ძვლებით არის ნაფენი.

მეფეთ-მეფენო, ყოველის დროის და ყოველ ჟამისა! ძრწოდეთ, რადგან არ იქნება არც ერთი ბრძოლა, სადაც ის არ გამოვიდეს გამარჯვებული, სად მას არ დარჩეს დროშა გამარჯვებისა...

VIII. აღონაის, აღონაის!..

ძღვნად შუანეთას და ვერას

Землю чуждуй, люби все, ища въ этомъ изступленія.

Ф. Достоевскій

– ნუ მიცქერი, ნუ მასე სევდიანად, შენ არ უნდა მიმზეროდე ასე!.. რისთვის არიან შენი თვალები ასე სევდიანი? შენს სულში ნალველს ფრთა გაუშლია. ნუ მიცქერი, ნუ მასე, – მეჩურჩულება ღამის ბინდი და გულზე მეკრება, უნდა რბილ ნიაღში ჩამიხუტოს მე, ვის თვალებზე არას დროს არ შემშრალა, ვისაც არ ახსოვს არც ერთი წამი ბედნიერების, ვისაც სიზმარშიც მჭვუნვარება თავს დასტრიალებს.

ჰო, რა კარგია ეს სევდიანი ღამე, რას არ მელაპარაკება, რას არ მეჩურჩულება. მე მინდა, ის მიყვარდეს, გესმისთ, მე მინდა მის ნიაღში, მის კალთებში სული ლოცულობდეს, მაგრამ საფლავის ლოდით აწევს გულს ნალველი.

...აქ კი ქალწულებივით კდებოდა მოსილებით გადაშლილა მიდამო, თვით ღმერთი მღერის საგაზაფხულოს, ოცნების ქნარზე, მთვარის სხივებით გამონვეულ იდუმალ მუსიკას მიაგავს მისი ხმა, თითქო ქერუბიმი საცეცხლურს უკმევს შემოქმედსო, კაბადონზე ვარსკვლავებს გაუბამთ ფერხული, შუალამისას გამოღვიძებულ ავადმყოფი ქალწულის ტირილს მიაგავს მათი ბინდიანი კრთოლვა, ტიტანებივით ცათ აყუდებულნი მღუმარედ სდგანან კოლხიდის მთები. ისინი ისევ ელიან, უკვდავია მათი ლოდინი ისე, ვით უკვდავია ის, ვინც იდუმალ ნისლში გამოხვეული მათ მწუხრისას ეჩურჩულება, ტყეებში სძინავს მღვიმეში თავშეფარებულს, უთუოდ ნანად ესმის ზეფირისაგან გამონვეული ხეთა შრიალი.

მე კი სხვას ველი...

თქვენ გულს ნუ შეაკრთობს მისი სახელი, განთიადის მეზარახტრე ბნელს ირჩევს, როცა მას შეხედავს, მთვარიან ღამეს მასზე მღეროან ზღვის ტალღები და ის ჩემი სატრფოა.

ნუ დამიშლით მე ის მიყვარდეს, რა უყოთ, რომ ის იგვიანებს, მე უკვდავი ვარ, რადგან მასზე ვმღეროდი. მე უკვდავი ვარ, როგორც მისი მოსვლის წინასწარმეტყველი.

აღონაის, ხმა გამეც, მე ფასკუნჯის ფრთებით შენსკენ გამოვფრინდები, მე, უკვდავი, რადგან მას ველოდი, მას უმღერდი და მოვა ის უკვდავების შვილი, აპოკალიპსის ქალწული.

აღონაის, რად არ გინდა, მსხვერპლად მოგიტანო ჩემი აღტყინება?..

სიყვარული... სიმბოლოა ადამიანის ცხოვრების საშინელებისა, მასში ჩამალა შემოქმედმა ქვეყნის გაჩენის იდუმალება, მას უმღეროან ქვესკნელი და ძალნი ცათანი. ის ღამის ზეფირის მოთქმას, ის ოხვრაა ვარდის გაუშლელისა. მთანი ცათ აყუდებულნი მაზე ჰკრთებთან, მაზე ოცნებობენ ჩაყვითლებული ნაძვები. ღამის იდუმალებაში ისმის ხმა სატანისა, ისიც მას ეძებს, სულს მაშფოთარს, უარყოფისას ენატრება უკვდავი გრძნობა.

ადონაის!.. ალახვე ბჭენი, უკვდავი სული შენსკენ მოილტვის, ის უკვდავია, რადგან მაზე მღეროდა... ის უკვდავია, ვით მისი მოსვლის წინასწარმეტყველი... და მოვა უკვდავების შვილი, პოლიკაპსის ქალწული,

IX. ბედის სიმღერა

ჩუ... ხმა ისმის... ეს სიმღერაა ბედის წერისა.

ჩონჩხების ქნარზე მღერის სიკვდილი, მისი გზა ჩვენ ძვლებითა არის ნაფენი. არის სადღაც ბედნიერება, გზა კი შორს არის, გესმით, როგორ ყმუის ხევში აფთარი?

ეს სიმღერაა ბედის წერისა...

საფლავს ემთხვევა, ურვა ნაღველი,
საფლავს აკვდება სატრფოს ძახილი,
ჩუ, ხმა ისმის, ეს სიმღერაა ბედის წერისა.

ის ყრუ ძახილია უკვდავებისა, ის ხმობა არის არ ყოფნის მოციქულისა, უდაბნოდან ილტვის ბრძოლის წყურვილით აღტყინებული გრიგალი, სიკვდილის ორგიაზე უხმობს ავსულებს სათანაელი.

ეს სიმღერაა ბედის წერისა...

X. ჰიპნო სატანას

სულო უკვდავო! უარყოფის მომაპყარ ყური, შენ გიხმობს, გეძებს სულის სწრაფვა ტიტანიური, მე შენს საქებათ სადიდებლად სოფლად მოველი, შენი დიდების ლალად ყოფა ჩემია ბედი. დემონს მოგიხმობ, სულს მოსწყინდა ერთ სახეობა, მე შენ გიმღერდი, შენთვის დავდგი ცრემლის ხეობა. მე მსურს, ვისმენდე, ყურს უგდებდე შენ იდუმალ ხმებს, რა გენაღვლება, რომ მგოსანი შემწირავს ცოდვებს.

მე მყავდა ღმერთი, მაგრამ განცხრა არ ყოფნის მხარეს, ახალი ღმერთი დავდგი ეხლა მე მის სამარეს.

სასტიკი და უღმობელი თრთის, ცახცახებს ბედის წერა, შვების მგოსნის შურის გების, როს მოესმა მას სიმღერა.

*

შორით ხმა მესმის, წაყვები იმ ხმებს, რღვევისა ძალა სულს ჰკლავს, სულს აგზნებს. ეს ღმერთი მღერის შურის ძიების, ღმერთი ცეცხლისა, განადგურების. სულის ხუნდი საუკუნეთ ვერ გასჭედს, დადგა ჟამი, შვების ჟამი უნდა განყდეს. სატანა ჰკივის, სატანა მიხმობს, შურის ძიების ჰანგებს მიგალობს, წაყვები იმ ხმებს, წაყვები იმ ხმებს, სულს ცეცხლს უკიდებს, სულს ცეცხლით აგზნებს...

XI. შავი თვალები

მცივა, ვკანკალებ...

როგორც ქარიშხლის დროს ოკეანე, ისე ზვიადობს გულში ჩაგუბებული ვნება, სული ქმუნვარებს... სული მუნჯობს, სევდის ავგაროზში გამოხვეული არყოფნის მოციქული შავი ყორანი მიხმობს, მეძახის, უჰ, რა ცივია მის ფრთათა ბარტყუნი. მე კი გაზაფხული მეზმანება.

შავი თვალები შორს არიან, მაგრამ მაინც ვხედავ, სულს ჰკლავს, სულს ხიბლავს მათი შვენება, მე მეძახიან ისინი, მე მიხმობენ იქ, სად არ ბნელა, როგორც აქ, სად საუკუნეთა ფრთებზე განისვენებს უკვდავება, სად ანგელოსები უგალობენ სიყვარულის კვარცხლბეკს, ქებათა ქება.

გადმიშვით, მთებო!.. მათი კოცნა მსურს, მათი კოცნა მსურს, მე პელიკანივით სისხლით გავზარდე მათი პატრონი, მე მისთვის ავიტანე გოლგოთაზე ნამების ჯვარი.

ოი, ეშმაკო, სათანაელო!.. ამომრიცხე მე ცოცხალთ წიგნიდან, ოღონდ ნუ მომამორებ მე იმ შავ თვალებს, მისთვის ჰკრთის სული, მისთვის ვალალებს.

XII. კაცო, გიყვარდეს...

„კაცო, გიყვარდეს, ცათ შთამომძახეს, როს მათ დამბადეს“.

...და მეც მიყვარდა. როგორც გაზაფხულის ზღაპარი, როგორც მწყემსის ზღაპარი, დათავდა იგი, განთიადისას შობილი მწუხრისას მოჰკვდა, შუალამისას დავასაფლავე ოხერ საფლავზე, მაგრამ საუკუნო შვებას მირჩევნია ის ცრემლები, თვალებზე რომ ჰკრთიან. მე ბრმა ვიყავი, მე მუნჯი ვიყავი, მაგრამ მე ვიცი, თვალხილული თავის დღეში ვერ მისწვდება მზის ცხოველ მყოფელ სიდიადეს, მე ვიცი, რომ ბედნიერი არიან ბრმები, ვინც სიბრმავეში სჭვრეტენ მზეს. მე მუნჯი ვიყავი, მაგრამ საუკუნენი ვერ გამოსთქვამენ იმ დუმილს, რომელსაც მე განვიცდიდი.

კაცო, გიყვარდეს... ეს არის აღთქმა არსებობისა.

კითხეთ თქვენ მდუმარე ტბას, სად ჩვენ ვისხედით, კითხეთ მტირალე ტირიფს და წყლის ფაუნებს, ისინი გეტყვიან.

– მათ უყვარდათო.

ცა არ დარგავს ამ სიტყვებს და მიწა ისევ გაიმეორებს:

– მათ უყვარდათო...

XIII. ალერსის ბაღში

გილიოტინაზე, რომ აიყვანეს ანდრე ბერნიე, მან შუბლს ხელი მიადო და სთქვა:

აქ იყო რაღაც!

ჩემო კარგო, ჩემს გულშიც იყო რაღაც, მაგრამ ახლა აღარ არის; ტყუილს ამბობენ, რომ სიყვარულის ადგილს სიძულვილი იყოსო, მე არ ვგრძნობ სიძულვილს, სიცოცხლე ისევ მეძახის ვნების ძახილით და მეც მივსდევ იმ ხმას.

რათ არ იცოდი, რომ ჩემი სიყვარული – მრისხანე სამუმი იყო? რათ არ იცოდი, რომ ჩემი სიყვარული შუადღე იყო უდაბნოში მწველი? შენ ალერსათ მიიღე ის სიმღერა, ჩემში, რომ რღვევის ღმერთი მღეროდა? შენ შემოდი ალერსის ბაღში დასასვენებლათ, ვერ შეამჩნიე, შიგ იკლაკნებოდენ გველები, მოშხამული ყვავილები სასიკვდილოთ როგორ თრთოდენ!..

ახლა გვიანაა?.. როდის ამდგარა საფლავით მკვდარი; როდის იყო, ორჯერ რომ ყვაოდა ყვავილები? გვირგვინ მოხსნილ სინმინდეს ვერ დაიბრუნებ!..

მაგრამ, შენც ხომ გველი იყავ ჩემ გულმკერდზე გამთბარი, შენც ხომ აფთარივით გწყუროდა ჩემი სისხლი? იყავ მშვიდობით, ცხოვრების გზაჯვარედინზე შევხვდით ჩვენ, რომ ერთმანეთს გავეშორებოდით; ჩემი გაზაფხულის დღე და ღამე შენ გიმღეროდი, რა გენალვლება სხვას უმღერო მკრთალი ჰანგი შემოდგომისა?

XIV. შემოდგომის საღამო

საღამოა. მწუხრის ნისლმა დაფარა მიდამო. ახლათ დაქვრივებულ ქალივით შავებით შემოსილა სოფელი. ტყვიისფერ ცაზე ოდნავ კრთის თეთრი ღრუბელი ისე, როგორც მგლოვიარე ტუჩებზე ღიმილი გაკრთება ხოლმე. მიწა ლოცულობს, ცას ევედრება ცოდვის პატიებას და ქარაშხალი „ან განუსვენეს“ უმღერის ჩაყვითლებულ ფოთლებს, გამხმარი ხიდან მოკვეთილ ფოთლებს.

ტიკ, ტიკ... ეცემა ფანჯარას წვიმის წვეთები.

მათი რითმული ხმაურობა თითქოს გამოძახილია წეროთა გუნდისა, აგერ თავზე რომ გადაიარეს... მათი სევდიანი ძახილისა.

ღმერთო!.. როგორ ჩამდგარა წყალი მის ნაკვალევში, ჯერ კიდევ ემჩნევა მინას მისი პატარა ფეხის ნაკვალევი, და, ვინ იცის, შესაძლებელია, წვიმამ მოშალოს კიდეც!..

არ ვიცი, რისთვის მომინდა, ძლიერ მომინდა, გადავმსტარიყავ ფანჯრიდან და დამეკოცნა ის ადგილი მიწისა, სადაც მის ფეხებს სიღრმავე გაუკეთებია, და რომელსაც, ვინ იცის, იქნებ ამაღამაც მოშლის წვიმის შხეფები.

რა მწარეა, რა მწარე იმის გახსენება, რომ იგი ანი არაოდეს არ დაბრუნდება; გახსენება იმისი, რომ საყვარელი ქალი, რომელიც გუშინ შენთან იყო, დღეს სამუდამოთ წავიდა და აღარ მოვა არაოდეს!

ღმერთს რისხვის დროს შეუტანია ეს სიტყვა „არაოდეს“ ჩვენთვის სახმარ ლექსიკონში. გულ-ღვიძლს ღრღნის ეს სიტყვა, ჭკუას სწვავს არა ადამიანური ტკივილით.

ტიკ... ტიკ!.. ეცემა წვიმის შხეფები ფანჯრის მინას და ქარიშხალი ცივათ ულოშნის სახეს – ის კი არ იცის სულელმა, რომ მის კოცნით მაგონებს იმ კოცნას, რომელიც სწვავდა შენ სახეს და რომელიც ანი არაოდეს არ გამეორდება.

წვიმა კი დაჟინებია იმ ნაკვალევს და უნდა მოშალოს, გაასწოროს ეს უკანასკნელი ნაშთი ნუხანდელი ტრფობისა.

ხელში თრთის თასით ღვინო. სვამ და უფრო გრძნობ სიცივეს... იცი ის, იმიტომ, რომ სულში დაუბუდია სიცივეს და ღვინო მას ვერ გაათბობს... მაგრამ მაინც სვამ!.. გამოვრების, ყორანთა ფრთების ბარტყუნმა დაბადა სულში ეს სიცივე, და მოგონება მისი, რომ არაოდეს არ დაბრუნდება, უფრო აციებს მას...

არ დაბრუნდება, არაოდეს არ დაბრუნდება; იცი, რომ მართალია, მაგრამ არ გჯერა, და გიხარია, რომ გჯერა!.. მაგრამ ქალისთვის განა არის წარსულის მოგონება, განა ის გაიხსენებს წარსულს?.. გადავივინყე და მიყვარდი მაშინ შენ, მის თვალებს... ტიკ... ტიკ... ტიკ!.. ეცემა ფანჯრის მინას წვიმის წვეთები, თითქო ითვლის შენგან გამეორებულ იმის სახელს... ქარიშხლის ცივი კოცნა და სევდიანი ველური კივილი უფრო აციებს სულს.

მოშალა კიდეც სარკმელის წინ ნაკვალევი?.. წყალით აივსო, თვალი-კი მაინც ვერ მოგაშორებია, თითქო მასთან გაშრა შენი სულის ლხენაც!

– იპოვე, იპოვე?.. – ყრუთ დაიკივლა ცაცხვზე ზარნაშომი.

– ვერა, ვერა!.. – ყრუთვე უპასუხა მეორემ.

ყი, ყი, ყი... ყიყინებენ ბაყაყები; წარღვნა მოელის ქვეყანას. ვინ გამოიტირებს მას, თუ არა ისინი.

ყვითელი ფოთლებით ავსებს ქარიშხალი ოთახს – სოველი, გამ-
ხმარი ფოთლებით და რალაც ნათესაობას გრძნობს სული იმ ფო-
თოლთა ბედთან, ყვითელ ფოთლებს ენა აუდგამს და ბედით ჩურ-
ჩულში თითქო ისმის:

– არ დაბრუნდება, არაოდეს!..

XV. Sursum Corda!..*

სსს...ს სევდიანად სისინებს შემოდგომის ქარიშხალი, მწუხარედ
უპარტყუნებს ფანჯარას ფრთებს და ხეების გამხმარ ტოტთა ჩონ-
გურზე ამოკიდებს სევდის სიმღერას, თავის მუდამ ხეტიალზე, სევ-
დის სიმღერას ნალველში ნაქარგს, ნალველში ნაქსოვს...

ტიკ.. ტიკ.. ტიკ... ეცემიან წვიმის წვეთების ფანჯრის მინას და
რიტმიული ძიგდაგით განაგრძობენ ყოფნის ზღაპარის მბობას, რომ-
ლის დასაწყისი არავის ახსოვს და რომელიც არ დასრულდება არც
ჟამის დასასრულში.

რისთვის არის, რომ მეც მინდა ვიმღერო? მე ხომ არას დროს არ
მიმღერია, თუ ვიმღეროდი ხანდისხან, ეს ჩემი ნალველი იმღეროდა
და არა მე, იმიტომ იყო სევდიანი ის სიმღერა.

რისთვის არის, რომ მეც მინდა ვიმღერო?..

ალბად სულს უნდა გააცილოს სიმღერით უკანასკნელი ფრთა
ცხოვრებისა, უნდა გააცილოს სიმღერით ის დღეები, რომელნიც
არას დროს არ დაბრუნდებიან.

იცით, რას ნიშნავს – არას დროს არ დაბრუნდებიან?

როგორ დავიღალე, როგორ მე იმ დღეთაგან, და კიდევ რომ
მწყურია კვლავ ის დღეები?!..

– ქარიშხალო, შენ, ვინც მოთქმით გაისტუმრე შემოდგომის ყვი-
თელი ფოთლები.

შენ, ვინც ჭირისუფალივით თავს დაღრიალებ გამხმარ ხეებს.

ჩემ სულსაც უმღერე სულთათანა, ჩემ სულსაც უმღერე „ან გა-
ნუსვენე“, ჩემ სულსაც, რომელსაც არავინ არ მოიგონებს, რომელ-
საც არავინ არ გამოიტყობს...

*

სული გეძახის!.. არ გესმის, როგორ გეძახის სული სამარადისო
ძახილით, სული გეძახის... შენ, რომელსაც მე არ გიცნობ, მაგრამ
ჩემთვის გამზადებული.

* ლათინური სიტყვებია და ნიშნავს: „ზე აქვთინ გულნი“, ე. ი. სული მოითქვით,
გამხნევდითო.

მშვენიერო, მე მესიზმრება, მესიზმრება მშვენიერი ნაკვთები შენი სხეულისა და გული თრთის, სული ჰკრთება რაღაცის მოლოდინში. მე შენ დიდი ხანია გიცნობდი სადღაც; ოდესღაც ჩვენ ვიყავით ერთად, სად? მე არ მახსოვს, მაგრამ ეხლა ვერსად გპოვე. რად დაუტევე, რად, ჩემს სულში ბინა?

შენ არა ხარ, შენ არ არსებობ, მაგრამ მე შენით ვცხოვრობ, მრწამს და არცა მწამს, მჯერა და არც მჯერა, და მიყვარს ეს, რომ არც მჯერა და კიდევ მჯერა.

სული ჰკრთება მოლოდინში, ვდნები და ვინვი უნახავ ალით.

შენ უნდა იყვე, თუმცა არა ხარ, გესმის? გეძახის სული სამარადისო ძახილით. როგორც სარძლო საქორწილო სარეცელზე, ისე დაკიდებია ცას მთვარე, მკრთალი ვარსკვლავები კი ვერ უბედავენ მიკარებას, შორიდან იბნიდებიან. ჰაუ, რა ცუდია ხანდისხან შიში. ჩემი საქორწილო სარეცელიც ცარიელია, მტირალი ძენის ტოტები დავტეხე, ფერ მიკრთალ ზამბახებით დაგნანი ალერსის სანოლი.

მოდი, მოდი, შენ გიხმობს სული შენ!..

ვნების ალში გამოგხვევ, ვნებას განოვებ ძველ ღვინოსავით ტკბილს, ველურ ექსტაზში დაგწვავ, მოგხიბლავ... ჩემს თმაში გამოგხვევ, ჩემს კოცნით დაგფარავ. ნუ იგვიანებ, სულო, ჩემთვის გამზადებული!..

განა ასე არ აფიცებდა მოსვლას ოდესღაც სოლომონი სულამითს, შენთვისაც მზად არის ალერსის სანოლი.

ვნების ქურუმი სამსხვერპლოს წინ თრთის და კანკალებს.

რად იგვიანებ, რად არ მოხვალ, სულო სულისა?.. განა არ გესმის სამარადისო ძახილი ჩემი?.. ოჰ, ჩვენ ვიყავით სადღაც ერთად, როდის ან სად, მე არ მახსოვს, შემდეგ გეძიე, მაგრამ ვერ გიპოვე... ჩვენ ვიყავით სადღაც ერთად.

რუქაია, რუქაია, დამადე თავი კალთაზე, ეხლა მე გეტყვი ზღაპარს:

...ღმერთსაც მოსწყინდა. მეშვიდე დღეს ზამბახების სარეცელზე იწვა აღონაისი და მის სახეს კმაყოფილების ღიმილი არ ეკარებოდა. ძლიერი კვერთხის ერთი შეხებით შეიქმნენ ცა, ქვეყანა. მიწიდან გააჩინა ის, ვისაც მისი მაგიერობა უნდა გაენია ქვეყნად. ხედავდა ღმერთი, რომ რაღაც მოწყენილობა იყო გარშემო, სიხალისე აკლდა. მაგრამ ღმერთი რის ღმერთი იყო, რომ რამე დაკლებოდა მის ქმნილებას. დიდებული ხუროთ-მოდღვარი შეინძრა ყვაველების სარეცელზე და სიმღერა დაიწყო. როცა ანგელოზები იმღეროდენ, მაშინაც სულს ნაბავდა ხოლმე ედემში ყველაფერი და ეხლა ხომ თვით ღმერთი მღეროდა. ეფრატის ტალღები მიდუნდენ. ტიგროსის

ნაპირას გაიტმასნენ ლერწმები და ისმენდნენ სიმღერას. თითქო ცისა და მიწის შორის სიმები გაიბნენ, ისმოდა სიმღერა... ცა და მიწა ერთმანეთთან შეერთების სურვილით აღტყინებულნი ისმენდნენ იმ ხმას და ამ ხმაში, უფლის სიმღერაში დაისახა, განკაცდა, გამოინაკვთა ის, ვისაც შემდეგ ევა დაერქვა. რისხვის ღმერთმა, იეგოვამ, ვინც კანონად დაუდო კაცთ ნათესავს... კბილის წილ კბილი, თვალის წილ თვალი, ჟამსა აღტყინებისას შეჰქმნა სიმღერით ქალი. და მიხვდა, რომ შეცდომა ჩაიდინა, რომ თვით შეჰქმნა კერპი ადამიანისთვის, მაგრამ ძლიერ უნდა ჰყვარებოდა ის, ვინც მის სიმღერიდან დაიბადა, რომ მოესპო. ადამმა კი დაიჯერა, როცა უთხრეს, რომ მის გვერდიდან გაჩნდა იგი.

ბევრი დღეები წავიდენ მას შემდეგ, საუკუნენი საუკუნეთ მისდევედენ. ბევრი სიმღერა იმღერა ადამიანმა ქალის მშვენიერებაზე, მაგრამ მიხვდა, რომ მისი სიმღერა ვერ დაატკობოდა მას, ვინც უფლის სიმღერიდან დაიბადა, ვისაც ჟამის საზღვარს იქით ესმოდა უკვდავი მელოდია შემოქმედისა.

ქალი – კიბეა ღვთაებისადმი.

...და იოანნე ღვთისმეტყველიც ლაპარაკობს: პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი უფლისო.

– ვინ იყო ის სიტყვა?

რუქაია, რუქაია – ვინ იყო ის სიტყვა?..

დევთა მრისხანე ლაშქარივით ამართულან შორს სამშობლო მთები. ოქროს გველივით ეტმასნება მათ თეთრ ქოჩორს მთვარის სხივთა მძივები. ცას უნდა დაკოცნოს მისი ქოჩორი, დაბლა იხრება და მენამულში ხვევს მთებს...

– მკვლელი, შორეული, ისმინე, რაც გითხრას სულმა.

შენ არარა გესმის, შენ ყრუ ხარ.. ღმერთი იყავი და ცივ ქანდაკათ იქეცი, ღმერთი იყავი და კერპად იქეცი...

მაგრამ მე კუბო ვარ შენი ღვთაებრივობისა..

სსს... სისინებს ქარიშხალი და ველურ ჰანგზე გაჰკივის ველურ მელოდისა..

ტიკ.. ტიკ.. ტიკ.. ეცემიან ფანჯრის მინას წვიმის შხეფები და რიტმიული ძიგდაგით განაგრძობენ ზღაპრის მბობას..

Sursum Corda... თითქო ისმის გარშემო, წვიმის შხეფები იმეორებენ.

Sursum Corda... ზე აქვთინ გულნი... ზრიალებენ შორს მონასტრის ზარები... და ლამის სიბნელეში ტყვიის ჯოჯოხეთს გააქვს ზანზარი...

ეს საშინელების სიმღერაა, იცით, რა არის საშინელების სიმღერა? საფლავის მესაყვირე ამდგარა საფლავიდან და გაჰკივის ნაღარა „Sursum Corda“...

ლამეა. მარტოობა დაიარება ოთახში, მარტოობა გაჯდომია მთელ სხეულს, მარტოობა ცივი, კაემნის მომგვრელი და მარტოობაც მღერის დუმბილში:

– ზე აქვთინ გულნი.. Sursum Corda...

სსსს... სისინებს ქარიშხალი და ველურ ჰანგზე გაჰკივის ველურ მელოდიას... ტიკ.. ტიკ.. ტიკ.. ეცემიან ფანჯრის მინას წვიმის წვეთები და რიტმიული ძიგდაგით იმეორებენ იმ სიტყვებს, რომელიც მინას აღმოხდა და ცამ გაიმეორა.. ბნელა.. შავი ლამე.. შემომცქერის თვალებში... ოთახში დადის მარტოობა, მარტოობა გაჯდომია მთელ სხეულს...

Sursum Corda... კედლებზე ჭინკებმა ამოყვეს თავები და ისინიც მღერიან, ჭინკებიც მღერიან... და ოთახში დადის მარტოობა, რომელიც შეითქვა ლამის სიბნელესთან...

2 აპრილი [1911]

ქუთაისი

სასაფლაოზე

(სილღუეტი)

არ ვიცი, რისთვის, მაგრამ ერთი ჩვეულება დამჩემდა, დალამდება თუ არა, ფეხ-აკრეფით სასაფლაოსკენ მივეჩქარები და ადამიანთაგან გულნატკენი საფლავებთან ვსაუბრობ. პირველად ძლიერ მეშინოდა მე იმ დუმილისა, რომელიც სასაფლაოზე სუფევს, მაგრამ შემდეგ ისე შევეჩვიე, რომ ეხლა დუმილის ენაც ვისწავლე.

ოხ! როგორ მდუმარებენ საფლავები, თითქო აქ არც კი იყონ ადამიანთა სულები. აგერ, როგორ დაღვრემილა საფლავის ლოდი, ნეტა ეს გრნობს რამეს? მაგრამ რა უხეირო აზრები მომდის. ვინ საფლავის ქვა და რის ფიქრი, მას რომ გული ქონდეს, მას რომ გრძნობის ნატამალი მოეპოებოდეს, მაშინ ხომ საფლავის ლოდიც არ იქნებოდა.

– მაგრამ ჩუ... მე საფლავის ლოდი მესაუბრება.

– ადამიანო! ყური მიგდე, რასაც გაიგონებ, გულს დაიჭდიე, საფლავის ლოდები არას დროს არ სტყუიან, თქვენ ადამიანებს გჯერათ, რომ ჩვენ გული არ გვაქვს, თქვენში ყველაზე უფრო მგრძნობიარემ, მარმარილოსგან რომ ქანდაკი გამონაკვთა, ზედ წაანერა, „ბედნიერი ხარ, რომ ქვისგანა ხარ და ლაპარაკი არ შეგიძლია“.

– საფლავებში გაეცინებათ მკვდრებს... საფლავებში, ყური დამიგდე, გულს დაიჭდიე, მე რასაც გეტყვი, საფლავის ლოდები არას დროს არ სტყუიან – ბაბილონის გოდოლი აშენდებოდა ამდენხანს ადამიანის სიცრუისა და თქვენ რომ გჯერათ, ქვებს გული არა აქვთო, მოგეტყვებათ. მე მცველი ვარ აქ საფლავთა მყუდროებისა, მე გულში ბევრი რამ ჩავიმარხე და შენცა გეტყვი. ხედავ აქ საფლავს, განმარტოვებით რომ სდგას? შეხედე, როგორ დაკიდებულან გაცრცვნილი ზამბახები. აქ ჭაბუკმა სატრფო დამარხა, მისი გოდება ჩვენ გვწვდებოდა გულში და მწარედ ვქვითინებდით პირველად, როცა ის სატრფოს კუბოს მოყვა. შემდეგაც ყოველთვის დაიარებოდა ის აქ საფლავთან და მასთან ერთად ჩვენც ვსტიროდით. ზამბახებს ნამის მაგიერ მისი ცრემლი სწვავდა, მაგრამ დრო მიდიოდა და გუშინ ჩვენ ვნახეთ, ის სხვა ქალს მოჰყვებოდა. ისე გამოიარა პირველის საფლავი, რომ ზედაც არ შეუხედია, მაგრამ განა ის პირველი იყო ამისთა. ჩვენ კი ვსტიროდით, რაზედ? კაცთა სიავეზე, მაგრამ ჩვენ ფარისეველნი არ ვართ, სხვას ვაჩვენოთ ცრემლები.

– აქ შეხედე, მარცხნივ, აქ მარხია მწირი, ის მთელი თავის სიცოცხლეში სიყვარულს ითხოვდა, როგორც მთხოვარა, მაგრამ ისე შთავიდა საფლავს, რომ თანაგრძნობის ღიმილიც კი არ ღირსებია, მისი სული

ეხლაც გოდებს საფლავში, მაგრამ ესმის ვისმეს? სიცოცხლეში ვის ეს-
მოდა, რომ მკვდარს გაუგონონ. ჩვენ გვესმის, ჩვენ ვსტირით და ამ
ჟამად სახეც ვერ მალავს მწუხარებას, გაივლის ადამიანი და იტყვის:

– საცოდავები, როგორ არ მოსწყინდათ საფლავთა დარაჯობა.
არ იციან და არც შეიძლება, სხვა სთქვან რამე.

– შეხედე ამ ობოლ საფლავს. აქ სულ ახალგაზრდა მოიყვანეს.
მისი დახუჭული თვალები ცას კიდევ ევედრებოდენ, მას განთიადი
ენატრებოდა, მაზედ ლოცულობდა და ნყვდიადში კი ამოძვრა სული.
მის საფლავზედ არავის ცრემლი არ დაუღვრია, ვინ დაიტირებდა
თუ არა ჩვენ, აქ ყოველთვის შუალამისას, როცა ტარტაროზი ჩამოჰ-
კრავს ზარს, აჩრდილთა ცოდვილი სულები შეიკრიბებიან. მათი და-
ნახვა ადამიანს შეშლიდა, მაგრამ ჩვენ უცქერით და ვუსმენთ, რადგან
მართალი არიან სათქმელნი მათნი... და ყვედრიან ისინი ადამიანებს,
სწყევლიან... ყრუა მათთვის ცა, მხოლოდ ჩვენ ვისმენთ, ჩვენ ადა-
მიანთა შეჩვენებას. დაუჯერე საფლავის ლოდს, ის ცოცხალი მატანეა
ადამიანთა ცხოვრებისა, მასში ბევრი მწუხარე სტრიქონები სწერია...
მესმოდა მე გარკვევით საფლავის ლოდის საუბარი, მაგრამ ხმა მი-
სი საიდუმლო მისწყდა, თითქო მეხი დაეცაო, მტვრად იქცა საფლა-
ვის ლოდი და ნამტვრევები შორს გაიფანტნენ... მაგრამ საკვირველება,
ყველა მათგანი ლაპარაკობდა, საშინელი იყო მათი ხმა, მასში ისმოდა
ყვედრება, მასში ისმოდა შეჩვენება, იმ ხმაში ისმოდა უკუნითი ნყევლა.

– ადამიანო, გულს დაიჭდიე ჩვენი სიტყვები, საფლავთა ლოდე-
ბი არას დროს არ სტყუიან.

ბნელი ერტყა ქვეყანას, რომ გამოვერკვიე. საფლავის ლოდი, ნამ-
ტვრევებად ქცეული, ეხლა სდუმდა; მხოლოდ ღამის ყრუ იდუმალე-
ბაში კიდევ ვისმენდი ხმებს, იდუმალ ხმებს, რომელნიც აკენესებდენ
ნორჩ გულის სიმებს.

– ადამიანო! გულს დაიჭდიე ჩვენი სიტყვები, საფლავის ლოდები
არას დროს არ სტყუიან; ჩვენზედ უფრო ცივია თქვენი გული, თქვენს
გულში ჩაიფერფლა გრძნობა, ჩაჰქრა თავისუფლების კანდელი, გამო-
იგლოვე, ადამიანო, შენივე თავი, ჩვენც ვიტირებთ, ჩვენც, საფლავ-
თა ლოდები.

– ადამიანო, გულს დაიჭდიე ჩვენი სიტყვები, საფლავთა ლოდე-
ბი არას დროს არ სტყუიან, ღამის ყრუ იდუმალეობაში მოსთქვამდა
იდუმალი ხმა.

[1911]

ყორანი

მინიატიურა

ვის არ სმენია მისი ბედითი ჩხავილი?

ვისი დაობლებული სული არ იცნობს მის ფრთეთა ბარტყუნსა?..

შორს უდაბნოში, სილაში არის ჩაფლული ცხოვრების წიგნი და მგზავრი, სიცხით მოქანცული, კითხულობს შემდეგ მწუხარე სტრიქონებს: „ეს მაშინ იყო როცა, გოლგოთას მთა-გორს ღამემ მოხვია ბნელი სუდარა, რათა ადამიანის ცოდვები დაემალა. გაფითრებული სჩანდა მთვარე, თავი ღრუბლებისათვის შეეფარებინა, რადგან რცხვენოდა კაცთა სიავის. „იყავ, ვით მამა სრულიო“ უანდერძა ადამიანს ჯვარზედ მილურსმულმა, მაგრამ მან ლახვარით განიშორა ის, ვისაც უნდოდა, მზაკვარი ღმერთად გარდაექმნა. მოწყენით იდგა გოლგოთას ბედი. ცელქი ნიავისა ამ მწუხარ ღამეს არ სისინებდა, ჯვართან დახრილი, ცრემლებით რწყავდა ჯვარცმულის გვამს მაგდალინა და ჯვარიდან ჩამონაწვეთი სისხლი, მაგდალინას ცრემლებთან შეერთებული, ნიაღვარივით მიქშუოდა ძირს ჯურღმულში, რომ მუნ დაემარხა კაცთა სიავე. ამ დროს მოფრინდა ის, გულსაკლავი იყო მისი ჩხავილი. ლეშად მიიჩნია ყორანმა ჯვარცმული ღმერთი და უწყო კორტნა. ამაო იყო მაგდალინას ვედრება. საშინელი ფრინველი, ვისი თვალეზიც ღამის წყვილია მზესავით ანათებდა, უფალს კორტნიდა.

– იყავ წყეული! – ღალადჰყო ხმითა დიდითა და მოსწყდა ჯვარცმულს ყორანი, მაგდალინას მიაფრთხილდა და მას თვალ-წარბთა სინყვიადე ყორნის გადაედო და შავი გულით ერთიან გაშავდა. ამისთვის იტყვიან მგოსნები, სატრფოს თვალეზით დაბნედილები, რომ ყორნის ფრთას მიაგავს შავი თვალეზიო. დიდხანს დასტრიალებდა წყევლით შეკრული ყორანი გოლგოთას და ბოლოს გონ არეული გაფრინდა შორს... შორს. ამ დღის შემდეგ ის წინამძღვარია უბედურების. იუდასაც ეწვია ძენწაზედ ჩამოკიდებულს და ამოკორტნა თვალეზი.

და ეხლაც შავი ყორანი, გულითაც შავი ვერ ივიწყებს ლეშს ნადიმზედაც იესოს წყევლას და საზარლად აბრიალებს თვალეზს.

ასე დასწყევლა ჯვარცმულმა ყორანი, წინამძღვარი უბედურებისა.

[1911]

კაენის ნაკვალევზე (ქართული გადმოცემა)

დამადე, შვილო, თავი კალთაზედ, მე ზღაპარს გეტყვი:

– თვალწარმტაც და მომხიბლავი იყო მეფის ასული. ვარსკვლავები მოსხლტებოდნენ ცის ტატნობს, ის რომ გარედ გამოვიდოდა. მწუხარე მთვარე კიდევ უფრო გაფითრებოდა, რადგან მისი ღანვები კოლხიდის ვარდზედ უფრო წითელი იყო და მისი თვალები მზესავით ანათებდნენ ღამის უკუნეთშიაც კი. მზეს არ ეხილა მისი მშვენიერება, თორემ ისიც დაჰკარგავდა ფერს და ზაფრანსავით იქცეოდა. ყველა ერთგული იყო მეფისა, რადგან ყველას გაგიჟებით უყვარდა მეფის ასული.

მხოლოდ მის გულში ჯერ ვერავის ჩაეხედა.

აკვანი ოცნებისა იდგა მის თვალებში... და შეუყვარდათ მეფის ასული ძმებს. ერთი სასახლის მგოსანი იყო, მეორე – მოქანდაკე. წარმტაც სიმღერებს მღეროდა მგოსანი ქნარზედ, მის ჩანგს უკვდავი სული ჩასდგომოდა... და მღეროდა მეფის ასულის სიმშვენიერებზედ, ვარსკვლავის ჩურჩულს ადარებდა მგოსანი მეფის ასულის ხმას, მთვარის ღიმილს – მის უმნიკვლო სიცილს, მოლივლივე ტალღები შენზედ მღერიან, ანგელოსები შენ გიმღერენ ქებათ-ქებასო. მხოლოდ მხატვარი რასაც გრძნობდა, ის ტილოზედ გადაჰქონდა, საკუთარი სისხლით, მთოლვარე სისხლით ხატავდა ის მეფის ასულის სურათებს, მარმარილოს სული ედგმებოდა, კაცი ვერ გაარჩევდა, ვინ სჯობდა – ცივი მარმარილო თუ მეფის ასული?

და გადაეკიდნენ ძმანი ერთმანეთს. შურით აღვსილი გულით დასწვებოდნენ სარეცელზედ, ღამე არ ეძინათ და დილით გაასკეცებული იყო შური. ეჭვი ღრღნიდა ორთავეს გულს, ვით საფლავის ჭია.

და სატანას ქნარზედ დაავინყდათ ნათესაობა, აღარ ინდობდნენ ერთმანეთს, თუ საშვალეობა მიეცემოდა და გარემოება ხელს შეუწყობდა, არ მოერიდებოდნენ, სისხლი ცამდინ აესხათ.

ერთ ბნელ ღამეს შეიყარნენ ისინი. ხმაღს უნდა გადაეწყვიტა მათი ბედი. სისინა ნიავი ვნებით აგზნებდა მათ ისედაც მგზნებარე გულს.

მოჰკალ, მოჰკალ – დამღეროდა მაცდური სატანა ქნარზედ. სისხლით შეიღება რუს ნაპირები. აფთარივით ეკვეთენ ძმანი ერთმანეთს, ფოცხვერივით უნდოდა, თვითეულს, დასწავებოდა მეორეს სისხლს და მოკლა მხატვარმა მგოსანი, რუში გადააგდო და დასტოვა. აქვითინდენ ყვავილები, ტყიდან გამოვიდა მიონა და მგოსნის

გაციებულ ტუჩებს ეკონებოდა. მხოლოდ რუ წმიდა, კამკამა, ეხლა სისხლით შეღებილი დასტიროდა კაცთა სიავეს და ღამის ყრუ იდუმალებაში ცას შეჰკითხავდა, რისთვის გააჩინე ადამიანი ბოროტით?

ბედნიერად მიდიოდა მხატვრის დღეები. მას დაავიწყდა ძმის სისხლი, ქალის წიაღში მისი სული ქეფნას არ გრძნობდა და სხვის უბედურებაზედ ააშენა მან თავისი ბედნიერება, მაგრამ საკვირველება ხდებოდა, უკანასკნელ დროს მას არ შეეძლო ხატვა. შავ საფლავად ეჩვენებოდა მარმარილო და საფლავის სუდარად ტილო, მაგრამ ქალის წიაღში გატარებული წამები ბედნიერებისა ყველაფერს იყიდინდნენ.

ერთ საღამოს მას სევდა შემოაწვა. მეფის ასულმა აიჩემა ბაღში სეირნობა. მხატვარს არ უნდოდა ენახა ის ადგილი, რომელსაც ეცხო ძმის სისხლი, მაგრამ მეფის ასული გაჭირვეულდა.

რუს უკვე დავიწყებოდა ყველაფერი. მხოლოდ სისხლით მორწყული ნაპირები აჩვენებდნენ საშინელ ნაკვალევებს.

– საზიზღარო, რა ჰქენ! რად მორწყე ძმის სისხლით მიდამო. მას არც კი დაუნყევლიხარ უკანასკნელად.

– ვერ მოასწრო, თორემ, ვფიცავ, თვით არ დამზოგავდა. – უნდოდა ეთქვა მხატვარს, მაგრამ შუბმა შუა გააპო მისი მკერდი და სისხლის წიაღვარი მოედო მიდამოს.

– როგორც მოგეცი სიცოცხლე, ისე წაგართმევ, – სთქვა რაინდმა და მოსხლტა ადგილიდან.

*

ხალხში ხმა დადის, რომ ყოველ ღამეს, განსაზღვრულ ჟამსა, ორი ძმა ერთმანეთს ებრძვიან, ცას ესმის მათი აბჯრების ჟღარუნი და ბრძოლის ყიჟინა. ბოლოს ერთი კლავს მეორეს და საშინელი ხარხარით ტყისკენ გარბის. იქ მას უცდის ალი, მეფის ასული, თმები გაშლილი აქვს და ოქროს სავარცხლით თმას ივარცხნის, მისი ტიტველი ტანის სითეთრეს გედი შენატრის და მწუხრის ნიავი ვნებით ეკონება.

კაენ, არ გინახავს შენი ძმა? ეკითხება ღამის ყრუ იდუმალეში ვიღაცას ზარნაშო. ეს დედაა, ძმას ჰკითხავს, ძმა არ გინახავსო, მაგრამ პასუხი არ ისმის და ღამის ყრუ მღუმარებაში იმარხება სევდიანი გამოძახილი.

[1911]

დუმილი

*„ქვეყანაზედა და ზეცაზედა იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიები ცისა“*

...და ეს მაშინ, როცა მე სევდა მკლავდა და შავი, განიერი ფასკუნჯის ფრთებით, ვით ყორანი წინამძღვარი უბედურების მწუხარება თავს მეველებოდა. როს ქმუნვით მოსთქვამდა სული, კაემნის ბადეს გაბმული ნალვლიან ხმაზედ და დასტიროდა პირველ სიყვარულს, ვით სიზმარს გამქრალს, რომელიც აწი არ დაბრუნდება და აწ კი ვის გაუგონია, მკვდარი საფლავით ასდგეს, აწ და ყვავილი ორჯერ აყვავდეს? ...ამბობენ კი, რომ ბუნების საკურთხევლის წინ მსხვერპლად სევდა მიიტანება. ვაგლახ! მოვტყუვდი, ვიდეგ მდუმარე. თვალითგან მდიოდა ცრემლი მდულარე, გრძნობა ლელავდა საბედისწერო, გრძნობა ობლობის უთვისტომობის ჩემი საფლავი, ჩემი სამარე: ამაოდ ვკითხავდი ცას მენამულ პორფირ მოსხმულს, ტყუილად ვაფიცებდი ღამეს შემოდგომისას და ნაძვს მდუმარეს, „მარქვით, სად არის სატრფო, სად გაჰქრა?“-თქო. კითხვას დუმილი იმეორებდა და პასუხი არსაიდ იყო. სთვლემდნენ მთისა მწვერვალნი და შემოდგომის ღამე მწუხარე ნანას ეუბნებოდა. ჩემი მოთქმა, ჩემი ქვითინი არვის ესმოდა...

*„ქვეყანაზედა და ზეცაზედა იყო დუმილი,
მოლხენით იყვენ უდარდელნი მთიები ცისა“.*

ოჰ, მაშ, რად ამბობენ, ბუნების საკურთხევლის წინ მსხვერპლად სევდა მიიტანება...

[1911]

ორთეოსის ზმანება

(ნოველა)

(გუძღვნი შ-ს)

სევდიანი მთვარე, მანტიაში გამოხვეული, ოდნავ ანათებდა ელადის ლაჟვარდოვან ცას. მისი აჩრდილი, რომელიც სევდით პყრობილ ქალწულს წააგავდა, პონტოსის ტალღებში ჩახატულიყო და ვნებით ეჩურჩულებოდა ლიკლიკა ზვირთებს. მრისხანე შურის-მაძიებელი პოსეიდონი – თითქო დავინწყებოდა, რომ მის პოლიფემს თვალი მოსთხარეს – ამ საამო სალამოს განცხრომით განისვენებდა.

სევდა საფლავის ლოდით აწვა გულზე ორთეოსს, ის სტიროდა, მაგრამ რაზედ, თვითონაც არ იცოდა, მხოლოდ ნაღველის მკრთალი აჩრდილი, თავზედ რომ დაფარფატებდა, ვერ მოეშორებინა, მის გაფითრებულ სახეზედ მთვარის მკრთალ სხივებზედ მოსჩანდნენ ცრემლები. როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, მჭუნვარება რომ გაეფანტა, ჩამოჰკრა სიმებს და უკვდავი მელოდია, ტკბილი ლალადი, წმინდა, ვით ვარსკვლავთა ბინდიანი კრთოლვა – არე-მარეს მოედო. აქვითინდენ პონტოსის ტალღები. მათ არ შეეძლოთ აუღელვებლათ მისი სიმღერის მოსმენა. უმღეროდა ორთეოსი, თითქო უნდა გულში ჩაგუბებული ნაღველი სიმღერაში გადმოანთხიოსო. გრძნეული ჰანგი ხიბლავდა ყველას და ზეციური ალტყინებით ცრემლებს, მღულარე ცრემლებს, აფრქვევინებდა. მღეროდა ის სიყვარულზედ, უმღეროდა სატრფოს, ვისაც ანდო სულის ტკივილი და გულის საიდუმლოება.

ზღვის ტალღებზე ცეკვავდენ პატარა ზილფები, ორთეოსის ჩანგის სიმების ჟღერით გაბრუებულნი. ხმა შეუნყეს სირინოზთ ორთეოსის სიმღერას, შურიანებს უნდოდათ, დაეჩრდილათ კენესა ჩანგისა, მაგრამ ამოდ: ტკბილი, ნახევრად ველური მელოდია ყრუდ გაისმოდა ლამის იდუმალებაში. ოკეანის ჯურღმულიდან ამოძვრენ ოკეანიდები და, გიჟურის ვნებით ალტყინებულნი, უვლიდენ მჭუნვარეს, თითქო ისიც უნდათ ცეკვაში ჩაითრიონ. ლოდების ცრემლები... ხავს მოდებული ლოდების ცრემლები ზღვას უერთდებოდა, ნიანგი ნაპირზე გამოსულიყო და სიმღერით დატყვევებულს უშნოდ დაელო ხახა, მის მოუხეშაობას დასცინოდნენ პატარა ზილფები და სიცილით კვდებოდნენ. მხოლოდ ორთეოსი ისევ მღეროდა. მოსთქვამდა ჩანგი, მოსთქვამდა მარადიულ სიმწუხარეს, კაეშნით ეამბორებოდა ლამის ბინდს.

...და ჩამოვიდა ნაპირზე, ვისთვისაც ორთეოს გული მისდიოდა, ვისთვის მოსთქვამდა, ვიზეც ჰგოდებდა.

ნუ თუ მის გულს არ მისწვდება ეს სევდის სიმღერა? ღმერთებო, განა ის არ მოიხიბლება ჩემის სიმღერით?

...მხოლოდ ის ლალი ასული ელადისა არას იმჩნევდა და გზას განაგრძობდა. ვერ მოითმინა ორთეოსმა და საშინელი გულის შემზარი ქვითინი ამოუშვა.

– დარჩი, ნუ მიხვალ! განა შენს გულს არ სწვდება ეს სიმღერა, რომელიც ვნების ძაფებით ამოვძახე და გრძნობათ დუღილში ამოვქენ? ვერა ჰხედავ, სალამანდრასავით შენთვის ვინვი?! ვფიცავ ველს, სიმღერაც შენზე იქნება და მაშინ ცეცხლივით განითლდება გაფითრებული მთვარე, ცას მოსხლტებიან ვასრკვლავნი და გოდებას იწყებენ ლოდები.

დარჩი, ნუ მიხვალ, განა შენს გულს არ სწვდება ეს სიმღერა?

...მხოლოდ ის ლალი ასული ელადისა გზას განაგრძობდა.

გაელვიდა ორთეოს სიზმარით გაბოროტებულს, თურმე თავის სიმღერაზედ თითონ ჩასძინებოდა, მაგრამ საკვირველება!.. ის ისმენდა პასუხს კითხვაზედ:

– არ დაბრუნდება ის, უგულო ლოდებზე ცივია მისი გული, რადგან ლოდები სტირიან შენი სიმღერით და მას კი არა ესმის რა...

– არ დაბრუნდება. – ჩურჩულებდა პონტოსის ტალღები და პანია სილფები ბანს აძლევდნენ.

კვლავ დაანვა გულზედ სევდა ორთეოს და მის ბაგეთ პირველად დასწყევლეს სატრფო: წყეულიმც იყავ, შეჩვენებული, თუ კი შენი გული ლოდებზედაც ცივია! წაიქვითინა, მხოლოდ გული, ვნებით მგზნებარე, სხვას ამბობდა.

გაიმეორეს ეს სიტყვები მოლიკლიკე ტალღებმა.

სატრფოს გული საფლავზედაც უფრო ცივია, ჩურჩულებდა ლამის იდუმალება.

სტიროდა ორთეოსი.

თავის გზას განაგრძობდა, ქსელავდა მთვარე, რომელიც საფლავიდან ამოღებულ მკვდარს დამსგავსებოდა და სევდის ჩადრში გამოხვეული, ელადის ქალებს ოდნავ ანათებდა, რომ გზა გაენათებინა მოხეტიალე ნიმფებისათვის. მდუმარედ იდგნენ ზღვის მეორე ნაპირას კოლხიდის მთები და პრომეთეოსის კვნესა ორთეოსის მოთქმის ბანს აძლევდა.

[1911]

სატანის ქნარზე

(სილიუეტი)

...მაშინ ქვეყანა ისევ ქაოსს წარმოადგენდა. ადამიანს არ ეხილა ჯერ ედემის შვენება და სატანა კი მაშინაც არსებობდა. საუკუნეთა გაუმჭირვალე ბურუსში ინთქება მისი წარმოშობა. ნამდვილად არ ყოფილა ჟამი, რომ სატანა არ ყოფილიყოს. ამოდ მოუნდომა მას იელოვამ შემუსვრა, საფლვის მტვერიდან აღსდგა იგი. სატანამ ასწავლა ადამიანს ლტოლვა თავისუფლებისადმი, მან გადასცა ადამიანს საიდუმლო ცნობილის ხისა. დასაბამიდან იყო სატანა და იქნება.

იგი განხორციელება აზრისა, როცა მიწას გრძნეული ლამე ეწვევა, ძილი ყველას მოაჯადოვებს და დუმილი ჩუმი ხმით კაეშნიან ჰიმნის მღერას დაიწყებს, მაშინ ყველას სძინავს, ამბობენ, რომ ამ დროს ლიკალიკა ტალღებსაც ჩაეძინებო. მხოლოდ მაშინ არ სძინავს სატანას და მის ქნარზე ფერხულს უვლიან ავ სულელები. ამბობენ, სადღაც შორს... სამხრეთის ქვეყნისკენ, სადაც უხმო უდაბნო არის გადაჭიმული, არსებობს ძველი რვეული, რომელშიაც სწერია სატანას თავგადასავალიო.

...სულს მშფოთარს უარყოფისას, შეუყვარდა ასტარტა. იმდენად ძლიერი იყო მასში გრძნობა სიყვარულისა, რამდენად მომხიბლავი და წარმტაცი იყო ასტარტა... მხოლოდ ქვეყანაზე მაზე მშვენიერი არა დაიარებოდა, ანგელოსები კარგავდენ მშვენიერებას და ნათელი მოსწყდებოდა მათ სახეს, როცა ასტარტას მიუახლოვდებოდენ... მჭვუნვარე მთვარე ვნებად გადაქცეული, მის გარშემო დატრიალებდა, მაგრამ ვერ გაებდა, ეთქვა რამე და საშინელ სევდას მარხავდა გულში. მწუხარე ეოლი მისთვის აჟღერებდა სიმებს და განუწყვეტილივ მას უმღერდა, მაგრამ შვენიერ ასულს არ ესმოდა.

...და გადასწყვიტა სატანამ, რაც უნდა გახდომოდა, ის მისი უნდა შეჰქმნილიყო.

– მშვენიერო ასულო! ისმინე ჩემი ხმა, ნუ უგულებელ ჰყოფ ჩემს ვედრებას, უკვდავებას შემოგწირავ, მონებად გაახლებ ჩემს უთვალავ მონათა ლეგიონს, განთიადისას შენზე ვილოცავ მე, რომელმაც არ ვიცი ლოცვა, მე, ვინც იელოვას არ დავემორჩილე და გარდავლახე შემოქმედის ნება.

ტანჯვის კოცონზე დავინვი, გულს დავინვაჟ და საკმეველად გიკმევ, ყველაფერს შემოგწირავ, ყველაფერს, ოლონდ შემიყვარე... შენი ერთი კოცნა იყიდის უკვდავებას, შენი ერთი კოცნა იყიდის საუკუნეთა ბედნიერებას.

...მაგრამ ასტარტას პირზე ღიმილი უკრთოდა:

– მე არ მინდა უკვდავება შენი, რადგან ჩემითვე ვარ უკვდავი.
– მე არ მინდა მონები, რადგან მეზიზღებიან, როგორც საფლავები.
– უშენოდაც ლოცულობენ ჩემზე მზე, მთვარე და ვარსკვლავთა ხომლი.

– მე სხვისგანაც მსმენია, რომ ერთი ჩემი კოცნა იყიდის მას, რაც კი შემოქმედს გაუჩინია.

დასდუმდა ასტარტა... სდუმდა სატანაც, მხოლოდ გულში საშინელების ქარიშხალი ბობოქრებდა, რას არ მისცემდა, რას? რომ მოეჭკლა კადნიერი ასული.

– მაგრამ მასთან მეც მოვკვდები, მეც... რადგან არ შემიძლია უმისოდ ცხოვრება, ყორნის ფრთებივით ჰაერში განიავდება ჩემი უკვდავება, მაგრამ მე შურის ძიებით ვიცოცხლებ... შურის ძიებით...
– ნაიჩურჩულა სატანამ და უსამზღვრო ეთერში შეისრიალა. მისი შურის ძიებით აღზნებული თვალები მზესავით ანათებდა წყვდიადში.
...და დაიფიცა მან, დაესაჯა კადნიერი ასული.

– საფლავთა ლოდები ატირდებიან შენი ტირილით.

– ცა გოდებას მოჰყვება შენი ცრემლებისგან. – გაიხარხარა სატანამ და ჯოჯოხეთში ავმა სულებმა მისცეს ბანი.

...და მონახა სატანამ მომაკვდავი, რომელიც ასტარტამ უკვდავ ჰყო თავის სიყვარულით, ამოსჭრა ბრჭყალებით გული... მთრთოლვარე გული და ჩანგად, ველურ ჩანგად გამოსთალა, გამოაბა სიმი საშინელების და შურისძიების და მის ქნარზე აქვითინდა არე-მიდამო. გოდებდა ასტარტა, საფლავის ლოდები სტიროდენ, მენამულ პოსპირ მოსმული ნალველს ანთხევდა ცა.

– იყავ წყეული, იყავ შეჩვენებული!

ისმოდა სევდიანი წყევლა ასტარტასი, მაგრამ სატანა მაინც მღეროდა და მის ქნარზე მოსთქვამდა ასე მიდამო. ღამე ისმენდა საშინელებას, მთვარე, ღრუბლებში შეფარებული, მიჯნურის ნალველზე ზაფრანასავით ფითრდებოდა.

...და მღეროდა სატანა საშინელების და შურისძიების ჰანგებს.

მოსთქვამდა ასტარტა.

ამისთვის არის, ბნელ ღამეში სატანას ქნარზე რომ ასე მიდამო ქვითინს დაიწყებს. ისმის უჩვეულო ტირილი და გოდება, ეს სევდიანი მოთქმაა ასტარტასი, მაგრამ სატანას შურისძიებით აღტყინებულ სულს არა ესმის რა და ღამის იდუმალებში იმარხება. საფლავს პოულობს სევდიანი ძახილი კადნიერი ასულისა, ვინც გაბედა, საშინელების წინამძღვარს წინ აღდგომოდა.

[1911]

ცისკრის სიყვარული

(ნოველა)

არის სევდა გამოუთქმელი და თვალებზე
გამოუტირებელი ცრემლები ჰკრთიან.

ოსკარ უაილდი

შაბათ საღამოს, როგორც ებრაელები მესსიას, ისე ველოდით. ამ დროს ვიკრიბებოდით ჩვენ ერთად მორიგეობით თვითოეულის სახლში. ეხლაც რამდენიმე ახალგაზდა ვისხედით ოთახში და ამხანაგების მოლოდინში ჩუმად რაღაცაზე ვსაუბრობდით. რაზე? ეხლაც არ მახსოვს, ვერ მომიგონია, მხოლოდ ეს კი იყო, რომ მოლოდინი ყველას გულს გვიღონებდა.

– ნეტა, მოვიდენ მაინც, – ნაილაპარაკა ვილაცამ, მაგრამ ეზოში არავინ სჩანდა. შემოდგომის დღე თანდათან იწურებოდა და რამდენათაც ღამის ბინდი ერტყმოდა ქვეყანას, იმდენად უფრო ღონდებოდა, ოთახში პაპიროზის კვამლი იდგა და ცხელოდა კიდეც.

– გამარჯვებათ! უკვე მოსულხართ? – ნელის ხმით ჩაილაპარაკა არჩილმა, შემოალო კარები და კუთხეში ჩუმად მიჯდა.

რვა საათზე ყველა შევიკრიბეთ, მონყენილობა უცბათ გაჰქრა, ბევრ რამეზე გავაბით საუბარი.

– აი, დასაწყისი ყველაფრისა, ის დროსა და სივრცის გარეშე სდგას. ის არც შეიძლება გაიზომოს, არ შეიძლება მისი აზრით მიზნოდომა... რწმენა, მხოლოდ მისდამი უმნიკვლო რწმენა თუ დაამშვიდებს იჭვით დასერილ სულს.

– ეშმაკმა გზიდოთ, თუ არც გაიზომება, თუ ადამიანი ვერ მისწვდება, არ უნახავს, არ სმენია, როგორ შეიძლება, რომ ირწმუნო. – სევდიანად ნაილაპარაკა ერთმა მუშამ, რომელიც მუდამ გვესწრებოდა კრებაზე.

– მართლაც და, რა მისტიური საშინელება მოიცავს ადამიანს, მხოლოდ ერთ ფიქრზე, როგორ დავიჯერო, რომ მე, რომელიც ვაზროვნებ, რომელიც ვგრძნობ და ვსცოცხლობ, ხვალ მტვრათ ვიქცევი და ჩემს საფლავზე ამოვა ეს ბალახი, რომელსაც დღეს ფეხით ვქედავ; ვერ დავიჯერებ, ვერა, რომ არ არსებობდეს რაღაც იდუმალი ძაფი, უხილავთან რომელიც არსებობს და რომლის არსებობაზე იჭვიც სიკვდილი იქნებოდა, საშინელი სიკვდილი...

– მეც ბევრჯერ ჩავფიქრებულვარ ამ საგანზე – დაიწყო ახალგაზდა გამხდარმა სტუდენტმა, რომელსაც ამხანაგები „ბრუტს“ ვეძახოდით და რამდენადაც ვფიქრობ, იმდენად უფრო რთულდება,

იმდენად უფრო ბუნდოვანია ეს საგანი. ბერძნების მითოლოგიაში ერთი ღირსშესანიშნავი მიფია, საბერძნეთში იყო სფინქსი, რომელიც გამოცანებს იძლეოდა და ვინც ვერ ახსნიდა, მისი მსხვერპლი ხდებოდა. ასეთივე სფინქსია ისიც, ვიზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ბევრი ადამიანის სულის მშვიდობა აუმღვრევია და რამდენს აუმღვრევს აწი, სავსებით ვერავინ ჩასწვდება მის არსებობის იდუმალებას და ბევრი საფლავშიაც ჩაიტანს იჭვს..

– მაინც რომ არ შეიძლება მისი სავსებით შემეცნება, თვითონ უფალმა უთხრა მოსეს: „ჩემი შენში დანახვა შეუძლებელია, რომ არ მოკვდე“-ო.

ჭაბუკმა სოისიდან შეხედა „ღვთის არსებას“ და აკი მოკვდა.

– კარგი, კარგი, ეხლა სხვაზე ვილაპარაკოთ, თორემ ისედაც არ ვიყავი ხალისიანი და ეხლა ლამის სევდამ შემშალოს, ადამიანებო, სპინოზა ატეიზმისთვის რომ კოცონზე დასწვეს, ისიც ამბობდა: „არის ერთი სუბსტანცია და ის არის ღმერთიო“, და თქვენ მართლა რა ღმერთი გინყრებათ, კიდევ კარგი, რომ საშუალო საუკუნოები არ არის, თორემ თქვენც ნახავდით ტორკვემალს საშინელების კოცონს და აუტედაფეზე კიბოსავით შეიხრაკებოდით.

– მართლა, კაცო, გაათავეთ ერთი, რაღა ამაღამ მოგინდათ ყველას ფილოსოფოსობა.

– კარგი, მაგრამ რაზე ვილაპარაკოთ?

– ეგ თქვენ იცით...

– რაზე, თუ არა სიყვარულზე, იმისთანა საღამო როგორ იქნება, რომ მასზე ლაპარაკი არ ჩამოვარდეს.

...ბევრი აზრი გამოითქვა იმ ღამეს სიყვარულზე: ზოგი რას ამტკიცებდა და ზოგი რას.

– სიყვარული ეს პირველი სიტყვაა, რომელიც წამოცდა შემოქმედს. – ჩაურთო ერთმა.

– მაგრამ მტრებიც გამოჩნდნ სიყვარულისა. – არჩილმა დაიწყო თავისებურათ ავტორიტეტებით მტკიცება.

– სიყვარულმა რაც უნდა სახე მიიღოს, მაინც ფესვი განსაკუთრებით სქესობრივ ინსტინქტში იმარხება და არებითად არა არის რა, თუ არ ინსტინქტი, ასე ამბობს ბატონებო არტ. შოპენჰაუერი.

– ეშმაკმა გზიდოსთ შენ და შენი შოპენჰაუერიც, მალე ვეინინგერზედაც მიგვითითებ. – გაანყვეტია სიტყვა არჩილს ნიკომ.

– კაცო, როგორ უნდა ერწმუნო მწერალს, სტრინბერგი „სულელის აღსარებაში“ ამტკიცებს თავის ცოლის ამორალობას და ბოლოს დაასკვნის, რომ ყველა ქალები სექსუალურ ამორალოსში დასცურავენო.

ბოლოს, როგორც იყო, დავეთანხმეთ ერთი-მეორეს, რომ სიყვარული დიადი გრძნობაა, რომელსაც უბრალო ჭია ბორანოს ქვეშ შეუძლია მეფედ აქციოს, რომ ის მიიყვანს ადამიანს თავგანწირულებამდე.

– მეგობრებო! ყველა ჩვენგანს გვყვარებია, მოდი, ვსთქვათ ყველამ პირველ სიყვარულზე. სეირი მაშინ იქნება, ტრაბახობა დასტოვით, თორემ ტყუილს მაინც შეეტყობა.

– კარგი, მაგრამ პირველად ვინ?

– აი, მართლა საკითხი სავალალო და მალე გადასაწყვეტი. – იოხუნჯა ვილაცამ. უყარეს კენჭი და რიგი შეხვდა მხატვარს, რომელიც იმდენხანს საუბარში თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. დიდხანს უარზე იდგა. მაგრამ ბოლოს დავითანხმეთ. ეტყობოდა, თვითონაც ჰქონდა სურვილი ეთქვა, მაგრამ ქართველების ჩვეულებაა, რომ შეეპატიჟონ.

– ბატონებო! – დაიწყო მხატვარმა, – მე რასაც გეტყვით, ეს ჩემი პირველი სიყვარული არ არის, მაგრამ ჩემ ცხოვრების ეპიზოდებში ყველაზე უფრო ღრმა კვალი დასტოვა და დიდხანს არ ამოიშლება ეს მწუხარე სტრიქონები ჩემი ცხოვრების მატრიანედან.

II

მაშინ ვენეციაში ვიყავი, ბევრ თქვენგანს უთუოდ არ უნახავს მისი სილამაზე, მეც ვერას გეტყვით, როგორი უმწეო უნდა გეჩვენოთ საბრალო მხატვარი, სიმშვენიერით დაბრმავებული, რომ ვერ გამორკვეულა უჩვეულო შთაბეჭდილების იდუმალი ქსოვილისგან, მხოლოდ სიტყვის იმისთანა მხატვარს, როგორიც იყო გეტე, შეეძლო გადმოეცა მისი სიმშვენიერე, მაგრამ როცა თვალთ უმზერ ვენეციის მშვენიერებას, უფერულად გეჩვენებათ უკვდავ პარნასელის ოქროს სიტყვებიც კი. მე ერთ ღარიბ მხატვართან ვიდექი, მთელი დღეები მუშაობაში მიდიოდა, მხოლოდ მთვარიან ღამეს თუ გამოვიდოდი სასეირნოდ. ვენეცია ხომ ტბებზე არის გაშენებული – მეც ჩავჯდებოდი გონდოლაში, ლურჯ-კამკამა ტბაზე ცოტა ჰაერი რომ ჩამესუნთქა, რადგან დღისით ძლიერ ვიღლებოდი. მეც ვაყოლებდი ხმას გონდოლიერის სევდიან სიმღერას და ვინ იცის, ფიქრით კი სად დავჰქროდი. ჩემი ოცნება მაინც ნაცნობ ადგილებისკენ მიჰქროდა, სად პირველად ვიხილე, ვიგემე თუნდა სევდა და ურვა არსებობისა. ჩადრში გამოხვეული სევდიანი მთვარე, როგორც ავადმყოფი ქალწული, ეთერის ზვირთებში ჰკრთოდა და შაფრანის ფერ დიადემას ადგამდა თავზე აპენინებს. მლოცავ ქურუმებზე თუ აყუდებულიყვნენ

მთები, ქალწულებრივი კდება-მოსილებით ვილაცას ელოდენ, მაგრამ ის იგვიანებდა. მოლოდინის ზღვა გულში ეგუბებოდათ, ღმერთების შიკრიკი იდუმალი ნისლი მთებს ცით დანახარებს უამბობდა, მაგრამ ალბად მწუხარე იყო ის ამბავი, რადგან მთები, მწუხარებაში გაქვავებულნი, მაინც სდუმდენ, თითქო ინახავენ საფლავს დუმილისასო. ცის მენამული კამარა ტბას უერთდებოდა და როგორც მიჯნური ჰკოცნიდა ცა ტბის ანკარა ტალღებს. სანახაობა სანახაობაზე იცვლებოდა. მე ეხლაც ჩამრჩა გულში რამდენიმე სურათი, მაინც რა შეედრებოდა ყელ მოღერებულ გედს, სატრფოს მოლოდინში რომ ამაყად დასცურავდა და რა სატრფო იგვიანებდა, სიმღერით დაუნყებდა ხმობას. იმ ჟამად მეც ვგრძნობდი რალაც აღტყინებას, ჩემ თვალ-ნინ იხატებოდა ის ქალი, რომელსაც ვანდე სულის პირველი საიდუმლოება, ოკეანე ცრემლების... ოხ! ვით მინდოდა მეც, მეც მემღერა გედის სიმღერა.

მაგრამ მე სიცოცხლე მეძახდა.

ასე მიდიოდა პირველად დღენი ჩემი იტალიაში ცხოვრებისა. მე ვსწავლობდი, ხატვაში ვკლავდი საშინელ სევდას, საფლავის ლოდით რომ აწვა გულს. ოხ! რამდენი ცრემლები მიღვრია მე მოგონებაზე და რა ვიცოდი, თუ მერე ის მოგონება შხამად გადაიქცეოდა. არ დავიკვებებ, მაგრამ ჩემს ბებერ მასწავლებელს, რომელსაც არა თუ იმ უბანში, არამედ მთელ ქალაქშიაც პატივსა სცემდენ, ძლიერ ვუყვარდი და მაქებდა კიდეც... საკვირველი არაფერია, მე სევდა მკლავდა განშორებისა და სხვაში რაში ჩამეჰკლა ეს გზნება სულის თუ არა შემოქმედებაში... მაშინ რომ შემოსულიყავით ჩემს სამუშაო ოთახში, გაგაკვირვებდათ ჩემი ნამუშევარის სიმრავლე. ეტიუდები, ესკიზები ცხოვრებიდან, ბუნებიდან, სხვა და სხვა პირთა სურათები, რომელთაც მე სამშობლოდან მიკვეთავდენ, ამშვენებდა ჩემს ოთახს. მაგრამ ერთი სურათი ყველას ყურადღებას იპყრობდა, მთელი ჩემი შემოქმედების ნიჭი, სულის აღტყინება, აღტაცება ამ სურათში ამოვესოვე. მზათ ვიყავ, საკუთარი სისხლი, მთოლვარე სისხლი მეხმარა საღებავათ, რომ უკეთესი გამოსულიყო.

იცით, ვისი იყო ის სურათი?

ბევრი მეხვეწეს, გამოფენაზე გამომეგზავნა, მაგრამ არ დავთანხმდი. დიად, მე ბევრი ჩემი, საკუთარი დავაქსოვე იმ სურათში.

ჩემს მასწავლებელს ერთათ ერთი ქალის მეტი არა გააჩნდა რა. შვენიერი და მომხიბლავი იყო ბერტა (ასე ერქვა იმ ქალს). ამ შემთხვევაში თვით ბუნებას გამოეჩინა შემოქმედების გენია. სულ თხუთმეტი წლისა იყო. დილის ნამივით ჰკრთოდა მის ბაგეზე უმნიკვლო

ლიმილი, ვარსკვლავთ კრთოლვას მიაგავდა მისი სიცილი. ერთი სიტყვით, ცით მოვლენილი სილამაზე იყო. ბევრ ახალგაზრდა მხატვარ მოქანდაკეთ რჩებოდათ მასზე თვალი, მაგრამ ის ხომ ბავშვი იყო.

ერთ დღეს მოვიდა ის ჩემთან სამუშაო ოთახში, მისი თვალები მზესავით ანათებდენ, არ ვიცი, მომეჩვენა თუ ნამდვილად იყო, მხოლოდ მე ცრემლები შევამჩნიე მის თვალებში. მე დასვრილი ხელი გაუწოდე, მანაც ჩამომართო მისი პატარა ხელი, შეციებულევით თრთოდა. მთელი არსებით თრთოდა ბერტა, როგორც შევლის ნუკრი. სისხამ დილისას ბევრი ვილაპარაკეთ, ყველა ჩემს კითხვაზე ლაკონიურ პასუხს მაძლევდა და თვალებს შორს სივრცეში ამტერებდა, ალბად უნდოდა ცრემლები დაემალა.

– ოთარ! ვისია ეს სურათი? – დამეკითხა ის მთრთოლვარე ხმით, რალაც იდუმალი, რალაც გაუბედავი, მისტიური იხატებოდა იმ ხმაში, თითქო ჩემგან განკითხვას ელისო.

– ჩემო კარგო! ეს ერთი ნაცნობი ქალის სურათია, ხომ იცი, რომ ბოლო დროს მე ბევრი მიკვეთენ სამშობლოდან სამუშაოს...

– არა, ის უბრალო ქალის სურათი არ არის, თქვენვე გრძნობთ, რომ სტყუით, არა, ოთარ! – გამანყვეტია საუბარი.

– რალა დავმალო, – მიუგე მე, – ეს სურათი იმ ქალის არის, რომელიც შორს დავტოვე სამშობლოში, მასზე ფიქრი საშინლად ქეჯნის სულს, ღრღნის, ვით საფლავის ქია.

– მეც ვიცოდი, განა შეიძლება ადამიანმა ასეთი გზნებით დახატოს, სხვისი ვისმესი სურათი, თქვენ უკვდავ ჰყავით თქვენი სატრფო, ბედნიერი ყოფილა საქართველო, თუ კი მისთანა ქალები ამშვენებენ მის ბუნებას. – სევდიანად წარმოსთქვა მან და ხმამ კანკალი დაუწყო. თვალებზე უფრო მოადგა ცრემლები, ფეხ აკრეფით ის გავიდა სამუშაო ოთახიდან, ჩემი გამომშვიდობებაც კი დაავიწყდა.

ამ დღის შემდეგ მე ვატყობდი, რომ ის თანდათან ხმებოდა, დნებოდა. რალაც საშინელს ინახავდა გულში, მარხავდა სევდას, მაგრამ რამ გამოიწვია ეს სევდა? ან ვისზე იყო? არც მე, არც სხვა ვინმემ არ იცოდა, მისი ლმობიერი თვალები, თითქო უკვდავმა რაფაელმა მისგან გადმოიღო მადონას თვალებიო, უფრო დაღრმავდა და საშინელების აჩრდილი მალი-მალ ჰკრთებოდა ზედ. ბერტამ სიმღერაც იცოდა. ჩვენ რომ გონდოლით გავისეირნებდით ტბაზე, ის ყოველთვის სდუმდა, მაგრამ როდესაც არ დააყენებდენ, შეუჩდებოდენ, ისეთ ნალვლიან სიმღერას დაინწყებდა, თითქო სურს, რაც ნალველი სტანჯავს, უნდა გადმოანთხიოსო, რომ გეგონებოდათ, სადაც არის, ტალღებიც მოჰყვებიან ქვითინსაო. მის სულს არ ახარებდა ბუნების

მშვენიერება, თურმე ყოველთვის არ ყოფილა ბუნება ნავთსაყუდე-
ლი სევდიანთათვის.

– რისთვის არის, შვილო, შენ რომ ყოველთვის მხიარული იყავი, ეხლა რომ მოგინწყენია, თავს შემოგვევლოს მამა, ხომ არა გტკივა რა? თორემ რა არის ეს ნაღვლიანი სახე და მჭვუნვარე თვალები? გიყურებ, გიყურებ და მინდა, მეც ვიტყვი. შვილო, რამ დაადნო შენი უმანკო სახე, ეს სევდის ბეჭედი? დედა თუ გაგონდება, ის ხომ დიდხანია დავმარხეთ. – ცრემლების ფრქვევით ამბობდა მამა და ბებერ მგელივით დაიწყებდა ზუილს.

– არაფერი, მამილო, ავადა ვარ და მალე გაივლის, მაგრამ მოგვშორდებოდა თუ არა მამა, ისე აკვნესებდა ჭიანურს... ისე ააკვნესებდა, რომ თუმცა არ მინდოდა, მაგრამ ცრემლებს ვერ შევიმაგრებდი.

ასე გაგრძელდა დიდხანს. მე ბერტა თითქოს არ მელაპარაკებოდა, მას უნდოდა, ჩემგან ყოველთვის შორს ყოფილიყო, მე ვერ გამეგო, რით ვიყავი დამნაშავე, ან რად მივაყენე ამდენი ტანჯვა.

ბუმბერაზი, ამაყი სული იმალებოდა პატარა ტანში.

ერთხელ სეირნობიდან დავბრუნდით, რადგან გონდოლა არ გვიქირავებია და საკუთარი ნავით დავცურავდით, მე ვნაობდი და ძლიერაც დავიღალე. ბერტაც ჩვენთან იყო იმ საღამოს, მაგრამ ჩვეულებრივად სდუმდა, ეტყობოდა, რომ შორს დაჰქროდა ოცნებით და მოკვეთილი ცის წიაღით ოცნება მიწაზე დანარცხებული საშინლად სტანჯავდა მას. მამამ კიდევ უსაყვედურა იმ ღამეს, რად ხარ სევდიანიო.

ბერტა ჩაეხვია მამას, ცრემლებით მორწყო მისი გამხდარი სახე და ეფიცებოდა, ანი არ ვიქნები ავად, ანი არ ვიქნები სევდიანიო.

დაღლილ-დაქანცული ჩავენქი ლოგინში, მაგრამ არ დამეძინა. საათმა თორმეტი დაჰკრა, მე კიდევ მეღვიძა და შორს სამშობლოში დავჰქროდი ფიქრით, წინ მედგა სატრფოს აჩრდილი ჩემგან სულჩადგმული, რალაცას ველაპარაკებოდი. ისე გამიტაცა ოცნებამ, რომ უძილოდ მესიზმრა სიზმრები. წყნარი ღამე იყო, მოკრიალებულ ცაზე (იტალიაში თითქმის ყოველთვის ცა ვერცხლის ფერია) მთვარე უკვდავი, მოხეტიალე გზას განაგრძობდა, ვარსკვლავები ხალივით გაკვროდა ცას და ზღაპრულ სანახაობას სდებდა. პირველი თოვლის ფიფქივით თეთრი ღრუბელი ცის გუმბათზე დახეტიალობდა. ღამის ზეფირი ნელად არხევდა აკაციებს და ლიმონის ხეთ გრძნეულ სურნელებით ატკბობდა არე-მარეს. აპენინები ისევ მდუმარედ სდარაჯობდნენ სიცოცხლის საზღვარს. გარინდებული მწუხარებაში იდგენ. კაეშნიანი ბინდი ტბას ეამბორებოდა. მთვარის სხივები ოთახში

ჰკრთოდენ, კედელზე აჩრდილებივით დაბარბაცებდენ და მხატვრის ოცნება ხომ კიდევ უფრო შლიდა ფრთებს და ვინ იცის, სად არ მივყავდი ფიქრს... მაგრამ მალე დუმილი დაირღვა და რაღაც სევდიანი ხმა შემომესმა. ვიფიქრე, მთვარის გრძნეულ სხივთა მუსიკა თუ არის მეთქი... მაგრამ თანდათან გარკვევით ისმოდა ხმა, აშკარა იყო, ვიღაც მღეროდა, ნაღვლიანი ხმა, ნახევრად ველური საიდუმლოებაში ახვევდა ხეივანს.

– ვინ არის? გავიფიქრე, ამ შუალამისას ანგელოზები ხომ არ ჩამოვიდნენ ციდან, რა შევნიერად უკრავს, ვიღაცა არის... ხმა თანდათან ახლო ისმოდა. აშკარა იყო, რომ ბერტა უკრავდა ჭიანურზე. მე შევნიშნე, რომ ის თანდათან უახლოვდებოდა ჩემს ოთახს. მთვარის შუქზე მთების ფერიას წააგავდა ბერტა. იტალიაში, მახსოვს, არის ერთი გამოჩენილი მხატვრის სურათი „სულამიტი“. მხატვარს სწორედ ის მომენტი აუღია, როცა სატრფოს სანახავათ მიდის სულამიტი და იერუსალიმის ასულთ აფიცებს, არ გინახავთ ჩემი სატრფოვო. მე გულში ჩამრჩა ეს სურათი. ძლიერ წააგავდა მას ეხლა ბერტა, ის თანდათან უახლოვდებოდა ჩემს ოთახს. მე თვალს ვადევნებდი, სული გავკმიდე. ის სულ ახლოს მოვიდა, სევდის ოკეანე ლელავდა მის თვალებში, ვნებით ძგერდა მისი გული, მე შორიდან მესმოდა მისი პატარა გულის ხმაურობა. ედემიდან ლტოლვილ ქერუბიმს წააგავდა ბერტა. ის ეხლა ჭიანურზე აღარ უკრავდა, მოვიდა ახლოს, დიდხანს იდგა ფანჯარასთან.

– სძინავს, სძინავს, ვინ იცის, ეხლა სიზმარში თავის სატრფოს ხედავს? დაე, ეძინოს. – სევდიანად ამოიგმინა და წავიდა. ისევ დაუკრა ჭიანურზე, ისევ ის სევდიანი სამარის ხმები: ოჰ, ღმერთო, რა არ ისმოდა მაშინ იმ ხმებში. ჯალათს მოჰკლავდა, მოხიბლავდა ჰანგი ველური, ჯალათი დაინვებოდა ველურ ექსტაზში. დიდხანს იყო ისე ბერტა ჩემთვის. აშკარა იყო, რაზედაც ნაღვლობდა ბერტა, ჩემი იქ დგომა შეუძლებელი იყო. ამას გარდა, სახლიდანაც მწერდენ, რომ დავბრუნებულყავი. მეორე დღეს შევკარი ბარგი, მასწავლებელს დავეთხოვე.

– მშვიდობით, ჩემო კარგო, შენ პატივისცემას თავის დღეში არ დავივიწყებ. – უთხარი ბერტას, მაგრამ მან მოინდომა ჩემი სადგურამდე გაცილება. გზაშიც სდუმდა, თითქო დუმილმა მოაჯადოვაო. მაგრამ მისი თვალები ვერ მალავდენ საშინელების ქარიშხალს. მინდოდა, რამე მეთქვა, მაგრამ უძლურად ვგრძნობდი თავს. ასე მომყვა ის სადგურამდე, სხვა ჩვენნიანები არავინ ყოფილან. მე გამოვემშვიდობე, მინდოდა მეკოცნა, მანაც არ დამიშალა და ჩვენი ტუჩები

შეერთდენ. მზისგან გახურებული ადრიატიკის ზღვა არ იქნებოდა ისე ცხელი, როგორც მისი წიაღი, მზისგან გაცხელებული უდაბნოს ქვიშა არ იქნებოდა ისე ცხელი, როგორც მისი პატარა ტუჩები. სახეს სწვავდა მისი სუნთქვა, თითქო გულში ვნების ვულკანი სდუღდა. მეც დაუკოცნე ხოლმე ტუჩები, მაგრამ არაფერი მიგრძენია. დაილუპოს, წყეულიმც იყოს მისთანა მხატვარი.

– შენი ტუჩები ცივია, ცივი, როგორც დედას საფლავის ლოდი.
– ჩაიქვითინა ბერტამ.

მესამე ზარი დარეკეს. ბერტას გამოვემშვიდობე. მან ჩემი სატრფოს სურათი მთხოვა, დამეტოვებინა. ძნელი იყო ამის ასრულება, მაგრამ რა მექნა, ჩემი ჯალათობის მრცხვენოდა.

– მშვიდობით, ბერტა, ნუ დამივინწყებ, იქნებ როდისმე გნახო კიდევ... – მივაძახე მე.

გემი დაიძრა, მე ვხედავდი, ის იდგა ერთ ადგილას და მე მომჩერებოდა. ვხედავდი, მან დახია ჩემი სატრფოს სურათი, ნაკუნ-ნაკუნად აქცია, შედგა ფეხით და სრესა დაუნყო... მე ვხედავდი, როგორ სდიოდა მას ცრემლები, მაგრამ გემი მიჰქროდა და ტალღები შხეფებს აყრიდა ბაქანს.

მეორე ქალაქში გავიგე, რომ ბერტას ტბაში თავი დაეხჩო. დეპეშა, რომელიც ნაცნობ მხატვრისგან იყო მოწერილი, ასე თავდებოდა... „ჩვენი წრე ეხლაც გაკვირვებულია, რამ გამოიწვია ბერტას სიკვდილი და ან მისი ასეთი საშინელი გარაქმნა, როგორც უკანასკნელ დროს ეტყობოდა. საბრალო მამა სიკვდილის პირათ არის, ბერტას სიკვდილმა საშინელი ტანჯვა მიაყენა“.

მეტი მე არაფერი ვიცი მათ შესახებ. ჩემი ბებერი მასწავლებელი ეხლა უთუოდ მკვდარი იქნება. – დაათავა მხატვარმა ლაპარაკი.

– მაშინ ყველას გაგვახსენდა, რომ ოთარის დანიშნული თამარი გამვლელ აფიცერს გაჰყვა, ალბად ის სურათი, ბერტას რომ დაუტოვა, თამარი იქნებოდა. ჩვენ არ გვინდოდა თამარის შესახებ ლაპარაკი ჩამოგვეგდო და ამისათვის ვდუმდით.

– დიახ, ბატონებო! ჭეშმარიტად ეს იყო ცისკრის სიყვარული.

გაზეთები დიდხანია ლაპარაკობენ, რომ გამოფენაზე ყველას ყურადღება მიიქცია სურათმა „ცისკრის სიყვარულმა“, რომლის ავტორი არ სჩანსო.

– ცისკრის სიყვარული... ცისკრის სიყვარული... ოთარი, აი, ვინ ყოფილა თურმე ავტორი – გაისმა რამდენიმე ხმა.

[1911]

სფინქსი

(მინიატიურა)

– შენ არ გეძინება, დამადე თავი კალთაზე, მე ზღაპარს გეტყვი, ცხოვრების ზღაპარს, სევდით დანერილს, ცრემლით ამოქსოვილს.

ეს მაშინ იყო, როცა ქარიშხალი, როგორც ეხლა, სევდიანად ქვითინებდა, მწუხარებით სცემდა ფანჯარას ფრთებს და სევდიან ამბებს, ცხოვრების ზღაპრებს უამბობდა ქვეყანას, მაშინაც, როგორც ეხლა, არავის ესმოდა, რაზე ლაპარაკობდა მწუხრის ზეფირი, მხოლოდ სევდიანი და გულსაკლავი იყო მისი მოთხრობა. ფანჯარასთან წვეროები დაელუნათ და იცრემლებოდენ, მაღალი ჩაყვითლებული ნაძვები სევდიან გაცრეცილ ცას ობლობას შესჩიოდენ. სპეტაკი სუდარა ზამთრისა მოედრო გაზაფხულს და სიცოცხლის საზღვრიდან მოდიოდა ფერგამკრთალი... მაშინ სცოცხლობდა ქვეყნად პატიოსანი მხედარი. ბრძოლის ველზე თავისუფლების ქურუმმა საუკუნო ძილი ჰპოვა. სახე მიხდილი სდარაჯობდა მის გვამს სიკვდილი, თითქო ეშინია ან უდაბნომ არ მოიტაცოს, ან სისხლის ნიაღვარმა არ წაილოსო, ჩონჩხების ქნარზე მღეროდა სიკვდილი გამარჯვების ჰანგს, რომ მოფრინდა ქალწული გედის ფრთებით. კალთაში გაიხვია, თეთრი ფრთები მოაფარა და წაილო ტანჯული სული.

ამ დღიდან მომაკვდავი უკვდავს უსმენდა.

საუკუნოები საუკუნეთ მისდევდა და ეს იყო მისთვის, როგორც ერთი წამი, მან იცოდა, რაც ხდებოდა ქვეყნად, სად ან როდის.

ის მოწამე იყო ანგელოსათ ქცეული შეყვარებულთა ჩურჩული-სა, სისხლის ღვრის და საშინელების საყვირის ცემისა. მისი სევდიანი აჩრდილი ცაზე ყველასგან განირჩეოდა. ვარსკვლავები ერთი მეორეს უთითებდენ მაზე. მომაკვდავი მეორე ღმერთად იწამეს.

დიდების ეტლში უკვდავებაში ჩასვენებული, ვინ იცის, სად არ მიაჰქროლებდა... მაგრამ მოსწონდა სულის უკვდავება, უფალმაც შეამჩნია მისი მოწყენა და ნალველის მიზეზი ჰკითხა.

– უფალო, მე არ მინდა უკვდავება, რადგან იგი განგრძობება ადამიანის ცხოვრებისა და ყოფნის სევდა არას დროს არ მოაღხენს სულს. მე მომწყინდა ვარსკვლავების ცქერა, რადგან ისინი რაც გუშინ იყვენ, ისე იქნებიან საუკუნოების შემდეგაც, იმავე სიტყვებს გაიმეორებენ შეყვარებულნი და არას დროს ერთი მათგანიც არ ასრულდება და სადაც არის ადამიანის ცრემლი, შენ ცის კიდესაც შესძრავს. სულს მოსწყინდა ერთსახეობა მარადიული...

უფალს ეწყინა კადნიერი სიტყვები ტანჯული სულისა და ქვად აქცია იგი. უდაბნოში ძევს ეხლა ის, უმოძრავად მჭვუნვარებაში გაქვავებული. უკვდავია, მაგრამ ეს გრძნობა მასში დამარხულა. ერთ დონეზე არის სამუდამოდ მისი სახის ნაკვთები, ის სდუმს და მდუმარებაში გამოიხატება მისი სიდიადე, ძლიერება.

უდაბნოს ქვიშა ახურებს მის გულს, მაგრამ არას გრძნობს სფინქსი. ის უტყვი პროტესტია ტანჯულის სულის უფლისადმი.

[1911]

აჩრდილთა გოდება

(ნოველა)

...და მზე დაბნელდა. საშინელმა უკუნმა ღამემ მოიცო სამყარო, შორს გარკვევით ისმოდა მეხის საზარელი ხმაურობა და მას ბანს აძლევდა მასზე უფრო საშინელი ხითხითი სატანისა, თითქო ღამის, წყვიადის შვილი სერობაზე უხმობს ავსულებსო. მიწის წიალიდან იყო საშინელი ხმა. ბელზებელმა ჩამოჰკრა ზარებს და ტარტაროზები ჯოჯოხეთიდან სოფლად ილტვოდენ. ჟამი იყო, ქვეყანას პირველყოფილი სახე დაეკარგა და კოსმოსიდან ქაოსად ქცეულიყო. შუა გაიხა კრეტსამბელი სოლომონისი, მკვდრებმა უტოვეს საფლავები და აჩრდილთა სულელები სოფლად ალოდდენ. არყოფნის ღამეს წამოყვენ აჩრდილნი, ბნელ ღამეში გზას ვერ იგნებდენ.

– შემოქმედო, შენ, ვინც გვიხმე საფლავიდან, შენ, ვინც ამდენხანს გვპირდებოდი დღის ნათელს, შეიბრაღე შენზე მლოცველნი, გზა გაგვინათე. ჩვენ ბევრი რამ გვინდა გავიგოთ, შენი საუკუნო გული ვერ გაუძლებდა იმ მოლოდინის ზღვას, ჩვენ რომ გულში გვიღელავდა, საუკუნო იყო ის ლოდინი დღის ნახვისა, ჩვენ გულში არ ნელდება უკვდავი გზნება. ჩვენ საფლავშიაც შენზე ვლოცულობდით, ჩონჩხების ქნარზე გიმღეროდით საგალობელს, საფლავის მტვერს ასველებდა ჩვენი ცრემლები, რა უყოთ, რომ ნაღვლიანი იყო ის სიმღერა, სამაგიეროდ დაფერფლილი გულის ლოცვა იყო:

– გვალირსე ნათელი – ცოდვილ სულთაც მოსწყინდათ საფლავის მდუმარება, ჩვენ გარიჟრაჟის ნახვა გვენატრება, ამ ბნელ ღამეშიც გაგვინათე ნათლის სვეტი, როგორც მოსეს უნათებდი არაბეთის უდაბნოში. შენი ბრძანებით მზემ სცნო ჟამი და სავალისი, შენი ბრძანებით ის კვლავ ამობრწყინდება.

– უკვდავო სულო! ისმინე ჩვენი ლოცვა, ისმინე ცოდვილ აჩრდილთა ლოცვა, – ჩუმად ბუტბუტებდენ აჩრდილები, მაგრამ ღამის უდაბნოში იმარხებოდა მათი ლოცვა, უკუნი ბნელი ერტყა ქვეყანას... მაინც არ სდგებოდენ აჩრდილნი, მიდიოდენ მისთვის, რომ არ შეეძლოთ არ წასვლა.

– მე დედა მინდა ვნახო, დედა უთუოდ, მას ჯერ კიდევ არ შემორობია ცრემლი, როგორ უყვარდი... მე ეხლაც მესმის მისი ხმა ამ არყოფნის ღამის ჩურჩულში... მე მესმის სევდიანი სიმღერა. მახსოვს, ბნელ ღამეში, როცა არ დამეძინებოდა, გარედ ქარიშხალი მოსთქვამდა, თითქო უნდა ქვეყნის ცოდვა გამოიტიროსო, მე დედა მაშინ ნა-

ნას მეუბნებოდა. სევდიანი იყო ის ნანა, ალბად მისთვის ჩამრჩა ასე გულს, თითქო ეხლაც ვისმენ მე მის ხმას... გესმით, როგორ ჩურჩულებს არ ყოფნის ღამე... ეს დედის სევდიანი სიმღერაა?.. ღამის ბინდში მოსთქვამდა სული და უკუნი ღამე ბანს ეუბნებოდა.

– მე სატრფო მინდა ვნახო, გულში კიდე არ განელეზულა ტრფობის კოცონი. კიდე უფრო დაბნელდეს ღამე, ქვეყანას ნუ ეღირსება ნათელი, თუ მის ტუჩებს ჩემ მაგიერ კოცნიდა ვინმე. – ისმოდა აჩრდილის ხმა. მათ სოფელს მიაღწიეს, იქ კი საშინელების საყვირი სცემდა. საფლავათ ამდგარიყო სასონარკვეთილება, აჩრდილთ ესმოდათ გოდება ადამიანების, აჩრდილნი ისმენდენ ღამეში ადამიანთა მოთქმას. მათ ყველაფერი გაიგეს, მიუწდომელს მისწვდა, მომაკვდავი აჩრდილნი უკან დაბრუნდენ.

– საბრალო დედა, იქნებ შენც ჩემსავით გზა აგერია და ცრემლით ალბოზ უდაბნოს ქვიშას, წყეულიმც იყოს შემოქმედი, თუ კი მეტი ვერაფერი მოუგონია, რომ ჩვენს ტანჯვაზე იცინოს!..

– რატომ ცეცხლის წვიმა არ მოევლინება სოფელს, რომ ალგავოს ბილნი სოდომი. მაშ, მატყუებდა, თურმე სხვასთან იზიარებდა ბედნიერების წამებს, მაშინ, როცა მე საფლავშიც მასზე ვტიროდი. ვაი მას, ვინც მიენდო ქალის სიტყვებს; ვაი მას, ვინც ქალის წიაღში ბედნიერებას მიაგნო, ჰგონია. სტიროდეთ ლოდებო, ხავსიანო ლოდებო, ნუ თუ სისხლმა, რომელიც ჩვენ დავანთხიეთ, კიდე არ გააღწოთ თქვენი ცივი გული? საშინელების წინამძღვარო, არყოფნის ღამე, ანი შენ უტყვ წიაღში არ აინთება ჩირაღდანი ცხოვრებისა, მკვდართა აჩრდილნი საფლავებს არჩევენ ქვეყნად ცხოვრებას, მოსთქვამდენ სულები. ღამეს კვლავ გულცივად გაეშალა ბნელი წიაღი და ცნობის მოყვარეობით ისმენდა აჩრდილთა გოდებას, რომ გულში დაემარხა და პასუხად დუმილი ეძღვნა. ყველაფერი სდუმდა, სდუმდა სოფელი, ვით სასაფლაო. ჟამი შესდგა, ცრემლები ასველებდა უდაბნოს ქვიშას, ზეცა მუნჯობდა, მხოლოდ არყოფნის ღამეში ისმოდა საშინელი ყორნის ფრთათა ბარტყუნი, რომელიც აჩრდილთა სულებს საფლავებისკენ მიაქროლებდა. მის ფრთათა ბარტყუნში ისმოდა რალაც საშინელი, ჭკუის შემრყევი, თითქო მისი ფრთები ამბობდენ: „მე ცხოვრება ვარ – შეუბრალებელი, მოუთმენელი“-ო... და გოდებდენ აჩრდილნი, სწყევლიდენ შემოქმედს... წყეულიმც იყავ, ჩვენ არ გვინდა შენგან აღთქმული დღის ნათელი, მაშინ უფრო საშინელი იქნება სოფელი, რად გაგვალვიძე, რად დაგვიკარგე საფლავის მყუდროება? რად მოგვიხმე, როგორც გველი ხვრელიდან, განა არ მოგწყინდა და განიზრახე კიდეც, დაგეცინა? ამაყი არიან აჩრდილთა სულები, საფ-

ლავის სიცივეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ ჩაუკლავს, ჩვენ გვინდა საფლავის მდუმარება, საუკუნო ძილი, ყველა ბედნიერი იქნებოდა, ჩვენ რომ მოგვბაძავდნენ.

– ჩვენსკენ, ადამიანო, რად არ სჯობია საუკუნოდ არაფრის გრძნობა, თუნდაც საფლავში, შენ ცხოვრებას, ტანჯვაში შობილს და ტანჯვაში დასათავებელს.

– შემოქმედო! უკან წაილე დაპირება. გულში ამოშრა მოლოდინის ზღვა, ჩვენ არ გვინდა ნათელი, ჩვენ არ გვინდა საშინელება, ყოფნის ნალველი, რად მოგვიხმე, რად საფლავიდან?..

შავი ყორანი სიკვდილისა ფრთებით მიაქანებდა მათ საფლავებისკენ, ჰაერს აციებდა მისი ფრთათა ბარტყუნი და მიდამო გულგაკრთომილი ყურს უგდებდა აჩრდილთა გოდებას.

– მდუმარედ იდგა გოლგოთას ქედი, მდუმარებით ისმენდა აჩრდილთა გოდებას... შორს კი პირი დაელო ნაზარეველის საფლავს და ქრისტე, მუნით ლტოლვილი, ცად მაღლდებოდა...

[1911]

ბრძოლის ველზე*

(ნოველა)

...Мы прокляты. Человѣкъ проклятъ вообще.

Смѣлее, человѣкъ, будь гордъ!.. Не ты виноватъ!..

Ф. Достоевскій

არნივის ფრთები შესხმოდა ქარიშხალს, გოდებით დაქვითინებდა თავს მძინარე სოფელს, ყურს უგდებდა ღამის იდუმალებაში ყვა-ვილთა ჩურჩულს და ცნობისმოყვარეობით ჩაჰკითხავდა ყველას.

– რა იყო, რა მოხდა ჩემ აქ არ ყოფნის დროს? მიაბზეთ, მიაბზეთ გენაცვათ. სამაგიეროდ, მეც გიამბობთ ჩემ ხეტიალზე, მეც გიამბობთ ჩემ თავგადასავალს უსაზღვრო სევდით მოცულს.

ყველას სიხარულით უძგერდა გული, დიდი ხანია მათ სოფელზე არა რა გაუგონიათ. ტბის პირას დახრილი შეინძრენ მაღალი ნაძვები, ოქროს დაღალებით ეამბორა ტირიფი ტალღებს. ყრუ უდაბური ტყეც შეიშმუშნა. ალბად მასაც ჰყოლია მგობარი, რომელსაც არას უმაღლავს და საიდუმლოს ანდობს.

– მიაბზეთ, მიაბზეთ, რა მოხდა, აქ სისხლის სუნი სდის. აქ ცელგანვდილ სიკვდილს გადაუფრენია, მე ვიგრძენ სისხლი და ცრემლით შედედებული ჰაერი, მეგობრებო, საუკუნო მეგობრებო, მომეხვიეთ. მინდა, ყველა ჩაგიკრათ გულში. რამდენი ხანია, რაც არ მინახავხართ, რამდენი ხანია, რაც თქვენზე ხმა არ მსმენია, როგორ მენატრებოდით, რომ იცოდეთ, თქვენზე ვლოცულობდი შორეულ მხარეს. იქ, ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ტანჯვა გამოვსცადე, ჩემ კალთაში შევაგროვე ცრემლები, წყევლა, რომელიც იქ აღმოხდა ადამიანებს. მე შორეულ მხარედან მოვდივარ მწირი მიუსაფარი. ვინ იცის, სად არ დავებეტებოდი, რის მონამე არა ვარ, მაგრამ საშინელება ის იყო, რაც უკანასკნელ დროს ვნახე. მე ეხლაც მცოცხ... ეს საფლავის სიცივეა, მე ეხლაც მესმის ჩონჩხების ქნარზე სიკვდილის გამარჯვების სიმღერა. მე ვერ დავივიწყებ, ვერა, ნეტა, რად უნდოდათ ღმერთებს, უკვდავება რომ მომცეს, თუ კი ჩემ სმენას გოდების მეტი არაფერი მოესმოდა, თუ კი მარტო ცრემლები კალთებს დამისველებდა. რომ არ იყო სევდიანი, კაეშანს გადაეყრები. რამ უნდა გაგახაროს, როცა ამდენ საშინელებას ხედავ. საუკუნო სმენა მაინც დამხშობოდა, რომ არა რა მესმინა. იქ საფლავით ამდგარიყო სასონარკვეთილება... იქ

* ეს ნოველა დამანერია ელიზე ოუემკოს „Gloria victis“-მა (ტ. გ.).

საშინელების საყვირი სცემდა და მთა და ბარი ირყეოდა იმ ხმისაგან. ბნელ უსაზღვრო გზაზე მოსიარულე ადამიანები, საცოდავები... რომ გავიხსენებ, ეხლაც მზადა ვარ ვიტყვო, ოჰ, როგორ ვტიროდი, როგორ, მაგრამ მე მერე გიამბობთ, ჯერ თქვენ სთქვით, თქვენ... არ ისვენებდა ქარიშხალი და ჩაჰკითხავდა მოუსვენრად მეგობრებს.

– მე ვერ გიამბობ მას, რაც აქ მოხდა. მთელი საუკუნე დამაბერა მე იმ საშინელებამ, რომლის მოწამეც ჩვენ ვიყავით... რა კარგები იყვენ, რა კარგები, საცოდავები – ნაიდუღუნა ბებერმა მუხამ.

– აქ საშინელება მოხდა... საშინელება. ვერა ხედავ, როგორ წითლად ვარ შეღებილი, იმ წყეულებმა სისხლით მორწყეს ყველაფერი, სოდომს და გომორს არ დასდგომია ის დღე, რისიც მოწამე მე ვიყავი – ქვითინებდა ნაკადი.

– რა კარგები იყვენ, რა კარგები, საცოდავები. – გაიმეორა ბებერმა მუხამ.

– განთიადისას ეწვიენ ისინი ამ ადგილს, – დაიწყო ნაძვმა, – მათი სახე ცისკრის შვენებაზე უფრო ნათელი იყო, მათი ღიმილი ნამის კრთოლვას წააგავდა. თვალი უკეთეს ვერას შეხედავდა, როცა მათ კარებს მზის სხივები ოქროს დიადემას დაადგამდენ. ვინ იქნებოდა ისეთი, რომ როცა ისინი სიმღერას დაიწყებდენ, ალტაცების ცრემლები არ ეღვარა. რომ დაღამდებოდა, ღამე გრძნეულ სახურავში გამოხვევდა სამყაროს და ნიავი ოცნების ქნარზე მოთქმას დაიწყებდა, მაშინ ჩვენ სმენამდის მოაღწევდა მგოსნის სიმღერა, ის სულ წალკოტში დაიარებოდა, როცა მარტო იყო, სევდიანად მღეროდა, მაგრამ სამაგიეროთ, როცა ერთად შეიკრიბებოდენ, შველის ნუკრიც გაიწევა და საბრძოლველად მგოსნის შურის ძიების ჰანგებით ალტყინებულნი.

– მეც მახსოვს, მეც... ის ჩემს სატრფოზე უფრო კარგად მღეროდა. – დაუმატა ველურმა ვარდმა.

– საცოდავები, რა კარგები იყვენ, რა კარგები.

ნაძვი ისევ განაგრძობდა, ყველას მაინც სარდალი სჯობდა, მე ეხლაც მახსოვს, წინამძღვარის სიტყვები, რომლითაც ის ლაშქარს მიმართავდა.

– წინ, წინ, მეგობრებო, სანამ არ მოესმას გულს დატანჯულის ჰანგი, სალხენი ალთქმის ქვეყნისკენ ილტვოდეთ, ნუ შეგაშინებთ ბნელით მოცული გზა ცხოვრებისა, თუნდა ვიცოდეთ, რომ დავიხოცებით, განა ლეონიდემ არ იცოდა თერმოპილის ხეობიდან, რომ ცოცხალი ვერ გამოვიდოდა. ჩვენი საყვირის დაკვრით არ დაირღვევიან ბჭენი იერიქონისა, ჩვენი თქმით არ სდგება მზე, მაგრამ წინ ალთქმისკენ, სად განისვენებს ბედნიერება უკვდავების ფრთებზე. დაე,

გზა, როგორც აფთართ კვალი ხეობაში, ჩვენი ძვლებით იყოს ნაფენი, ნუ შეკრთებით ნურასოდეს.

უსმენდა მის ხმას ველი, მინდორი და ყველას უნდოდა, მისი თანამგზავრი ყოფილიყო, მისი ბედი გაეზიარებინა.

– მშვენიერი იყო მისი სატრფო მთვარიან ღამეს. გულის ფანქვალით ყურს ვადევნებდი მე მათ საუბარს.

– შენთან მოვკვდები, ჩემო კარგო, ეუბნებოდა ადა წინამძღვარს, საფლავის სიცივე ვერ გააცივებს ჩემს გულს, უდაბნოს გრიგალი ვერ ჩააქრობს გულში ტრფობის კოცონს, მე სალამანდრასავით შენთვის დავინვი, წამიყვანე, მეც შენთან მოვკვდები და უდაბნოს ქვიშა ორივეს ერთად დაგვმარხავს... აქ სიტყვა შესწყდებოდა და მორცხვი კოცნა დაარღვევდა ღამის მდუმარებას.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ჟამი ბედნიერებისა.

მშემ სცნო ჟამი დასავალისა, დასდვა ბნელი და იქნა ღამე. მშიერ არწივებოვით წამოიგრაგნა მტერი მთებიდან და სისხლმა შელება მდინარე, ხევში ნიაღვარი ქშუოდა სისხლისა, ბუტბუტებდა გულმოსული ნაკადული და სწყველიდა კაცთა სიავეს. თმა განენილი დარბოდა სასონარკვეთილება, საფლავიდან ამდგარიყო შურის ძიება და მკვდართ ცოცხლებზე სალაშქროდ უხმობდა; დიდი ხანი არ შეწყვეტილა ბრძოლა. მე ვიყავი მონამე, როგორ დადუმდა მგოსნის შურის ძიების სიმღერა, როგორ დაეცა წინამძღვარი და ზედ დააკვდა ადა.

– მიწის წიაღიდან იყო ხმა, ის ერთადერთი ქალი იყო, ვინც არ იცოდა ღალატიო.

თითქო დუმილი მარტოობისა და ღამის წყვდიადი შეითქვენო, მდუმარებდა ბრძოლის ველი.

– საცოდავები განთიადს ელოდენ და წყვდიადში იპოვეს საფლავები, მაგრამ თავისუფლებას დასტიროდენ მკვდრები, ყველამ საფლავში წაიღო ლტოლვა აუსრულებელი.

– საცოდავები, მათ უნდოდათ, სწყუროდათ ბედნიერება და ყორნები ნადიმობენ მათ საფლავზე.

დადუმდა ნაძვი.

ბებერი მუხა ისევ იმეორებდა: რა კარგები იყვენ, რა კარგები, საცოდავები. ბევრი ამბები, ბევრი ზღაპრები უამბიათ ქარიშხლისთვის მეგობრებს, მაგრამ ასეთი საშინელი არას დროს არ უთქვამთ, არას დროს.

რომაელ ქურუმით აყუდებულიყო მთა, მთა მებრძოლ გვამთაგან შემდგარი. სდუმდა ყოველი ამ მნუხარ ღამეს, მხოლოდ ქარიშხალი ჭმუნვით მტირალი გალობდა „სულთათანას“, მოსთქვამდენ ყვავილები, თავი ძირს დაეღუნათ ტირიფებს და იცრემლებოდენ.

ბებერი მუხა ისევ ბუტბუტებდა.

– ბნელში დაიხოცენ საცოდავები, განთიადს რომ ელოდენ. სად მიაფრენდათ ოცნება? აფთარი ხრის მათ ძვლებს, საცოდავი ადამიანები, მაგრამ ამაყად მოჰკვდენ, შურის ძიება ჰკრთოდა ისევ მათ თვალებზე, ბედნიერებაზე იყო უკანასკნელი მათი ამონაკვნესი... ამპარტავნულად დაიხოცენ, მაგრამ თვით სიკვდილში დაენაფენ უკვდავებას.

[1911]

ნაწყვეტები დღიურიდან

ადამიანმა გაჩენისთანავე ქალში დაინახა ღმერთი,

ეს იყო პირველი და უდიდესი ცოდვა.

სამყაროს მატრიანედან

I. 3 მარტი.

იულიუს კეისარს ურჩიეს ქურუმებმა, მარტის დღეებში სენატში არ წასულიყო, მაგრამ ბედისწერა არავის არაფერს აპატიებს, ფარვანასავით თავს დასტრიალებს იგი ადამიანს, სანამ არყოფნის ღამეში არ ჩაქრება ჩირალდანი ცხოვრებისა. ბრუტის მახვილი კეისარის სისხლში უნდა ამოსვრილიყო, რადგან ცხოვრების სასწორი დემონმა გადასწია. იქნება ეს ცთომით მომდიოდეს, მაგრამ მე მრწამს, რომ არსებობს ბედისწერა. ის არის „რალაც“, რომელიც უნდა სუფევდეს, მას ვერვინ ასცდება, რაც უნდა ეცადოს, მას გრძნობს სული, და მისტიური საშინელებით იმოსება.

გადაწყვეტილია, რაც უნდა იქნეს; ბევრიც ეცადო, ის არ დაიშლება. ვინ იფიქრებდა, რომ მე ამ საშინელებამდე მივიდოდი. უნინ, სხვას რომ ჩემთვის ეთქვა, ზღაპარი მეგონებოდა, მაგრამ სულსაც სცოდნია განცდა მეტამორფოზისა და მერე როგორის, ოვიდიუსს სიზმრადაც არ მოეღანდებოდა ისეთი.

დღეს მე მკვლელი ვარ... სხვა დროს, ვინ იცის, წყნორის ფოთოლივით, შველის ნუკრივით დავიწყებდი კანკალს, ფიქრათაც რომ გამეველო ეს აზრი. დღეს კი მკვლელი ვარ. არ ვიტყვი, არ მეშინოდეს, მე თავს არაფერს ვუმაღავ, მაგრამ არც ისე, როგორც მეგონა, მხოლოდ ეს მაჯავრებს, რომ მოვა პოლიცია, გამოკითხვას დამიწყებს, გადაათვალიერებენ ჩემს სურათებს, წერილებს, წიგნებს (მისი სურათი კი დავმალე). არ ვიცი, როგორ ავიტან, როცა პირში დაცინვას დამიწყებენ. გადავწყვიტე, არაფერი ვსთქვა.

სხვა ყოფილა თურმე საბედისწერო სიყვარული; ვაი მას, ვისაც იგი მოუხმობს, მისი ხმოვა სიკვდილის ძახილზე უფრო საშინელია, მისგან გათხრილს უფსკრულს ვერაფერი ამოავსებს. მე თავის დღეში არ დამავიწყდება ის წუთი, საშინელი წუთი, როცა ჩემი ხანჯალი მის გულში დაიმალა. ღმერთო ჩემო, რა სულელური თვალეები ქონდა. ერთი წამით ჩავიხედე მე იმ თვალეებში და ისე შემეზიზნა, რომ არ შემიძლია. წარმოვიდგინო, რა უნდა იყოს ის ქალი, რომელიც მასთან სამი წლის განმავლობაში სარეცელს იზიარებდა. ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ შეითქვა, თვარა რა იყო ის ძერის სულელური თვალეები, როგორ მეხვეწებოდა, ნუ მომკლავო, ფეხებზე მეხვე-

ოდა, მეფიცებოდა: ნებას მივსცემ მაროს გაყრისასო; მის თვალებზე ცრემლები დაეკიდა; რა გამომეტყველება ქონდა მის სახეს! მახსოვს, სადღაც მინახავს სურათი: მკვდრები რომ სტირიან; არ ვიცი, რატომ გავდენ ასე უცნაურათ მას! გაყრის ნებას მივსცემო, სიკვდილის შიშმა აიტანა, მართალი გულით ლაპარაკობდა, მაგრამ მისთანა ადამიანები მალე უღალატებენ ხოლმე სიტყვას, მეორე დღეს ჟანდარმებს მიმცემდა ხელში. ესეც რომ არ ყოფილიყო, მე ის მაინც უნდა მომეკლა, მე მის თვალებში ჩავიხედე, მის ძერას თვალებში... ის რომ არ მომეკლა, ხომ სამუდამოდ ვერ მოვისვენებდი – ძილში მაინც მომკლავდა საშინელი გამომეტყველება მისი თვალებისა! მე შური ვიძიე: მისი თვალები უთუოდ იხედებოდნენ მაროს თვალებში; იქნება მარო ვერ ამჩნევდა მათ საშინელებას, მაგრამ მე მაინც ვერ ვაპატიებდი: მისი ტუჩები კოცნიდნენ მაროს ტუჩებს, რომელთაც მერე ჩემი ტუჩები უნდა შეხებოდა. მაგიჟებდა ის აზრი, რომ მას ნება ქონდა ყოველ ღამეს ტიტველი ენახა იგი... და მერე მარტო ენახა ის, ვისი ტანის ყოველი ნაკვთი ინახავდა ჩემს კოცნას, რომელშიაც გამოვადულე სულის აღტაცება, აღტყინება და ლოცვა. მისი სუნთქვა უნდა შეერთებოდა მაროს სუნთქვას, რომელიც მე უკვდავების ნანად მარადისობის სიმღერად მესმოდა. მე მოვკალი ის, როცა გველივით იკლავებოდა ჩემს ფეხთა ქვეშე. არ მქონდა ამის ნება?

განა მას კი ქონდა ნება, რომ ორივეს სიცოცხლეს გვინამლავდა? მისი სიკვდილი ხომ ორის ბედნიერება იყო? ის უნდა მომკვდარიყო! მე სულ არ მიფიქრია წინათ მის სიკვდილზე, უთუოდ, ბედისწერა ასეთი იყო. მე სრულიად მოულოდნელად გადავწყვიტე მისი სიკვდილი. ვინ იცის, იქნებ არც კი მომეკლა, რომ მისი თვალები არ მენახა.

მხატვარი, საზოგადოთ, ძლიერ ცუდად „ცნობს“ ცხოვრებას. მე არც კი მქონდა წარმოდგენილი, რომ ადამიანს ვართმევდი მას, რისი მოცემაც მერე არავის შეუძლია, მაგრამ მე მეძახდა საბედისწერო სიყვარული. მაშინ ჭკუა უძღურია, როცა როგორც ქარიშხლის დროს ოკეანე, ისე ლელავს გულში, დნება. მე მოვკალი იგი ხელით, ამოვართვი თვალის კაკლები და ფეხით გავსრისე, ეს ოქმში არის შეტანილი და ერთი გაზეთის რეპორტიორის სიტყვით, მკვლელის უცნაურობას მოასწავებს.

II. 5 მარტი.

საზოგადოება ძლიერ აღელვებულია. იშოვეს სალაპარაკო. ვინ გინდა, რომ ამ მკვლელობაზე არ ლაპარაკობდეს. ერთი-მეორეზე უცნაური ხმები დადის.

– კაცო, წარმოიდგინე, რა უბედურებაა, პატიოსანი მეუღლე, უწყინარი ადამიანი.

– ოლონდაც. – ველაპარაკები მეც და კიდევ ვუმატებ რალაცას.

საზოგადოთ, სიკვდილის შემდეგ შეიქნება ხოლმე ადამიანის ქება, აქებენ იმისთვის, რომ არასასიამოვნოა მკვდრის გინება, ამიტომ სულ არ გამკვირებია, როცა ერთმა ნაცნობმა რამდენიმე დღის წინათ სისაძაგლის სიმბოლოთ აღიარებული რამ, დღეს პატიოსნად გამოიყვანა.

ორი დღეა, რაც მის შესახებ ლაპარაკია. მარო არ მინახავს. საშინელი ხმები დადის. გუშინ წერილით შეუთვალე, სოფელში წამოსულიყო იმ საბაბით, რომ განსვენებული ყოველთვის ნატრობდა თურმე სოფელში დასაფლავებას; ამიტომ შესახებ შესაფერი განკარგულების მოსახდენად მას შეეძლო წამოსულიყო. ჩვენ სხვადასხვა მატარებლით მივდიოდით, საშინელი მოლოდინის ზღვა ღელავდა გულში. ვაგონში ხალხი ბლომათ იყო, ერთი-ორი ნაცნობიც ერია – თავი დავუკარი და ჩემს კუბეში მონყვეტილივით ჩავიკეცე. საშინელი სიჩუმე კლავდა სულს, მატარებელი ნელი ნაბიჯით ძლივს მიიკლაკნება. თანდათან აუტანელი ხდებოდა მარტოობა, თითქო იგი სიჩუმესთან შეთქმულა ჩემს წინააღმდეგ. ბალზაკი ამბობს: დუმილი ჩურჩულებსო; მეტერლინკმა, ეშმაკმა იცის, მგონი, სულიც კი ჩაუდგა დუმილს, მაგრამ დუმილი მაინც დუმილია და არაფერს ლაპარაკობს. ეს უფრო საშინელია: სული კრთება, საშინელებით გაჟღენთილი ჰაერი დასწოლია ჩემს არსებას. ამ ყოფას მხოლოდ საფლავში გამოღვიძებული თუ იგრძნობს. მატარებელი ისევ ნელა მიქმინავს, მას არ აწუხებს, თუ რას ფიქრობს მასში მჯდომარე.

ორი საათი ორ საუკუნეთ ჩამოდის.

სიყვარული, სიყვარული!.. ყოველი ასო ამ სიტყვისა ადამიანის სისხლით და ცრემლით არის ჩანერილი ცხოვრების მატინანეში, ცხოვრება შესდგებოდა, ის რომ არ ამოძრავებდეს. ვინ იცის, ახლა რამდენი ფიქრობს მაზე.

ადამიანმა არ იცის, რაა ადამიანობა, თუ მას არ ყვარებია, სულ ერთია, როგორი სიყვარულით. თუ სიყვარული ბედნიერია, მაშინ ალტაცებას არ აქვს საზღვრები; შვების ქსელში ნეტარებს სული; თუ უბედურია, მაშინ ის ტანჯვაა, მაგრამ ამ ტანჯვაშიც არის სილამაზე, რომელსაც ვერავინ გამოისყიდის, უკვდავი ღამე იხვევს კალთაში ლოცვას და წყევლას, რომელიც აღმოხდებათ ხოლმე ადამიანებს. ყველას რომ შეძლებოდა, ალბად, მიუსაკითხ სიტყვით გამოეთქვა, რასაც გრძნობდა, მაშინ მსოფლიო გოდების საგნათ დედაკაცი შეიქნებოდა.

როგორ გამოცვლილა ქერივის ტანისამოსში, პირველად ძლივს ვიცან! მისი თვალები ისევ ღელავენ ავხორცობით; ვნების პირუტყვი ისევ დასცურავს მის თვალებში, რატომ არის მერე ასე? მისი ალისფერი ტუჩები თითქო ამაყობენ, რომ მათ ბევრი მამაკაცი კოცნიდა. „ოჰ, ეჭვის ლურჯო გველო!“ – მაგონდებიან სიტყვები ოტელლოსი. მერე რას ვეძებდი მე იმ ქალში?.. რას ვეძებდი! ნუთუ მართლა უნდა დავრწმუნდე, რომ ქალი მხოლოდ ავხორცობის წყაროა და მეტი არაფერი? მახსოვს ვენეციაში გატარებული ღამეები, გონდოლით სეირნობა, აღტაცებით რომ მღეროდა გონდოლიერი მაისის სერენადებს და ტალღები ბანს ეგუგუნებოდენ. ჩვენ ხშირად დავიარებოდით იმ ქუჩებში, რომელზედაც ბაირონი და შელლი დადიოდნენ, არ დამავიწყდება, როგორ უამბობდი შელლის დახრჩობის ამბავს.

– შელლის ანგელოზს ეძახოდენ, ჩემო კარგო, ისე ძლიერ გავდა ის ანგელოზს. ლევორნოსთან მგზავრობის დროს ის დაიხრჩო და იცი მერე, როგორი ახალგაზრდა? სულ 24 წლისა. თვითონ ბაირონმა გააჩალა კოცონი, რომ ზედ ანდერძით დაენვა მეგობრის გვამი. კოცონს დაასხეს ნავთი, ალი ავარდა, ზედ დასდევს პოეტის უსულო გვამი... ყველაფერი დაინვა, მხოლოდ განგებით მარტო პოეტის გული დარჩა უვნებელი, მოფრინდა რალაც ფრინველი და ზედ დაფარვატებდა პოეტის გულს, რომელიც დასწვა სიყვარულმა და ცეცხლმა კი უვნებლათ დასტოვა... მახსოვს, ის ლტოლვილი ქერუბიმს მიაგავდა, მაშინ ვინ შეიტანდა ეჭვს, რომ ის ანგელოსი არ იყო. ოჰ, მაშინ რომ მომეკლა მისი ქმარი! ახლა მარო უკვე შეეჩვია ტყუილს, ღალატს. მაშინაც ხომ ღალატობდა ქმარს, რად არ ვიფიქრე, რომ მეც მიღალატებდა?! ზედიზედ მომდის უსახელო წერილები, ვიცი, თუ ყველა არა ნახევარი მართალია, ვიცი, მისი ხორცი სხვისთვის შეიქნა საცნაური...

III

ამავე დღეს ნალვლიანი ღამე იყო. ტყეში ვიყავით, მარტის ქარიშხალი ისევ ზუოდა, გმინავდა, სტიროდა (ნეტა, მარო თუ იტირებს ქმარს?)... რისთვის არის, მასთან რომ ყოველთვის უხერხულათ ვგრძნობ თავს? მე მემინია მისი, ჩემი სული უკვე მის სულს შეუერთდა და უმისოთ არყოფნის სიმბოლოს წარმოადგენს. მე შიშით ვხედავ ჩემი სულის სახეს მასში. ვიცი, ბევრი კოცნიდა მის ტუჩებს, მაგრამ ჩემთვის მაინც ნმინდაა, ისევ ქალწულებრივი კდემით გამოიყურებიან.

– მარო, ახლა სძინავს ტყეში პანს, მღვიმეში შეფარებულს.

- ეს პანი რათ მოგაგონდა?
- არ გახსოვს, ჩვენ ერთად ვკითხულობდით „პანს“?
- მახსოვს და აკი გელაპარაკებოდი, არ მომწონს-მეთქი.
- გახსოვს - „ქალწული, ცოდვილი თმიდან ფეხებამდი“?
- შენ რალაც აღელვება გეტყობა!
- მე ის აღელვება მეტყობა, რომ მინდა, გაკოცო! მარო, იცი, ვინ მოკლა შენი ქმარი?
- არ ვიცი, მაგრამ არც მინდა, ვიცოდე, ის მე მძულდა...
- შენ ჩემი უნდა იქნე, მარო, საუკუნოთ ჩემი! მე მიწას არ ვაპატიებ, რომ შენს ფეხებს კოცნის, მე მზეს არ ვაპატიებ, შენს ღანვებზე რომ სხივებს ათამაშებს, მე მაქვს ამის უფლება! მე შენ შემოგწირე ახალგაზრდობა, სახელი, დიდება, ყველაფერი. შენ ჩემი უნდა იქნე, ჩემი!..
- მერე რომ დამივიწყო?
- მე დაგივიწყებ მაშინ, როცა მიწა გააცივებს ამ გულს... მაგრამ არც მაშინ, რადგან სული საფლავშიაც შენზე იკვნესებს და ნალვლიანი ქვითინით ძახილს დაგინწყებს...

IV. 6 მარტი.

...ის დაასაფლავეს. მარო კუბოს მიყვებოდა. ღმერთო, ღმერთო, რა ლამაზი იყო, რა ლამაზი! მე უნდა ვიყო მისი პატრონი, რაც უნდა მოხდეს; მსხვერპლი შევსწირე, კიდევ შევსწირავ. მე კიდევ ვერ გამოვრკვეულვარ, ისევ სიზმარში მგონია თავი, ფიქრი ფიქრს აკიდებია, ერთიმეორეზე უფრო შავი, თითქო ოთახში დადის აჩრდილი ვილაცის და გრძნეულებით რკინის სალტეებში ამწყვდევს გონებას.

...„მაშინ წაიყვანა იგი ეშმაკმა წმინდასა ქალაქსა და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისა და რქვა: უკეთუ ძე ხარ ღვთისა, გარდავარდი ქვევით, რამეთუ წერილ არს: ანგელოზთა მისთა და უბრძანებთეს შენთვის და ხელთა მათთა აგიპყრან შენ“.

ქრისტემ მიუგო: განვედი ჩემგან, რამეთუ წერილ არს: ნუ შეაცთენ შენ ღმერთსა შენსაო. მეც დამაყენა სათანაელმა კლდეზე და მის ქნარზე უფსკრულს განვერთხე... საშინელია! ცა გარღვეულია და მისი კიდენი ქვესკნელს იმალებიან, საშინელი კიბეა ამართული ამ უფსკრულში, ავი სულები დახტიან მასზე. საყვირის ცემით უხმობს სატანა წყვდიადის შვილს სისხლის მეჯლისზე; ტანჯვის კოცონზე ისმის მოთქმა, ვილაც ინაკვთება ბნელში, ვილაც კვდება, მაგრამ უფსკრული არას ისმენს.

საშინელი ღამეა, ბნელა სულშიაც!

V. 27 მაისი.

ყველაფერი გათავდა, მე დღეს კატორღაში ვარ. ჩრდილოეთის ცივი ცის ქვეშ უნდა მოსთქვამდეს სული, თეთრი სუდარა თოვლისა დამარხავს მას. ვის ესმოდა, ვის, მოთქმა სულისა, რომ ახლა გაიგონონ! მახსოვს, როგორ დამატუსაღეს... ის ქალი მერე არ მინახავს... წერილით ვთხოვე, ჩემთან წამოსულიყო, მაგრამ პასუხი არ მიმიღია.

ასეც ველოდი.

საშინელო ქმნილებავ! გაგირბის ის, ვინც გიცნო, ვინც ჩაიხედა შენს გულში და შეამჩნია მისი სიცარიელე; საშინელია შენი სილამაზით დაგებული საცთური, ბევრი ჩაიჩეხა ამ უფსკრულს და უკანასკნელათ შენს წყევლაში ამოხდება სული.

რა იქნებოდა, რომ ეს წყევლა ერთად შეერთებულიყო?

როგორც ოკეანეში, ფავნის ცრემლები, ისე გამოჩნდებოდა მასთან ადამიანის ბედნიერება, მაგრამ ყრუა ცა! ის არასდროს არ ისმენდა და არც მოისმენს ადამიანის გოდებას. ბავში ვიყავ, ტოლებისაგან შორს ნავიდოდი და ტყეში ვტიროდი. – რატომ? განა ვიცოდი!.. მე ბევრს ვუყვარდი, ბევრის თვალებში ვკითხულობდი უმანკო გრძნობას, მაგრამ ყრუ იყო გული. რატომ? განა ვიცოდი! დღეს ყველაფერი დავკარგე, ჩემი სახელი ამოიშალა მეგობრების ხსოვნიდან და თუ მომიგონებენ – უთუოდ ცუდათ, საშინელი სიცივეა, მაგრამ სულში უფრო ცივა. სასოების ხეზე შემომჯდარან ყორნები და ჩხავიან. ისედაც გაცივებულ სულს საფლავის სიცივეს გვრის მათი ფრთათა ბარტყუნი... მე მიწას არ ვაპატიებ, რომ შენს ფეხებს კოცნის, მე მზის სხივებს არ ვაპატიებ, რომ შენს სახეს დაქათქათებს.

ახლა კი ვინ იცის, სად არის? მეტი აღარ შემიძლია, ჩვენ ხომ შვილები ვართ საშინელებისა და სიკვდილისა!..

VI. 29 მაისი.

...კიდევ ერთი თქმა და დასრულდა ჩემი მატინე. აწი კალამს აღარ ავიღებ ხელში. საშინელია მარტოობა, მერე მაშინ, როცა ღამის ყრუ დუმილთან შეითქმება და სულს ეჭვების ქსელში გააბამს.

...მე მიწას არ ვაპატიებ, რომ შენს ფეხებს კოცნიდა...

შენ კი, მეგობარო, დალოცე მიწა, რომელიც ჩემს გულს გააცივებს... გამოფენაზე ჩემს სურათებს უთუოდ ვერავინ ამჩნევს!

იქნება სთქვას ვინმემ: მკვლელის სურათებიაო! ბალზაკმა თქვა: „ყველა გაუცნობლათ ვკვდებით, დიდება – მზეა მკვდართათვისო“.

შეეძლო განა ბალზაკს ასეთი საყვედურის თქმა?
ნუ კრთი, სულო, ყოფნის ყორანმა თავზე დაგვჩხავლა!
არაოდესო!

...თითქოს გონდოლიერის სიმღერა მესმის, მაისის „სერენადებს“
მღერიან. მარო! მე მიწას არ ვაპატიებ, რომ შენს ფეხებს კოცნის,
შენ კი დალოცე, ვინც ჩემს მგზნებარე გულს გააციებს...

„დამადვეს მე, ვითარცა ბეჭედი გულსა ზედა შენსა, მკლავსა ზედა
შენსა, რამეთუ ფიცხელ არს, ვით სიკვდილი და ჯოჯოხეთის შური –
სიყვარული“... მე ამაზე გავჩერდი. მინდა, კიდევ წავიკითხო დაბადე-
ბა, კიდევ კარგი, რომ თან წამომყვა. „რა სარგებლობა აქვს ადამიანს
ყველა თავის შრომისგან, რომელზედაც მზის ქვეშ მუშაობდა... მოდ-
გმა მიდის, მოდგმა მოდის და მიწა სდგას. ისევ ამოდის მზე, ჩავალს
მზე, უბრუნდება ისევ თავის ალაგას. რაც იყო, ისევ იქნება, რაც
ხდებოდა, იგივე მოხდება. არა არის რა ახალი მზის ქვეშე – გარდა
ამაოებისა და სულის აღრჩევისა“. მე ეკლეზიასტი მეფე ვიყავი...

[1911]

კოლხიდაში

(პატარა პოემები პროზად)

I. მოგონება

„არ არის რა მასზე ცუდი, როგორც მოგონება განვლილ სიამისა უამსა სიმწუხარისო“.

გახსოვს, მეგობარო? ჩვენ ერთად ვკითხულობდით ამ სტრიქონებს. მაგრამ შენ უკვე ყველაფერი დაივიწყე. არც ის ღამე გახსოვს, ჩვენთან რომ სტიროდა ღამის სიჩუმე.

ჰო, ქალის გულში მალე ჩაჰქრება ცეცხლი, როცა დაესხმის წყალი განშორებისა.

ანი ვინ მოისმენს, ჩემთან მენავეს მხიარულ მაისის სერენადებს? ანი ვისთვის შეეკონო ყვაველები, ნუ თუ მისთვის, რომ ხელში ჩამაჭკნეს? რა საცოდავად სტირის ტბაზე დახრილი ტირიფი, ალბად მაშინაც ასე სტიროდა, მაგრამ მე ვერ ვამჩნევდი.

ისევ ძირს დაუშვია ტოტები ძენნას, მაგრამ ანი ხომ არ დაფარავს ჩვენს მორცხვ კოცნას და როგორც ერთხელ ებრაელები ჰკიდებენ მასზე გაუქმებულ ჩანგს, მეც მას ვანდობ უკანასკნელ ნაშთს ჩემი ტრფობისას, კვნესას სულისას...

სად წადი, სადა?

რად ჩამოხადე სულს სინმინდის ბადე, თუ კი შენ სულს სიცრუის ნილაბი აკროდა?

მაგრამ მაინც მიყვარხარ, მისთვის, რომ არ შემოძლია, არ მიყვარდე. ისევ იმავე სასოებით მოვისმენ შენ ცბიერ სიტყვებს, მდინარის ტალღები რომ გაიმეორებენ.

როგორც ბუდას ლანდი სცხოვრებდა მღვიმეში, ისე იცხოვრებს შენი ხატება გულში, სანამ მგზნებარეს სიკვდილის ცივი კოცნა გააციებდეს.

დეე, ცრემლს მანვიმებდეს ეს მოგონება, მე მიყვარს ის, ვით საფლავი იმ დღეებისა, რომელნიც ანი არ დაბრუნდებიან, ვით სამარე გვირგვინ მოხსნილ სინმიდისა.

II. შუალამისას...

შუალამისას... მახსოვს, ბავშვი დედის კალთაში ვლოცულობდი.

– განა ვიცოდი, რასაც ვამბობდი?

მე ვიმეორებდი დედის სიტყვებს, რომელნიც ჩემთვის უღმერთოთაც წმიდა იყო... და თავზე დამნათოდა მკრთალი მთვარე, თით-

ქო ჩემსავით ისიც ლოცულობდა შუალამისას, ჟამსა ყრმობისას. მე ხომ პოეტი ვიყავი და მიყვარდა. მარადისობის ნანად მესმოდა პირველი სატრფოს სიტყვები, ბედნიერებით გაბრუებული ლოცულობდა სული, დუმილი იყო ჩემი ლოცვა, მაგრამ წმიდა იყო ის, ვით კოცნა ქერუბიმისა.

...და მაშინაც თავზე დამნათოდა მკრთალი მთოვარე, თითქო ჩემსავით ისიც ლოცულობდა.

როგორც სიზმარი, მწყემსის ზღაპარი, გაჰქრა ის გრძნობა. შავ ძაძებში გამოხვეული სულს არ ასვენებდა მარტოობა, უდაბნოს ალტობდა ჩემი ცრემლები და შუალამისას ზეცა ისმენდა ჩემგან წყევლას.

...თავზე კი დამნათოდა მთვარე. თითქო ეხლა ჩემთვის ლოცულობდა.

III. ლოცვა

შემოქმედო, შენ, ვინც არყოფნის ღამეში გაანათე ჩემი ცხოვრების ჩირაღდანი, რომ უკვალოდ გამქრალიყო, შენ, ვინც შექმენი ედემი, რომ ჩვენ იქიდან გამოგვეყარე, შენ, ვინც ალგვითქვი ბედნიერება და გზა მისდამი, ვით აფთართ კვალი ხეობაში ჩვენი ძვლებით მოკენჭე, მომაპყარ ყური. ლოცვა მსურს, ლოცვა...

„მრწამს, უფალო! დაეხმარე, ჩემს ურწმუნობას“, სულს საუკუნეთაგან ტანჯულს, ნანამებს ენატრება სასნაულები.

ერთგვარი განცდით ის ვერ იცოცხლებს.

მოსწყინდა მუდამ ერთ სახეობა.

ცრემლის უდაბნო... ცრემლის ხეობა.

მწუხარ ღამეს გამოღვიძებულს ქარმა მახარა, რომ ვნახავ მე მზეს, შვების სიმბოლოს.

სულს სურს უყვარდეს – თითონ იგი სიყვარულია.

სულს ენატრება სასნაულები...

IV. ყოფნის გზა-ჯვარედინზე

ყოფნის გზა-ჯვარედინზე შევხვდით ჩვენ ერთმანეთს, სულს ჯერ კიდევ არ ეგემა ყოფნის ვაება, ჩემთვის ჯერ კიდევ არსებობდენ ანგელოსები, მაშინ მე მრწამდა. დღეს კი ურწმუნოს, ვინ მანუგეშებს, ვინ შეაშრობს ცრემლს ჩანგისა სიმებს? წარსულ სიზმრების ჩაჰქრა ვარსკლავი, სულს ცოდვილს უბედურის ოცნების საბანში მძინარეს სძლია ყორანმა, დაჩხავლა თავზე. სევდის ავგაროზში გამოხვეული ჰკრთება, კანკალებს.

ყოფნის გზა-ჯვარედინზე შევხვდით ჩვენ ერთმანეთს.

ობ! რად სწავდა, რად ტუჩებს ის კოცნა, თუ ცხოვრების გენია მზაკვრულ ხითხითით მოსწამლავდა მთელ ჩემს სიცოცხლეს?

რა იქნა სახე მშვიდი ნარნარი მგოსნის ოცნება... მგოსნის სიზმარი, ცხოვრებით დაღლილს მის კოცნა მსურდა, მაგრამ ღმერთს ჩემთვის ისიც შეშურდა. ყოფნის გზა-ჯვარედინზე შევხვდით ჩვენ ერთმანეთს, რომ განვშორებოდით... მშვიდობით იყავ კურთხეულ... შენზე მლოცველი, შენ არ დაგწყევლის...

V. სიჩუმის დემონი

– Есть тихий часъ всемірнаго молчанія – ამბობს პოეტი.

ეს ის ჟამია, როცა ყველას სძინავს და გულ-გამკრთალი მიწა ლოცულობს ცის სიჩუმეზე, მოჯადოებულ ხომალდებს ნანას უმღერენ ოკეანის ზვირთები, მთვლემარე ეთერს კოცნის ყვავილთა მტვერი.

ეს სამსხვერპლოა... მწუხრის სამსხვერპლო და ზედ მიიტანება მოთქმა მწუხარ ღამეს გამოღვიძებულთა, რომელნიც დამამვრალ თვალებს ვერ დახუჭავენ.

მწუხრის ბინდი და მარტოობა შეითქვენ.

დავინყებულ სამრეკლოდან ისმის ხმოვა სიჩუმის დემონისა. ის ავსულებს უხმოვს სისხლის ორგიაზე, ის საუკუნო მცველია საფლავებისა, მაგრამ ეხლა მკვდრებს კი არა, ცოცხლებსაც სძინავთ.

ჟამი ჟამს მისდევს, დროს სცვლიან დრონი, მხოლოდ უკვდავი არის დემონი.

ყრუ დუმილში ყრუდ ისმის სიჩუმის დემონის სევდიანი ზარის რაკუნი, ის ავსულებს უხმოვს საიდუმლო სერობაზე, რომლის დარაჯი დუმილი იქნება...

VI. კოლხიდის ცის ქვეშ...

– ჩემო კარგო, ვერსად ვერ ნახავ შენ სხვა მხარეს, ისე რომ ენათესავენოდეს მოღლილ სულს, როგორც ჩვენ სამშობლოს.

იცი, რას მოუთხრობენ მდუმარე პონტის ზვირთებს ჩამავალი მზის სხივები?..

იცი, ცას რაზე ესაუბრებიან შავებში გამოხვეული კოლხიდის მთები?..

დაუგდე ყური მწუხრის დუმილში ფაზისის სევდიან დუდუნს...

დაუგდე ყური ქარიშხლის მწუხარე მოთქმას და ვნებიან ძახილს...

და იქ ამოიკითხავ ნაღველით ნაქსოვ, მწუხარებით მოქარგულ პოემას.

არ შეგაცდინოს ნათელ ღამეში კოლხიდის ცაზე ვარსკვლავთა ციმციმმა, განა ხანდისხან ჩვენ მგლოვიარ ტუჩზედაც არ გაჰკრთება ხოლმე ჩუმი ღიმილი?..

დადუმებულ ქართლოსის ჩანგს გლოვობს კოლხიდის ცა...

მომხდარ სიმებისგან გამოცემულ უკანასკნელ მელოდიას აუქვითინებია კოლხიდის მთები და მიტომ დგანან ასე მწუხარებაში გაქვავებულნი.

ნუ გაიცინებ, შენი სიცილი შეურაცხოფს ბუნებაში გაქნილ სამარადისო სევდას.

კოლხიდის ცის ქვეშ დამარხულ ბედნიერებას დასტირის წყალზე გადამდგარი მდუმარე ტირიფი.

კოლხიდის ცის ქვეშ გამქრალ თავისუფლებას დასტირის თმა განწილი კოლხიდის ასული. შენ მეკითხები, რისთვის მიყვარს მე კოლხიდის ცა?

მისთვის, რომ მის ქვეშ უნდა დაიმარხოვ ფერფლი ჩემი ცოდვილი სულისა.

შენ მეკითხები, რისთვის მიყვარს მე კოლხიდის ცა?

მისთვის, რომ იქ სდგას კუბო პირველი სიყვარულისა...

VII. Epypsichidion

ჩემი სული პეპელას მიაგავს, რომელმაც იგრძნო სიკვდილის მოახლოვების წუთი, გაურბის ყვავილებს და ცეცხლის კოცონს თავს დასტრიალებს; ალის ნაკადულში დაიბანა ტანი, იგრძნო სიკვდილი და სიკვდილში ნეტარების თასი დასცალა.

ჩემი სული ალბატროს (ქარიშხალს) მიაგავს, თვალ უწვდენელ ზღვის სივრცეში რომ მისდევს გემის იალქანს.

საყვარელო, ნუ უფრთხი ჩემს გრძნობას, რა გენაღვლება, რომ შენს კალთაში დაიწვას ჩემი სული!..

ვინა სთქვა, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს?

მე შემოდგომის გრძელ სევდიან ღამეებში გამოვაქანდაკე ყოველი ნაკვთი შენი სხეულისა, იმიტომ რომ სული ეხლაც ინახავს შენ ღვთაებრივ ნაკვალევს.

მე რა ვიცოდი სიმღერა! თუ ვიმღეროდი, ეს შენი ხმა მესმოდა ჟამის უფსკრულიდან.

ჩემი ლექსის ყოველი სიტყვა შენგან გაგონილი ჩამინერია.

ვინა სთქვა, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს?..

დილის რიჟრაჟზე ამომავალი მზის სხივებისგან მოვქსოვე დიადემა.

მძინარე ჟამს მოვსწყვიტე გულის წიაღში დაგუბებულ ნაღველზე გაზრდილი სევდის ყვავილი, საყვარელს მინდა გადავსცე, საყვარელს!..

– გაფიცებთ, თქვენ, ასულნო კოლხიდისანნო, არ გინახავთ ჩემი სატრფო, არ გინახავთ?..

ის განთიადს მთის ყვავილზე მოციმციმე ნამზე უფრო ნაზია.

ის ნილოსის ნაპირზე ამოსულ ლერწამზე უფრო ტანადია.

მის თვალეში ოცნებას აკვანი დაუდგამს.

მდუმარე ტბიდან რომ მტრედი აფრინდა, მასზე უფრო ნაზია მისი ტანი...

– ყრმაო, შენ ეძებ ლანდს, რომელიც შენთან არის, – მეხმაურება მინის სული.

– ვიცი, ვიცი, რომ ჩემთან არის ლანდი, მაგრამ, მინის სულო, შენ გეკითხები, არას დროს არ შეისხამს იგი სხეულს სინამდვილეში?..

VIII. შენ, რომელიც მიყვარდი...

საყვარელო, შენ, რომელიც მე მიყვარდი, მაგრამ რომელიც ეს-ლა აღარ მიყვარხარ, ნუ დამწყევლი, მაპატიე, გაფიცებ პირველ შეხვედრის წამებს, პირველ კოცნის ცოდვას, მაპატიე...

საყვარელო, ვინ არის დამნაშავე, რომ შენ გული გქონდა მტრედისა და მე კი დემონის ნანით აღვიზარდე, ჩემი სისხლი დაუშრეტელი ცეცხლით ინოდა?

საყვარელო, ვინ არის დამნაშავე, რომ ცამ მე მომცა სული ზექვეციური და შენ მიწიერ სულს გადააჭლო.

ჩვენ შეცდომით შევხვდით ერთმანეთს ყოფნის გზაზე, რომ მალე დავშორებოდით.

ნუ დამწყევლი, თუ კიდევ ამჩნევია შენს ლოცვას ჩემი კოცნის ალი.

ნუ დამწყევლი, თუ კიდევ არ დაგვინყებია ჩვენ ხვევნათა სიგიჟე...

X. პირველი სევდა

...ერთხელ შემხედა მან, მხოლოდ ერთხელ იმ შეხედვით, რომელსაც ნაპოლეონი ცეცხლით მონათვლას უძახდა.

პირველად ვკითხე მაშინ სამშობლო ცას, სად წავიდა ჩემი ბავშობის ღხენა და პირველად დატოვა ცამ უპასუხოთ ჩემი კითხვა.

სად არ ვეძიე, სად, მე ის ღიმილი და ბოლოს დავრწმუნდი, რომ იგი არ განმეორდება, როგორც გვირგვინ მოხსნილი სინმიდე.

...და ჩემს სულს ეწვია პირველი სევდა. პირველი სევდა, ბინდიანი, როგორც ოხვრა შუალამისას ლიბანის მთაზე კედრისა.

ნაღვლიანი, როგორც სიმღერა ყვითელი ქარვის ფოთლების შემოდგომის ქარიშხლის ფრთებზე მოცეკვავეთა...

მონყენილი, როგორც წეროების უკანასკნელი ძახილი.

პირველად მამამ ამოიკითხა ჩემს თვალეში სევდა, როცა ჭანდრაკს ვთამაშობდით და მაშინ მივხვდი, რომ წარსული სევდამ მოქარგა და უხილავი ჯაჭვით გადაება მას მომავალი.

ჩემი სევდა მიაგავს სევდას ლეგენდის მოქანდაკისას, მარმალლოს რომ ენა ასწავლა და ბრინჯაოს სიყვარულის ალერსი, მაგრამ ერთხელ რომ ძლიერ პირდაპირ შეხედა მზეს და შემდეგ მოჯადობულს არ შეეძლო მარმალლოზე ნაგრძნობის გადატანა და ამაში იყო ნათელი ტანჯვა მისი სიცოცხლისა. ერთხელ შემხედა მან, მხოლოდ ერთხელ იმ შეხედვით, რომელსაც ნაპოლეონი ცეცხლით მონათვლას ეძახდა.

პირველად ვკითხე მაშინ სამშობლო ცას, სად წავიდა ჩემი ბავშობის ღებნა და პირველად დატოვა ცამ უპასუხოდ ჩემი კითხვა...

XI. ყოფნის აღთქმა

დაფიქრებულხარტ როდისმე, რაზე მღერის ქარიშხალი შემოდგომის სუსხიან ღამეს, როცა დახურეთ დარაბები, რომ არ გაიგონოთ მისი ქვითინი, მაგრამ მაინც გესმით სახლის სახურავზე გამხმარი ხეების ტოტების ცეკვა, რომელნიც ჯადოქარ-ქარიშხალს ფერხულში ჩაუბამს?..

დაფიქრებულხარტ... გაიგეთ კიდეც, მაგრამ მაინც არ გინდათ, რომ გაიგოთ, რადგან ის მღერის იმ ზვიად ველურ ვნებაზე, რომელთანაც ჩვენი ვნება ბავშობა გამოჩდება. და თქვენ გრცხვენიათ თქვენივე ბავშობისა.

ქარიშხალის სიმღერა გამოძახილია საუკუნოებში დაკარგული რომაელ სარდლის სიმღერისა, რომელიც მოგებულ ომის შემდეგ ფალერნის ღვინის თასზე ანაკრეონის სიმღერებს მღერის. ალერსის ლოდინში თრთის მხევალი და აქცევს ღვინოს... ქარიშხლის სიმღერა გამოძახილია ომიდან დაბრუნებული ამორძლების სიმღერისა, რომელთა სისხლით დათქვირულ ცხენებმა შაფრანის მთვარის სხივები მენამულ ზენარში გამოხვიეს.

ქარიშხალის სიმღერა – სუნთქვაა ცოდვის სარეცელზე ვნებით მთორვალე კლეოპატრასი და ურიასტანის მიდამოებში დაკარგული სულამიტის საქმროს ძახილი...

დაუგდეთ ყური... განა არ გესმით...

შავ-ბნელ ღამეში, როგორ გულმწვავეთ უკივის იაზონს მე-
დეა, იცის, რომ შორს არის, მაგრამ მაინც ეძახის, გული ვერ იტევს
გრძნობის ნიაღვარს.. შავ-ბნელ ღამეში პონტოფრეს ცოლი ელის
ყრმა იოსებს ნილოსის ლერწმებში...

ქარიშხალი აცოცხლებს მითს... წარსულის ზვიადი ვნების სიზ-
მრებით რომ დაათროს ადამიანი.

ქარიშხალის ველურ სიმღერაში შენახულია დიონისეს მისტერიები.
დაუგდეთ ყური ქარიშხალს!..

დაივიწყეთ, თქვენივე თავი, საკუთარი და სხვისი შებრალება
დაივიწყეთ, ყველაფერი და ყველაფერს გაიგებთ.

მწყემსის სალამურზე უფრო ნაზია და მთით მომსკდარ ნიაღვარ-
ზე მრისხანე ახალგაზდა ტანში სიცილი სისხლისა.

ღვინო გამოიღია ფიალაში და სათნოება დაეცო სულს.

ყინვამ უსწრო მთებში გაზაფხულის წინამორბედს, მაგრამ აივ-
სო ღვინით ფიალა და გაზაფხულის დღესასწაულზე გვეძახის წინას-
წარმეტყველი:

ევონ, ოვოე სიგიჟის მოციქულს; გავიხაროთ, ჩვენთანაა იგი...

*ქ. ქუთაისი
მაისი, 1913*

გაზაფხულის დღესასწაულზე

ლექსი პროზად

...მე შენ გეძებდი, შენ გიხმობდა ჩემი სული...

მე ვაფიცვებდი აღმოსავლეთის ვარსკვლავთა კრებულს, გზა გაენათებინა უხილავი სატროფოსაკენ...

მე ვაფიცვებდი უკვდავ ღამეს, გრძნეულს საშინელებისას და სიყვარულის ქურუმს, რომ თავის ნისლიან წამოსასხამში გაეხვია ჩემი ლოცვა, ჩემი ვედრება შენთან მოსატანათ ჩვენი გაზაფხულისა.

მე შენ გეძებდი დღე და ღამე.

შენ შორეულს, შენ უხილავს ეძიებდა გზნება სულისა.

შენ ჩემთან იყავი განუშორებლად, როცა ცრემლებით ვრწყავდი მიდამოს, როცა უდაბნოს მრისხანე სამუმი ანიავებდა ჩემს იმედებს, ჩემს მისწრაფებათ, შენ ჩემთან იყავი ჟამსა მწუხარებისას, ჟამსა გლოვისას.

ჩემი გლოვა შენზე იყო...

და შენ იყავი ის გლოვა.

ყოველი ნაკვთი და გადასავალი ჩემი სულისა ინახავს შენს ღვთაებრივ ნაკვალევს, შენს ღვთაებრივ სუნთქვას, სამყაროთა ურიცხვ ლეგიონში ჩაქსოვილს.

შენთან მოდიოდა ყოველი გზა და ბილიკი მშვენიერების, ტაძრის სამსხვერპლოზე ეცემოდა ყველა ჩემი ცრემლი.

ქროლვით სერავდა ცას ჩემი ოცნება და კოლხიდის ცათ აყუდე-ბულ მთებს შენზე ეკითხებოდა.

მარადისობის ყრუ, დახშული კარი გაარღვია ჩემმა ლოცვამ, შეირყენ უკვდავების ბჭენი.

დღეს მე მსურს, მსურს ვიმღერო ისე, როგორც ჩემამდის არავის უმღერია, რადგან ეს სიმღერა შენზე იქნება.

შენ, ვინც ხარ დასანწყისი, ვისზედაც ლოცულობენ ვარსკვლავები. ღამის მდუმარებაში ყურს უგდებენ ჩემს სიმღერას მაღალი ნაძვები, ტოტები ცისკენ აუშვერიათ, თითქოს ისინიც ლოცულობენ...

ცა და ქვეყანა შეითქვენ, „მე ყველაფერში ვარ – ჩემში ყველაფერია“.

მე ვმღერი გაზაფხულის დღესასწაულზე:

ადონაის, ადონაის!

შეუნდე მოკვდავს კადნიერება, რომ შენ გეტოლება, მაგრამ ვით აღიდოს ღმერთი ადამიანმა, თუ თვითონ ღმერთი არ არის?

შენზე სიმღერაში... შენზე ლოცვაში მიდიოდენ ჩემი დღეები, ყველა მათგანი მე სიმღერით გავისტუმრე საუკუნეთა ოკეანეს, ყველა მათგანი გეტყვის ჩემს ლტოლვას, ჩემს ნატვრას.

სული ასცილდა საზღვარს, დავმარხე გლოვა, რომ ზედ ამეგო კოშკი ბედნიერების.

მე შენ გეძებდი, გიხმობდი.

დამადე თავი მკერდზე.

მე გეტყვი ზღაპარს, უკვდავ ზღაპარს სიყვარულისას, რომელსაც არა აქვს დასაწყისი და არც არასოდეს გათავდება.

მე ვნებით მოვექსოვ ეთერის ზვირთებს, რომლის ყოველი შეხება მოგაგონებს ჩემს სიყვარულს და ჩემს სიმღერას, გაზაფხულის დღესასწაულზე დანყებულს.

მე შენ გელოდი ისე, როგორც საქმრო სულამატის წმინდა სარეცელს...

ისმინე შეგების სიმღერა!

მე ჩანგი მისთვის მომცა ცამ, რომ შენზე მემღერა...

მე ბუნებამ მისთვის მომცა მგზნებარე გული, რომ შენ წინ დამეწვა, ფერფლად მექცია.

ჩვენ შვილები ვართ ბედისწერისა და გაზაფხულის დღესასწაულზე უკვდავებისკენ მიგვაფრენს ბედი.

[1911]

DE PROFUNDIS

*მეფედ მას ჰყავდა ანგელოსი უფსკრულისა,
სახელი მისი ებრაულად ავადდონი.*

აპოკალიპსიდან

გაფიცებ მოსვლას, არ გესმის, როგორ გიხმობს სული?

ოკეანეს გიჟ ტალღათა ცოფიან ყეფაში მოგესმება შენი სახელი. ქარიშხლის ქვითინით მოთქმაში გაიგონებ იმ ბგერას, რომლის უნ-მინდესი სატანას ჯერ არაფერი გაუგონია.

სულისა სარკვე! შენ, ვინც არყოფნის ღამეში გაანიავე ჩემი სიმ-შვიდე.

შენ, ვინც ჩემი სულის სიმებისაგან ამომხდარ ტანჯვის ძახილი, სათაელს ესაუბრები.

შენ, ვინც ჩემს სულში დაანთე ცეცხლი გაუქრობელი და მოს-ნამლე ჩემი სისხლი არაადამიანური სწრაფვა-სურვილით.

შენ, ვინც მეზმანებოდი, მპირდებოდი უნახავ ლხენას, ვის ცო-ფიან ნიაღშიც სულმა გრძნეულის სასმელით თრობილმა, შეშლილო-ბის ბურუსში ხვეულმა დაჰარგა ძლიერება და სინმინდე.

სულო სულისა, ჩემ მფარველ გენიად ჯოჯოხეთიდან წარმოგ-ზავნილო!

გაფიცებ მოსვლას!..

ისევ გულმკრთალი გელის მიდამო, რომლის ქალწულებრივი კდემამოსილება ჩვენმა კოცნამ შეურაცხჰყო.

ისევ ძილგამკრთალი გელის პანი, რომლის ნირვანის შვილის ძი-ლი დაარღვია ჩემ კოცნამ.

ისევ დასტირის ჩვენს სიყვარულს ღამის ბინდში მჭმუნვარე ძენ-ნა. როგორც ის ვერ ასწევს თავის ჩამოშლილ ტოტებს, ისე არ მიე-კარება სულს, ადონაის, ადონაის!

მე იჭვი შემიდის შენს ყველაფრის ცოდნაში. რად არ იცოდი, რომ ადამიანს ღმერთად ჰქმნიდა პირველი კოცნა სიტყვა სულისა და ცნო-ბის ხის ნაყოფი კოცნამ მოწყვიტა?

მაგრამ ვინ იცის, შენ იქნებ არც კი გინდოდა ქალი ასეთი შეგექ-ნა, მაგრამ მან გაჩენაშიაც მოგატყუა...

გაფიცებ მოსვლას! მე შენ არ გიცნობდი, ისე მიყვარდი, შენ იყავ ჩრდილი ჩემი ცხოვრებისა, მე შენ გეძებდი, შენდამი იყო ჩემი ლოცვა, ჩემი ვედრება.

შენ არ გიცნობდი, ისე მიყვარდი, რადგან მაშინ სულმა არ იცოდა ტანჯვა. განა თვით არ გაუთხარე ლტოლვათ საფლავი, რომ სამარიდან კვლავ აღმედგინა?

მე შენში მიყვარდა ჩემივე სევდა.

ჩვენ შევხვდით ერთმანეთს ყოფნის გზაჯვარედინზე და უნდა გავშორებოდით...

მე ბევრი დავკარგე დაკარგულის, შორეულის ნახვით.

– ნუ ისმენ, ნუ, ჩემს ძახილს!

ეს ჯოჯოხეთიდან ღალატია სულის ტანჯვით მოკლეულის და განწირულის. ნუ მოხვალ, ნუ, თორემ გული ვნებით მგზნებარე, ცეცხლის სული დასწავას, დათუთქავს, ფერფლად აქცევს შენს ყინვით ნაკვეთ მკერდს.

მე უშენოდაც მიყვარება ის, რაც შენში მიყვარდა, რადგან არ შეუძლია სულს, სიყვარულით მოღლილს, მოქანცულს სიძულვილი.

მე ტანჯვისაგან შევჰქმენი ხელთუქმნელი ტაძარი, რომელშიც ჩემ მეტი ვერავინ შევა სოფლად შეჰქმნილი. შიგ ასვენია კუბო პირველ სიყვარულისა, უკანასკნელი ტრფობისა ნაშთი. ეთერის მთვლემარე ზვირთები უმღერიან „ან განვასვენეს“ და ჩადრში გამოხვეული მუდამ მწუხარე, ვით აღმოსავლეთის ლამაზი მხევალი, როცა თავის პატრონის სასახლეში ჩემად საყვარელს ემშვიდობება, მთვარე ლოცულობს მასზე. გადივლის გრიგალი სამუმი, რომლის მსახვრალი ფრთები არყევს ოკეანეს, უკან აბრუნებს მდინარეთ, მაგრამ არ შეირყევა არცერთი საფეხური ჩემი ტაძრისა. თუ ბედნიერ სიყვარულს შეუძლია სამყაროთა გუნდი ბედნიერების სხივით გაანათოს, უბედური სიყვარული ანიჭებს ძალას ტიტანისას და საშინელი კვნესა გაადნობს ხავსიან ლოდებს.

სულის კვნესა; დასაბამითვე ხომ ბუნებამ დამინერა, მუდამ ხეტიალში, შენზე ფიქრში უნდა წავიდენ ჩემი დღეები.

ბედისწერას უნდოდა, რომ მოგონებაც პირველ დღეებზე გადამექცოდა საფლავად.

ბედისწერას უნდოდა უდაბნოს ასპიტ გველივით ჩემი ცხოვრების მოშხამვა და გამოგზავნა შენს სატანის წამოსასხამში, სიკვდილის მოციქული. რატომ?

განა შეიძლება ამაზე პასუხი? რამდენჯერ დღისგან პირველი გაჩენისა ძრწოლვით შეკითხვბია შექმნილი შემქმნელს, მაგრამ მიუღია პასუხი რატომზე?

– ელვათა ნიაღვარი განერთხო ცაზე, დემონი იცინის ხალხის ტირილზე, ასწლოვანი ხეები კოცნიან მიწას, ტყის ნადირთა ზმუილს მეხი ეხმაურება და ფრინველი დაკოდლინი ცვივიან მიწაზე.

ეს დღეა რისხვისა.

მე კი ვიმღერებ ამ ქაოსში, მე ვიმღერებ დაღუპულ დღეებზე, დამარბულ სულზე. ბედნიერება კიდევ იქნება ჩემთან, სტირიან, სტირის უძღვევლი სტიქია, როცა მე ვიმღერი. ქარიშხალი გოდებს, მოსთქვამს, ოკეანის ტალღები ცას ემუქრებიან ჩამოქცევას, მდუმარედ სდგანან მაღალმთები და გაკვირვებულნი შესცქერიან ელვის გიჟურ ცეკვას, გველშაპის თვალივით რომ ანათებს ლამის ბნელში.

ჟამია, ჟამი რისხვისა. ზეცა მინაზე სჯავრობს, ტუქსვით ემუქრება და შურისძიებით გახელებული ნარღვნას უქადის.

ნუ მოხვალ, ნუ!

იყავ სასტიკი! მე მისთვის მიყვარდი, ნანად რომ მიგაჩნდა ჩემი გოდება. მიყვარდი მაშინ, როცა დახარხარებდი ჩემს ცრემლებს.

მე შენში მიყვარდა ჩემი ტანჯვა, ჩემივე გლოვა.

შენ ჩემ გულიდან დაიბადე ისე, როგორც მინეკრა იუპიტერის თავიდან. მე შენ განოვე ჩემი ტანჯვა.

შენ ხარ წინამძღვარი ჩემი ცხოვრების. ყოფნის უდაბნოში მე შენ მოგყევი, მაგრამ ვიცი, რაც მოგელის. ტყუილად კი არ მიყვარს მე ალბატროსი, როცა გიჟური ფრენით და სევდიანი ძახილით ხომალდს მისდევს.

შენ ხარ წინამძღვარი ჩემი ცხოვრებისა, ანგელოსი უფსკრულეზის! მეც ხომ ჩავიჩეხები უფსკრულში და აფთარნი გამოლრღნიან ძვლებს. მიყვარხარ, როცა შენით სიკვდილი მესაუბრება.

მე შენ არარისგან ღმერთად გაქციე, ყოველ გზაჯვარედინზე ნაიკითხავ შენ ჩემგან დანერილ სახელს, ყოველი მიკარება ეთერისა გახსენებს ჩემს სიმღერას, მასში ჩაქსოვილს, მე ცა და მინა შევაერთე, იდუმალი გავაბი სიმები, მაგრამ შენ რომ შეგეხო ხელი და შენდა საქებრად უკვდავი მელოდია მოგესმინა, აღარ დაინდე და დასწყვიტე უღვთოდ, უწყალოდ.

ღმერთად გაქციე – და მე კუბო ვარ შენი ღვთაებრიობისა.

შენ უჩემოდ აღარა ხარ, მოიცვილე ჩემი ოცნება და შენ იქნები მტვერი ჩემთვის.

ნუ მოხვალ, ნუ, იყავ შორეული, მიუკარებელი.

თორემ ვნებით მგზნებარე გული დაგწვავს, დაგთუთქავს.

...და ისმინე ჯოჯოხეთიდან ლაღადი სულისა.

ახალი ათონი
20 ივნისი, [1911]

ჟამის წყვდიადიდან

მინიატიურა

ჟამის ნიაღვარი განა დაშრება-დაილევა როდისმე?

ტყუილად ფიცავდა ანგელოსი აპოკალიპსში, რომ დრო შედგება და აღარ იქნებაო. ყური დაუგდეთ, მოისმინეთ ცხოვრების ზღაპარი, რას ლაპარაკობს ლერწამი ნილოსის ნაპირას.

...შავ ნავთსადგურთან სდგას შავი აჩრდილი სიკვდილისა და სცელავს ცხოვრების ყანას, ხმა ზღვევისა რღვევის ველური აღტყინებით ამინებს უფსკრულს... შეხეთ ქალიან ნაპირს, როგორ მრისხანეთ იცქირებიან ლოდები, რა უცნაურია მათი ხვრელები, ხავსის ქვეშ იმალება რალაც ალი. ნუ ფიქრობ, ის ციციანათელა იყოს. ისინი აქ შურისსაძიებლად მოუხმიათ და ისინიც მოსულან, მოსულან და წვანან აქ, ნაპირზე.

შეხეთ საფლავს, წყევლის ბეჭედი რომ აზის, აქ ასაფლავია ის, ვისი თვალებიც ლალატით ბრწყინავდენ, ვის ტუჩებს ყველასათვის სიკვილი მიჰქონდათ, ვის გრძნეულ თმაში, როგორც ბადეში, ეხვეოდენ მამაკაცები.

კლეოპატრა, ნილოსის ნაპირას შენ ლერწამიც არ დაგივინყებს, რადგან არ არის ადგილი, რომ შენგან დაღვრილი სისხლი არ ეცხოს...

შუალამისას – ჯოჯოხეთში ტარტაროზი ჩამოჰკრავს ზარებს, ნილოსი მიყურდება, ლურჯი ზვირთები ძილს მიეცემიან და შესწყდება იზიდას სევდიანი მოთქმა, ქმრის კუბოს რომ ეძებს. მაშინ გაირღვევიან საფლავები და კუბოდან აღსდგება ცოდვილი დედოფალი. სარკოფაგსაც ვერ ჩაუკლავს მისი სილამაზე, ასე თუ არ იყოს, მაშ, მთვარემ რათ იბრუნა პირი? იქნებ რცხვენოდეს?! არა, მას მხოლოდ სიხარბით სტკივა გული. ბალახიდან ამოძვრა ცოდვილი ხირენა, ეს ხომ პონტეფრეს ცოლია, ჯერაც ვერ დაუვინყია ყრმა იოსები და სასახლისკენ იცქირება, მაგრამ ნანგრევებად ქცეულან სამეფო პალატნი, ნაღვლიანი ძახილით ჰაერს აპობს ბუ, ცივი და მწვავე ძახილი ნილოსის ლერწმებში დაბუდებულ ფრინველებს აფრთხობს, შორს ისმის ძაღლის ხშირი ყეფა და ცივ დუმილში იკარგება. ისევ ისეთი იდუმალებით გამოიყურება სფინქსი, ის არც ღამის სიჩუმეს ანდობს საიდუმლოს, ცად აყუდებული პირამიდები, თითქო გლოვობენ დანთქმულ დიდებას, გლოვის ძაძაში გამობვეულან და ცას სწყევლიან. სწყევლიან, რადგან მლოცველებთ არ მიუგავთ სახე, მჭმუნვარებაში გაქვავებულნი წყევლის აღთქმასა სდებენ.

თვალეებში შესცქერიან ერთმანეთს აჩრდილები. თითქო გაიგო მათი საფლავიდან ამოსვლაო, ლერწმებში გამოჩნდა აფთარი და მოთხრილ საფლავზე საშინლად ღმუის.

რათ არ ვგავარ მე მათ, ვის საფლავზედაც მოვსულვარ, განა მათ არ უყვარდათ სისხლის სუნი, როგორც მე? – საფლავის ქვებზე ჩამოჯდებიან, საკუთარ საფლავის ქვებზე და სტირიან მასთან. სტირის ჟამის სიმწარე, ცრემლები ღაპაღუპით ეცემა ქვებზე და ხვრელები კიდევ უფრო დიდდებიან – მაგრამ ამმონმა გაიღვიძა უკვე ცეცხლის ეტლში, მწუხრმა გადააძრო მიდამოს ნისლის საბანი და ღამის ფრთები უკანასკნელად შეიკუმშენ... შორს, მეორე ნაპირას მამალმა სამჯერ იყივლა და გაჰქრენ ლანდები...

ხედავთ ამ ლოდებს, როგორ საშიშრად აყუდებულან, რა უცნაურად ღრმაა მათი ხვრელი, დაუკვირდით შიგ ალი, ცეცხლის ალი ციალებს. არ გეგონათ კი ციციანათელა. ისინი აქ შურის საძიებლად მოუხმიათ და ისინიც მოსულან, მოსულან და წვანან ნაპირზე.

მაგრამ განა ცოდვილი დედოფლის დაღვრილი ცრემლი გადაბანს მისგან დაღვრილ სისხლს?

[1911]

თეთრი ღამე

ღურჯ ცის თაღს ხალივით გაკვრია იერუსალიმის გზა. თეთრი ღამე სამშობლო ცისა კოცნის მძინარე მინას.

ვნევარ ენგურის ნაპირზე და ყურს ვუგდებ გიჟ ტალღათა ცოფიან ყეფას.

მზეთუნახავის მოსატაცებლათ გამზადებულ ლეკებს შევადარე თოვლით ნაქსოვი კოლხეთის მთები. ღმერთო ჩემო, რა იქნებოდა, რომ მხატვარს შეძლებოდა ცოტათი მაინც მიმსგავსება ამ სურათისა, მაშინ ის ტილოზე სილამაზის უკვდავ სულს აალაპარაკებდა, მაშინ სამუდამოთ უკვდავყოფდა თავის სახელს, ქვეყანას გააკვირვებდა.

თეთრი ღამე სამშობლო ცისა, თეთრი, ვით გედი მდუმარე ტბიდან აფრენილი, ნათელი, როგორც ქალწულის ზმანება, როგორც ანგელოზის სიცილი...

ხეობაში დაიკარგა მონასტრის ზარის ხმა.

მეც მსურს, ვილოცო, როგორც ჯერ ჩემამდი არავის ულოცია.

უხილავი ლოცვით მიიღებს ენგურის ნაპირზე სიგიჟის სიმღერას.

უხილავი ლოცვით მიიღებს მარტოობის ველურ სიმღერას!

ს. ს. ს! – სისინებს ნიავი, თან რაღაც გაუგონარ სიტყვებს მეჩურჩულება.

ეს ალბათ სახელებია ახლა დავინწყებულის და ოდესღაც კოლხეთის ჭალებში მოხეტიალე ღმერთებისა.

დუ, დუ, დუ! – მედუდუნება გიჟი ტალღა და მაგონებს სიყვარულს, რომელიც დიდხანია ლეგენდათ იქცა.

მწუხრის ბინდი შევიდა სულში.

მწუხრის ბინდი, როგორც სასძლო ჩაეკონა ჩემს სულს...

დავემხე პირქვე და ავქვითინდი.

თეთრი ღამე სამშობლო ცისა ფრთებზე მოისხამს მარტოობის ცრემლს, მარტოობის ველურ სიმღერას.

სამშობლო მინა ერთხელ მაინც დაფიქრდება – რისთვის არის უბედური მისი ღვიძლი, როცა იგი დღესასწაულობს.

სამშობლო მინა შეხედავს, როგორც მორთავს თეთრი ღამის კაბას მგოსანი შავი კაეშნის არშიით.

ახალი ათონი

[1912]

COR ARDENS

გაგიგონია ოდესმე გედის სიმღერა, სიკვდილის გრძნობის მძიმე ჟამს რომ იმღერის.

რათ არის ნაღვლიანი მისი მოთქმა?

რისთვის თრთის ისე გული!

სულს მოსწყურდა დაუბრუნებელის დაბრუნება, უმთვარო ღამეს, მდუმარე ტბაზე დახრილ ძენნას ემუდარება დაუბრუნოს სიყვარულის ეჭვი, იმედი, ტანჯვა.

მაგრამ როგორც ძენნა ვერ აწევს მტირალე ტოტებს, ისე არ განმეორდება ის, რასაც აზის ბეჭედი გაუსწორებლობისა.

პირველად შეხედა სიკვდილის წინ გედმა ჭეშმარიტებას, პირველად შეხედა და სიმღერით გაისტუმრა მომაკვდავმა უკანასკნელი ფრთა სიცოცხლისა.

მეც ხომ გედი ვარ სიყვარულის ტბაში მოცურავე...

ჩემი სიმღერაც სიმღერაა პირველად თვალ-ახელისა!

მე გწყევლიდე შენ?

მერე რათა?

მისთვის, რომ დაუცლელ თასს შხამი გაერია?

ასე რომ არ ყოფილიყო, მე არც კი დავლევდი მას.

მისთვის, რომ მპირდებოდი ქვეყნად სამოთხეს და ჯოჯოხეთის კარებთან ვიყინები?

სამოთხეს მისთვის აქვს ფასი, ვინც ჯოჯოხეთში ყოფილა, კურთხეულ იყოს ის ჟამი, როცა შენი ცფიერი ტუჩები ვნებით სწავადა ჩემს სახეს, კურთხეულ იყოს შენი ხვევნათა სიცხოველე, შენი ხვევნათა სიგიჟე!

უმისოთ მე არ მექნებოდა წარმოდგენა ცეცხლით მსუნთქავ ორქიდეების ბაღზე.

ნურავინ დასწყევლის თავის წარსულს, თუნდა იმიტომ, რომ იგი არაოდეს არ დაბრუნდება!..

ჩემი სიცოცხლის გაზაფხულზე, ჩემი სიცოცხლის დღესასწაულზე...

ცამ გამომიგზავნა სტუმრად ჭრელი გველი.

მკვლელო შორეულო, შენ რომელმაც ჩემს გულში აანთე ჩირაღდანი დაუცხრომელი გრძნობისა, ვინ შეაერთე დღეი და ხვალე, წარსულს და მომავალს მოგონების ქსელი გააბი.

იყავ კურთხეულ.

ასე გლოცავს გული ვნებით დამწვარი.

შეუძლია ქარიშხალს, არნივის ფრთებს რომ ეთამაშება, ღრუ-
ბელთ ქარავანს რომ წინამძღვრობს – ვისმე დაემორჩილოს?

შეუძლია ცისკარს – არ ბრწყინავდეს?

არც ჩემ სულს უნდა სიმშვიდე...

იყავ კურთხეულ, შენ, ვინც მასწავლე ტანჯვაში სიხარულის
ძებნა?..

[1912]

რა ვქნა, რა ვქნა...

ფსიხოლოგიური ეტიუდი

1

ქუთაისში, ვილაცამ რო მონაფეების ქალაქი დაარქვა, ახალგაზდობის ლაპარაკის საგანს შეადგენდა ლამაზი ლენა. თეთრი ყირმიზი, ღრმა შავი თვალებით, თითქო ღამე მძინარე ტბაზე ჩირაღდანი აუნთიათო, რომელთაც დიდხანს შერჩათ ერთი თაყვანისმცემელისგან მითვისებული ეპიტეტი „ეგვიპტის თვალებისა“, გრძელი და ხშირი ნამნამებით, რომელთაც ზედ გადმოდგომოდენ მოზიდული შვილდით მოლუნული შავი წარბები, ლენა ბევრ ახალგაზდას უფრთხოვდა ძილს და მათი სიზმრების მოუშორებელი თანამგზავრი შეიქნა. საღამოს ქუჩაში რომ გაივლიდა, აუარებელი თვალები მოსეირნეთა გაყვებოდა უკან და, საკვირველია, მას არასდროს არ აშლია ფეხი, თუმცა კარგათ ამჩნევდა მომართულ თვალებს. ამაყი, მღიმარე ის გავდა რომაელ სარდალს, სახელოვნად დამთავრებულ ომს შემდეგ ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს. ზოგიერთები და ნამეტნავად კი სოფლის დედაკაცები, ბაზრობიდან რომ შინ ბრუნდებოდენ, ვერ მალავდენ თავიანთ აღტაცებას და გულუბრყვილოთ პირში ნაულაპარაკებდენ:

– უი, დედა, შვილი მყავსო, ამის პატრონმა უნდა სთქვას! რა ქალია, შენი-ჭირიმი!..

ერთ ქალად მარტო მაგისი ტანადობა ღირს.

შურიანი ამხანაგები, რომელთაც მართლა ქონდათ საბაბი შურით ავსებოდათ გული, მასწავლებლებსაც სწამებდენ კერძობას, რადგან ლენა ყველაზე უკეთესს მონაფეთ ითვლებოდა.

– ყველა მაგას უდგება და რა გასაკვირია?! – იტყოდენ ისინი და მერე შეუდგებოდენ ლენას ძვირებს.

– გაადიდგულეს, აქებენ და ღმერთად მოაქვს თავი, ამხანაგებს არ კადრულობს, არაფრათ აგდებს.

– თქვენთან შედარებით მართლა ღმერთია, – ეტყოდა ამხანაგებს ლიზა, ერთად-ერთი გულწრფელი ამხანაგი ლენასი, – რაა, რომ შურით გისკდებათ გული, რა დაავალეთ, ახლა იმისგან რომ ითხოვთ, შურმა გაგასივათ და ყოველ ნაბიჯზე მის დამცირებას ფიქრობთ და იმისთვის ხომ არ ითხოვთ სამაგიეროთ ამხანაგობას. ის კი არ იტანჯება, აი, თქვენმა მზემ, მასე რომ ახირებიხართ ყველა, მაგრამ...

– გაკმიდე ხმა, შე მეტიჩარა, რომ არ ნამოეჩხიროს, არ იქნება... მოყვება პუტუნს, შენ თავზე გიჯობს დაიხედო, შე გომბიო, შენა... – ნაესეოდენ ლენას მოსარჩლე ლიზას ამხანაგები...

ლენა გორდაძის ასულს დედ-მამა ადრე მოუკვდა. თითქმის სულ არ ახსოვს. ობოლი სახლში წაიყვანა დედის მეგობარმა ქალმა – ლიდამ, რომელსაც ხელში ჩააკვდა ლენას დედა. უკანასკნელი სურვილი საბრალოსი იყო, კარგად მოეარა ლიდას ბავშვისთვის, უდებოდა არ დაეჩნია, ერთად-ერთი შვილის უბედურება საფლავში არ ჩაეტანებია ცოდვით.

– სამაგიეროს ღმერთი გადაგიხთის, სხვას ვერ ვანდობ ბავშს, შენზე ერთგული ვინ იქნება მისი, შენსავით, ჩემო დაიკო ლიდა, სხვა ვინ მოუარს!..

ლიდა სირაძისა სწორეთ დედ-მამის მაგიერობას უწევდა ლენას, ამას ისიც ამტკიცებდა, რომ ბავშს ობლობა თითქმის არ უგრძნინა და მუდამ მხიარულათ იზდებოდა უცხო ოჯახში. რადგან ლენას მამა პროვინციაში მასწავლელათ მსახურებდა, გიმნაზიაში მას უფასოთ ზდიდენ. შესაძლო იყო, სრულ სახელმწიფო ხარჯზეც მიეღოთ პანსიონში, მაგრამ ლიდამ არა ქნა, ერთი იმიტომ, რომ პანსიონს საზოგადოთ მწყრალი თვალთ უყურებდა, ისედაც ობოლ ბავშს თავისუფლებას და სიცოცხლის ნიშანწყალს დააკარგვიებნო; მერე თითონ მას ყავდა ლენას კბილა ქალი ლიზა და ერთად სწავლა უფრო გაუადვილდებოდათ.

რაც დრო მიდიოდა, ლენამ ისე შეაყვარა თავი ყველას ოჯახში, რომ მალე უმისოთ გაძლებაც კი არ შეეძლოთ – საყვარელი წევრი შეიქნა ოჯახისა.

ლიდას ყავდა უფროსი შვილი ვალიკო, რომელიც ლიზასა და ლენაზე ორი წლით უფროსი იყო, მაგრამ მაინც ერთად ათავებდენ გიმნაზიას.

გქელმა შემოდგომის ღამეებმა და ამ ღამეთ მოწყენილობამ აანთო პირველად ვალიკოს და ლენას გულში სიყვარულის ჩირაღდანი და გაიზარდა, გაიფურჩქნა უჭკნობი ყვავილი სიყვარულისა გაზაფხულის დღესასწაულზე.

რა აერთებთ მათ?

თითქმის არაფერი, ლენას მოწყენილ, მეოცნებე თვალებში მთელი სამყაროა გადაშლილი, სამყარო თავისებური ქრელი სიზმრებით მოქარგული.

ჟამის საზღვრების იქით უხილავს, მომხიბლავს უცინის ლენას თვალები.

ვალიკო არ არის ღირსი ლენას სიყვარულისა.

– აბა, როგორ გაიგებს ის ლენას სილამაზეს?! – იტყვიან გულდანყვეტილი ვალიკოს ამხანაგები, ლენაზე უიმედოთ შეყვარებულნი

და, როგორც ჩვევია თითქოს ყველა ადამიანს, სწვევლიან თავიანთ ბედს, რომელმაც გაყო მათი ერთად სასიარულო გზა.

ლენას ოცნებას საგანი უნდა.

ლენამ სხვას უნდა მოუყვეს თავისი სიზმრები, ნათელი, ქრელი სიზმრები, მისი გული გრძნობს ამის აუცილებლობას, დაე, ნუ გაიგებს, სულ ერთია, ლენამ უნდა გამოსთქვას, რაც გულზე შელელებია და ვერ იტევს და ახლოს ვალიკოა, ლენა ხედავს მაში მეგობარს, საყვარელს!..

3

უკანასკნელათ კიდევ მოსულან გიმნაზიაში მონაფე ქალები, რომ კურსის გათავების მონაშობა მიიღონ. ზოგიერთებს ჯერ კიდევ აცვი-ათ ფორმის კაბები, ზოგი თეთრებში გამონყობილა. თითქმის ყველა ალელვებუღია, რომ შორდებიან გიმნაზიის კედლებს, სადაც გადიოდა მათი ბავშობის ნეტარი დღეები, რომელნიც ანი არას დროს არ დაბ-რუნდება. ზოგიერთებმა იციან, რომ ბავშობა ჭურჭელია ღვთიური სი-ხარულისა და ცხოვრების ფერხულში ისინი დაკარგავენ მხიარულ სახეს. აგერ, დერეფანში ერთ ქერა გოგონას არც კი შერცხვენია ცრემლებისა და სტირის. ამხანაგები სიცილით ამშვიდებენ, მაგრამ თვითონ ძლივს მალავენ ცრემლებს, გულზე მონოლილი ალელვება ლამობს ცრემ-ლებში დაბანას, ემშვიდობებიან მასწავლებლებს, კოცნიან, თითქმის ყველას დაურიგეს მონაშობები, ლენა განგებ ჩამოტოვებს უკან, რომ მოელაპარაკონ. ჯერი იმაზეც მიდგა.

– ლენა, აბა, შენ იცი, ქორწილში თუ დამპატიჟებ, თუ არ და-ივინყებ შენს მასწავლებელს.

– მე, ბატონო, არ ვთხოვდები.

– ხა, ხა, ხა.. ასე იციან ხოლმე ქალებმა ყოველთვის, მაშ, არა, მე ვიცი, მოლოზნათ ნახვალ, არა, ხა, ხა, ხა!..

– მე, ბატონო, მასწავლებლათ მინდა ნავიდე.

– ტყუილია, ტყუილი, ჩემო კარგო; შენისთანა ლამაზი გოგონა და მასწავლებელი? ისიც ჩვენს დროში; მაგრამ შენ კარგი გვარიანი ეშმაკიც ყოფილხარ, გამოტყდი, არ გინდა, დამპატიჟო ქორწილში და ესაა, სხვა არაფერი!..

ლენას სახეზე ალის ფერმა გადაკრა.

– თუ დამიჯერებთ, მართალს გელაპარაკებით, სრულიათ გულ-ნრფელად, თუ არა და კიდევ თქვენი ნებაა.

– ვინ იცის, იქნებ მართალიც არის, გაიფიქრა მასწავლებელმა. მაგრამ ახლა ისეა დაშორებული გამზდელი გაზდელიზე, რომ მარ-თლა ვერც კი გაიგებს მის გულის საიდუმლოს!..

*

ბევრი ეხვეწნეს, ემუდარეს ლენას დარჩენილიყო ლიდას ოჯახში, მაგრამ გაჯიუტდა.

– ესეც მეყოფა, რაც ამდებხანს განუხებდით, ბარგათ განევით. ახლა მეც შემიძლია, ჩემი თავი ვირჩინო, რათ შეგანუხოთ?..

– გამოყრუებულები, ქალო, სოფელში, დაგლახაკებები. შენ კიდეც ბავში ხარ, რა შეგიძლია, იქ მოახერხო. შენ თითონ მოინდომე შენი თავის დაღუპვა და ეგ არის სწორედ. – ეუბნებოდა ლიზა ამხანაგს. ლენას შინაგანი ცხოვრება მისთვის დაფარული იყო, ვერ წარმოედგინა, რა უნდოდა ამ ქალს სოფელში, რომელსაც ყველაფერი უზრუნველყოფილი ქონდა, დაუმაძღვებელი მის ოჯახში. ლენა მაგრათ იდგა თავის გადანყვეტილებაზე, არ უნდოდა გადაეხვია.

ავვისტოში გაისტუმრეს ვალიკო უნივერსიტეტში. ლენა და ვალიკო თითქმის მთელი ღამე ლაპარაკობდნენ ოთახში წასვლის წინ ღამეს.

– ადამიანო, რა ამოიჩემე ამ სოფელში წასვლა, არც ისე ბავში ხარ, რომ ვერ მიხვდე, რა მოგელის შენ იქ, რა უნდა ქნა, რა უნდა გააკეთო გამოყრუებულ ხალხში, მაგის მოდა ოთხმოციან წლებში იყო.

– ვალიკო, ვალიკო, თუ ყველამ მასე დაიწყო სჯა, რომ სოფელი გამოყრუებულია და იმას ვერავინ გაანათლებს. ეს ხომ იმის მაჩვენებელია, რომ მუდამ წყვედიადმი იყოს სოფელი ჩაფლული. ეს საფრთხობელა მანამ იქნება, სანამ ერთი მაინც არ გაბედავს, ჩაეშვას ამ წყვედიადმი და შეიტანოს ნათელი სხივი. და მერე ხომ არიან ახლა ისეთებიც, განა ცოტა მუშაობს ახლა სოფელში. ნუთუ ისინი ხალხი არ არის, მათ არ დასჭირებიათ სხვერპლი, შენ ხომ კარგად იცი, რომ უსხვერპლოთ არ შეიძლება პატიოსნათ სამსახური სამშობლოსა და ხალხის წინაშე. მოიგონე, რამდენი შეენირა წმინდა სანთელად ხალხის კეთილდღეობას. დაგავინყდა, ჩვენ წინ რომ სისხლის მდინარე მიქროდა ამ სამი-ოთხი წლის წინათ? და სხვებს არაფერს ელაპარაკებოდეს ჩაფერფლილი კოცონი, მებრძოლთა ძვლებით ოდესღაც ანთებული. მე მიხმობს, მეძახის, და შემიძლია, არ წავყვე იმის ძახილს? ჩემი სული მე არ მეკუთვნის, ის სისხლიანი ნაკვალევს მიყვება. მე ვისწავლი აქ, ვიკითხავ, შენც იმაცადინე და მერე ანთებული ჩირაღდნით ხელში წავყვეთ ბედის ძახილს!..

ლენას თვალები ცეცხლით ენთებიან, მას დაავინყდა, ვის ელაპარაკება, მისი თვალები შორს მიყვება იმ ბინდიდან აჩრდილს, რომელიც არ ასვენებს მას ძილში და ცხადათ და წინ ეხატება ნისლში გამოხვეული დაღვრემილი სოფელი, რომელიც მას მოელის, ეპატიჟება. ფანჯარაში დილის სიომ ჩამოკრა, გააძრო შავი ტანისამოსი ხეებს და ცის აღმოსავლეთის კიდე მენამულით შეიღება...

ამაზრუნემა სიომ დაუარა ახალგაზდებს ტანში, სისხლმა იგრძნო განთიადი და გაიცინა. ორი ტუჩი, რომელნიც დიდხანს ელოდნენ ერთმანეთის შეხვედრას, შემდეგ არ სცილდებოდნენ. კოლხიდის ცის განთიადი იყო მოწმე მათი სიყვარულის ფიცისა.

ისინი დაშორდნენ ერთმანეთს...

4

პირველათ გული მოუკვდა ლენას, როცა შეხედა მწვივებ ჩამოტყავებული დაგლეჯილ, დანეწილ ტანისამოსში გამოხვეულ ბავშებს. როგორ არ შეეფერებოდა ერთმანეთს ტანისამოსი და მკვირცხლი, ცოცხალი თვალები, რომელნიც მიჩერებოდნენ მას. რა გინდა, რომ ამათგან არ შეიქნას, რა?.. ვინ იყო, რამე ჩააგონა და არც ისე შორს არი ჩვენგან ის დრო, როცა ცხვრებივით დასაკლავათ მიდიოდნენ სასხვერპლოზე და ლენას გულზე ტკბილი გრძნობა შენელდა, მან თითქო განჭვრიტა მომავალი და დაინახა მისი ნაყოფი. იმ დღეს შემდეგ, რაც ლენამ სოფელში ფეხი ჩამოადაგა, მისი შრომა არ შეწყვეტილა, მისი ჯამაგირი სხვაზე მიდის, ეხმარება ყველას, ამხნევენებს, უკეთეს მომავალს უხატავს.

– შაქარი ამოდის პირიდან, შაქარი. – იტყვიან გლეხები, როცა ლენა ლაპარაკს დაიწყებს. ლენას ავიწყდება ყველაფერი, ავიწყდება ვალიკო, თავისი თავი და მისი პირით წინასწარმეტყველი ლაპარაკობს, ეს არის მიზეზი, რომ სულგანაბული უსმენენ მას და ცთილობენ ერთი სიტყვა, უბრალო სიტყვა არ დაკარგონ... და მერე რაზე არ ლაპარაკობს ლენა? რაც უნდა უმნიშვნელო საგანზე ილაპარაკოს, საგანი ხორცს შეისხამს, ფერს მოიცემს, რა ლენა მას შეეხება.

ლენასა და ხალხს შორის გაიბა ნათესაური, პატივისცემის სიმეზბი, ტანჯულობა გულმა გაიგო, გულწრფელი გულის სხვერპლი და შეიყვარა.

– იკურთხოს მაგის შემქმნელი, ნათელი დაადგეს მაგის დედ-მამას! – იტყოდნენ გლეხები ბებერი ცაცხვის ქვეშ დამჯდარნი წირვის გამოსვლის შემდეგ, როცა ლენა ეკლესიიდან გამოვიდოდა, – ანგელოზია სწორეთ, ანგელოზი, – იტყოდა ბებერი პეტრე, სოფლის საპატიო პირი და ყალიონს მიწაზე დარეკდა, – თვალი დაუდგეს უწინდელ მასწავლებელს, იმანაც უნდა სთქვას – მასწავლებელი ვარო. მედიდური, ამპარტავანი...

– ღვედლო, ძან მასწავლებელი არ შეგვხვდა, – უთხრა ერთმა გლეხმა მამა ზოსიმეს, როცა ესეც გამოვიდა ეკლესიიდან დიაკონის თანხლებით და ხალხთან დაჯდა.

– ბედი გაქვთ, მამა და შვილო, მასწავლებელიც კარგი გყავთ და მოძღვარი სულ უკეთესი. – იხუმრა მამა ზოსიმემ და საერთო სიცილი გამოიწვია.

თავდავინწყებით მუშაობამ, შრომამ თავისი დალი დააჩინა ლენას. მუდამ მოცინარი მისი სახე, დიდი ხანია, გაცინებული არავის უნახავს. მის ისეც სევდიან თვალებში კაემანმა დაიბუდა: ჩამოხმა, დადნა, სადღაა უწინდელი ლენა? უწინდელ ლენას ვერავინ იცნობს, მის პეპელასავით ფარფატს ლენაც ძლივს იგონებს. ხანდახან მოდის ვალიკოსგან წერილი. ისინი ვერ შეთანხმებულან აზრებში, თანდათან ცალკევდებიან. ვალიკოს ბავშობის ფანტაზია გონია ლენას გულიდან ამოხეთქილი წრფელი სიტყვები ხალხში მუშაობაზე. ვალიკოს სიცილათაც არ ყოფნიდა...

ურჩევს ლენას, დაუბრუნდეს ქალაქს.

– თამაშობა კარგია ერთხანს, როცა გაგძლდება, სისულელეაო – სწერდა ვალიკო...

– სისულელეს უძახის ჩემს შრომას, ჩემი სიცოცხლის ერთადერთ საგანს. ღმერთო, როგორ დაუმტკიცო, როგორ დავარწმუნო, რომ ცთება. მას არ შეუძლია, ასე იფიქროს, არა... მე ტანჯვით ვიყიდე, ტანჯვით, ცხოვრების ეს გამოცდილება, არ შემიძლია, ვუღალატო აღთქმას... უამისოთ რა ფასი ექნება ჩემს სიცოცხლეს!..

5

გაზაფხული მოვიდა.

ლენა ხედავდა, როგორ მოდიოდა ეს გაზაფხული. ხშირათ იდგა ფანჯარასთან და ელოდა მის მოსვლას, როგორც არა დროს უწინ. მინა მთვრალია ნეტარებით, მაცოცხლებელი წვენი ყონავს მისი მკერდიდან და რაღაც უჩვეულო აღტაცება აწვება ტანს, თითქო გინდა, შეუყვირო: ზენაარსო, როგორ მოიფიქრე – ყველაფერი ასე მოგეწყოს! და ზენაარსიც იცინის, და მისგან ახალგაზდა ტანსაც სიცილი გადაედვა... მე ვარ უფალი, ფარველი შეყვარებულთა, იცინოდეთ, რადგან სიყვარულის ღვინოც იცინის ჭურჭელში. მარტოობა აძლევს შინაარსს ბუნებას, ობოლი სულის დედა ბუნებაა.

სალამოა. პირიმზეს ლაშქრათ გამოუნვევია დევები და ისინიც მოსულან იარალში ჩამსხდარნი და დარაჯობენ სამშობლო მინას. კავკასიონის მთების იალქანი მყინვარი ზეცას ესაუბრება სამშობლო მხარის უბედურებაზე.

ლენა ზის ენგურის ნაპირზე და ფიქრებს შორს გაუტაცია. მან ვერც კი შენიშნა, როგორ ჩავიდა მზე და მენამული გაეკრა ენგურის ტალღებს.

– რას ჩაფიქრებულხარ? – ეკითხება მოლიველივე ტალღები ლენას, – ცხოვრება განა ღირს იმათ, რომ მისთვის სტიროდენ... წამომყევ, ჩვენ მიგიყვანთ იმ ადგილს, შენ რომ გესიზმრება, განა ჩვენ არ ვიცით შენი სიზმრები, ჭრელი სიზმრები, მაგრამ ჩვენი ცხოვრებაც ხომ სიზმარია... და გიჟური კოცნით ეხვევა ერთმანეთს ტალღები. ლენა ცოტათი გამოაფხიზლა ნიავის კოცნამ შუბლზე. აილო გადაკეცილი წიგნი, მუხლებზე რომ ედვა...

წარველ წყლის პირსა სევდიანი...

გაიმეორა ამოკითხული, და მის თვალებზე ობოლი მარგალიტივით დაეკიდა ცრემლები. ეს უკანასკნელი შებრძოლება იყო – გრძნობით სავსე გულისა. ლენა დაიხარა, განერთხო მიწას და ემთხვია, სოველი ბალახი მოხვდა მის გულს, ნამი მის მკერდზე დატოვა. ცრემლის ნიაღვარი მოსკდა ლენას თვალებიდან.

რას დასტიროდა ლენა?

არც თვითონ იცოდა, მხოლოდ იგრძნო, რომ ეს ასე უნდა ექნა, თვარა მისი გული გასკდებოდა მოზღვავებული გრძნობით. რამდენი წმიდა, გამოუთქმელი გამოსთქვეს ამ ცრემლებმა. მის სულს წყუროდა სტიქიური ალტაცება.

– იპოვის? – იძახოდა ზარნაშო ლამის ნისლიან სივრცეში...

– ვერა, ვერა! – უპასუხებდა მეორე.

ჭრიჭინები ღამეც აგძელებდენ თავიანთ უზრუნველ სიმღერას: გაზაფხულს თავის დღესასწაულზე არა ყავს ჭრიჭინაზე მომლხენი, უდარდელი სტუმარი.

ნაპირზე მკაფიოთ გაისმოდა ჭიანურის ხმები. სიმები თრთოდენ და ახალგაზდა გულიდან მომსკდარი ნორჩი ხმა ლამის სიჩუმეს ესაუბრებოდა.

წარველ წყლის პირსა, სევდიანი ფიქრთ გასართველათ,

იქ ვეძიებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად,

იქაც ყოველი არე-მარე იყო მორწყული...

.....

ლენა გვიან დაბრუნდა შინ და იმ ღამეს პირველათ დაასველა ბალიში ცრემლებით.

6

საზაფხულოთ რამდენიმე კვირით ლენა ქალაქში წავიდა. ლიდას ოჯახში ლენას მისვლა ძლიერ გაუხარდათ. მთელი ოჯახი დღესასწაულობდა; ის იყო, ვალიკოც დაბრუნებულიყო.

– ხომ გითხარი, შვილო, რომ არ დაიჯერე. სადღაა შენი მხიარული სახე, დაავატიმყოფებულხარ, ფერი სულ დაგკარგვია. – ეუბნებოდა გულმტკივნეულათ ლიდა ლენას.

– არაფერია, ბატონო, მგზავრობამ დამალა, დავისვენებ, გამოვიძინებ და უწინდელი ლენა ვიქნები.

– ღმერთსაც უქნია, შვილო, ღმერთსაც, მეც ეგ მინდა...

ლიზა აღარ იყო სიხარულით ამ ქვეყნათ. უყვებოდა ლენას ქალაქის ამბებს და სამაგიეროთ ლენასგანაც ითხოვდა ამბებს.

ლიზას გულწრფელათ შურს ვალიკოს და ლენას ბედნიერება, რასაც მისი თვალები ვერ მალავენ; ლიზა სიკვდილს ირჩევს და ვერ წარმოუდგენია, რომ ლენა მისი რძალი არ იქნეს.

– ისევ იმ აზრს ადგახარ, ვალიკო? რასაც მწერდი, მე მართლა ახიერება მგონია; რომ იცოდე, როგორ მწყენოდა სოფელში, ავით გამხადა...

– სხვაზე ვილაპარაკოთ ლენა, ხომ იცი, აქ ჩვენ ვერ მოვრიგდებით.

– როგორ, შენ მართლა არ ხუმრობ, მართლა ამბობ?!

– ორი აზრი ამაზე არც შემიძლია ვიქონიო.

– და ის არაფერია შენი ფიქრით, როცა ძონძებში გამოხვეული ბავში დაინყებს ცრემლებით თვალებზე:

ცა ფირუზ-ხმელეთ ზურმუხტო,

ჩემო სამშობლო მხარეო...

– ეგ ჩვენი პატრიოტების ბოდეაა, უფლება მქონდეს, ავუკრძალავდი – ბავშვების ტვინი არ გამოელაყათ ამგვარი... რა დროს მაგაზე ლაპარაკია: ხალხი ყოველ დროს, რომიდან დაწყებული ჩვენ დრომდი, ვერ ამალლებულა და ვერც ამალლდება – პურის გარდა სხვა შეიგნოს და მე მგონია, ახლა ეროვნული იდეალების ქადაგება უნაყოფოა...

– როგორ, მაშ, შენ ბოდეათ მიგაჩნია საქართველოს ბედნიერებაზე ზრუნვა?

– ნუ მიიჩნევ, თუ გინდა, ასე კია.

– ეგ იქ გასწავლეს, რუსეთში? ლენა ცრემლებს ძლივს იკავებდა... რისთვის უყვარს მას ეს ადამიანი?

რაა საერთო მათ შორის?

არაფერი! და მაინც ძლიერია ლენას სიყვარული.

იმდენათ დამოუკიდებელია და ველური ის გრძნობა, რომ არ არის საზომი, რომელზეც ის გაიზომოს და არც სასწორი, რომლითაც აინონოს. არც ერთ კანონმდებელს არ გამოუგონია ჯერ კანონი, რომელსაც ის ემორჩილებოდეს.

ბნელ ღამეში დაიბადა სიყვარული და ბნელ ღამესავით წყვდიადა და გაუჭვრეტი საიდუმლო სახე მისი.

დაბრუნდა ლენა სოფელში, თავდავინწყებით მიეცა შრომის გაასკეცებას, რომ ჩაკლას სევდით გასიებული გულის ვარამი. გადანწყვიტა, დაივინყოს ვალიკო, არ იფიქროს მასზე, არაოდეს, მაგრამ სულელია ის, ვინც ფიქრობს, რომ მთიდან მოზღვაებული, დაგორებული ზვავის შეყენება შეუძლია ვისმე. შესაძლებელია, ის გზაში გაიყინოს, მაგრამ როგორც მზე დააჭერს, გალხვება და უარესი იქნება მისი მოზღვაება.

7

ორი წელია, რაც ლენა არ ყოფილა ქალაქში. ამ დროს განმავლობაში ვალიკოსგან ხანდახან იღებდა წერილს. ეტყობოდა, ვალიკომაც გაიგო, როგორ მოქმედობდა ლენაზე მისი ლაპარაკი და ახლა წერილების კილო შეცვალა.

– ვერ დავიჯერებ, ის რომ გამოიცვალოს, ალბათ მატყუებდა, უნდოდა სოფელში არ დავრჩენილიყავი და იმისი იყო ის ლაპარაკი, თვარა როგორ შეიძლება, ადამიანმა ისეთი აზრები გაივლოს გულში.

ლენას თითქოს ახლა აეხილა თვალები, და მიხვდა ყველაფერს, მისმა იმედებმა კიდე გაშალა ფრთები და გადანწყვიტა ქალაქში წასვლა... ვინ იცნობს უწინდელ ლენას, ეს ხომ მისი ლანდია. ავათმყოფი სახე, მოხრილი ტანი, გახუნებული კაბა...

– ეს როგორ იქნება ლენა გირდამი ქალი?! – ეუბნება ერთი სტუდენტი მეორეს სადგურზე.

– გავს კი ძლიერ. – ეუბნება მეორე.

– ასე როგორ გამოიცვლებოდა, თუმცა მართლაც კი ძალიან გავს.

*

მლოცველ რომაელ ქურუმებივით გაქვავდენ ლიდა და ლიზა, როცა ლენას შეხედეს.

– დედა!.. – გადაეხვია ლენა ლიდას. ლიდა ახლა გამოირკვა და ცრემლები წასკდა. ლიზა ხმამაღლა ქვითინებდა.

– რა დაგემართათ, ხომ არ მომკვდარა ვინმე? – შეეკითხა ხმის კანკალით დედა-შვილს ლენა და მისი ფერმკრთალი სახე ლურჯ კაბას დაემგვანა.

პასუხს არავინ იძლეოდა. ხმამაღალი ქვითინი გადაედვა ქალიშვილისგან დედას და უწყალოთ სერავდა ლენას გულს.

– არ იტყვი, რა ამბავია?.. – და ლენასაც მოადგა ცრემლები.

ამ დროს კარები გაიღო და შემოვიდა მაღალი, ქერა რუსის ქალი და რა დაინახა მტირალი დედა და შვილი, თან სტუმარი, რომელსაც ცრემლები თვალებზე გაყინოდა, მისმა სახემ სულელური გამომეტყველება მიიღო.

ლენა მიხვდა ყველაფერს. ეს ხომ ვალიკოს ცოლია.

იმ ღამესვე დაბრუნდა სოფელში...

მიქრის ღამე მატარებელი, მიქშუის, მიაქვს ხმაურობით ყველაფერი. ბუმბერაზი ხეები ჯადოქარი ქალებივით დავლურს უვლიან. ფანჯარაში თავი გაუყვია ლენას და იცრემლება.

– მერე რილათი ვიცხოვრო, რა ვქნა, რა ვქნა, რა!.. – და ყრუ ქვითინი დაიწყო ლენამ... მატარებელში საშინელი სიციხეა, თითქმის ყველას სძინავს.

Разлука, ты разлука,
Чужая сторона,
Никто меня не любить,
Лишь мать сыра – земля...

ჩუმი ხმით ლილინებს რუსი მგზავრი მუშა და მის ხმაში თითქო ტირილი ისმის.

სტირის ლენა ახლა. არ რცხვენია ცრემლებისა. შავი ღამე ისმენს დაღუპული, პირველი სიყვარულის მოთხრობას.

ქარიშხალიც თანაუგრძნობს ლენას: ისიც სტირის, მოსთქვამს და იხმობს ლენას, დაივიწყოს თავისი თავი, თავის შებრალება, უბედური სიყვარული და იმღეროს ველური სიმღერა მარტოობისა!..

26 ივნისი, 1912

მოლოდინში

(საახალწლო ფანტაზია)

ჩაიღველფა ცეცხლი ბუხარში, ალბათ მოწყინდა ღამე დარაჯობა. ზარმაც სხივებს ისვრის სანათი, ზაფრანის ფერ სხივებს, რომელნიც ბუხრის თაღზე ცეკვავენ და დავლურით ეგებებიან ახალწელიწადს...

სთვლემენ დახურული წიგნები სუფრაზე, არც ერთი ხმაურობა, არც ერთი ხმა არ არღვევს ღამის მყუდროებას... ისმის მხოლოდ ღამის ხმები, მუდამ ნაცნობი, მაგამ მაინც უჩვეული და უცნობი.

წელი თრთოლვა აწვება სულს, მოლოდინში ყუჩდება!..

– ვის ელი, სულო, ვის?..

– ვის შესტირი ამ სევდიან ღამეს?

მასხოვს, მასხოვს და არასდროს არ დამავინწყდება, მაშინ კიდე გაზაფხული იყო, როცა ვნახე ეს სურათი და თვითონ არ ვიცი, რათ ვიგონებ ახალი-წლის ღამეს. დილის ნისლის საბანი, ის იყო, გადაეძრო მიდამოს. მონასტრის ზარმა ცის სინათლეს მოასწრო და გათენება ახარა ხეობას. ვინეკი დანამულ ველზე და ყურს ვუგდებდი გაღვიძებული ენგურის სიმღერას. თავზე ვეებერთელა ძერამ გადამიარა. სხვა დროს, იქნება, ვერც კი შემემჩნია მისი თავზე გადაფრენა, მხოლოდ ჩემი ყურადღება მიიქცია მისმა საშინელმა წივილმა... იკლაკნებოდა ჰაერში და ისე მძლავრათ სცემდა ფრთებს, თითქო მთელი ცის თაღის სიმძიმე მას დასწოლიაო და უნდა, როგორმე ჩამოცილოსო... და მომაგონდა მაშინ მე დედის ნაამბობი, დავაკვირდი ფრინველს და აშკარად შევამჩნიე მის კლანჭებში გველი, რომელიც ძერას გულზე ეხვეოდა. საბრალო ძერა, გულს უშხამავდა გველი და გაცოფებული, ტანჯვისაგან გაგიჟებული მიქროდა, მიწიოდა სივრცეში, თითქო იქ ელის შველასო.

რამდენათ გავს ჩვენი ბედი იმ ძერის ბედსა! განა, ჩვენც მთელი ჩვენი სიცოცხლე გულით არ ვატარებთ გველს, რომელიც შხამავს ჩვენს არსებას, რამდენჯერ ტანჯვისაგან გაცოფებულს დაუკენესია გულს, რამდენჯერ შეკითხვებია შემოქმედს:

– რატომ, რისთვის?!.

მაგრამ თვითონ ადამიანი ეძებს ამ სასჯელს, თვითონ ადამიანს უნდა მოწამეობა. ნუ კითხავთ არწივს, რისთვის უყვარს მაღალი მთები, ნუ კითხავთ ქაბუკს, როცა ტანში ჟღინავს, იცინის სისხლი, რისთვის უყვარს?..

დაიცვლის არწივი მაღალ მთებზე ფრთებს, რომელიც, ვინ იცის, როგორ უყვარდა. ქარი გაინიავებს მათ და შემდეგ არწივი რომ ნახოს სადმე, ვერც კი იცნობს თავის საკუთარ ფრთებს...

რათ არ შეგვიძლია, რათ, ჩვენც ასე?..

– ვის ელი, სულო, ვის?

– ვის შესტირი ამ სევდიან ღამეს?

შემოდგომის გქელ, სევდიან ღამეებში შევქენი მე შენი სახე ყრმობის, ახალგაზრდობის ჟამს, როცა სული ახლო იყო სამოთხესთან და მას შემდეგ არ მომშორებია მე იგი.

შენ მიყვარხარ მე უფრო, ვიდრე მთვარეს ღამის ნისლი, შენი კოცონა ძველ ღვინოზე ტკბილია და შენი ხმა სალამურის ნელ ლულუნზე ნაზი.

ნუ იგვიანებ, მოდი!..

ველურ აერნეის კოცონზე დაგწვავ, ჩემს თმაში გამოგხვევ, მე ვილოცავ შენზე იმ ლოცვით, რომლითაც არცერთ მომაკვდავს ჯერ არ ულოცია...

არ მესმის განა, როგორ შემოგგკვენესის ჩანგის სიმები, როგორ მოგიხმობს სულის ნაღველი!..

ისე მოგელი, როგორც სულამიტი საქმროს... ზამბახის ტოტები დავტეხე და სარეცელი დავწვანე ყვავილების, რბილი, მაგრამ არ მოდი შენ და ჩამოხმა, გაუყვითლდა ზამბახი...

თოვლის ფიფქი გვექნება სანოლათ, რა უნდა იქ სიცივეს, სადაც დიდხნის უნახავი ორი ცეცხლით მგზნებარე გული ერთმანეთს შეხვდებიან?..

– ნათელო ბნელი ღამისა!..

სულო ჩემი ყარიბი სულისა!..

ნუ იგვიანებ, ნუ იგვიანებ, – შემოგგკვენესის ჩანგის სიმები.

შენს მოლოდინში სული ღონდება!..

[1913]

შექმნილი ლეგენდა (მოგონებანი წარსულზე)

ღამეა. ერთი იმ ღამეთაგანი საქართველოში, როცა ჩვეულებრივ არა გჯერა, რომ ღამეა, რადგან ნათელი თეთრი ღამისა გაგრძელება გგონია მკვდარი დღისა. ამბობენ, ბუნებას აქვს ერთი ჟამი საყოველთაო სიჩუმისაო...

არა რა არღვევს მყუდროებას, მოსიყვარულე დედასავით რომ დანოლია სოფელს. შუალამისას... დაიკვნესებს ხეობაში მონასტრის მწუხარე ზარი, ნაიქვითინებს და ჩაკვდება. დაიზუილებს მშვიერი ტურა უღრან ტყეში და თითქო თვითონვე შერცხვა თავის უშნო სიმღერისო, მიყუჩდება. ჩვეული თვალი მწყემსს მიადარებს მაღალ მთებში, მთვარეს ფრთაფარფატა ღრუბლებს რომ მიერეკება...

ღამე გაჟღენთილია ჯერ უმხელი სიყვარულით, გამოუთქმელი ლეგენდებით, ხეობა, მთა, მდინარე, ტყე, ველი, მინდვრის ველური ყვავილი ყვებიან ზღაპრებს, ნათელ ლეგენდებს, რომელნიც ჯერ ადამიანს არ გამოუთქვამს, რომელნიც ჯერ მას არ სმენია. ვნევარ ენგურის ნაპირზე, ყურს ვუგდებ გიჟ ტალღათა ცოფიან ყეფას, რომელნიც ხანდისხან ჩუმ ლოცვად იქცევა ხოლმე და მთვარის სხივებზე რვეულში ვწერ ნათელ პოემას, ენგურისგან ნამბობს. ეს მოთხრობაა ძველ ზვიად ვნებაზე, შადრევანივთ რომ სცემდა პირველყოფილ ადამიანის მკერდიდან, რომელიც შემდეგ ბავშურ მასხრობად იქცა...

1

იზოველ – ასე ერქვა ამორძალების დედოფალს.

შუალამისას მძინარე ტბაზე ანთებულ ორ ჩირაღდანს მიაგავდენ მისი თვალები, კოლხიდის ქალებში გაუშლელი ჭკნებოდა ველური ვარდი, დედოფლის გვერდს რომ შეხედავდა, შემდეგ ეკარგებოდა სურვილი, რომ გაშლილიყო.

გულუბრყვილო პართიანელს მშვილდი ეგონა მისი მოღუნული წარბები და ისრები წამწამები. მის ხშირ ტევრ თმას ქონდა ფერი ისეთი შავი, როგორც ყორანმა მიიღო უფლისგან დანყველის შემდეგ.

როგორც ადამიანებს, ღმერთებსაც აქვთ ხოლმე დღესასწაული, როდესაც ისინი ყოველთვის მხიარულნი, ყოველთვის უდარდელნი, კიდევ უფრო მომეტებულად მხიარულობენ ხოლმე და მაშინ ვნება, ისედაც ველური, სიგიჟემდის მიდის ხოლმე. ჯადოქარმა არჩია, რომ ასეთი ღმერთთა გიჟური ავხორცობის ჩანასახი იყო იზოველი და

იმიტომაც მასში ყოველთვის ცხოვრობდა გაუმაძღარი, არავისგან არასდროს ნანახი ავხორცობა, რომლის კოცონზე იწოდა შეუბრალებლად იზოველი.

მზე არ სწყვეტდა ხოლმე ბრწყინვას, როცა სალაშქროდ გამოვიდოდა იზოველი, მაგრამ იცოდა, რომ მინაზე იყო დედოფალი, რომლის გული მასზე უფრო მგზნებარე და ცხოველი იყო.

ვნებით დამდნარი, საყვარლის ძებნით მოღალეული მთვარე ისევ დაძრწოდა ზურმუხტებით მოფერილ ცაზე, მაგრამ ფერი კიდეც უფრო დაკარგა, რადგან რცხვენოდა, რცხვენოდა თავის ვნებისა, რომელიც მხოლოდ მკრთალი ჩრდილი იყო იმ ზვიად ვნების, რომლის ცეცხლზე იწოდა იზოველი, ვისაც უდაბნოდ ქცეოდა სამყარო, ვისაც ვერ მოეკლა გაუმაძღარი წყურვილი. ნადავლის საძებნად ხანდისხან მღვიმეში მოემწყვდევა აფთარი, შიმშილისგან გამწარებული თავის ტანს იკბენს და ვაი მას, ვისაც შეეჩეხება იქიდან გამოსული, სწორედ იმას გავდა იზოველი, როცა ამორძალების ლაშქარს სარდლობდა, ვერც ერთი მეომარი ვერ დაივინებდა გიჟ ასულს, ყველას ტვინში გამოიწვა თმა განენილი მისი მოჩვენება სისხლით შეღებულ მერანზე, რომელსაც ნიაღვარი მოსდევდა სისხლისა.

...და დიდხანს, დიდხანს ამშვიდებდენ ცოლები მეომრებს, რომელნიც გადურჩენ იზოველის მახვილს, როცა ძილში ტანისამოსს იწუნდენ, მოიგონებდენ რა მრისხანე ასულს, ლტოლვილ ლაშქარზე ადევნებულს.

2

სპილოს ძვლის სანოლზე სამეფო კარავში იწვა იზოველი. მენამული პერანგი, განსაკუთრებით რომ უყვარდა, სუროსავით შემონოდა მის ბარკლებს და თითონ ის მიაგავდა უდაბნოში ცხელ სილაზე განოლილ ვეებერთელა გველს, სიყვარულის ალერსის მოლოდინში მონებივრეს. კარავის კარი აღმოსავლეთით ღია იყო და წითელ ფიანზე მოსჩანდა სილუეტები კავკასიონის თეთრი მთებისა, რომელნიც გასაფრენად მომზადებულ არწივს შეადარა იზოველმა. იქვე, კარავთან ხელი ქშუილით მიემართებოდა ენგური. ტალღათა ნელ ტბორაზე ჩასძინებოდა იზოველს. ახლა გამოელვიდა და გამოურკვევლად მისჩერებოდა ზვირთების ცეკვას, თითქო იქ უნდა ამოიკითხოს ის, რაზედაც მისი გული სწუხს, რაც მას არ აძინებს და უჩქროლებს სისხლს.

შავი ნერტილივით ჩამოემო მის თვალების წინ მერცხალი, გასროლილ პრტყელ ქვასავით გაეკრა ენგურის ზედაპირს, უსწრო ზვირთმა და ჩასძირა... და მოაგონდა მაშინ იზოველს სულელი ნუბიელი მეფე

ვალტაზარი, რომელსაც ეყო კადნიერება და იზოველის ალერსი გაბედა, რისთვისაც თავი წააგო. საოცრად მიაგავდა ვალტაზარი იმ მერცხალს... და დალონდა ძალიან იზოველი, მაშინ მიხვდა, რომ ქვეყანაზე ვერა გაახარებს მას, ვერავინ დაიტევს მის ზღვა გულის თქმას.

– მაშინ რა აზრი ქონდა ჩემ გაჩენას, თუ კი უბედური უნდა ვყოფილიყავი. – გაიფიქრა მან და თვალეზზე, იმ თვალეზზე, რომელშიაც დაუშრეტი ცეცხლი ენთო, გაუნწყვეტლივ კანდელივით დაეკიდა ორი ობოლი ცრემლი. ამ დროს მას წარმოუდგა თვალწინ თავის წარსული, რომელიც დაუსრულებელი ძებნა იყო უნახავისა. და მომავალი, როცა უნახავი კვლავ არ ჩნდებოდა; იზოველს ყოველთვის ეშინოდა ამ გაუჭვრეტ ბურუსით მოცულ მომავალის, მაგრამ რაღაც იმედი გულში მანაც ყოველთვის ღვიოდა, ის დარწმუნებული იყო, რომ ნახავდა იმას, ვისაც ეძებდა, ვინც შესძლებდა გაენელებინა მისი უშრეტი ვნების ცეცხლი.

აილო თავი და ისროლა მდინარეში, წყალი შეინძრა და დაცემის ხმა მოესმა მონას.

კარავში შემოვიდა შავი ნუბიელი მონა, მხლებელი ვალტაზარისა. ეს ერთად ერთი მამაკაცი იყო იზოველის ბანაკში და ისიც იმიტომ დაიტოვა, რომ მოეგონებინა კადნიერი მეფე ვალტაზარი, ვისგანაც მოშინაურებულ აფთარს სადილი გაუმზადა.

– დაუძახე ჯადოქარ მხევალს. – უბრძანა იზოველმა.

მონამ დახარა თავი, ემთხვია ჯერ იზოველის პერანგს, შემდეგ მიწას და როგორც გაზაფხულს ლამქერიდან აიძვრევა მდინარე, მისი თვალეზი ატალახდა. იზოველს არ გამოპარვია მონის სულის მოძრაობა, მისი გაჟრჟოლება.

და მოუნდა, საშინლად მოუნდა მისი სიკვდილი, მაგრამ მალე გადაიცვალა აზრი. კარავში შემოვიდა ჯადოქარი მხევალი.

იზოველმა შეამჩნია მხევალს სახეზე უჩვეულო ღიმილი და წინად გრძნობამ ტკბილად გაულიტინა გულში.

– რას ამბობს ახალს მოკრიალებული ცა?

– დედოფალო, ლოდინსა საზღვარი ედება, ის გამოჩნდა!..

– როგორ გამოჩნდა?!.

– დიახ, გამოჩნდა... არავინ იცის, ვინ არის ის ჭაბუკი, სკითები ამბობენ, რომ ბერძენია, მამასაც ასახელებენ, მაკედონიის მეფის მემკვიდრეაო.

იზოველს მწარედ გაეცინა და მისი ამდენხანს ნათელი სახე სევდამ ისევ დაბურა. ეტყობოდა, მას გული მოდიოდა ჯადოქარ მხევლის სისულელეზე.

– სულელო, მერე რამდენი ყოფილა მაგისტანა მეფეები. ამდენ-
ხანს ხომ მთა აშენდებოდა მათი თავებისაგან და შენ, რომელმაც
იცოდი ყველაფერი, ეს მაინც დაიჯერე. ჭეშმარიტად თუ არა შენ,
სიკვდილს ვერ აცდებოდა მაგის მთქმელი.

– დედოფალო, საქმეც ეს არის, რომ ის არ ჰგავს სხვა მეფეებს,
მეფეები მისგან ისე ილტვიან, როგორც გნოლის ლაშქარი არწივის
შეტევისგან. რა არის მერე, რომ მეფეა, განა ყველა ვარსკვლავები
ერთმანეთს ჰგავან, ისე რომ იყოს, ხომ ტყუილი იქნებოდა ჩემი რჩე-
ვა... ჭეშმარიტად სხვა არის მისი ბედის ვარსკვლავი. მე დიდხანია
ვამჩნევდი მას და ეხლა ჰქნა ჩემთვის საცნაური... მისი ბედის ეტლი
ღმერთებს უკურთხებია, ქვეყანაზე არ არის მახვილი მისი შემმუს-
ვრელი და მის მახვილისგან კი მოისრან ყველანი.

– ძვირად თუ ვისმეს რგებია ისეთი დასაჩუქრება, როგორც ჯადო-
ქარ მხეველს. მთელი სამი დღე არ უძინია იზოველს, სამგზავროდ ემ-
ზადებოდა, გაიგო, თუ ვინ იყო ის მეფე, რომლის ბედი ცამ ასე ანიშნა.

ამდენხანს აუსრულებელი ნდომა სრულდება და ეს სიზმარი გო-
ნია იზოველს, მით უმეტეს, რომ სიზმარში მხოლოდ თუ რგებია მას
ოდისმე სიხარული, როცა ოცნებით შექმნილი სიმწრის მეგობარს
ეხუტებოდა.

მოლოდინში იწვის იზოველი.

მისი თვალები უმთვარო ღამეს გზას გაუნათებენ გზა დაბნეულ
მგზავრს...

3

ჩამავალი მზე უკანასკნელად კოცნის გიმაღალის წვეროებს და
განგის ტალღები წითლად ელავენ. ამ დროს უყვარდა ალექსანდრეს
ბანაობა განგში. ქალდეველები უყვებოდენ მას განგის წყლის შესა-
ნიშნავ თვისებას, თუ მისგან როგორ იბანება ადამიანი ცოდვისაგან.

ცოდვებს არაფერს გრძნობდა ალექსანდრე, მაგრამ მაინც უყ-
ვარდა გაგიჟებით განგში ცურაობა. დიდხანს, ძლიერ დიდხანს იყო
ის წყალში დაფიქრებული. უკანასკნელად დაეტყო ძალიან მოწყენა.
მოხდებოდა ხოლმე, როცა სანადიმოდ მოწყობილ დარბაზში, სპარსე-
თის მეფის სასახლეში ბერძენთა აღმოსავლეთის შორის იჯდა, თავ-
ბრუ დამხვევი ვნებით მის გარშემო ფერხულს უვლიდენ შიმველი
ქალები და საალერსოდ იწვევდენ, მაგრამ ის ჩინელ კერპივით გაუნ-
ძრევლად იჯდა და ფიალას ფიალაზე სცლიდა. ღვინომ თითქო და-
კარგა სიძლიერე, ის აღარ ათრობდა ალექსანდრეს.

– თავს მოგჭირ, იცოდე, – ეუბნებოდა მონას ალექსანდრე, – ხომ
იცი, მე სასტიკი არასდროს არ ვყოფილვარ... რად არის, რომ წყალს

ურევ ღვინოში, მე ღვინო მინდა, ღვინო, ნურავინ ფიქრობს ჩემს ჯან-მრთელობაზე.

შიშით ძრწოდა მონა, არ იცოდა, რითი დაიმსახურა ბატონის რისხვა. იმ საღამოს ისე შორს წავიდა ალექსანდრე მდინარეში, რომ მხელებლებმა გადაწყვიტეს კიდეც მისი დახრჩობა და მიუხედავად იმისა, რომ აღკრძალული ქონდა მეფისგან, ანაქსერი, მეფის მეგობარი გადაეშო მდინარეში მეფის საქებრად.

– რისთვის მომდევდი, გეგონა, წყალი დამახრჩობდა?.. – იჭვნეულად შეეკითხა ანაქსერს ალექსანდრე.

– მხოლოდ ბარბაროსს ვერ დააჯერებ ალექსანდრეს უკვდავებას. რომელი მეომარი დაიჯერებს, რომ ანაქსერმა დაიჯეროს, შენთან რა უნდა სიკვდილს... მისი რაში შენს მერანს ვერ გაასწრებს, და შენ მახვილზე ხომ უნდა გადატყდეს სხვა რკინა.

– მაგრამ იცი, რომელ ქურაში გამოიჭედა სიკვდილის ცელი? – დაეკითხა ანაქსერს ალექსანდრე და მის სახეზე სიშავემ გადაიარა.

– ანაქსერ ჩემო, წყალს უყვარს საიდუმლოს შენახვა. მითხარი, რა დარჩა კიდევ საგმირო საქმე ალექსანდრეს მძლე მკლავებს... მე რასაც ველტოდი, უკვე შესრულდა... ხედავ, განგის ზვირთებში ვცურაობ, სანამდი მოაღწიეს მაკედონიის საზღვრებმა. მაგრამ აქ თავდება ყველაფერი, სად წავიდეს ჩემი ლაშქარი, რა დარჩა კიდევ დაუმარცხებელი ალექსანდრესა?.. და ეს მაშინ, როცა მე გუშინ შემისრულდა ოცდა შვიდი წელი. რაში უნდა წავიდეს დანარჩენი დღეები? ტყუილად ყოფნა მოკლავს ალექსანდრეს.

უსმენდა დიდხანს, უსმენდა ანაქსერი მეგობრის ჩივილს და მოაგონდა ცაზე მომწყდარი ვარსკვლავი, ცის თალი რომ შემოირბინა, ვერსად ნახა დასაბჯენი ადგილი და უფსკრულში განერთხო... ძალიან ჰგავდა ალექსანდრეს ბედი იმ ვარსკვლავს...

– მეფეო, მოაგონდა ანაქსერს, შენს ბანაკში ვილაც ქალი გელოდება, ძალიანა სურს შენი ნახვა.

– ალბად ვინმე დედოფალი იქნება, ამ ბოლო დროს თავი მომძულენ, მგონი, მალე ცამ გამომიგზავნოს დამორჩილების შუამავალი.

– მეფეო, ის ქალი ამორძალების დედოფალია და ჯერ, შენც იცი, არავის უნახავს დაჟანგებული ამორძალების მახვილი.

– მაშ, ნეტა რა უნდა ჩემთან?

– !!!

– ლამაზი არი?

– ხვალ, მგონია, მზე არ ამოვიდეს.

სამეფო დარბაზი უჩვეულოდ არის გაჩირალდნებული, ისე, როგორც მათი უკანასკნელი მეფე აწყობდა ხოლმე, როცა ნადიმობდა. ამ დარბაზში იყო შენახული ყველაფერი, რასაც აჩნდა კვალი ალექსანდრეს ძლევა-მოსილი მსვლელობისა. კოლხიდის ქალწულნი, რომელიც მდიდარ ნადავლთან ერთად გამოაგზავნა აზონმა, მონყობილებათა გვირგვინს შეადგენდა.

როდესაც ალექსანდრე შეეკითხა სახლთ უხუცესს, როგორი არიან აზონის გამოგზავნილი ქალებიო, უკანასკნელმა უთხრა, რომ სპარსეთის მეფის ევზხმა ნუხელის თავი მოინამლაო.

ამ დღეს გადაწყდა ალექსანდრეს ბედი.

– მე შენ არ მენახე და გიცნობდი, – ამბობდა იზოველი, – მე შენ არ მენახე და მიყვარდი. სიზმარში გხედავდი და ეხლაც არ მჯერა, რომ ნამდვილია. მე დანყევლილი ვიყავი ღმერთებისგან, მაგრამ მეც ვიყავი რისხვა ადამიანებისთვის და ჩემს ფერხთა ქვეშ ბევრს სიმწრით დაუკვნესია. მე რასაც ვგრძნობდი, იმას თუ იგრძნობს საფლავში გამოღვიძებული მიცვალებული, რომელსაც არ ყოფნის ჰაერი, რომ ჩაისუნთქოს. ყოველ წელიწადს პატარძალივით მოირთებოდა მინა. ჭია ფუტუროს ქვეშ, სიყვარულის ალერსით გამთბარი, ზანტად იზმორებოდა ნეტარებისგან და მე კი უთვისტომო თავისიანებს შორის მარტო ვიყავი...

ზაფხულის მზის სხივები სწვავდნ ქვეყანას, ტანში იცინოდა, ჟონავდა ახალგაზრდა სისხლი, ალერსი სწყუროდა და ის არ იყო.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ შეულებავს ჩემი ტიტველი ტანი ადამიანის თბილ სისხლს, მაგრამ არასდროს არ გამაძლარა.

მე შენ გეძებდი, უხილავს, მაგრამ ნაცნობს.

გრძელ შემოდგომის შავ ღამეებში შევქენი მე შენი სახე.. მე შენ თითქო სადღაც მენახე, საუკუნოების წინ სულ შენ გეძებდი.

როგორ მწვავდა, რომ იცოდე, გაცხელებული ქვიშა ფეხს, მენამული ტანისამოსი შემომახია ავსულმა სამუშაო, მაგრამ მაინც შენთან მოვდიოდი.

– მოყვრდნე ჩემს მკერდს, მომეალერსე... ტანჯვით ვიყიდე მე შენი ალერსი. მოაყვრდნე თავი ჩემს ძუძუებს... ჯერ არავის უგრძვნია ამორძალ ქალთა ძუძუთ ხანგრძლივი სითბო. მე თითქო შური ვიძიე ჩემ ლაშქარის დამწვარ ძუძუთათვის...

ველურ ალერსში დაგახრჩობ. ველურ ექსტაზში დაგწვავ.

*

ვინ იცნობს ეხლა ალექსანდრეს?..

სად წავიდა მის თვალების ცეცხლის ნიაღვარი?..

ჯადოქარ ქალს კითხეთ, ის მოგიგებთ, გეტყვიან მეომრები.

სამყაროს მატრიანეში მხოლოდ ერთხელ დანთებულ ავხორცობის კოცონზე დაინვა დევი მეფის სული...

გადუშლია დაობებული პერგამენტი მოხუც ქურუმს... და თვალებზე ცრემლებით აღწერს გმირი მეფის შეუპოვარ ბრძოლას დამღუპველ ინდოელ ციებცხელებასთან.

სამი დღე და ღამე ერთმანეთზე გადაბმული ჟამის უფსკრულში ეხლაც ყვება უჩვეულო ამბავს, თუ ამორძალების დედოფალმა როგორ დაარჩო ვნების მორევში მაკედონელი...

5

მოკვლა მოუნდომეს იზოველს მეომრებმა.

მაგრამ ბედი სწყალობდა რჩეულ დედოფალს.

– რად არ მომკვლენ, – ფიქრობს გზაში იზოველი, – ან სად ვნახო მე ამგვარი ღვინა.

ხომ ვერასდროს ვერ ჩაიცვამს გახდილ ტყავს ჭრელი გველი?..

ანი ვის ტუჩებს უნდა დაენებოს ნებოსავით ჩემი ტუჩები.

განმეორდება კი როდისმე ეს ცოდვის ღამე?

და მის წინ ღამის სიბნელეში წამოიჭრება მოჩვენება დევი-მეფისა.

მისი თვალებისგან ცეცხლი გაუჩნდება სამეფო დარბაზს.

სასიკვდილო სარეცელზე წევს ალექსანდრე და ბოდავს... მის ტუჩებს არ შორდება სახელი იზოველის და ჩალურჯებულები კიდევ კოცნას ევედრებიან.

ოთახში მათ მეტი არავინ არი.

– მომკალი, ქალო, ბარემ მომკალი, სულელი თუ არ ინდომებს ასე სიკვდილს, მე შენ შემარიგე ჩემს მოსისხლე მტერს, ბევრჯერ შეღებილა, იზოველ, ჩემი აღვირი სისხლით, ბევრჯერ, მაგრამ მე არსად მინახავს შენი ტუჩების სინითლე რამე!..

მაკოცე, მაკოცე, იზოველ!..

არასდროს არაფერი უნატრია იმისთანა, რომ არ ასრულებოდეს ალექსანდრეს... რას არ მივცემდი, რას!.. რომ კუბოში ჩამატანა შენი ტუჩები.

მე მჯერა, არ მოვკვდები, სანამ შენ გხედავ.

მაკოცე, მაკოცე, იზოველ!!.

წყურვილით ვიხრჩობოდი უდაბნოში, წყალი მომიტანეს, სადღაც ეშოვნათ და მე გავტეხე სურა, ჩემი მეომრების წინ დავღვარე წყალი. ჩემთვის ბევრს ნიშნავდა ჩემი ლაშქარი, მაგრამ რაა ის წყურვილი იმ წყურვილთან, ეხლა რომ მკლავს. ჩემს ჯარს განაცვალებ, ჩემო იზოველ, მე მამიჩემის ქვის ტახტი სპილოს ძვლით შევცვალე, არ მინდა მე ის, არა...

მაკოცე, მაკოცე, იზოველ!!!

ყურში გაუნვივის იზოველს ალექსანდრეს უკანასკნელი სიტყვები. შემდეგ ნამოუდგება თვალ წინ გაფითრებული სახე მიცვალებულის და ჭირისუფალ მეგობართა ყრუ ქვითინი.

და ერთგული ცხენის ჭიხვინი.

*

და მოაგონდა იზოველს გზაში ალექსანდრეს ნამბობი, ბევრი რამ უამბო იზოველს ალექსანდრემ, მაგრამ ერთი უფრო აღიბეჭდა მის ხსოვნაში – მოთხრობა ამირანზე და მის თავში დაიბადა აზრი, ნავიდეს და ნახოს ის, ვინც ზევებს მოსტაცა ცეცხლი.

და მის გულში ისევ იფეთქა ვნების ქარტყილიმა.

მის დამსხვრეულ იმედის გემზე აფრიალდა იალქანი.

დაღლილობას ვერ გრძნობს იზოველი.

ღრუბელზე მალაია მისი მერანი.

მაგრამ რა ავა იქ?..

შეხედა მთის მწვერვალს იზოველმა და გააჟრჟოლა.

იქ ხომ ძერაც ძლივს აფრინდება.

იზოველი ახლოსაა მთასთან, კიდევ მოესმის ლეკვის წკავილი და დრო გამოშვებით ყრუ ამონაკვნესი.

მაგრამ რა ავა იქ?..

გულში შეუმჩნევლად ინთება ცეცხლი და ვნების გველი წივის უბეში.

ნისლი შებინდებისას აცურდა მთებზე, კავკასიონმა შუბლი გაიხსნა.

იზოველმა მოკრა თვალი მიჯაჭულ ამირანს.

ამირანმა დაიჭირა მასზე მომართული ისრები.

მაგრამ რა ავა იქ?

მთებმა მიიზურეს ნისლის საბანი, ახლად მოყვანილ სარძლოსათვის დაწოლას იჩქარის კავკასიონი.

სდგას იზოველი და მის თვალებისგან ცეცხლის ალები მიჰქრიან მთებში.

ვერ გაუძლო ამირანმა და ლომ-დევი, რომელმაც ასე ამაყად მიიღო ზევესიდან სასჯელი, შეინძრა, რომ მონყვიტოს ჯაჭვის რგოლები, არას დროს მას ასე არ მონდომია განთავისუფლება.

მწუხარედ დაიჟღარუნეს ბორკილებმა და ტკივილი იგრძნო მკლავებმა.

რითი შეეძლო ეპასუხა იზოველის თვალების ბარათზე?!

...ამირანმა ვნებით დაიკვილა... და დიდხანს გუგუნებდა ხმა მთებში. მთებმაც გაიღვიძეს ამ სანახაობაზე და აზუზუნდენ.

აი, როგორ გაჩნდა ელვა და ქუხილი.

*

რამდენს იტყვის კიდეც, რამდენს ენგური ამისთანა ამბებს... ადამიანო, შეგრცხვეს მაინც, როცა ძველ ზვიად ნებაზე გიყვებიან, რადგან შენ ბავშურ მასხრობად აქციე იგი...

16 ივნისი, [1913]

ქ. ქუთაისი

ეპიპსიხიდიონი

ძღვნად ის-ს

მე სიყვრულის მეზღაური ვარ, თვალუნვდენელ მის ზღვაზე დავ-
სცურავ და არც კი ვფიქრობ, ნავთსადგურს მივალნო სადმე, ჩემი
იალქანი არასდროს არ გაჩერდება, მუდამ ქარიშხალს უნდა კოცნიდეს,
მე ჩემ გემიდან არასდროს დაუშვებ ლუზას, მაინც მე არც კი მაქვს ის.
ოთხს სტიქიას მეხუთე მოემატა და ეს ჩემი სულია.

ჩემი სული პეპელას მიაგავს, სიკვდილის მოახლოვების ყამი
რომ იგრძნო, ყვავილებს გაურბის და კოცონს თავს დასტრიალებს,
რომ ალის ნაკადულში დაიბანოს ტანი.

ჩემი სული ალბატროს მიაგავს, ოკეანეში გემს რომ მისდევს ვნე-
ბიანი ძახილით. საყვარელო, გინდა ზამთარ-ზაფხულში დაუჭკნობ
ყვავილებს ხედავდე, გინდა, მთვარე არასდროს არ დაფაროს ფრთა-
ფარფატა ღრუბელმა, გინდა, ყოველთვის უცქერდე ცისარტყელას?..

– ჩამოიხედე ჩემს სულში და იქ იპოვი მათ სამარადისო ხატებას.

კაცო, გიყვარდეს,

ცათ შთამომძახეს,

როს მათ დამბადეს.

და ვინ დამიშლის მე სიყვარულს!..

საყვარელო, ნუ უფრთხი ჩემს გრძნობას, რა მენალვლება, შენ
კალთაში სული დაინვას! ვნების ზენარში გამოგხვევ, ველურ ვნე-
ბას განოვებ, ძველ ღვინოსავით ტკბილს; არ შემოხედავ მაინც შენ
სამსხვერპლოს წინ, როგორ ფართხალობს ზვარაკად შემონირული
ცოცხალი გული...

ამბობენ, ღმერთმა მისთვის შეჰქმნა ედემი, რომ ჩვენ იქიდან გა-
მოვეყარეთ, მაგრამ განა სამოთხე ფერს არ იცვლიდა, შენს თვალე-
ბში რომ ჩაეხედა?..

ამბობენ, ანგელოზები ქვეყნად არ ჩამოდიან, მაგრამ, რომელი
სერაბიმი არ გიცნობდა შენ უფრთებო დათ?..

მე მიწას არ ვაპატიებ, რომ შენს ფეხებს კოცნის და მზეს – რომ
შენს თმაში სხივებს ათინათინებს!..

გეტყოდი რამეს კიდევ, მაგრამ რა უნდა გითხრა ისეთი, რაც შენ
არ გაგიგონია – ყოველ ღამით გეფიცება სიყვარულს ვარსკვლავთა
კრება, მზე შენზე ფიცულობს და მთვარე შენს ნაკვალევს კოცნის.
წმიდა ხარ, წმიდა, მაგრამ რამდენადაც შენ წმიდა ხარ, იმდენად
წმიდაა ლოცვა შენი ქურუმისა!..

[1913]

ქალი და მგოსანი

ივდითი რომ ქუჩაზე გაივლიდა, ათასი მაცურებელის თვალი აედევნებოდა.

– რა ჯადო აქვს ამ ქალს იმისთანა, რომ ჰხიბლავს მგოსანს? – იტყოდა ერთი.

– სასაცილო ის არის, რომ სულ მაგის ტანზე სწერს, მერე ისე ლამაზად, გეგონება რუსუდან-მეფის ტანს აღუფრთოვანებიაო. – ჩაურთავდა მეორე.

– მე კი ვიტყვი, – ამბობდა თავადი სარდიონი, – მაგისთანა ქალს, თუნდა რწყილსაც მის საბანზე არ გაეროს, ფაშა ჰარამხანის კარებთანაც არ მიუშვებდა. – და ყველაზე უნინ, თითქმის მარტო მას, ეცინება თავის ოხუნჯობაზე.

ყველაზე უფრო ანჩხლობდენ განებივრებული, გალალეული ქალბატონები, რადგან მარტო მგოსანი დარჩათ, რომელიც მათზე არ ოხრავდა.

– დათვი ხეზე როგორ გავა... იავნანინაო. – დაინწყებდა ერთი.

– რომ გავიდეს, ვინ გაუშვებს... იავნანინაო. – მიაყოლებდა მეორე.

ხოლო არავინ არ იცოდა, ქვეყანაზე სულ რომ არ ყოფილიყო ქალი, მგოსანი მაინც შეჰქმნიდა მის მომხიბვლელ სახეს?..

[1914]

ცოდვის ღამე

(ეტიუდი)

მე რომ სჯულმდებელი ვყოფილიყავ, უსასტიკეს სასჯელს მოვიგონებდი იმ ქმრებისთვის, რომელთაც ადრე ეძინებათ და აღარ ესმით ცოლის ოხვრა, მუცელ-ტკივან გველივით რომ იკლაკნება ლოგინში, გვერდიდან გვერდზე გადაბრუნდება, ქვრივი დედოფალივით თმებს იწენს საშინელ ტკივილისგან. ყველაზე უფრო საშინელი ღალატი ამისთანა უძილო ღამეში დაწყებულა, ყველაზე უფრო საშინელ დანაშაულისთვის ამისთანა თეთრ ღამეებს უწოვებიათ ძუძუ.

ვისაც არ სჯერა, გადაფურცლოს დაბადება და იქ წაიკითხავს ჯერ კიდევ სველ სტრიქონებს პონტოფრეს ცოლზე...

I

საქართველოში ყველაფერს უჩვეულო კალაპოტი აქვს... არ გეგონოთ, რომ ქართველი კაცის ზომა გადამეტებული ფანტაზიის საქმეა, რომ სულ უბრალო სურვილიც კი მიუწდომელ ოცნებად რჩება ჩვენში. თქმა არ უნდა, ოცნებას კონტრასტი იწვევს და თუ ვისმეს თავი მეფე ჰგონია, ეს ყველაზე უნინ მათხოვარს, თავშესაფარის ცივ ლოგინზე გადღაჩულს... მაგრამ ჩვენში მაინც ყველაფერს უჩვეულო კალაპოტი აქვს... სანდრო მწუხრიძე დიდხანს ყოყმანში იყო, როცა გიმნაზია გაათავა... ვერ ამოერჩია, სად წასულიყო, რომელი ალაგი ამოერჩია, რომ უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი, მისი ნება არავის შეეზღუდა, რადგან იცოდა, რომ ქართველ კაცის ამ შეუკავებელმა თავისუფლებისადმი ლტოლვამ ათქმევინა მგოსანს, რომ უთავისუფლოდ სამოთხეც არა რა იყო... და ბოლოს აირჩია იურიდიული ფაკულტეტი... ვიქნები ჩემდა, არავინ ბატონი არ მეყოლება, ვერავინ დამიყენებს ყოველდღე დილემას: ან უადგილობა ან ლიბერალობა... იმნაირივე აზრებით ბრუნდებოდა სანდრო რუსეთიდან კურსდამთავრებული, როგორიც მიჰქონდა იქეთ, როდესაც პირველად მიდიოდა... მაგრამ ბედი ხომ ყოველთვის სწორედ იქ გვიმზადებს შხამ-სანამლავს, სადაც გვგონია, გზა ადვილად გასავლელია.

რისი გაკეთება არ შეიძლება ჩვენში... ჯერ ხომ არც ერთი დარგი მეცნიერებისა არ არის შემუშავებული, ყველგან შეიძლება კაცმა გააკეთოს რამე, დაამჩნიოს თვისი მარჯვენა... მართალია, თავის მონოდებაზე სანდრო არ ყოფილა დიდი წარმოდგენის, ხშირ-ხშირად უყვარდა ხოლმე გამეორება, რომ არ შეიძლება ქრატის დაქრობა, თუ მოკლებული ხარ იმედსო.

ბევრი ახსოვს სანდროს, ძილ-მღვიძრობის დროს რომ ჩათვლემილა ფიქრებზე... ეხლა მისი სურვილები სინამდვილეს უახლოვდება... საბუდეში არ ჩერდება გული, ჩიტვივით ფართხალობს ბედნიერების მოლოდინში და ამ ზარმაც ჟრუანტელში იყინება სანდრო.

ასეთი აღტაცების ჟამი არის წყარო ყოველი უბედურების, რა საქმეს გინდა არ დაადგე, როცა ასე სადღესასწაულოდ ლხინობს სისხლი ტანში... და აი, სანდროს ცხოვრების გზა-ჯვარედინზე გამოხტა ფოცხვერი, მკვირცხლი, ცქრიალა ნატო, შავი ლურჯად მბზინავი თვალებით და მენამული ტუჩებით, რომელნიც ურცხვობას იჩემებენ და თითქო ამბობენ, მამაკაცი ვერ ამოსწოვს ჩემს სიცხოველესო.

ლაფანის ჟღერითივით მოიღუნა სანდრო. პირველი შეხვედრისთანავე უკბინა გულზე მწველმა გრძნობამ, ინდაურივით აიმრიზა, ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ თუ ქალი ამისთანა დღეს დააყენებდა, ეს კი არ ეგონა... მიდიან დღეები, მწველი დღეები იმედის და უიმედების, სულის პირველად გაღვიძების, ამ დღეებს შემდეგ ისე იგონებთ, როგორც მუსიკის შემდეგ სიჩუმეს, როცა ჰაერში კიდევ ირხევა ტკბილი ხმა, გულში შედის და დედის კოცნასავით დნება.

ყოველთვის მშვიდი ძილი გაუკრთა სანდროს, ჯადოქარმა ამოიღო მისი გული და გრძნობის მუგუზალზე შეუბრალებლად სწავას და სანდროს მაინც უხარიან, არაფერში არ გაცვლის ის მტანჯავ ნაღველს გამოურკვევლობისას... და დასრულდა მალე გრძნობის დუღილი, ჭრელ-კაბიანი ოცნება სინამდვილის აკვანში დანვა.

ნატო სანდროს ცოლია, გვრიტებივით ლულუნობენ, როგორც პირველ დღეს შეხვედრისას, ერთმანეთს ეფიცებიან, რომ სიყვარული, როგორც სიკვდილი, ერთია ქვეყანაზე. რა ბანალურია ეს სიტყვები! მაგრამ პირველად მაინც აქვთ სიმშვენიერე, პირველად მაინც აქვთ აზრი. რუხ ფრთიანი დრო კი იცინის, იცინის ერთნაირი სიცილით, რომელიც დღიდან პირველი გაჩენისა არ შეცვლილა.

II

უკანასკნელი ფულით, მემკვიდრეობით რომ დარჩა, მოენყო სანდრო, ამას კიდევ მიუმატა ცოლის მზითვები... პირველ ხანებში სანდრო კიდევ სიყვარულის ცხელებაშია... ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა... მაგრამ გრძნობს, რომ ძალიან ცუდად მიდის საქმე... ახალ-ახალი კაბები ცის ფერი აბრეშუმის ნ....ვი, რაც უნდა კარგი და მოხდენილი იყოს, ვერ ეგუება სიყვარულს... სანდრო ჯერ კიდევ არ აძლევს თავს ანგარიშს. კლიენტები ძალიან ცოტა დაიარებიან. სანდროს მხოლოდ მაშინ აეხილა თვალები, როცა გადასცეს სარდი-

ონის, ნატოზე უიმედო შეყვარებული სარდიონის გესლიანი მასხრობა, კეთროვანებს ისე არ უფრთხოვდნენ უნინ, როგორც ეხლა უფრთხიან სანდროს კლიენტებო.

უსიამოვნება უსიამოვნებაზე ემატება, ემატება... გუშინ წინ გაზეთი დააჯარიმეს. სანდროს ყურამდი მიაღწია ერთი დიდი მოხელის სიტყვებმა:

– რადგან მას ასე ძალიან აინტერესებს გადასახლებულთა ბედი, მალე კიდევ გავამგზავრებთ იქით... და მაშინ უფრო გამოიჩინს გულმტკივნელობას...

მოტყდა სანდრო... მის აგზნებულ ფიქრებს თანდათან ეპარება სიცივე, თითქო სიყვარულის ყვავილზე დამჯდარა ყორანი და საბედისწეროთ აბარტყუნებს ფრთებს, სულში შედის სიცივე და გატიტვლებული სული იცრემლება უილაჯობით.

ვინ იცნობს ეხლა სანდროს, უნინდელ სანდროს?.. სად წავიდა სიჭაბუკის აღტაცება, ვინ ჩააქრო ჯერ კიდევ აუნთებელი კოცონი?.. ნათელი, ჭრელი ფიქრები გაფრინდნენ, გაფრინდა ხალხის სამსახურზე ოცნება... მისი სული სტირის ეხლა საწოლ ლოგინის აკომპანიმენტზე... და სანდროს ჩამოესმის მისივე ხმა... შორს სადღაც ძალიან ადრე ნათქვამი; ვაი, მათ, ვინც მეშჩანურ პერანგში გასცვალეს თავის ქვეყნის სამსახურიო... და ცივი ჟრუანტელი უფლის ტანში.

– სისულელეა, ბავშობაა... ეს ყველა ასე ფიქრობს, სანამ ცხოვრებას არ იცნობს, ახალგაზდური სისხლი შერება ყველაფერს.

– სტყუი, ურცხვად სტყუი, – გულის სიღრმიდან უპასუხებს ჯერ კიდევ ცოცხალ-მკვდარი სინიდისი, – ეს მართლა რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ხომ ცხოვრება უდაბნოს დაემგვანებოდა! არა! არიან ისეთებიც, რომელნიც არასდროს არ იღუნებიან, რომელთა გულშიც მარად იწვის ცეცხლი უქრობლად.

– მერე ისინი ხომ გამირები არიან, და ყველას როგორ მოვთხოვთ გამირობას? ეს უსამართლობაა, ამას ვინ შერება? – იმართლებს თავს სანდრო...

– სტყუი, ურცხვად სტყუი! – გულის სიღრმიდან უპასუხებს ჯერ კიდევ ცოცხალ-მკვდარი სინიდისი, – გახსოვს შენი სიტყვები ჭრაქის შესახებ, შენ ჩირაღდნობას არავინ გთხოვდა, არც არავის სჯეროდა, მაგრამ შენ ჭრაქობაც დაივიწყე...

...აქ წყდება დიალოგი სანდროს და ცოცხალ-მკვდარი მისი სინიდისის. სანდრო გადაბრუნდება ლოგინზე, თითქო აუარებელი ჭიანჭველები შეუძვრენ ტანში და აღარ ასვენებენო, თანაც გულსაკვლავად გაიზმორება.

– რა იყო, კაცო, რომ არ ისვენებ ლოგინში, ზეთი აკურთხებინე მღვდელს, უჟმური განუხებს მგონია. – გესლიანად ეტყვის ნატო.

– არამზადა, იუდა!.. – გაიჭრიჭინებს ლოგინი, რომელსაც უშლის სანდრო ძილს და გაჩუმდება...

III

გარდაიცვალა სანდროს სინიდისი... ცრემლებით არ უტირია სანდროს, მხოლოდ უღონო ოხვრით დაასამარა... და მიცვალებულში მეტი აიღო, ვინემ იუდამ ქრისტეში... ოც თუმნად მიჰყიდა თვეში ერთ მთავრობის დანესებულებას და დაინყნენ რუხი, შავ-ბნელი დღეები მისი ცხოვრებისა, რომელთა ასე ეშინოდა უნინ... მძევლად დაადებინეს, როგორც უნინდელმა მეფეებმა იცოდნენ ხოლმე თავის შვილები, ჯერ გაუზდელი, ჯერ გაუფურჩქნელი შვილები, რომელთაც სიამით და ნეტარებით ზრდიდა რუსეთში, მძევლად დაადებინეს საუკეთესო ფიქრები, და დარჩენ ისინი გამოუყიდავი მთავრობის დეპარტამენტის თახჩაში.

გვიან ბრუნდება სანდრო სახლში დაღლილი, დაქანცული, მას შრომა ისე არ ჰდღის, როგორც რაღაც გამოურკვეველი სევდა, გველივით რომ შემძვრალა მის სულში და ზოზინით ღრღნის შეუბრალებლად. სანდროს არ გაჰყოლია დიდხანს მომავლის გლოვა, ის თითქო შეეჩვია, შეეგუა თავის ცხოვრებას, მხოლოდ სიხალისე კი დაკარგა სამუდამოდ, შემდეგ გაცინებული არავის უნახავს, თითქო გულში ინახავს საშინელ დანაშაულობასო და ასე სამსხვერპლო სანთელივით დნება სანდრო დეპარტამენტის ტაძარში... ახალგაზდა ცოლი ამჩნევს, რომ სანდრომ ალერს მოუკლო, ის ძველი სანდრო აღარ არის, უნინ რომ იცნობდა, თითქო ქორწინებამ დაადვა რა სიყვარულს ბეჭედი გაუმეორებლობისა, თავისი პირველყოფილი სილამაზე დაკარგა. ყველაზე ნაკლებ ნატო იცნობს სანდროს დაფერფლილ სულს, იმას ვერ აუხსნია უცნაური გამოცვლა და ასე ადრე ალერსით გაძლომა... და ნატოს გულში შედედდა რაღაც გამოურკვეველი სიძულვილი ქმრისადმი, ნატოს ჰკლავს სანდროს გულცივობა და გულში იჭვის ლურჯი გველი უცოდება... ყოველდღე ახალ-ახალი უსიამოვნებით უმასპინძლდება ქმარს. ქალი ხომ გრძნობის ჭურჭელია, ყველაფერს მოითმენს, გარდა მის გრძნობის აბუჩად აგდებისა და საყვარლის გრძნობის შესანარჩუნებლად ბრძოლაში ხამსინზე უფრო მრისხანე და შეუბრალებელია.

– კაცო, რად ჩამოგტირის ეს თავპირი, თითქო დაქვრივდიო. – უსაყვედურებს ნატო, როცა დაქანცული სანდრო სავარძელზე მიწოლილი დაყუდებულ ბერს დაჰგვანებია.

– დავიღალე, ოჯახ-ქორო, დავიღალე, არ უნდა გქონდეს კაცის შებრალება, მთელი დღე კანიდან ვძვრები, ვმუშაობ მხოლოდ შენთვის, შენ კი სამაგიეროს დაუმსახურებლად საყვედურით მიხდი... შებრალება მაინც გქონდეს კაცის, თუ პატივისცემა არ გექნება.

– ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, რითაც ხარ დაღლილი...

– ღმერთი, რჯული, ხატი... ქალო, რას ჩამციებიხარ, შენს კაბებში და შენს ალერსში მივყიდე სული ეშმაკს და ეგ მფერობს შენგან?

– კარგი ერთი, ნუ გიყვარს სისულელე, რა დაგიჟინია, ვითომ მე შემეწირე მსხვერპლად... ეს როლი სულ არ გიხდება, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა უსინდისო ქმარი მაგ გახანებულ წამოსასხამს იცვამს...

– უსინდისოს რაღას მერჩი... – დაიკლანკნა სანდრო, როცა მოაგონეს მიცვალებული, სინდისზე ქალი ყველაზე ნაკლებ უნდა ლაპარაკობდეს...

შემდეგ შეშინდა და მოლბა სანდრო... ნურას მაყვედრი, ნატო, შენ გენაცვალე, მიყვარხარ ისე, როგორც უნინ. ღმერთია მოწამე და გამკითხავი... მე დავიღალე, მე დავუძღურდი, შენ თუ არ გესმის, სხვა ვინ გაიგებს... ვიყინები, მცივა სულში, შენი ალერსი ვერ გაათბობს იმ სიცივეს. შენ არ იცი, რამ მომბერა იგი... და მის გულზე შედუღებული ნაღველი დასველდა, ხმა აუკანკალდა, თითქო ეს-ეს არი ტირილს დაიწყებო.

ნატომაც დაუთმო.

და ცოლ-ქმარი შევიდნენ სანოლ ოთახში, ნაკიდებულთა შემრიგებელ საკურთხეველში...

IV

სძინავს სანდროს... საშინელი სიზმრები ეხვევიან საბანში, დიდი ხანია, რაც დაკარგა მან ჭრელ-კაბიანი სიზმრების ნახვის დრო, ეს-ლა შავი მაჯლაჯუნა დასწოლია თავზე, როგორც ვეშაპი.

...და ხედავს სანდრო სიზმარში მეფე სოლომონს, გაჩირაღდნებულა ვეებერთელა დარბაზი, თითქო ტყე იწვისო. კედელი კედელს ეფუჩუნება სოლომონის ზვიადობაზე და ანთებული ჩირაღდნები, როგორც ვეშაპის თვალები, შიშის მომგვრელ ალებს ისვრიან. აი, მოაქვთ ტახტრევანით ბრძენი მეფე, ვისი ვნება უდაბნოს ქარზე მალლა დაფრინავს, გაყვითლებული ევნუხი მიუძღვება წინ, ვერ გაუბედნია მეფის თვალებში შეხედვა და იატაკზე დაუღუნია თვალები.

დატოვა მეფემ სოველი დედოფლის სანოლი ოთახი და რიგ-რიგზე, როგორც თვალის დახამხამებაზე, იცვლებიან სურათები.

საშინელია მეფე სოლომონ, როცა ბრძანებას სცემს, მაგრამ, როცა მასში მგოსანი გაიღვიძებს, კედელიც თავლად დადნება.

სანახაობა ჰქრება... სანდრო მაინც ფიქრობს ძილში, რა უნდა ყოფილიყო, ის მეფე, რომელსაც ჰყავდა ათასი ცოლი. სანდროს ემინიან ამის სიმართლის დამტკიცების და თან გრძნობს, რომ ეს ცოტა მართალი უნდა ყოფილიყო... გრძნობს, რომ იყო კაცი ლეგენდა, რომელსაც ჰყავდა ათასი ცოლი, ყველა მათგანს უყვარდა სოლომონი, ყველა მათგანს რგებია ბედნიერება, ესუნთქა სოლომონის ამონასუნთქ ჰაერით... და მაინც ვილაცას გაცხარებული უმტკიცებს სანდრო, რომ ეს ზღაპარია, საშინელი ტყუილი, რომელზე უარესი ჯერ კაცს არ გამოუგონია... ჰაერი არ ჰყოფნის სანდროს სასუნთქად, როგორც საფლავში გაღვიძებულ მიცვალებულს და გიჟივით ვილაცას ედავება, უყვირის.

ნატო მისჩერებია სანდროს მძინარე სახეს, თითქო იქ უნდა ამოიკითხოს სიზმრის შესახებ... თვალი არ ეხუჭება ნატოს, უძილობას დიდი ხანია შეეჩვია. მას სძულს, ეს ჯირკი რომ ამოწოლია, სძულს და მაინც იმაზე ფიქრობს... მას მაინც სჯერა, რომ სანდრო, ძველი სანდრო ასე არ გამოიცვლებოდა, თუ მას სხვა ქალი არ უყვარდეს, თუ სხვა არ იზიარებდეს მის ალერს და ნატოში შეურაცყოფილი დედაკაცის გრძნობა იღვიძებს... საკვირველია, ჯერ ერთ მხატვარს არ დაუხატავს ამნაირი სურათი, როცა ქმარს ბნედადაკრულივით სძინავს და ვნებით გახელებული ცოლი მუგუზაღს უკიდებს ლოგინს.

შეურაცყოფის ცრემლები აღრჩობს ნატოს, მის თეთრ სახეზე ისე იჭიმებიან ძარღვები, თითქო ახალგაზდა სახეს ასპიტები შემოხვევიანო, მკერდი, როგორც სააღდგომოდ მომზადებული ცომი, თანდათან იზრდება, თვალებიდან მომსკდარი ცეცხლი ტვერ თმას უპირობენ დანვას. სანდრო თანდათან ცხარდება დავაში.

– ვერ დავიჯერებ... მაინც ვიტყვი, რომ ტყუილია, ბუტბუტებს სიზმარში, მერე შესძახებს, თითქო ხმით უნდა დააშინოსო...

– არამზადა, საძაგელი!.. – სიძულვილით წამოიძახა ნატომ და მისმა ხელმა პირველად შეითამაშა სანდროს სახეზე... სანდრო შეიმუშნა... განყვიტა ბოდვა... თვალეები მოიფშვნიტა.

– ნატო, შენ არ გძინავს... საშინელ სიზმრებს ვხედავ, მაჯლაჯუნა მახჩობს...

– შენ თვითონ მაჯლაჯუნა ხარ, მაჯლაჯუნამ რა უნდა გიქნას... – ისეთი ხმით უთხრა ნატომ, რომ ხმაში გამოიხატებოდა საშინელი სიძულვილი, რომელსაც სამუდამოდ შეუპყრია ქალის სული და რომელიც შემდეგ, ძალიან გვიან და შეიძლება არას დროს არ დაღბება. ცოლის პირველი სილა არ გაუგია სანდროს, შემდეგ გაიგებს ალბად მის სიმწვავეს, როცა გახშირდება...

პანაშვილი

„პანაშვიდიც ჩვენში გასართობია!“

არჩილ ჯორჯაძე

– საშინელია, საშინელი სიკვდილის ძახილი, როცა მას ეხმაურებიან საუკეთესო შვილები გავერანებული სამშობლო ქვეყნის! – სთქვა მასწავლებელმა.

თავდაღუნული შევცქეროდით ჩვენ იმას და არასდროს არ ვყოფილვართ ისე ახლობელი, როგორც ეხლა. ჩვენ შორის გაიბა რალაც უხილავი ქსელი, რომელმაც შეანნა ერთმანეთს ჩვენი გულები, ერთად რომ გამოგვეტირა საერთო ნაღველი, ნებოსავით რომ ჩაგვესხა მკერდში.

– ჩვენი ქვეყანა ბევრი ტანჯვით და უბედურებით ყოფილა ორსული, მაგრამ ეს უკანასკნელი დაორსულებათ. არჩილი მშობიარობას გადაყვა.

ჩვენი სევდა მიაგავს სევდას იმ მეომართა, რომელთაც მოიგეს ბრძოლა, მაგრამ ძვლებით მოკენჭეს ბრძოლის ველი.

თვალეებზე დაეკიდენ ცრემლები.

ბევრი მინახავს ცრემლი, როცა ვინმე დაკარგავს მეგობარს, საყვარელს ანდა შვილს.

ამნაირი ცრემლი კი არასდროს არ მინახავს. ამ ცრემლში თითქო ერთად გალესილან იმედი და სევდა, მწუხრი და გარიჟრაჟი.

– ის ბზინავს ნაღველით და თან ამჩნევ იმედს ყვავილებს.

– ჩვენი არჩილი, ჩვენი არჩილი!..

*

გაზაფხული იწყება. სარძლოსავით ინაბება მიწა, მომსკდარი ნიაღვარი, აფუთქული ყლორტები შეხვედრის სიმღერით ხვდებიან გაზაფხულს, კავკასიონის მოხუც დევეებს რომ გამოჰარვია, კაბა ყვავილებით მოურთავს და თვალეებით ცისარტყელას ეარშიყება...

ჩემთვის სამახსოვროა ეს გაზაფხული. მოქრის, მოტირის ვაივაგლახით მატარებელი, ალბად იცის, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი გმირი მოყავს, ალბად ესმის მიდამოს და ჩვენი ნაღველი, თავის სიცოცხლეში გულში საქართველოს ატარებდა, გარდაიცვალა და უსულო გვამმა საქართველოს ერთი კუთხიდან მეორემდე შუა გადაჭრა გზა, რომ საფლავში თან ჩაეტანა გაცოცხლებული მიდამოს სუნი, ყვავილების საგაზაფხულო გაზმორება, საგაზაფხულო ფიქრები.

ყოველ სადგურზე ახალ-ახალი თაიგულები ემატებიან, ნიაქვარი ღუნავს ხეების წვეროებს, ალბად ისინიც ემშვიდობებიან.

შეიცხადებს მატარებელი, როგორც გათხოვილი ქალიშვილი დედის სიკვდილს რომ გაიგებს და გაჩერდება სადგურზე.

თავს მოიყრის ხალხი, ამოვა მოხუცი კრებული მგალობლებით და დაიწყება პანაშვიდის გადახდა. ხმა კანკალებს, ცრემლში სოლდება და ისე ამოდის სასულესგან. საკმევლის კვამლი დგება ვაგონში, ვერ ეტევა და მიდამოს ეფინება, ორი წყვილი თაფლის სანთელი სტირის ჩვენთან ერთად.

– სულთათანა განუსვენე უფალო!.. – კი არ გალობენ, სტირიან მგალობლები და ეს ხმა, როგორც უკანასკნელი გაკვნესება ჭიანურისა, ეფინება ხალხში, სულში შედის და როგორც დედის კოცნა, დნება. თეთრი თოვლივით თმა, ჟღალი ჩოხა და ცრემლიანი „სულთათანა“ ჩამომესმის ყოველთვის, როცა მომაგონდება ძვირფასი მასწავლებელი. ცრემლები აშრებიან მხლებლებს, ნაღვლიანი, დაღლილი სახე ვერ გამორკვეულა და რალაც ერთგვარ უსასოებაში იყინება, მაგრამ ჩამოესმება თუ არა ყურს ცრემლიანი ხმა „სულთა თანასი“... გულის სიღრმიდან მიდიან ცრემლები, თითქო ჯადოქარის დაფიცებაზე.

ეს დღე იყო დღე ჩემი ცეცხლით ნათლის ღებისა. როცა ამ სტრიქონებს ვსწერ, წინ მიდევს წითელი ყვავილი, არჩილის კუბოზე აღებული, იგი თანდათან ჭკნება, მაგრამ სამაგიეროდ, გულში იშლება უჭკნობი ყვავილი სიყვარულისა.

თვალწინ მიდგანან ჭალარა მგალობლები და ჩამომესმის ნაღვლიანი „სულთათანა“. დასაფლავებაზე არავის უთქვამს სიტყვა, მხოლოდ არჩილის კუბომ იცოდა, რას ელაპარაკებოდა საგაზაფხულოდ გამლილი ველი და ნაღვლიანი „სულთათანა“...

[1914]

ამორძალები

შავი ზღვის ლეგენდა*

(კინოპოემა)

1.

ამბავი ასე იწყება: შავი ზღვის სანაპიროებიდან თითქმის ყველა მამაკაცები წავიდნენ აზიაში საომრად. ძველ ადგილას სოფლებში დარჩენ მხოლოდ მოხუცი მამაკაცები, პატარა ბავშვები და დედაკაცები. უკაცო ქვეყანაში დედაკაცებს უხდებოდათ ყველაფრის გაკეთება, რასაც წინად მამაკაცები აკეთებდნენ. ამისათვის უბრალო საოჯახო შრომის გარდა, საჭირო იყო მეზობელ ხალხებზე თავდასხმა, რომ დაებრუნებოდათ წართმეული ცხენების ჯოგები, ტყავები და სხვა საჭირო ნივთები. ჯერ მათ ეხმარებოდნენ სახლში დარჩენილი მამაკაცები, მაგრამ შემდეგ ისინიც გაიწვიეს აზიაში საომრად: ამას დაერთო ისიც, რომ გაჩნდა სიმშვილბა, ავადმყოფობა. ქალები დღითი-დღე კვდებოდნენ: მოინდომეს გაეკეთებიათ თავიანთის იარაღი, რომ დაეცვათ თავი და, თუ საჭირო იქნებოდა, თავდასხმაზეც გადასულიყვნენ – მაგრამ გამოჩნდა, რომ შვილდისრის გამართვა არც ისე ადვილია, მაშინ კი ადვილი ეგონათ, როცა თავიანთ ქმრებს ხედავდნენ.

საშინელი სასონარკვეთილება ჩამოვარდა: ისმოდა ირგვლივ ტირილი, ბედზე ჩივილი და ოხვრა. ელოდნენ ქმრების დაბრუნებას ომიდან – მაგრამ დრო გადიოდა და არაფერი სანუგეშო არ ისმოდა შორეულ აზიიდან:

ამ დროს ახალგაზრდა ასატრას დაებადა ბავში. ასატრამ იფიქრა, რომ ამ ბავშსაც ის ბედი ექნება, რაც მის ქმარს, დატოვებს დედას, მომავალ ცოლს და შვილებს და გადაიხვეწება საომრად ისე, როგორც ამისი მამა – ასატრამ აიყვანა თავისი პატარა ბიჭი და კლდიდან ზღვაში გადაისროლა.

ამას მიბაძეს სხვა ქალებმაც და გადაისროლეს ზღვაში თავიანთი ბავშვები.

მაგრამ სიმშვილმა მიაღწია უკანასკნელ საფეხურამდე – ამდენის ატანა ვეღარ შეიძლეს და მიიღეს ქალებმა საშინელი გადანყვეტილება.

* ეს ლეგენდა გაკეთებულია იმ მასალებიდან, რომელიც მოთავსებულია აკად. ლატიშვილისა, ბარონ უსლარისა და განის წიგნებში, აგრეთვე სხვადასხვა „კავკასიის კრებულებში“ და უმთავრესად სვეტლოვის კავკასიის ლეგენდების წიგნის მიხედვით (ავტორი).

ერთ ღამეს გაიყვანეს ყველა მოხუცები და ბავშვები და გადაყარეს ზღვაში.

ტომირანდა, წინამძღოლის ცოლი არ გავდა სხვა ქალებს.

ის დაბადებული იყო გრიგალისა და ქარიშხალისათვის. მას ეჯავრებოდა მყუდრო ცხოვრება და მშვიდი ამიდი – მისთვის დღესასწაული იყო იარაღის ხმაურობა და ბუნების ქარიშხალი. ერთხელ მისი ქმარი, რომელიც წინამძღოლი იყო აზიაში წასულ ჯარებისა, ვერ ღუნავს მშვილდს, ტომირანდამ მოჰკიდა ხელი და ერთ წამში მოგრიხა. ქმარმა ამისათვის ძალიან დატუქსა და ათასი დამცირებაც გადაატანია.

მაშინ პირველად შეეზიზლა მას მამაკაცი. მას შვილები არ ჰყოლია და დედის გრძნობა არ განუცდია – არც სხვა ნათესავები ჰყოლია. ჯერ სულ ბავში მოიტაცა ის ქმარმა მეზობელ ტომიდან.

მას შემდეგ, რაც მამაკაცებმა დასტოვეს ეს მხარე, ტომირანდა ბევრ რამეზე ფიქრობდა. გრანდიოზული გეგმები არ ასვენებდენ მის გონებას.

ქარიშხლიან ღამეს გამოვიდა ტომირანდა ზღვის კლდიან ნაპირზე, რომ უკანასკნელი გონება მოეკრიბა და ყველაფერი გაეზომა. მხოლოდ ქარიშხალში ეხერხებოდა მას ფიქრი, გრიგალი ხევდა მის ტანისამოსს და ძლივს ჩერდებოდა კლდეზე და ხელი ჩაეკიდა უზარმაზარ ქვისთვის. ამ ღამეს დამწიფდა მისი ოცნება. ეს იყო ძალიან მარტივი, როგორც მისი ცხოვრება, მაგრამ ძალიან გამბედავი, როგორც ქარიშხალი.

ეს აზრი იყო ქალების სამეფოს დაარსება. ომში ქალებსაც შეუძლიანთ წასვლა, ამისათვის საჭიროა შვილ-ისრის ხმარება და ცხენოსნობის ცოდნა. ორივე შეუძლია ქალს, თუ მოინდომებს. ამ საქმის გაკეთება ეხლა კიდევ უფრო ადვილია, როცა მამაკაცები სახლში არ არიან – ტომირანდას ზიზლის ჟრუანტელმა გაუარა ტანში, როცა თავისი ქმარი წარმოიდგინა: ის გიჟივით გაიქცა სახლში, თითქო ეშინია, ფიქრი ქარიშხალმა არ მოსტაცოსო.

მოჰკიდა ხელი ქმრისაგან სახლში დატოვებულ შვილდისარს და მოზიდა. მას ასე ადვილად ეჩვენა ეს საქმე, რომ გაეცინა კიდევც.

ტომირანდამ გაარბენია შვილდისარი შავ ზღვასთან და ერთი მეორეზე ესროდა ისარს ტალღებს, მაგრამ ტომირანდამ შენიშნა ერთი უხერხულობა: ის მიხვდა, რომ ისრები სწორად არ მიდიან, მიზეზიც მონახა, ეს იყო ქალის ტანის აგებულობა, რომელიც უშლის ისარს გვერდზე მიტანას.

მაგრამ ტომირანდა ამაზე დიდხანს არ დაფიქრებულა, წავიდა სახლში, აიღო ორი კვესი, გააჩინა ცეცხლი და შემდეგ კოცონი.

როცა შეშას ცეცხლი მაგრად წაეკიდა, ტომირანდამ ამოიღო გახურებული მუგუზალი და ბევრი არ უფიქრია – მიიტანა მარჯვენა ძუძუსთან. ხორცმა დაიწყო შიშინი და ნამწვარი ხორცის სუნი მოედო არემარეს.

საშინელი ტკივილი იგრძნო ტომირანდამ, მაგრამ ერთი არ დაუკვნესია და არც ერთი ცრემლი არ ჩამოვარდნია.

შეიხვია გაღებული იარა ძონძით, შეახტა ველურ ცხენს და შუბივით გაექანა კლდეებისაკენ. ქარიშხალი ჩადგა. ზღვაც დაწყნარდა, ცა მოინმინდა: დათვინიერებულ ცხენით ტომირანდა ბრუნდება სახლში.

გზაში ესმოდა მას სოფელში დატოვებულ ქალების ტირილი.

სახლში დარჩენილი ქალები ერთხელ კიდევ შეიკრიბენ უკანასკნელათ, რათა გაგზავნონ ვინმე აზიაში, რომ დააბრუნონ იქ წასული მათი ქმრები.

– ჩვენ მეტი არ შეგვიძლია, ჩვენ ვილუპებით შიმშილიდან და ავადმყოფობიდან, – თვალე-ცრემლიანი სტიროდენ ქალები, – თუ ქმრები არ დაბრუნდენ სახლში, ჩვენ უთუოდ ყველანი დავილუპებით.

– მაგრამ ვინ უნდა გავგზავნოთ? – იკითხა ასატრამ, – ჩვენ ყველანი ისე დაღლილი ვართ, რომ იქამდე ვერ მივალწევთ.

მაშინ ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ყველას წინ წარმოუდგა შორეული გზის სიძნელე. ყველანი გულში თავისთვის არჩევდენ ისევე სახლში დარჩენას და აქ სიკვდილს.

ამ დროს გაისმა სიჩუმეში ახალგაზრდა ხმა:

– ტომირანდას ესთხოვოთ, ტომირანდას, ის ჩვენში ყველაზე უფრო ძლიერია. მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი გადარჩენა.

ამას ამბობდა ახალგაზრდა ფემა. ის სულ ერთი წელიწადია, რაც გათხოვდა. მას სიგიჟემდე უყვარდა თავისი ქმარი, რომელიც ასე უეცრად დაშორდა – და შემდეგ მოუთმენლად მოელოდა მის დაბრუნებას.

– ტომირანდა არასოდეს არ დათანხმდება ასეთ სისულელეზე, – მოისმა ქუხილივით მაგარი ხმა ტომირანდასი, – მე ისე არ დავმცირდები არასოდეს, რომ მივმართო იმ ხალხს, რომელიც მე მეზიზღება.

ყველამ მოიხედეს და მალლა ასწიეს თავები. ხმა შორიდან მოისმოდა. ბევრი შიშისა და ცრუ მორწმუნეობისაგან მუხლებზე დაეცა კიდევ. კლდის მწვერვალზე, რომლის ქვევით მოსჩანდა ათასი ცეცხლით განათებული ზღვა – მზის ამოსვლაზე გამოჩნდა ტომირანდა ცხენზე. ის იყო დიდებული შესახედავი.

შავი და ხშირი თმა ქარზე ირხეოდა ისე, როგორც წამოსასხამი – თვალეები ელვასავით ელავდნენ და წარბები კიდევ გველებივით ჩამოდიოდნენ სახეზე. ღამე ცხენის ჭენებაში ტანისამოსი შემოხე-

ოდა და მას მოუჩანდა დიდებული ტანი. მხოლოდ მარჯვენა ძუძუ ჰქონდა მას შეხვეული და ზედ ჰქონდა გადაკიდებული შვილდისარი. ცხენი კიდევ ქაფში იყო აცურებული.

მთელი მისი ფიგურა მოსჩანდა, როგორც ფანტასტიური მოჩვენება – ხმა კი ისმოდა უფრო ძლიერი:

– ტომირანდა არასოდეს არ წავა მამაკაცების სანახავად, იმ მამაკაცებისა, რომელნიც ჩვენ ისე გვამცირებენ და რომელთაც ასე დაგვტოვებს, მაგრამ უთუოდ უნდა გადაგარჩინოთ თქვენ, ქალებო...

– მხოლოდ შენ უნდა დაგვიხსნა ჩვენ, ტომირანდა! – მოისმა ალფრთოვანებული ხმა ასატრასი, რომელიც მოწინებით მისჩერებოდა ტომირანდას.

– და მე მალე ვნახავ ჩემ ქმარს და მოვეხვევეი მას. – გამხიარულდა ფემა, მაგრამ ტომირანდას სახეზე უდიდესი ზიზლი გამოიხატა.

– შენ ძალიან შემცდარი ხარ, ფემა, – შესძახა ტომირანდამ, – მე დაგვიხსნით თქვენ მხოლოდ ერთი პირობით, რომ არასდროს არ იფიქროთ თქვენ ქმრებზე, თქვენ სამუდამოდ უნდა დაივიწყოთ თქვენი ქმრები. განა ცოტა გახსოვთ თქვენ დამცირება?!

– მაგრამ თუ ქმრები დაბრუნდენ?!

– ჩვენ იმათ უთუოდ გავაგდებთ. ჩვენ თვითონ უნდა ვიშოვოთ ცხენები, შვილდ-ისრები. მე თქვენ გასწავლით ცხენოსნობას და შვილდ-ისრის ტარებას და ჩვენ თვითონ უნდა დავეცეთ თავზე სხვებს და დავირჩინოთ თავი.

ტომირანდა დაანვა ცხენს და ცხენი აჭიხვინდა და შესდგა ყალყზე. შემდეგ ტომირანდამ მოსწია შვილდ-ისარი და ისარმა გაიხუზუნა ჰაერში და გადაუარა თავზე ხალხს.

ჰაერში გაისმა ალტაცების ხმები.

– ტომირანდა, გვიპატრონე ჩვენ, ჩვენ დაგემორჩილებით ყველანი. – ისმოდა ძახილი.

– დაიფიცეთ ყველამ, რომ შეასრულებთ ჩემს ბრძანებას, რომ ყოველი ჩემი სიტყვა თქვენთვის კანონი იქნება.

– გფიცავთ! – ყვიროდენ ქალები.

– ჯერ კიდევ იფიქრეთ, სანამ გადანყვეტდეთ. შემდეგ გვიან იქნება. ეს ყველაფერი თქვენგან მოითხოვს მსხვერპლს. მართალია, ცხენისა და შვილდ-ისრის მოხმარება ძნელი არ არის, მაგრამ საჭიროა გამბედაობა.

– შეხედეთ! – დაიყვირა ტომირანდამ და მოიხსნა ძონძი ძუძუდან. ყველა მიაშტერდა: მარცხენა ძუძუს მაგიერ ტომირანდას არაფერი არ ჰქონდა, გარდა ნამწვარისა.

– მე თქვენ დაგინვათ ძუძუებს, როგორც მე დავინვი წუხელი. ეს საჭიროა, რომ შვილდ-ისარი იხმართ და ამის გარდა, ეს იქნება თქვენგან მორჩილების ნიშანი – ამიერიდან დაგერქმევით ამორძალე-ბი (უძუძონი).

– თანახმა ვართ, თანახმა... მხოლოდ გვიხსენი სიკვდილისაგან.
– ყვიროდენ ქალები.

ტომირანდა ჩამოვიდა კლდიდან: მას ჰქონდა ისეთი დიდებული შეხედულება, რომ ქალები მის წინაშე დავარდენ მუხლებზე.

ტომირანდამ მორჩილების ნიშნად დააკოცნია ფეხები. ქალები სათითაოდ დავარდებოდენ მუხლებზე და კოცნიდენ ტომირანდას ფეხზე. როცა მიუახლოვდა ტომირანდას ფემა და აკოცა ფეხზე – ტომირანდამ წაჰკრა მას ფეხი და განრისხებულმა უთხრა:

– დაივინყე, ფემა, ქმარი, თორემ შენ ცუდი რამ დაგემართება.

ტომირანდამ ამოიჩინა ექვსი ყველაზე ლამაზი და ყველაზე ძლიერი ქალი თავის ამაღლაში. იქვე წავიდა ის მახლობელ სოფელში იმ ქალებით და მწყემსებს წაართვა მთელი ჯოგი ცხენებისა. დაბრუნებისას მან გამართა დიდი ნადიმი და დააპურა დამშეული ქალები.

იყო დიდი სიხარული.

მეორე დღე ტომირანდამ დანიშნა ამორძალების დღე.

ქალებმა მისი ბრძანებით მოიტანეს აუარებელი შეშა, დაანთეს უზარმაზარი კოცონი და ყველა ქალებს თავისი ხელით გაუკეთა ძუძუების ოპერაცია. ზოგს ძალიან ეტკინა, მაგრამ როცა შეხედეს ტომირანდას მრისხანე სახეს, ხმა გაიკმინდეს.

ფემას გული შეუნუხდა და დაეცა მიწაზე.

ამის შემდეგ ტომირანდამ უბრძანა ქალებს, გადაეყარათ ტანი-სამოსი, რომ ამით შეჩვეოდენ შავი ზღვის ცვალებადობას.

ამის შემდეგ ქალებს ტომირანდამ მისცა ერთი კვირის ვადა, რომ ქრილობები მოეშუშებიათ და, რომ მერე დაეწყოს სწავლა შვილდ-ისრისა და ცხენოსნობისა.

– ასე დაიწყო ქალების სამეფო. – ამბობს ლეგენდა.

2. ღამის შეხვედრა

ყოველ დღე დანიშნა ტომირანდამ ცხენოსნობისა და შვილდოს-ნობის ვარჯიშობა. ტომირანდამ ქალები დაყო პარტიებად. როცა ერთი პარტია ვარჯიშობდა, მეორე პარტია, უფრო ძლიერი და მამა-ცი ამორძალებისა, აწყობდა მეზობელ ტომებზე თავდასხმას და შო-ულობდა საჭმელს. მესამე პარტია ციხეებით და კლდეებით ამაგრებ-და სოფელს. მეოთხე ჯგუფი კიდეც საშინაო საქმეებს აკეთებდა და

შვილდ-ისარს ამზადებდა. არავის არ შეეძლო ტომირანდას სიტყვის შებრუნება. მან ამორჩია თავის მახლობელ ამაღლაში ყველაზე უფრო რჩეული, ლამაზი და ძლიერი და გამბედავი ამორძალები. სულ ცოტა არ დამორჩილებას სასტიკად სტუქსავდა.

მაღლე ყველა მიეჩვია იმ აზრს, რომ ტომირანდას გარდა მათი ხსნა არსად არის, რომ მამაკაცები არ არიან საჭირო. ტომირანდასაც თავის დროზე ჰქონდა მომარაგებული ყველაფერი. სულ მალე შეჰქმნა მშვენიერი ჯარის კადრი, მაგრამ ჯარი მაინც არ იყო საკმარისი და, რაც მთავარია, ჯარს უნდოდა ამუნიცია: განსაკუთრებით კი ცხენები. და თუ ის იმარჯვებდა ომებში, მხოლოდ იმიტომ, რომ იყო თავგანწირული ჭკუა-მახვილი და ამის გარდა, ქალების შეხედვაც აშინებდა მეზობლებს. ხალხს ეგონა, რომ რაღაც არაადამიანური არსებანი დაეცენ თავზე.

ტომირანდას გაეგონა თავის ქმრისაგან, რომ სადღაც არიან უცხო ტომები, რომელთაც ჰყავთ ცხენების ჯოგები. ტომირანდამ ჩვეულებისამებრ გადასწყვიტა განმარტოება კლდეებზე, რომ მოიფიქროს გეგმა, რამდენ ხანს გაგრძელდება ბრძოლა, ხომ არ ჩამოვლენ ამ დროს მათი ქმრები და ათასი სხვა.

– ამ დროს მოესმა რაღაც უცნაური ხმა.

ტომირანდა შეშფოთდა.

– რა უნდა იყოს?

არსაიდან არაფერი არ სჩანდა.

ტომირანდამ დაუყურადა: უცებ მან შეამჩნია, რომ ზღვაზე გამოჩნდა რაღაც შავი ნაჭუჭი. ტომირანდამ შენიშნა, რომ ნავში ზის ვიღაც კაცი. მეზღვაურს უნდოდა, ნავი ნაპირს მიეგდო, მაგრამ ტალღა არ უშვებდა. კაცი მაინც არ იშლიდა და ისევ უპირდაპირდება ნაპირს. უცებ ნავი ტალღამ შეაგდო საყუდელში. ტომირანდა გაექანა ამ მგზავრისაკენ. მთვარე ნათლად აჩვენებდა ამორძალის ფიგურას. ის თითქოს ვერცხლიდან იყო ჩამოსხმული. მგზავრმა შენიშნა ტომირანდა, შეხედა გაკვირვებით და აცახცახებით დაეცა პირქვე მის წინაშე:

– ნუ გეშინია, მგზავრო, – შესძახა ტომირანდამ, – ასდები და მითხარი, ვინ ხარ? საიდან მოდიხარ?

– შენ ლაპარაკობ ჩვენ ენაზე, ძლივს დაილულულა მგზავრმა. განა შენ არ ხარ ღამის ღმერთი ქალი?

– არა! – უპასუხა ტომირანდამ.

– მაშ, შენ ხარ ამ საშინელ კლდეების ღმერთი? – ეკითხებოდა თავქვე დაცემული მგზავრი.

– არა! – იყო პასუხი.

– მაშ, ვინ ხარ მაინც? – გაბედა მგზავრმა და აიხედა ზევით და შეხედა ქალის თვალს, რომელშიც მთვარის სხივები გაჩერებულიყვნენ.

– მე ვარ ამ ქვეყნის მბრძანებელი, მე ვარ ამორძალების დედოფალი.

– მაშ, მე მოვუტყუებვარ ამ ნაპირებს – მე ეს მხარე სულ სხვა მეგონა, მე ჯერ არაფერი არ გამიგონია ამორძალების სამეფოს შესახებ. გამიშვი ჩემ გზაზე, – შეელმერთა მგზავრი, – მე ნავალ, რომ ვნახო ჩემი სამშობლო ნაპირი.

– მაგრამ შენ არ გითქვამს, ვინ ხარ შენ? ან საით მიდიხარ? – შეეკითხა ტომირანდა.

მაშინ მგზავრი მოუყვა, რომ მათ დიდი ხანია დატოვეს ეს ქვეყანა და წავიდნენ აზიაში საომრად, რომ მათ დატოვეს სახლში ცოლები და ბავშვები, რომ ისინი დიდხანს იბრძოდნენ, რომ ბევრი მათგანი ომში დაიღუპა და ვინც გადარჩენ, ეხლა ბრუნდებიან სახლში, რომ ის გამოგზავნილია, წინ-და-წინ გააგებინოს მათი ჩამოსვლა. სამჯერ არ ამოვა კიდევ მთვარე, რომ ისინი აქ იქნებიან. ვინც ცოცხალი დარჩენ, მათ მოაქვთ აუარებელი ოქრო და ვერცხლი, ტყავები, ქსოვილები, ცხენები, იარაღი და სხვა კიდევ ბევრი ნადავლი.

– ჩვენ მოგვყავს აუარებელი მონები და უფრო კიდევ მეტი მონა ქალები და ტყვეები. ეხლა ჩვენ შეგვიძლია, დიდხანს კარგად ვიცხოვროთ. მე აქ დავტოვე ცოლი და ბავშვები, – მათთვის მომაქვს საჩუქრები, – გამიშვით, დედოფალო.

ტომირანდას სიხარულის ცოფი აღრჩობდა, როცა ისმენდა ამ ამბავს. ამდენი სიმდიდრე, ამდენი მონები, მონა ქალები და ტყვეები – საჭირო იყო, რომ ის თვითონ გამხდარიყო ამის პატრონი, მაგრამ როგორ? და ახალი დიდებული ბრწყინვალე გეგმა დაიბადა მის თავში.

– რა ქვია შენ ცოლს, მგზავრო? – კითხა ტომირანდამ.

– ასატრა... და მე მყავს კიდევ ბავში.

– შენი ბავში დიდიხანია, რაც მოკვდა, მხოლოდ ასატრა ცოცხალია და მოგელის შენ.

– როგორ, შენ იცნობა იმას?..

– ისე, როგორც შენ მიცნობ – მე ვარ ტომირანდა.

ამ სიტყვებმა ძალიან გააკვირვეს მგზავრი.

– როგორ, შენა ხარ ტომირანდა?

– მე ვარ ტომირანდა.

– ჩვენი წინამძღოლის ცოლი. მაგრამ რა სამეფოზე და ამორძალებზე ლაპარაკობდი და ან შენ რისი დედოფალი ხარ?

– ეს სამეფო მე დავაარსე. თქვენ, რომ დაგვტოვეთ ასე უმონ-
ყალოთ, ჩვენ მოუარეთ თვითონ ჩვენ თავს, ჩვენ გვყავს ჯარი და მე
ვარ მისი წინამძღოლი.

ეს რომ გაიგონა მგზავრმა, მორთო სიცილ-ხარხარი და დაინყო
დაცინვა:

– მაშ, ასატრა ამ დიდებულ ჯარში ყოფილა... მაშ, ეს ყოფილა
ამორძალები. განა ჩვენ ხომ არ მოგვიხდება აზიის ველურ ხალხებსა-
ვით თქვენი დამორჩილება? მგზავრი თანდათან უმატებდა დაცინვას.
ტომირანდას რისხვას საზღვარი არ ჰქონდა.

– ჯერ მოიცა – ადრეა დაცინვა. არ გირჩევდი ჩემთან ხუმრო-
ბას, კადნიერო და სანყალო კაცო! – დაიყვირა ტომირანდამ.

– ან შეიძლება თვითონ ასატრა იყოს თქვენი წინამძღოლი? –
ხითხითებდა მგზავრი, – იქნებ მე ძიძათ წამიყვანოს თავის ბავშვთან?..

– მე გითხარი, რომ ასატრას შვილი არ ყავს, მან წყალში გადაის-
როლა, დიახ, გადაისროლა, მე ვარ წინამძღოლი ჯარის და ასატრა
ჩემი მახლობელი თანაშემწეა. შენ კი ეხლავე უნდა დამემორჩილო
და წამომყვე თან.

გაცოფებულმა მგზავრმა აიღო შუბი და გაექანა ტომირანდას-
კენ, მაგრამ ამორძალის ცხენი გვერდზე გახტა ყალყზე ამდგარი,
ტომირანდამ ამოიღო და ესროლა ისარი...

ისარი ხელში მოხვდა მგზავრს და შუბი ხელიდან გაუვარდა.
სისხლი ღვარივით წამოვიდა ქრილობიდან და ცხელი წვეთები ამორ-
ძალს ფეხებზე მოესხა.

მეორე ისარი ტომირანდამ კიდევ ფეხში გაარტყა მგზავრს. მგზავ-
რი დაეცა.

– რომ მომენდომებია, შიგ გულში გაგარტყამდი. – შესძახა ტო-
მირანდამ.

– აი, თურმე რა ჰყოფილან ამორძალები!.. თუ ყველანი ასეთები
არიან, დამორჩილების მეტი არაფერი დაგვრჩენია.

მგზავრი მიფორთხდა ამორძალთან და მორჩილების ნიშნათ
აკოცა ფეხზე. ტომირანდამ უბრძანა, აიღოს მოტანილი ძღვენი და
მისდიოს უკან, მიუხედავად ხელის და ფეხის ქრილობისა.

უკვე გათენდა, როცა ისინი მივიდნენ ამორძალების ბანაკში.

ბანაკში უკვე დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული. კედლები თითქოს
დასრულებული იყვნენ – სამხრეთის კარებიდან შემოდოდა რაზმი,
რომელსაც წინ მოსდევდა ამ დილით ნადავლი ცხენების ჯოგი.

მგზავრი უყურებდა ყველაფერ ამას და ფანტასტიურ ოცნებაში
გადადიოდა – ღონე მიხდილი ის დაეგდო ტომირანდას ფეხის წინ.

მოაყვანიეს ასატრა – მაგრამ ასატრამ მხოლოდ გაციებულ გვამს მიუსწრო.

დიდხანს უყურებდა ტომირანდა ასატრას, თითქო უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა მის გულში და მისი აზრები წაეკითხა.

ასატრა მიხვდა დედოფლის აზრს, და დაეცა მის ფეხთა ქვეშ და დაუკოცნა ფეხები.

– მე მოვკალი ეს კაცი და რამდენიმე დღის შემდეგ ეს ბედი ეწვევა ყველა თქვენ ქმრებს. ნაალებიეთ აქედან მკვდარი. განმინდეთ ისრები, ჩვენ ისინი კიდევ დაგვჭირდებიან. მალე ჩვენ ვიქნებით მდიდრები და ძლიერები. ჩვენ ქმრებს ბევრი სიმდიდრე მოაქვთ თურმე – ჩვენ იმათ დავხოცავთ და ყველაფერი ჩვენი იქნება.

სუსტი ოხვრა მოისმა ერთის გულიდან. ეს ფემა სტიროდა – მას მოაგონდა თავისი ქმარი, მისი ალერსი და ყველაფერი – შემდეგ ასატრას ქმარის ბედი და აღმოხდა ოხვრა – მას უყვარდა სიცოცხლე.

კარგია, რომ ეს ოხვრა ტომირანდას არ გაუგონია.

3. სიკვდილის რთველი

მთელი სამი დღე ემზადებოდნენ ამორძალები თავიანთ ქმრების შესახვედრად. შესწყდა ყველა მუშაობა – გარდა კედელის მოთავებისა. ვისაც კი შეეძლო იარაღის ტარება, გამოიყვანეს მოედანზე. ერთი მხრივ იყო საომარი მზადება – მეორე მხრივ მზეში გაოფლიანებული ამორძალები აშენებდნენ კედელს. სალამოს ციხეზე მუშაობა გათავდა და ყველანი გაემგზავრნენ მდინარე ტერმანდონაზე, რომ გაბანილიყვნენ. იქვე ძირს კლდეებთან თვითონ მდინარის პირში შესართავთან იდგა ახალი რაზმი ამორძალებისა, რომელიც გაეგზავნა ტომირანდას, რომ ეყურადებიათ ქმრების ჩამოსვლისთვის, რაზმები შეერთდნენ და მათ ხუმრობას და ოხუნჯობას არ ჰქონდა ბოლო.

ყველანი ელოდნენ რაღაც უჩვეულოს და საკვირველს. მეორე დღეს ტომირანდამ გასცა ბრძანება, რომ მთელი ჯარი შეკრებილიყო მდინარე ტერმანდონაზე. დაიწყო დაღამება. ამორძალები უკვე მიჩვეული იყვნენ მორჩილებას და ელოდნენ დედოფლის ბრძანებას.

შემდეგ გამოჩნდა კიდევ ბნელაში დედოფლის ფიგურა. ამორძალებს შორის გაიარა ჟრუანტელმა.

ასატრას ქმარის მაგალითზე მათ იცოდნენ, რომ ტომირანდას არ უყვარს ხუმრობა.

ტომირანდამ გადახედა ჯარს და დაიწყო ცხენიდან მაღალი ხმით:

– აქ პონტის მრისხანე ნაპირას, ტერმანდონის საღვთო მდინარეზე გიბრძანებთ: ხვალ, როგორც ვიცით ასატრას ქმრისაგან, მოვ-

ლენ ჩვენი ქმრები და ძმები. ჩვენ შევხვდებით მათ ქალაქ გარეთ; ჩვენ თან წამოვიღებთ ძღვენს, ღვინოს და საჭმელს. ჩვენ მათ გაუწყობთ ნადიმს და ვაჩვენებთ, რომ ძალიან გავგვიხარდა. თუ გკითხონ, სად არიან ჩვენი ბავშვები – უთხარით, რომ დახოცეს. თუ გკითხონ, სად არის ტანისამოსი – უთხარით, რომ ჩამოგვეხა სიღარიბეში. თუ გკითხონ ძუძუებზე, რამე უთხარით, რომ ზღვის ავადმყოფობამ ჩამოგვიარა. თქვენ შეგიძლიათ, ეალერსოთ თქვენ ქმრებს. მაგრამ გახსოვდეთ, რომ უთუოდ უნდა დაათროთ, შემდეგ, როცა მთვრალეები და გალალეებული დაიძინებენ, თქვენ უნდა დაბრუნდეთ უკან ცხენებთან და რაც შემდეგ მოხდება, ამის შესახებ გაიგებთ. მაგრამ ვაი იმას, ვინც გამოიჩინს სიმხდალეს და უძღურებას.

ტომირანდა დიდხანს ეძებდა ვილაცას ჯარში. შემდეგ მისი თვალები გაჩერდნენ ახლაზე.

– გახსოვს, ახლა, შენ რომ მიგაბა ქმარმა გარეულ ხარს და მინდორზე გააქცია... გახსოვს, ის როგორ ხარობდა, როცა შენ ტანს ქვები და კენჭები ესობოდნენ?

– მახსოვს, დედოფალო, და არც არასდროს დამავინწყდება, ჩემი იმედი გქონდეთ.

– პროტია, გახსოვს შენ, რომ დაგამწყვდია ქმარმა ქვიან გამოქვაბულში და არ გაჭმევდა საჭმელს – მხოლოდ იმისთვის, რომ შენ დაგებადა ქალი და არა ვაჟი?

– მახსოვს და არც დამავინწყდება, დედოფალო.

– მეც არ დამვინწყია არაფერი, – გაათავა ტომირანდამ, – და არც არავის ვაპატიებ. გესმით თქვენ, ჩვენი ქალაქი მიუვალა. მე კიდევ მეტს გავაკეთებ თქვენთვის, თქვენ იქნებით მდიდრები, ძლიერები – თქვენ დაგიმორჩილებთ მეზობელ ტომებს, მხოლოდ მომყევით მე და მხოლოდ მე.

ტომირანდა ჩამოხტა ცხენიდან და დაჯდა ქვაზე, სათითაოდ მიდიოდნენ ამორძალები და მორჩილების ნიშნათ უკოცნიდნენ ფეხებს. ამის შემდეგ ტომირანდა დაბრუნდა ქალაქში და ელოდა მეორე დღეს.

ნანილი ჯარი ტომირანდამ დილას გაგზავნა მდინარეზე, ნანილს კიდევ მიქონდათ ხორაგი, ღვინო, ცხვრები, ხარები და სხვა.

დამხვედრი ანიშნებდნენ, რომ შუა ზღვაზე გამოჩნდნენ, როგორც შავი წერტილები მათი ქმრების ნაგები.

მოვიდა მზის ჩასვლისას პირელი ნავი, მოსულებს ძალიან გაუკვირდათ, რომ შეხედეს ტიტველ ქალებს და მათ ღია თმებს – და მამაკაცურ გამოხედვას.

პირველად მათ დაუხვდა ტომირანდა და მიართვა ძღვენი. მანვე აუხსნა მათი ძუძუების გაფუჭება და სხვა ამბები. და როცა მოათავა

დამორებისა და მარტო ყოფნის უბედურება და შეხვედრის ბედნიერების ამბავი, გადანწყვიტეს აქ გამართონ, ზღვის პირას ნადიმი.

ზოგი ქმრები ვერ ცნობენ ცოლებს და ცოლები კიდევ ქმრებს. ამასობაში არჩევდენ ადგილს მოსასვენებლად, კლდეების ახლოს დასაბანაკებლად და თანდათან ნავებიდან გროვდებოდენ მამაკაცები.

მამაკაცებს, რომელთაც ნახეს აფრიკის ნაპირები და წითელ კანიანები – მაინცა და მაინც არ უკვირდათ ამორძალების ამბავი.

ზოგს კიდევ მოეყვანა წითელი კანიანი მხევალი ქალები, და თავიანთ კანონიერ ცოლებს – ამსახურებდენ მათ.

ამორძალების გულში საშინელი ბრაზი გროვდებოდა. ისინი ცნობის მოყვარეობით ათვალეირებდენ მონა ქალებს.

მოვიდენ გემები ნადავლი სიმდიდრით სავსენი. ნაპირზე ჩამოქონდათ ძვირფასი ბენვეულები, სპილოს ძვლები, ოქრო, ყელსაბამი, ძვირფასი ქვები, იარაღი, ხეხილი, ქსოვილები და ბევრი კიდევ სხვა.

ამორძალების ცნობის მოყვარეობას საზღვარი არ ჰქონდა. ნაპირი დაემსგავსა ფანტასტიურ ბაზრობას, მაგრამ აქლემების ნახვამ ყველანი დააშინა. და ამორძალები შიშით აქეთ-იქით გაიბნენ.

თვითონ ტომირანდაც განცვიფრდა.

მაღე გამოიტანეს ნაპირზე აზიიდან წამოღებული კარვები.

ყველაზე დიდი ტომირანდას ქმარის, წინამძღოლის კარავი იყო. მოჰქონდათ ტახტრევანზე წინამძღოლი, ის კიდევ ეალერსებოდა თავის წითელ კანიან მხეველ ქალს, რომელსაც ეცვა ჰაეროვანი, როგორც ღრუბელი ტანისამოსი.

მისი ტანი სრული კონტრასტი იყო ტომირანდას ამორძალურ ტანისგან.

წინამძღოლს, რომელსაც არასდროს არ ყვარებია თავისი ცოლი – ეხლა უფრო ეტყობოდა გულგრილობა და ზიზღით გადმოხედა ტომირანდას.

ტომირანდამ გულში ჩაიკლა წყენა.

ტომირანდას ამდენ სანახაობიდან თავბრუ ეხვეოდა. ის არ მიუშვეს წინამძღოლთან – სანამ არ მოაწყვეს კარავი.

მის ძლიერ ბუნებას ეზმანებოდა ქმრის ალერსი და ამ გრძნობით შედიოდა კარავში. ხედავს, მისი ქმარი ეალერსება ქალს, რომელიც გავს ჰაეროვან ასულს. ეს ქალი წევს რბილ ბალიშებში, აბრეშუმის ბენვეულებში და მის სახეზე დამცინავი ღიმილი ისახება.

– ტომირანდა, – უთხრა წინამძღოლმა, – ამიერიდან ეს არის შენი ქალბატონი, დაბრუნდი სახლში და ყველაფერი მოამზადე მაგის დასახვედრად – წაიღე ყველაფერი, რაც საჭირო იყოს, გემის უფ-

როსი მოგცემს ყველაფერს და მოაწყვე ძვირფასად ოთახები – შენი ქალბატონისათვის.

– განა მე არ უნდა ვიყო მაგის ქალბატონი? – შეეკითხა ტომირანდა და გაფითრდა რისხვისაგან, – შენ ალბად გზაში დაღლილხარ და აზრი გებნევა, უთხარი შენ მხევალ ქალს, რომ მე ვარ მაგის ქალბატონი, შენი კანონიერი ცოლი და არ შეიძლება, როცა მე შემოვიდე, ეს მანდ ეგდოს და ფეხზე არ წამოდგეს.

– კიდევ ერთი სიტყვა მეტი და მე შენ მოგკლავ, – დაიღრიალა წინამძღოლმა, – მე არც დაღალული ვარ და არც ავადა ვარ, და ვიცი, რასაც გიბრძანებ. შენც ისე იზამ, როგორც გიბრძანე და რომ ეს დაგიმტკიცო... – წინამძღოლმა შესწყვიტა ლაპარაკი და რალაც გაუგებარ ენაზე მიმართა მხევალს.

ის კიდევ ზანტად ავიდა თავის ადგილიდან და დაჯდა კარავის შუაში მაღალ ბალიშზე, რომელიც ძალიან ჩამოგავდა ტახტს. ამის შემდეგ თავისი დიდრონი თვალებით უჩვენა ტომირანდას მინაზე თავის ფეხებთან და წინამძღოლმა უთხრა თავის ცოლს:

– ამ ქალს უნდა, შენ თავქვე დაეშვა მაგის წინ და ისიც თავის სუფლების ნიშნად ფეხს დაგადგამს თავზე.

ტომირანდას აუკანკალდა კბილები – მაგრამ მანაც აასრულა ბრძანება. ლამაზი ქალი კიდევ იღიმებოდა.

ტომირანდა განრთხული იყო მის ფეხებთან.

თავზე იგრძნო იმ ქალის ფეხი. უნდოდა, ავარდნილიყო და ისარით გაეპო მისთვის მკერდი, მაგრამ მოიგონა, რომ იარაღი არა აქვს და ამის გარდა, მოაგონდა ამაღამის გეგმები, რომ მის ხელშია მთელი სამეფოს ბედი – იყო ასეთ მდგომარეობაში, მხოლოდ იმისა ეშინოდა, რომელიმე ამორძალს არ ენახა ასეთ ყოფაში.

ადექი, გახადე შენ ქალბატონს და დადექი ყარაულად კარავთან. ტომირანდამ გახადა მხევალ ქალს. მისი მშვენიერი რბილი ტანი სავსე იყო ახალგაზრდობით და სინორჩით და თან სურნელებით შეზავებული. მხევალმა ქალმა კიდევ წინამძღოლს ჩამოხადა საჭურველი.

კარავში დაბნელდა.

წინამძღოლმა დაღია რალაც ტკბილი სასმელი, რომელიც მხევალმა მიუტანა და ლუდი, ამორძალების მიტანილი კიდეც გადააქცია.

მხევალი ქალი დაწვა მის ფეხთან და ტომირანდა დადგა სადარაჯოზე. როცა მათ დაეძინათ, ტომირანდა ჩუმად გამოვიდა კარავიდან. ის უფიქრდებოდა ატანილ შეურაცყოფას, მაგრამ მალე ერთმა აზრმა დაფარა ყველაფერი. ცაზე ვარსკვლავები ბრწყინავდენ და ბანაკში კოცონები აენთენ, მთვრალეების ორგია გრძელდება.

ტომირანდა მიდიოდა ბანაკის შუაგულში და უყურებდა შეზარხოშებულ მხედრებს.

ამორძალები, მხედრები და წითელ კანიანი მხევალი ქალები ერთმანეთში იყვნენ არეული, წითელ კანიანი ქალები იგონებდნენ თავის შეურაცხყოფას.

ტომირანდა მივიდა მდინარე ტერმადონასთან, აქ მას უცდიდნენ შემფოთებული დანარჩენი ამორძალები. ამორძალები უცბად შეიარაღდნენ. თითქმის ყველანი დაბრუნებულიყვნენ. ზოგიერთები კიდევ ფხიზელ ქმრებს არ სცილდებოდნენ და აცლიდნენ იარაღს.

ტომირანდას არ სჭირდებოდა ბევრის მტკიცება, თითქმის ყველა ამორძალები გრძნობდნენ თავს შეურაცხყოფილად და მზად იყვნენ შურისძიებისათვის.

ტომირანდამ მაინც მიმართა სიტყვით.

კოცონები თანდათან ჰქრებოდნენ, მთვარე მიეფარა ღრუბლებს, ქარი ჩადგა, მხოლოდ ზღვა ღელავდა – მხოლოდ აქა-იქ ისმოდა მთვრალი ამოძახილი რამდენიმე მხედარის და წითელ კანიანი ქალის ოხვრა და ზოგი კიდევ ძილათ მიგდებულებოდნენ.

შემდეგ ამორძალები გადაესიენ მდინარე ბანაკს. განსაკუთრებით ტომირანდა იბრძოდა. ქალებს ამორძალები არ კლავდნენ და გაიარეს ბანაკი, როგორც სიკვდილის ანგელოზებმა.

4. ტომირანდას სასახლე

ტომირანდას არ ეძინა. მას აგონდებოდა წუხანდელი ბრძოლა და იზმორებოდა კმაყოფილებით. მან წაიყვანა ამორძალები წუხანდელ ბრძოლის ველზე. ჯერ კიდევ ეყარნენ მკვდრები და კოცონები იღვლიფებოდნენ – ამორძალები გრძნობდნენ თავიანთ გამარჯვებას. მათ მიაღწიეს წინამძღოლის კარავთან. ტომირანდა შეჩერდა და შეიხედა, შიგ მისი ქმრის ტანი ეგდო ბალიშებში, თავი კიდევ ცალკე მივარდნილიყო, ცხედარის ფეხზე მიბმული იყო წითელ კანიანი მხევალი ქალი. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მის თვალებში საშინელი შიში იხატებოდა.

ტომირანდას არ უნდოდა მისი სიკვდილი, ის ეძებდა უფრო საშინელ შურისძიებას. ჯერ მხოლოდ გადააბა მკვდარს – შემდეგ შევიდა კარავში, ჰკრა ფეხი მკვდარ ქმარს და გადააგდო სხვა მხარეზე. შემდეგ შესდგა ქუსლებით მხევალ ქალს და სხვა ამორძალებსაც აქელვინა ფეხებით. თან საშინელ სიტყვებს ეუბნებოდა თავის ენაზე. მაგრამ ამაინაც ვერ მოუგო გული. უბრძანა, წაიყვანონ მხევალი ქალაქში და დააბან ჯურღმულში. შემდეგ ამორძალები დაესიენ მკვდრებს და ისროდნენ ზღვაში. სხვა რაც იყო სიმდიდრე, ამორძალებმა ჩაიტანეს ქალაქში.

მაღლე ქალაქის კედელი სრულიად მოთავდა. კარის ბჭეებს იცავდენ შეიარაღებული ამორძალები.

ამორძალებმა გაიყვეს სიმდიდრე და მოაწყვეს თავიანთი სახლები. ახლა ყველაფერი ბლომად ჰქონდათ, როგორც იარალი, ისე სიმდიდრე, მათი სოფელი სრულიად გამოიცივალა.

ტომირანდამ ქალაქს დაარქვა სახელად ტელისკირი და გამოაცხადა ამორძალების სამეფოს სატახტო ქალაქად. ქმრების მოყვანილი მონა ქალები ტომირანდას დარჩენ – ასეთები კი ბლომად იყვნენ. მან იმათგან განსაკუთრებული ამაღა შეადგინა თავის თავისათვის და იმათ უფროსად დააყენა ახლა, რომელსაც დაარქვა ქარიშხალი, გულადობისა და სიმარდისათვის.

ეხლა მას ყავდა მშვენიერი ჯარი. მრავალი ქალების სადარაჯო რაზმი და ფლოტი – ქმრების მოყვანილი ნავეებიდან. უმთავრესი ნაწილი ნადავლისა თვითონ ტომირანდას დარჩა – მათ შორის აღმოჩნდა ოქროს ქამარი უძვირფასესი პატიოსან ქვებით მოფენილი. ეს ქამარი მან შემოირტყა თავის მეფობის ნიშნათ. და გასცა ბრძანება, რომ არც ერთ ამორძალს ქამარი არ ეტარებია – ეს გამოცხადდა დედოფლის უზენაეს უფლებათ. შემდეგ მან აირჩია გამჭირვალე ქსოვილი, მხეველ ქალზე რომ ნახა, ესეც მეფობის ნიშნად.

გავიდა ნახევარი წელი.

შუა ქალაქში აღსდგა მარმარილოს სასახლე. ქვებისათვის ძალიან შორს გაგზავნა ტომირანდამ ამორძალები პროტოას წინამძღოლობით. სასახლე მორთეს ნოხებით და სხვა ძვირფასი სამკაულებით.

ეს იყო ტომირანდას სასახლე. ეხლა კი მოისურვა თავის ქვემეგრდომებისთვის მიეცა კანონმდებლობა. მოიწვია სასახლეში ყველაზე უფრო გავლენიანი და ჭკვიანი ამორძალები და იმათთან ერთად დაიწყო ახალ კანონებზე ბჭობა. ახალი კანონით ტომირანდა თავისი სიცოცხლეში უნდა ყოფილიყო მეფეთ. ამორძალები ხდებოდენ მისი ქვეშევრდომები და უნდა დამორჩილებულიყვენ ყოველ პირობის გარეშე.

მას ჰქონდა უფლება მათი სიცოცხლისა და სიკვდილისა. არავითარი გადასახადი კი არ დაუნესებია. მხოლოდ სასახლეში უნდა მიეტანათ, რაც იყო საჭირო და ემსახურათ ჯარში.

რამოდენიმე ამორძალები ამოირჩია, საერთო წრიდან გამოჰყო და მხოლოდ მასთან უნდა ემსახურათ. ამორძალები მის დანახვაზე უნდა დავარდნილიყვნენ მის ფეხებთან და ნიშნათ კეთილგანწყობილებისა, მხოლოდ რჩეულთა შეეძლოთ მისი ფეხის კოცნა. ვინც ამისი ღირსი გახდებოდა – ეს იყო დედოფლის რჩეული და სხვა ამორძალები უნდა მოკრძალებოდენ მათ და მიეცათ პირველი ადგილი.

საერთოდ ტომირანდას ზვიადად ეჭირა თავი, რაც მოაწყო სამეფო და მამაკაცები დანყვიტა – თითქო ის მაღლიდან არის დანიშნული ამ დიდი საქმისათვის.

ხანდისხან თავის მარმარილოს სასახლეში მას თვითონ თავის თავი წარმოუდგებოდა იმ უმაღლეს არსებათ, რომელზეც ეუბნებოდენ მშიშარა ამორძალები.

ასატრამ თავისი ხელით ამოჭრა მარმარილოდან ტომირანდას ქანდაკება, დასდო სასახლის წინ და გაუკეთა სამსხვერპლო, რომელიც აღმოჩნდა გემში და რომელიც აგრეთვე ქმრებს მოეტანათ აზიიდან...

ტომირანდას ძალიან მოეწონა ეს ამბავი და გადაახურვია ქანდაკება, თანაც ბრძანება გასცა, რომ ღვთის მსახურება დაეწყოთ: გუნდრუკის კმევა და მსხვერპლის მოტანა. აქ ამორძალები დაემხოზიან თავქვე და ლოცულობენ ტომირანდას, თან მოქონდათ აუარებელი შესანირავი.

ქურუმების უფროსად ტომირანდამ დანიშნა ასატრა. ტომირანდა დილით ისევ ადრე სდგებოდა, გაიარდა ცხენით ქალაქში და ზღვის ნაპირზე. შემდეგ დაბრუნდებოდა ქალაქში და შეუდგებოდა საქმეებს – უფრო კი ასამართლებდა ხალხს. ან ამტკიცებდა, ან უარყოფდა იმას, რასაც გადანიყვებდა მსაჯულთ უხუცესი, რომლის ადგილას მან დანიშნა პალა.

ამის შემდეგ დედოფალი ისადილებდა და ისვენებდა. ჯარების უფროსი იყო პროტოა.

შინაურ საქმეებს განაგებდა, და დედოფლის ცხენს უვლიდა ამორძალი მენალიზა, რომელიც იყო მისი მარჯვენა ხელი და მეფისნაცვალი. მენალიზა დააწვენდა ტომირანდას. სადილის დროს ემსახურებოდა, ტანთ გახდიდა და უყურებდა თავქვე დამხოზილი, სანამ დედოფალი არ დაიძინებდა. მენალიზას ბედი ბევრ ამორძალს ეშურებოდა.

ყველა, ვინც შემჩნეული იქნებოდა მამაკაცებთან კავშირში, ან თავისთან, ან ტყვეთ მოიყვანდა მამაკაცებს, მას უთუოდ სასტიკი დასჯა მოელოდა.

დამნაშავეს მოაბავდენ გარეულ ხარს და გაუშვებდენ მინდორში. მაგრამ ჯერ ვერავის გაებედა ასეთი სასჯელი. ვინც დედოფალს შეურაცხყოფდა, დაამწყვდედენ ჯურღმულში და იქ სიმშობლით ამოძვრებოდა სული, მერე კი დათხრიდენ თვალებს. სამეფოს ღალატისათვის დამნაშავეს გადააგდებდენ კლდიდან ზღვაში.

ამორძალები ძალიან თავშეკავებული იყვენ. მაგრამ ისე ყველას გულზე აწვა საშინელ ლოდათ ამორძალის დესპოტია.

5. ფემა

იმ დღიდან, რაც ამორძალებმა ქმრები დახოცეს, ფემა სადღაც გაქრა. არც იმ ღამეს და არც მის შემდეგ ის არავის უნახავს. ამ დროს ან ვინ მიაქცევდა მას ყურადღებას, არც ნადავლის გაყოფის დროს მოიგონეს – მხოლოდ ერთხელ პალამ მოახსენა დედოფალს, რომ ფემა არ სჩანს და არც იციან, სად არის.

ტომირანდამ გასცა ბრძანება, უთუოდ მონახონ.

დღეები მიდიოდენ, ფემა კი არსად სჩანდა.

ფემა იმ დღესვე, როცა ამორძალებმა გადანყვიტეს ქმრების სიკვდილი, მივიდა ბანაკში – მონახა თავისი ქმარი. ქმარს ძალიან უყვარდა ფემა, მაგრამ ფემას არ გაუცია ხმა – უთხრა მხოლოდ, თუ გინდა, რომ არ დაიღუპო, მზე რომ ჩავა, მოდი იმ ადგილას, სადაც მე და შენ პირველად შევხვედით ერთმანეთსო.

ქალები რომ დაბრუნდენ ქალაქში იარაღის წამოსაღებად, ფემა მათ გამოჰყვა, მაგრამ დაბრუნებისას მან ისარგებლა სიბნელით და გადაუხვია ზღვისაკენ.

ორჯერ-სამჯერ მოესმა ხმა, რომ უძახოდენ ამორძალები, მაგრამ მას თითქოს არ გაუგონია. სხვებმა იფიქრეს, რომ წინ წავიდა და გაჩერდენ. ვარსკვლავები უჩვენებენ გზას, მიაღწია კიდეც ზღვის ნაპირს, მას ეზმანება ქმრის ალერსი და უხარია, რომ გადარჩა მრისხანე დედოფალს. ეს ადგილი წინათაც იყო მათი შეხვედრის ადგილი. ქმარი ნახულობს ფემას.

აქ მოხდა მათი შეხვედრა და პირველი მიაღერება. ფემამ ყველაფერი უამბო თავის ქმარს. მას უნდოდა მიშველებოდა თავის ამხანაგებს, მაგრამ ფემა ეუბნება, რომ ეხლა უკვე გვიან არის, რომ ის ვერაფერს ვერ გაბედავს ამდენ შეიარაღებულ ამორძალების წინააღმდეგ.

მათ გადასწყვიტეს ამ გამოქვაბულში დარჩენა უკეთეს შემთხვევამდე. კაცმა ისარგებლა შემთხვევით და, როცა ამორძალები გართული იყვნენ ომში, მოხსნა თავისი გემი, ჩააწყო შიგ ყველაფერი, რაც საჭირო იყო და წავიდა ზღვაში. მივიდნენ იმავე გამოქვაბულში.

– ტყვილად ლანძღავ შენ ტომირანდას, ხედავ, რა ღონიერი და გულადათ გადაუქცევინარ, ფემა.

ფემა იცინის. ქმარს უხაროდა მისი სიმკვირცხლე და მალი-მალ გადაატანიებდა ტომრებს და სხვა ნივთებს გემიდან.

კაცმა გააბა გრძელი ბანარი გამოქვაბულში, რომ გზა არ დაბნეოდა. მოაწყვეს თავიანთი კუთხე მშვენივრათ ბალიშებით და ნოხებით, ლეოპარდებისა და ლომების ტყავებით. მერე საგზლად მთელი

ჯოგი ცხვრებისა მორეკეს. დღე სცხოვრობდენ გამოქვაბულში, ღამე კიდევ გამოდიოდენ ზღვაზე სასეირნოთ.

დღეები ღამეებს აგავდენ და ღამეები დღეებს, ფემამ დაისვენა და გალამაზდა. ქმარი გამოუტანდა ლევანტის ნებოს, აანთებდა და მის შუქზე ფემა მოსჩანდა, როგორც ფანტასტიური სიკეკლუცი.

მის სილამაზეს მხოლოდ ტომირანდასგან მოჭრილი ძუძუ აფუჭებდა – ქმარიც გალამაზებულიყო, დავაჟკაცებულიყო. მთელი დღეები ისინი ელაპარაკებოდენ ერთი მეორეს.

ის უყვებოდა ამორძალების ცხოვრებიდან, ქმარი კი თავის თავგადასავალს შორეულ აზიაში ომის დროს.

კაცი ასწავლიდა ფემას წითელ კანიანების ენას და თან ოცნებობდენ, თუ ზღვა დაწყნარდებოდა, წასულიყვენ სხვა ქვეყანაში. ღამე გამოათრევდენ თავიანთ ნავს, იჭერდენ თევზებს, დილას ძალიან ადრე ესროდენ ისარს არწივს არ რომელიმე ზღვის ფრინველს და როგორც ცა განათდებოდა, ისევ დაიძალებოდენ გამოქვაბულში.

ტომირანდა თანდათან შორს მიდიოდა თავის ოცნებაში, მას მოსწყინდა თავის გაღმერთება, გუნდრუკი დ ამორძალების მორჩილება და მოინდომა თანდათან გააფართოვოს თავისი სამეფო.

ტომირანდა უბრძანებს მენალიპას, ღამე გამოიყვანოს ცხენი. მენალიპას სძინავს მის ფეხებთან, ჯერ არ ესმოდა დაძახება, შემდეგ წამოვარდება შეშინებული. მენალიპა უშლის დედოფალს, მაგრამ დედოფალი არ იჯერებს და შეუკაზმავენ ცხენს, ის გაიარს თავის ნაჩვევ კლდეებისაკენ ახალი გეგმების დასაწყობად. დიდებულია დილის გაღვიძება შავ ზღვაზე. უცებ მას მოესმის რალაც ჩურჩული: ტომირანდა დააკვირდება და ხედავს ორ ლანდს, რომელნიც უახლოვდებიან გამოქვაბულს.

ტომირანდას თვითონ შეეშინდა ამ ჩრდილებისა, რადგან ეს მიუვალნი ადგილი იყო და ეგონა, რომ ეს არიან ღმერთები და უნდათ მისი დასჯა თავის გაღმერთებისათვის. შემდეგ მას ესმის ხმა: ლაპარაკობს ფემა და მისი ქმარი.

საშინელი რისხვა გაიარს ტომირანდას სახეზე. მე შენ გაჩვენებ, როგორ დაემალო ღმერთ ქალ ტომირანდას.

ტომირანდა მრისხანე დაბრუნდება სასახლეში. მზე ამოდის ქალაქზე. ტომირანდას ტაძრიდან ისმის ღვთისმსახურება და გუნდრუკი ღრუბელივით მიდის ცისკენ. სასახლესთან სდგას ცხენოსანი რაზმი ქალებისა.

იქვე არიან: ახალი, მათი უფროსი, ჯარების უფროსი პროტოა, მსაჯულთ უხუცესი პალა. მენალიპამ ჩამოართვა ცხენი დედოფალს

საშინელი კანკალით, ყველანი დაემხენ დედოფლის წინ, მაგრამ მის სახეზე არაფერი არ სჩანს რისხვის გარდა და შევარდება თავის ოთახში.

ცოცხალი შიმშილი მოითხოვს პალას. ყველას შიშით აკანკალებს. პალაც შეშინებულია და გაფითრებული, დაემხო პირქვე და უკეთებს მოხსენებას მიმდინარე საქმეებზე. ტომირანდა უსმენს. მაგრამ მის სახეზე მაინც საშინელი რისხვაა.

– უკვე რამდენიმე თვეა, შენ ჯურღმულში ამწყვედევია შენი ქმრის მხევალი, დიდებული ღმერთო ქალო. რას გვიბრძანებ, რა უნდა ვუყოთ მას.

– მალე შენ დაიკავებ ალბად იმ მხევალი ქალის ადგილს.

პალას შიშით გააცვივა.

– მე არ გაგხადე შენ ყველაფრად (აქ ჩამოთვლილია, თუ საჭირო იქნება).

– მე გიბრძანე შენ, უთუოდ მოგენახა ფემა – სად არის იგი.

პალა ეუბნება, რომ ყველგან გააგზავნა მდევერები და ითხოვს სამ დღეს ვადათ კიდევ, რომ მონახოს. მაშინ ტომირანდა ეუბნება ფემას ბინას. ქმარი მოჰკალით, ფემა კი აქ მომგვარეთ. ფემა იმ მხეველ ქალთან დააბით.

პალა გამოდის. შედის ტაძარში, კოცნის ტომირანდას ფეხს, მიიღებს ამატრიდან კურთხევას და ხუთი ამორძალებით გაუდგება გზას კლდეებისაკენ.

დიდხანს ეძებენ, უნდათ კიდევცა უკან დაბრუნება, შემდეგ ნახულობენ ბანარს და მიაგნებენ ცოლ-ქმარს ერთმანეთის ალერსში, პალას და სხვა ამორძალებს ძალიან გაუკვირდებათ, რამდენი ხანია, არც იციან, რაა ალერსი მამაკაცის.

კაცს გაუკრავენ ხელს და გადააგდებენ კლდიდან ზღვაში.

ფემას მიამბავენ პალას ცხენს და მიჰყავთ სასახლეში. პალა მიდის დედოფალთან, მაგრამ მენალიზა არ უშვებს. მაშინ ის ეტყვის, რაც უნდა გადასცეს და მიჰყავს ფემა, რომ დააბას ჯურღმულში. ჯურღმულში სცივა, ნესტია და სხვა რაღაც ფრინველები დაცოცავენ. ფემა რჩება ჯურღმულში.

პალა მიდის ტაძარში სალოცავად, რომ გადარჩა დედოფლის რისხვას.

ფემას გული უნუხდება და სტირის.

6. კლიტევრა

სანამ ფემა და სანყალი მხევალი ქალი ერთად იტანჯებოდნენ გვერდით ფერდზე მიბრუნებული – და ტომირანდა ნებივროდა გამარჯვე-

ბით, ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ტელისკირში მოვიდნენ ელჩები. დილას ადრიანად გაისმა ქალაქის კედელთან რალაც ინსტრუმენტების ხმა, რომელიც წინათ არავის გაეგონა. ეს ელჩები უკრავდნენ რალაც რქებზე გაჩეთებულ ტომრებით, რომელიც ხარის ბუმტიდან იყვნენ გაბერილი და ხან გაიბერებოდნენ და ხან დაიკუმშებოდნენ.

ამორძალების ყარაულები გაჰკვირდნენ – ეს პირველი გულადი მამაკაცები, რომელნიც მიუახლოვდნენ ქალაქის კარებს. ამორძალების უფროსმა გაგზავნა ქალაქში კაცი ბრძანების მისაღებად. ცოტა ხნის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ და მოიტანეს გასაშვები ნიშანი. მამაკაცები შემოვიდნენ ქალაქში, თან მოჰქონდათ აუარებელი ძღვენი, ჯოგი ცხვრებისა და ცხენებისა, ხარები, კამეჩები და სხვა. ჯორები – ყველანი დატვირთული იყვნენ საქონლით. მოგზაურები დაკითხვისთვის მოუყვანეს პალას. მან ისინი მიიღო მწყრალად და თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა. ტომირანდას დაშინებული პალა ეხლა უფრო ჭკვიანი და დაკვირვებული შეიქმნა.

პალამ ჩამოართვა მათ თავიანთი მოკლე დანები, უკან რომ ჰქონდათ გარჭობილი და ჰკითხა, რისთვის მოვიდნენ.

ჩვენ მეზობელი ტომების ელჩები ვართ – მოვედით, რომ წარუდგეთ თქვენ ბრწყინვალე და ძლიერ დედოფალს. ჩვენ გვინდა, მოუტანოთ ძღვენი და ვთხოვოთ მონყალება. პალამ ჩაათვალიერა კიდევ. შემდეგ მიუყენა მცველები და წავიდა სასახლეში მოსახსენებლად. აქ ის წარუდგა მენალიპას, რომელმაც მიიღო გულმონყალეთ.

– შენ აქ მოიცადე და მე მოვახსენებ.

მალე მოვიდა მენალიპა.

– მოახსენე მათ, რომ დიდებული დედოფალი დათანხმდა, მიიღოს ელჩები.

პალა სანამდე წავიდოდა, მენალიპამ გასცა ბრძანება, ქალაქი მორწყონ, ტაძარი გააჩაღონ. მგზავრებმა იბანავეს ტერმადონაში, ჩაიცვეს ახალი ტანისამოსი და მივიდნენ ტაძარში და მუხლები მოიყარეს ქანდაკების წინაშე. გუნდრუკი უკმიეს, ძღვენი დაანყვეს და მზაკვრად ორი ხარი მიუტანეს.

ასატრა ამორძალების ხოროთი მღეროდა ჰიმნებს, ტომირანდა იდგა სასახლესთან და ისმენდა საგალობელს, როცა გაათავეს, უბრძანა მენალიპას, შემოსოს გამჭირვალე ქსოვილით, რომლის ქვეშ მოსჩანდა ძვირფასი ქამარი. შემდეგ ის დაჯდა ქვის ტახტზე და უბრძანა, შემოიყვანონ ელჩები.

შემოიყვანეს მგზავრები: მათ მიიხედ-მოიხედეს და გაკვირდნენ, როცა ნახეს დედოფალი. დაეცენ მის წინ პირქვე. ტომირანდა უბრძანებს მენალიპას, გამოკითხონ, რა უნდათ მგზავრებს.

მწყემსებმა აუხსნეს, რომ ისინი მეზობელ ტომების წარმომადგენელი არიან, რომ ისინი არიან მეცხვარეები, რომ ცხოვრობენ მშვიდად, სანამ ამორძალები არ გამოჩნდნენ და არ დაესხნენ თავზე. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანს – პროტოა სწავას სოფლებს, კლავს მამაკაცებს და ქალები მიყავს ტყვეებათ – ეხლა ისინი მოვიდნენ დედოფალთან, სთხოვონ შეწყნარება და ელჩი დაეცა დედოფლის ფეხთქვეშ.

– უთხარი, რომ დაგვიბრუნონ ქალები და ჩვენ მოვალეთ ვრაცხავთ ჩვენ თავს, მოვიტანოთ, რაც გვაბადია და რაც თქვენ მოგვთხოვთ, მხოლოდ შესწყვიტეთ თავდასხმა.

აქ ელჩები დააწყობენ, რაც მოუტანიათ. ამის შემდეგ მათ მორჩილების ნიშნად აკოცეს ტომირანდას, ტახტის კიდეს დასდევს ტომირანდას ფეხებთან ერთი მუჭა მინა და ერთი თასი წყალი.

ტომირანდას თითქოს არც დაუნახავს ლამაზი მწყემსები, შორს იხედებოდა და გადასცა მენალიპას, რომ ორი დღის შემდეგ გაიგებენ პასუხს, მანამდე უბრძანა, კარგად შეინახონ სტუმრები და ძღვენი აკრიბონ. ტომირანდას სიამაყეს საზღვარი არა ჰქონდა. მან დანიშნა ჯარების აღლუმი.

ჯარი მიდიოდა დედოფლის წინ პროტოას ხელმძღვანელობით. წინ მიუძღვებოდა დამცველი რაზმი ახლას მეთაურობით. ტომირანდას ბრძანებით ამორძალები ერთმანეთში აირიენ და საშინელი ქარიშხალი გაჩნდა ისრების სროლიდან. ისინი სტუმრების თავზე გადადიოდნენ – მათ ნაცრის ფერი ედოთ და ტომირანდა ზიზლით უყურებდა იმ მშინარა მამაკაცებს.

უცებ ტომირანდამ აიღო შვილდი და ისროლა ისარი სტუმრისაკენ; ყველანი შიშით წაიქცენ. ისარი იქვე დაეცა ახლო; ამას მოჰყვა მეორე და მალე მწყემსების გარშემო დადგა ისრების ღობე, ეხლა მოეწყო ცერემონიული დედოფლის უკან დაბრუნების. წინ მიდიოდა ქურუმთა ქურუმები საცეცხლურებით, რომელნიც მღეროდნენ ჰიმნებს, შემდეგ ახლა დამცველი რაზმის თავში, შემდეგ მენალიპას მიყავდა დედოფლის ცხენი. მერე ფეხით მიდიოდნენ პალა და რამოდენიმე რჩეული ამორძალი და მათ შორის კლიტევრა, ახალგაზრდა და ლამაზი ამორძალი დიდებული ცეცხლის თმებით – ტომირანდამ უკანასკნელად მას მიაქცია ყურადღება, განათავისუფლა ქურუმობიდან და გაიხადა სასახლის მოსამსახურეთ. მას შეეძლო დედოფლის საწოლ ოთახში შესვლა და ხანდისხან შეცვლიდა მენალიპას.

მენალიპას ეს არ მოსწონდა. ნუხელისაც კლიტევრა დასტოვა დედოფალმა თავისთან სასახლეში. კლიტევრას ყელზე ეკიდა მშვენიერი მარგალიტის საყელო, ეს იყო ნიშანი ნუხანდელი დედოფლის წყალობისა.

შემდეგ მიდიოდენ სტუმრები მორჩილების ნიშნათ ხელშეკრული, შემდეგ ცალკე ქალები ფეხებშეკრული, რომელნიც ბორძიკობდენ. შემდეგ ექვს ამორძალს მოჰქონდა ტომირანდას ტახტრევანი, რომელზედაც იჯდა დედოფალი ამაყად. პროცესიას ათავებდა ჯარი, პროტოას მეთაურობით. შემდეგ პროცესია გაჩერდა სასახლესთან. ტომირანდა დიდი ზეიმით შეიყვანეს სასახლეში. ამორძალები ჩამოხტენ ცხენებიდან და თავები დახარეს მიწასთან. ტომირანდას შეყვენ თან კლიტევრა და მენალიპა.

– შენ დარჩი მთელი ღამით ჩემთან, კლიტევრა. შენ კი მენალიპა ნახვალ დასაძინებლად.

– მაგრამ მე არ დავლილვარ, დედოფალო და ნუ მომაკლებ შენი სახის შეხედვის ბედნიერებას.

– კიდევ ერთი სიტყვა და შენ სამუდამოდ დაკარგავ მაგ ბედნიერებას.

მენალიპა მზად იყო დამორჩილებოდა, რომ კლიტევრამ შესძახა:

– დედოფალო, მე ჯერ არ მეძინება, მე მინდა, ვნახო უცხო მგზავრები და ამოგიჩიო შენ პატარა კრავი.

– ნადი, პატარა გოგო, მხოლოდ მალე დაბრუნდი. – ისეთი სინაზე ჯერ არავის უნახავს ტომირანდასაგან.

კლიტევრა დაემხო დედოფლის სარეცელის წინაშე და მისი სპილენძის თმების ნიაღვარი დაიღვარა მარმარილოს იატაკზე და გამოჩნდა ქალის დიდებული სილამაზე. მენალიპამ შეასწრო თვალი, რომ დედოფალი სიამოვნებით შესცქეროდა ქალს. შემდეგ კლიტევრამ აკოცა ფეხებზე დედოფალს და გავარდა გარეთ.

დედოფალი მაინც მარტო დარჩა. მან გაგზავნა მენალიპა, რომ გასცეს ბრძანება, აუშვან ხელები მგზავრებს, აჩვენონ ქალაქის შესანიშნავი ადგილები და თანაც კარგად გაუმასპინძლდენ.

ტომირანდამ მიიღო მათი მორჩილება, აპატია ყველაფერი, თუ მოიტანენ ხარკს და აგრეთვე გასცა ბრძანება, მიეცათ მათი ტყვე ქალები. მენალიპამ რაღაც ჩასჩურჩულა ყურში პალას. უკანასკნელი სიხარულმა მოიცვა, რომ როგორმე ასიამოვნოს დედოფალის რჩეულს.

ტელესკირის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალაქის ყრუ ნაწილში გაშენებული იყო დაჩრდილული ბალი მოხუცი ამორძალ ქალის ამალიასი. ამალიას მეტად კარგი ხასიათი ჰქონდა, იყო იშვიათი მხიარული და უდარდელი, სანამ შეეძლო, იყო ამორძალი, როცა დაბერდა, მერე ხელი მიჰყო ლუდის გამოხდას და ხელში ჩაიგდო მთელ ქალაქში ლუდის მონოპოლია.

მალე მისი ბალი ქალაქში ყველაზე უფრო მხიარული ადგილი გახდა.

ბალი დიდებულათ იყო მონყობილი. ჩანჩქერებით და ლეოპარდისა და ლომის ტყავებით. მინაში იყო დამარხული დიდი ქური, რომელშიაც ქარვის ღვინო იყო ჩასხმული. ამორძალებს ძალიან უყვარდათ ბაღში სიარული. ამაღა ხვდებოდა დიდი ამბით. გამოჰქონდა ყველაფერი, უფენდა ტყავებს და სხვა. ამორძალებსაც მოჰქონდათ ყველაფერი. განსაკუთრებით დიდი დღესასწაული იყო ხოლმე „ტომირანდას დღეს“ ანუ „განთავისუფლების დღეს“. ეს დღე იყო ამორძალთა სამეფოს დაარსების მოგონების დღე.

დღეს აქ იყო გამართული დიდი ქეიფი. მტანჯველი იყო ტომირანდას ტირანია და ამიტომ ქეიფის დროს ამორძალები უფრო გამძაფრებით ეძლეოდნენ თავისუფლებას, თანაც არ იკლებდნენ და კანონმდებლობას სასტიკ კრიტიკას უკეთებდნენ. მხოლოდ ტომირანდას ღვთიურ პიროვნებას ჯერ მაინც ვერ ეხებოდნენ, სამაგიეროთ მის ახლობელ ქალებს – მენალიპას, პალას, პროტოას და სხვებს – ხვდებოდათ ძალიან, თუმცა მათი შიშით ამორძალები ძლივს იბრუნებდნენ სულს.

ბალი სავსე იყო, როცა შემოვიდნენ უცხოელები. ისინი იყვნენ ლამაზი მამაკაცები: ერთი საშუალო ტანის – ბრიუნეტი, ცოტა ხნიერი. მეორე – ქერა, მაღალი და ცისფერი თვალებით, თანაც ძალიან ახალგაზრდა.

მოკლე კაბა, რომელიც მას ეცვა, ვერ მალავდა მისი ტანის სილამაზეს, ორთავეს ეკიდათ სალამურები, რომლითაც დღეს მოადგენ ქალაქს. მათ შემოყვანა ბაღში ლამაზი კლიტევრაც. ის მიჯდა ერთი დიდი ხის ქვეშ და განიერი თვალებით მიმტერებოდა უცხოელებს, მისი თვალები ვერ მალავდნენ ვნებას.

ამალიამ მიართვა სტუმრებს ლუდი.

ამორძალები მოეხვიენ უცხოელებს და ეკითხებოდნენ სხვადასხვა ამბებს. მათ ძალიან გაუკვირდათ, რომ ამ ტომს მეფე არ ყავთ და ყველა საკითხებს თვითონ ხალხი სწყვეტს.

ეს იყო ნამდვილი კომუნა.

მწყემსები ამბობენ, რომ ისინი ერთ და იმავე დროს მწყემსებიც არიან და მხედრებიც, რომ არავის თავს არ ესხმიან, თუ მათ არ დაეცენ თავზე, რომ ისინი თავყვანს სცემენ მხოლოდ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს. ლუდი ილეოდა და თანაც ლაპარაკს შნო ეძლეოდა.

და უმატეს ხმას უცხოელებმა და თანაც ამოიღეს თავიანთი სალამურები. მალე კლიტევრა წამოხტა და წინ დაუჯდა უცხოელებს. ახალგაზრდა მწყემსი ეალერსება კლიტევრას და თან უსხამს ლუდს. ორთავეს გაუარეს ჟრუნტელმა. ორგია გრძელდება. ამორძალები სასტიკად დათვრენ. მწყემსებმა წაიყვანეს კლიტევრა მახლობელ გამოქვაბულში.

კლიტევრას დაავიწყდა ყველაფერი, ტომირანდა და ამორძალობაც და ახალგაზრდული ვნებით მიეცა თავდავინწყებას. ტომირანდას საწყალ ფავორიტკას უდარაჯებდა პალა და აკი მოასწრო კიდეც...

კლიტევრა გაფითრდა. ის ემუდარება ახალგაზრდა მწყემსს, თან ნაიყვანოს თავის ქვეყანაში. მას მოსწყინდა სასახლე და ამის გარდა, არის რალაც უჩვეულო თვით ტომირანდას მისდამი სიყვარულში.

მწყემსიც ეალერსება და პირდება თავის ქვეყანაში გადამალვას. მწყემსი სხვა მხარეს წავიდა, კლიტევრას უნდა ტანი დაებანა მდინარეში და სასახლეში წასულიყო, რომ ამ დროს თავზე ესხმება ახლა, თავისი მცველი რაზმით და ატუსაღებს კლიტევრას და ასე მიყავთ კლიტევრა სასახლეში.

სასახლის ძირს ოთახში გაიმართა სასამართლო.

სულ მალა ზის მსაჯულთ უხუცესი პალა, ძირს კიდეც სხვა კიბეებზე არეოპაგი მოსამართლეთა და დაიწყეს გასამართლება კლიტევრასი, რომელსაც ჯერ კიდეც არ მოსცილებია ბედნიერების ნამი სახეზე.

– თქვენ წინ არის ამორძალი, რომელმაც დაარღვია კანონი, რომელმაც არ აასრულა ტომირანდას პირობა. – ტომირანდას სახელზე მსაჯულები პირქვე დაეცნენ.

– კლიტევრას მე თვითონ მოვასწარი მამაკაცთან.

– რისი ღირსია კლიტევრა?

– სიკვდილისა, სიკვდილისა – ტომირანდას კანონით! და ამორძალები ისევ დაემხენ პირქვე.

– მე გეტყვით განაჩენს: და პალა გავიდა. კლიტევრა კი დარჩა მარტო. სასამართლო დაიშალა. პალა შევიდა სასახლეში, მას შეხვდა მენალიპა და ბოროტმა ღიმილმა გადაუარა სახეზე. პალა ყველაფერს მოჰყვა, მენალიპამ აკოცა პალას დიდი დავალებით. მენალიპა წავიდა დედოფალთან. ამ დროს ხალხს კიდეც გაეგო ეს ამბავი და სასჯელის მოლოდინში მოაწყდა სასახლეს, მენალიპამ ყველაფერი მოახსენა დედოფალს, დედოფალი განყრა.

– შენ სტყუი, საძაგელო. მაშინ მენალიპა მოყვა, რომ ამის შესახებ ყველამ იცის, რომ სასამართლომ კიდეც გამოიტანა განაჩენი.

ტომირანდა მიხვდა, რომ ამორძალებს ძალით დაეჩქარებიათ საქმე. შემოყავთ კლიტევრა.

კლიტევრას შეეკითხა ტომირანდა, რაშიც სდებდენ ბრალს. კლიტევრა ადასტურებს და ამბობს, რომ მას შეუყვარდა ის ახალგაზრდა მწყემსი. ტომირანდას ახრჩობს ბრაზი. გასცემს ბრძანებას, მოკლან კლიტევრა. პალა და მენალიპა, იმის მაგიერ, რომ დაესაჩუქრებინათ, კიდეც დატუქსეს.

შემდეგ კი გახლებულ ხარს, რომელსაც ესროლეს ისრები, ბან-რით მიბმული კლიტევრა მიჰქონდა მინდორში. მალე მისი ლამაზი სხეულის მაგიერ მხოლოდ უმსგავსო ძორი ეგდო.

7.

ტომირანდა ჩაიკეტა სასახლეში რამოდენიმე დღეს. არავის არ იღებდა. გასცა ბრძანება, ქალაქში ღვთის მსახურება შეეჩერებიათ. სატახტო ქალაქი ტრაურში გაეხვია, ყველაფერი გავდა უწინდელ უბრალო ქალაქს. ყველანი დადიოდნენ დამნუხრებული და ნაღვლიანი.

ტომირანდას ეჩვენებოდა ლამაზი კლიტევრა – რომელმაც არჩია დედოფალს მეცხვარე: თუ ეს ლამაზი გოგო დაიღუპა, მაშინ სხვები რატომ ცხოვრობენ? ტომირანდა ხვდებოდა, რომ კლიტევრა დაჰლუპეს მისმა ახლობელმა ამორძალებმა და მის გულში საშინელი შურისძიება გუბდებოდა. ტომირანდაში თანდათან იღვიძებდა ქალი. მას მოწყინდა უკვე სახელი და დიდება, მას უნდა სისხლი, ტომირანდამ მოიხმო მენალიპა და გასცა ბრძანება, რომ დასაჯონ ამალია და მოთხარონ ბალი.

– სად არის სისხლი, რომ ჩამორეცხოს საწყალი კლიტევრას დაღუპვა?! – ყვიროდა ტომირანდა და მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. მენალიპა მიხვდა დედოფლის ვნებას და მოახსენა, რომ კიდევ ელიან ჯურღმულში წითელკანიანი მხევალი ქალი და ფემა სასაჯელს.

ტომირანდამ გიჟივით გადიხარხარა: გასცა ბრძანება, ამოეყვანათ ქალები, ესმიათ, ეჭმიათ და შემდეგ საჯაროდ დაენვათ კოცონზე.

მენალიპამ გადასცა პალას ბრძანება. პალა შემოდის აკანკალებული, არ შეიძლება დედოფლის ბრძანების ასრულება, რადგან ლუდით დამთვრალი ამალია წუხელ გაგიჟდა და წითელ კანიანი მხევალი ქალიც მომკვდარა და მისი გახრწნილი ლეში ჰკლავს ფემას. მენალიპა მოახსენებს დედოფალს. დედოფალს თითქოს არც გაკვირვებია. მოითხოვს პალას. შემოდის პალა. დედოფალი გაბრაზებულია: „როგორ დაუშვი, რომ წითელკანიანი მხევალი ქალი მოკვდა“. აიღებს შუბს და მიარჭობს ბეჭზე პალას. საწყალი ქალი ხმასაც ვერ იღებს.

– გადაეცი ახლას, რომ ჩაგრიცხოს მონა ქალებში, შენ ამიერიდან არა ხარ მსაჯული. – პალა წამოდგა და ისარ-გარჭობილი გავიდა გარეთ. ტომირანდამ ხელი ჩაიქნია და უთხრა მენალიპას:

– წადი და იცოდე, ეს დღე მოგელის შენც. ან მე არ მინდა მსაჯულთ უხუცესი, ან მე თვითონ ვიქნები მოსამართლე.

ტომირანდა ამალიას სიკვდილმა, ფემას მომავალმა სატანჯელმა საგონებელში ჩააგდო. რა დაემართება ამორძალების სამეფოს მისი სიკვდილის შემდეგ. საჭიროა ფიქრი შთამომავლობაზე, რომ

მან უნდა დაბადოს ასული, რომელიც იქნება შემდეგ ამორძალების დედოფალი – თორემ ისე სრულიად ამოწყდება სამეფო.

ტომირანდამ გადასწყვიტა, გამოსცეს კანონი, რომ წელიწადში ერთხელ გაზაფხულზე ორი თვით ამორძალები გავიდნენ ჭალაში ქალაქიდან და იქ მოაწყონ „ქორწილის ღამეები“. ვინც დაბრუნდება ორსული, განთავისუფლდება მუშაობისაგან. დაბადებული ქალები გაიზრდებიან და ზოგიერთ ვაჟებსაც შეინახავენ ჯიშის მოსამენებლად. თვითონაც მოაყვანიებს ქმარს და დაბადებს ასულს მემკვიდრეს – სისხლი უთამაშებდა ტომირანდას. მან დაუძახა მენალიპას და გადასცა თავისი გეგმა.

ამ ამბავმა მალე მოიარა ტელისკირი. ამორძალებს ძალიან გაეხარდათ. ტომირანდამ დანიშნა ალღუმი და დაიწყო მზადება ქორწილის ღამეებისთვის: ამორძალებმა დაიბანეს ტანები ტერმადონაში და თავზე წაისვეს სურნელოვანი ზეთი და ისევ მიიღეს ქალების სინაზე.

ტომირანდამ გაგზავნა მოციქულები მწყემსების კომუნაში, მათაც გაუხარდათ ასეთი ხარკი, მხოლოდ შეუთვალენ, რომ მეფე არ ყავთ და თვითონ ტომირანდამ უნდა ამოირჩიოს მამაკაცი, არა ხარისხით, არამედ თავის გემოვნებით. ქალაქში ტომირანდამ დასტოვა მხოლოდ მოხუცი ამორძალები და მონა ქალები. სხვებმა წაიღეს კარვები, იარაღი და გაემგზავრენ მდინარე ტერმადონაზე.

ხალხში დაბადებული იყო ტომირანდას წინააღმდეგ უკმაყოფილება. პალა უკმაყოფილო იყო გადაყენებით, სხვები ამას მალავდნენ, მაგრამ ასეთი კანონის შემდეგ, ისევ დაიწყეს გაღმერთება ტომირანდასი და მის ტაძარში გახშირდა ღვთის მსახურება, მსხერპლის მიტანა და ლოცვები.

ტომირანდამ ასეთი სიტყვებით მიმართა ამორძალებს:

– მე თქვენ გადაგაჩვიეთ მამაკაცებს. თქვენ იცით, როგორ დიდებული გამოდგა ეს. ეხლა ამორძალების სამეფო, რომ არ გადაშენდეს, საჭიროა გამრავლება, ამისათვის თქვენ გეძლევათ ორი თვე მამაკაცებთან დარჩენისა, მხოლოდ მამაკაცები თქვენ უნდა აქციოდ მონებად და ვაი იმას, ვინც გადაუხვევს ამ ბრძანებას. მე თვითონ ავირჩევ ქმარს და თქვენი დედოფალი დაბადებს მემკვიდრე ასულს. შემდეგ თქვენ დაბრუნდებით სახლში და დაიწყებთ ჩვეულებრივ შრომას და, ვაი იმას, ვინც გადაუხვევს ბრძანებას და გაეკიდება მამაკაცს.

გახსოვდეთ კლიტევრა და გეშინოდეთ. როცა გეყოლებათ შვილები, გაზარდეთ ამორძალების წესზე. ვაჟები გადაყარეთ კლდიდან და ყოველ წელს გახვალთ თქვენ ჭალაში „ქორწილის ღამეებისათვის“.

ტერმადონის ჭალა გაივსო კარვებით; იყო დიდი მხიარულება. იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ამდენი მამაკაცი დაიხოცა, ეხლა ახალი ცხოვრება დაიწყო. მწყემსები უკრავდნენ სალამურებს, იყო ბევ-

რი სასმელი, საჭმელი, ალერსი და მხიარულება. მთვარე დანათოდა ამორძალებს, მდინარეში რომ იბანდენ ტანს, შორს მოსჩანდა დიდებული ზღვა. ბუნება ემზადებოდა ადამიანის გარდაქმნისათვის.

ყველაზე დიდებული იყო ტომირანდას კარავი. ლომის ტყავებით, ყვავილებით მოფენილი. მის ფეხებთან ეძინა ლამაზ მწყემსს, რომელმაც ერთხელ შეაცდინა კლიტევრა, ეს მწყემსიც ალბად დედოფალმა კლიტევრას მოწონებით აირჩია.

ამორძალებმა მამაკაცები გაიხადეს მონებად. დღე ამუშავებდნენ სამუშაოზე და ყველაფერს ისე აკეთებინებდენ, როგორც წინათ ქმრები მათ უბრძანებდენ. ასე გავიდა სამოცი დღე.

ტომირანდამ განაცხადა, რომ ის არ გრძნობს კიდევ ბავშვის სუნთქვას და ამიტომ თავისი ქმარი უნდა წაიყვანოს სასახლეში. შეუყვარდა ტომირანდას მწყემსი. ტომირანდას ვერ წარმოუდგენია, წინ ვინ აღუდგება მის სურვილს და ეს ამბავი გამოუცხადა ხალხს. და თან დაუმატა, რომ მან უნდა დაინეროს ჯვარი ტაძარში და მისცეს ხალხს ასული, მემკვიდრე.

ამორძალებმა მოისმინეს ეს ამბავი მშვიდათ, ისე კი გული დაწყდათ ძალიან. მენალიპამ გასცა ბრძანება, მოამზადონ საქორწილო საწოლი და ასატრას ებრძანა ცერემონიის მოწყობა. მენალიპა მიხვდა, რომ მისი გავლენა სასახლეში თანდათან გაჰქრება, და მის გონებაში, რომელიც გამობრძმენდილი იყო სასახლის ინტრიგებში, დაიბადა ახალი ინტრიგა. მენალიპა მიხვდა, რომ ტომირანდა გადასულა წრეს და ვერ მოხიბლავს ქმარს მხოლოდ საჭიროა, მას აჩვენოს ისეთი ქალი, რომ აუნთოს ვნება და ასეთ ქალად ვინ გამოადგებოდა, გარდა ფემასი, რომელიც კლიტევრას არ ჩამოუვარდებოდა სილამაზით.

მენალიპამ უთხრა ასატრას, რომ მან განაცხადოს, რომ ღმერთები არ იძლევიან ტაძრიდან ჯვარისწერის ნებას – ამით ასატრა დათხოვნილი იქნება ქურუმთა ქურუმობიდან და მათ შეთქმულებას მიემატება კიდევ ერთი ქალი. ესენი იქნებიან: ახლა, პროტოა და პალა.

ტომირანდამ, მენალიპას აზრით, დიდი შეცდომა დაუშვა, რომ საქორწილო ღამეები მოაწყო. ამორძალებში ეხლა უფრო დაიბადებოდა უკმაყოფილობა, რადგან წინეთ ისინი გადაჩვეულნი იყვნენ მამაკაცებს და ეხლა კი სურვილები აენტოთ და ტომირანდას ღმერთობაც არავის სწამდა.

ასატრა გადაყენებული იქნა ქურუმთ-ქურუმობიდან და მისი ადგილი ისევ ტომირანდამ დაიჭირა – მან თვითონვე მოაწყო თავისი ჯვარის წერა და თავისი ქმარს საჯაროთ გადასცა ზოგიერთი უფლებები. მენალიპა შეიქმნა შეთქმულების სული და გული, თანაც მას აუარებელი დრო ჰქონდა, რადგან ტომირანდა არ იბარებდა.

8. ტომირანდას აღსასრული

ყოველ დღე ტომირანდა სულ ქვევით და ქვევით მიდიოდა, მისი შეკავებული ვნება ეხლა გაორკეცდა. ის შეიქმნა გამხდარი, ფერმკრთალი. მისი ბრწყინვალე თვალები არ იყვნენ ისე მიმზიდავი და ბოროტად გამოიყურებოდნენ. ტომირანდა ერთი ნაბიჯით არ იცილებდა ქმარს. სახელმწიფო საქმეები სულ მიივინყა. ამორძალებმაც ამოისუნთქეს. მენალიპას პარტია იზრდებოდა. რაც უფრო ტომირანდას ვნება იზრდებოდა, ის იმდენად სასტიკი ხდებოდა და ყოველ უბრალო შემთხვევისათვის სასტიკად სჯიდა ამორძალებს. მინდვრის მწყემსიც მონყენილი იყო გადაჭარბებულ ვნებიანობით და მას თავისუფლება ენატრებოდა. მას აგონდებოდა კლიტევრას სილამაზე და ნაღვლიანობა. მწყემსი თან-და-თან აკვირდებოდა სხვა ამორძალებს, მაგრამ ტომირანდამ იჭვი აილო და სასახლიდან გააგდო ყველა ამორძალები, ვისაც სილამაზისა და ახალგაზრდობის ეცხო რამე. მაშინ მეფემ პირდაპირ მიმართა მენალიპას შველისათვის და ცბიერი მენალიპაც დროს უცდიდა.

ერთხელ მენალიპამ უთხრა ფემას, რომ მას დიდი ბედი ეწვია, რომ მის ნახვა უნდა თვითონ მეფეს და შეუძლია კიდეც მისი საქორწილო სარეცელი ნახოს. ფემას კიდეც დაავინყდა თავის ჯურღმულში ქმარი და მისი შენუხებული სული ეხლა არაფერზე არ ფიქრობდა. მისი სხეულისათვის კიდეც არჩევანი არ იყო.

მთვარიანი ღამე იყო – ტომირანდას ცუდათ ეძინა. რალაც საშინელება არ ასვენებდა და ძილში ბოდავდა.

შემდეგ მას გაელვია და ჩუმად დაუძახა თავის ქმარს. არავინ არ უპასუხა. მეორეჯერ დაუძახა, და კიდეც არავინ ხმა არ გასცა.

ტომირანდა წამოდგა ლოგინიდან, მაგრამ თავი დაებრუნა და წაიქცა. არაფერი მას არ ახსოვდა. ეხლა მიხვდა, რომ ქმარმა დანოლის წინ მას დააღვია რალაც არაჩვეულებრივად მაგარი ლუდი. ელვის სისწრაფით მის თავში გაიარა აზრმა:

– ალბად მას უნდოდა, რომ ჩემთვის დასაძინებელი წამალი მოეცა, მაგრამ ჩემმა ჯანმრთელობამ გაუძლო. მაგრამ რა აზრი უნდა ჰქონდეს მას? – და მისი გული ეჭვებმა დასერეს.

ტომირანდა გამოვიდა სახლიდან, მთვარით განათებული ის მიაგავდა მოჩვენებას. უცებ შესდგა და შეაჟრჟოლა. მას მოესმა ნაცნობი ჩურჩული.

ტომირანდა ბრუნდება სასახლეში და გამოაქვს შვილდ-ისარი. მოესმის სასახლის ბალთან საუბარი.

მეფე ვილაცას შესჩივის, რომ მას ტყვიასავით აწვეს გულზე ტომირანდა და მისი სასახლე, რომ მას უყვარს, როგორც ანკარა ნაკა-

დული, და როგორც მთის ნიავი, მხოლოდ ფემა და მოისმის სიმღერა ნელი. ტომირანდამ სული გაკმინდა და, როგორც შველი გადახტა. მეორე მხარეს ბალახებზე იწვენი მეფე და ფემა. როგორც დაჭრილი ვეფხვი, გადავარდა ტომირანდა და მიეტანა ახალგაზრდა ქალს და გულში გაურჭო ისარი.

ფემა უხმოდ დაეცა მიწაზე. ტომირანდას ფეხებთან განერთხო შეშინებული მეფე. ტომირანდამ წაარტყა ფეხი და უბრძანა, მიყოლოდა უკან. ტომირანდამ დაუძახა მენალიპას და უბრძანა, დილიდანვე მომზადებულიყო სასიკვდილოთ.

– შენ ვერ შესძელი ფემას მოვლა – ხვალ შენ გადაგადებენ ზღვის ფსკერში.

ტომირანდამ უბრძანა, დაუძახონ დამცველ რაზმთა უფროსს და მენალიპა დაატუსაღონ. დამცველი რაზმის უფროსი ემთხვია ტომირანდას ფეხებს, მაგრამ მას დასწვდა ტომირანდა და ახადა ყელსახვევი, რომელიც ნიშანი იყო მისი სასახლის წოდებისა.

– დამსაჯე, დიდებულ დედოფალო! – შესძახა მეფემ.

ტომირანდამ გადახედა საშინელი რისხვით.

– ნუ გგონია, შენი შავი სისხლით შეიყიდო საშინელი ლაღატი, მე შენ ჯერ გაჩვენებ სეირსა.

ტომირანდაში იბრძოდა ორგვარი გრძნობა: შეურაცხყოფილი ქალისა და დედაკაცისა – დილას გადასწყვიტა მაინც დედოფალმა, რომ მეფემ უნდა იცოცხლოს.

ხალხს კიდევ გაეგო წუხანდელი სასახლის ამბები და მიანყდა სასახლეს. ყველას აწუხებდა მენალიპას სიკვდილის ამბავი.

– რა გინდათ, თქვე საძაგელო მონებო, – შესძახა ტომირანდამ, – რათ მოგროვილხართ აქ და არ მიდიხართ ტაძარში სალოცავად?!

სამარისებური სიჩუმე იყო პასუხი. ზოგი, ვინც წინ იყვნენ, დაეცნენ მუხლებზე, მაგრამ ვინც უკან იყვნენ, ისინი იდგნენ გაუნძრევლათ.

დედოფალი ამან ძალიან გააკვირვა.

– გესმით, ჩემი ბრძანება? – იკითხა დედოფალმა.

უკანა რიგებიდან მოისმა ხმა:

– ჩვენ გთხოვთ, დედოფალო, რომ თუ მენალიპა დაისჯება, მაშინ მწყემსიც დაისაჯოს. ჩვენ არ გვინდა მამაკაცის ხელისუფლება. ჩვენ მოვითხოვთ მაგის სიკვდილს.

ტომირანდა გაგიჟდა რისხვისაგან და გადაადგო ბრაზისაგან რამოდენიმე ისარი, ხალხში გაისმა ზრიალი და რამოდენიმე ამორძალი დაეცა მიწაზე განგმირული.

მაგრამ ეს იყო ნაპერწკალი, რომელმაც ააფეთქა ჯანყის ცეცხლი. ხალხი აინძრა, მთელი დაგუბებული გრძნობა მოზვავდა და დაიძრა ხალხი სასახლისაკენ.

ტომირანდა გიჟივით ისროდა ისრებს და ეცემოდენ ამორძალები. ეზოში უკვე იდგა სისხლის ნაკადული. ამ დროს ხალხში გამოჩნდნენ მენალიპა, ახლა, პროტოა და პალა. ისინი რალაცას ეუბნებოდნენ ამორძალებს და ისინი კიდევ ყოყმანობდნენ, ისრები კი მიდიოდა ამორძალებში და ყოველ ახალ გასროლაზე ახალი მსხვერპლი ეცემოდა მიწაზე.

ელვამ დასერა უცებ ხალხი.

– მაშ, ასე, შენ ჩვენ არ გვზოგავ, – იყვირეს ამორძალებმა, – მაშ, არც ჩვენ დაგზოგავთ. სიკვდილი დედოფალს და მის მწყემსს! – ყვიროდა ხალხი.

ტომირანდას აყარეს იარაღი და დააგდეს მიწაზე. მისი მწყემსი კი შეკრეს და დააგდეს ეზოში.

– რისი ღირსია დედოფალი, რომელმაც უღალატა თავის ხალხს? – ყვიროდა მენალიპა.

– სიკვდილი მაგას და მაგის საყვარელს! – უპასუხა პალამ, მაგრამ ქურუმთა-ქურუმს ასატრას მაინც დასძლია ცრუმორწმუნეობამ და დაიყვირა შიშით:

– თქვენ გავიწყდებათ, რომ ტომირანდა ღმერთია.

– ტაძარში გვაჩვენოს, თუ მართლა ღმერთია, უშველოს თავის თავს, გაფრინდეს მთვარეზე. – ყვიროდა ხალხი.

ტომირანდა და მისი ქმარი შეათრიეს ტაძარში, იქ ნააქციეს თავის ქანდაკების წინ და ალოცეს გადარჩენას, მაგრამ ქანდაკება იდგა წყნარად და ბანარი უფრო მაგრად ეკროდა ტომირანდას ხელებს.

ხალხი ამან სულ გამოიყვანა მოთმინებიდან.

– შეაგდეთ ჯურღმულში თავის მწყემსთან. სიცოცხლეში არ უნდოდა მაგას დაშორებოდა, ერთად მოკვდნენ ეს ძალები.

ტომირანდა სდუმდა. თითქო გაოცებულიყო. მის თვალებში არაფერი არ იხატებოდა.

– ჯურღმულში... ჯურღმულში... – ყვიროდა ხალხი.

ტომირანდა მიიყვანეს და ჩააგდეს ჯურღმულში და დამარხეს.

შემდეგ მიადგეს უზარმაზარი ქვა. ტომირანდას ქანდაკება გამოიტანეს ტაძრიდან და კლდიდან ზღვაში გადააგდეს.

ასე გათავდა ეს ამბავი ამორძალების დედოფლისა...

[1927]

ახალი კოლხიდა

სუბტროპიკული პოემა

წიგნი „ახალი კოლხიდა“ არ არის დასრულებული ნაწარმოები. პოემაც ამ ნარკვევების წიგნს პირობითად ეწოდება. ავტორი ყოველ შემთხვევაში ცდილობდა მიეცა ამ პოემის ახალ ფორმისთვის ერთგვარი დაკანონება. ძველი პოეტიკისაგან ამ ეპოპეიაში რჩება მთავარი მომქმედი გმირი, ეს არის სოციალისტურ შემოქმედების ჟრუანტელით აყვანილი მშრომელი კლასის ავანგარდი, რომელმაც შეჰქმნა შრომის ახალი ფორმა და ლუკმა პურისთვის დაწყებული ოფლით შრომა აქცია – „გმირობის, პატიოსნების საქმედ“ (სტალინი).

როცა შევუდექი წიგნის პირველ მოსაზრებას, მე ვგრძნობდი ერთ შინაგან გეგმას, მაგრამ ამჟამად არ შემეძლო ამ გეგმის სავსებით განხორციელება. ორი თვე, რომელიც მე დავეყავი შავი ზღვის სანაპიროებზე, სრულიად არ იყო საკმარისი, დამეწერა ისეთი წიგნი თანამედროვე კოლხიდაზე, რომელიც ამოსწურავდა ამ პრობლემას.

განახლებული კოლხიდის თემა ჩემში შეუგნებლად სცხოვრობდა შემოქმედების პირველ დღიდანვე, მხატვრული გაფორმება მან რამოდენიმეთ მიიღო პოემა „რიონ-პორტი“, სადაც მოცემულია წინათგრძნობითი ყველა ის მომენტი, რომელიც ეხლა მომწყვდეულია ხუთწლედის ან უკვე ისტორიულ და ფოლადის ჩარჩოებში.

ამ პოემას მე ვუძღვნი ჩემ ორპირის მეზობლებს და ფანტასტიურ ინჟინერს ვასილი ავდეევს, რომელიც იყო უდიდესი ენტუზიასტი კოლხიდის დაბლობის ამოშრობისა და რომელმაც პირველად ჩამოასხა „რიონ-პორტი“-ს პროექტი.

ხუთი წელია ინჟინერ ავდეევისაგან არ არის ცნობა, მხოლოდ ერთხელ მოვიდა მოსკოვიდან მისთვის ჩვეულებრივი დეპუტის სტილის დეკლარაცია, რომელიც აგავდა დასაღუპავათ გამზადებულ გემისაგან მიღებულ რადიოს – „SOS“.

ამ წერილიდან კაცი ბევრს ვერაფერს გაარჩევდა. მხოლოდ ვინც გაცნობია ინჟინერ ავდეევის ნაწერებს და გეგმებს, უმთავრესად კავკასიის საუღელტეხილო რკინის გზისა და თითონ რიონ-პორტის პროექტებს, ვისაც ჰქონია მასთან პირადი კავშირი, მან იცის, რომ ამ ადამიანში იწოდა გენია, რაც არ უარუყვიათ არასდროს მის ყველაზე უფრო ფხიზელ პროფესიით ამხანაგებს.

მხოლოდ უცნაურობა უშლიდა ამ იშვიათ ენტუზისტს, ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე.

როგორც ბოლო დროს გავიგე, ინჟ. ავდეევი მოსკოვში კიდევ განაგრძობს თავის შემოქმედებას, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ტემპი ალბათ მეტ სტიმულს მისცემდა მის აღფრთოვანებას.

ამ წიგნის დაწერის დროს მე ყოველთვის ვგრძნობდი მის მწუხარე და ნაპრალებივით დანაოჭებულ სახეს, რომელსაც შემოქმედების ცეცხლი დაუზოგავად ნთქავდა, ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ერთად მოვიგონებდით ათი წლის წინანდელ უძილო ღამეების საუბარს საქართველოს ამ სუბტროპიკულ სამოთხის ალორძინებაზე – მასთან უშუალო საუბარს შეეძლო უფრო ნაყოფიერათ ექცია ეს პოემა.

რაც შეეხება ჩემ მეზობლებს – რომელთაც აგრეთვე მინდა მივუძღვნა ეს წიგნი, ბავშობიდან ვფიქრობდი, მათზე დამეწერა წიგნი: პიროვნულად ყველა მათგანზე, რომელთანაც მე გამიტარებია ახალგაზრდობა და რომელთა სახიერება აქამდე ჩაბეჭდილია ჩემ ხსოვნაში – მინდოდა, შუკიდან შუკაში გადავსულიყავი, ეზოდან ეზოში და ამეწერა ამ ხალხის ბედი და უბედობა – და ზოგიერთი უჩვეულო თავგადასავალიც.

მე მათგან მაქვს ზღაპრების სურნელება დარჩენილი, მათგან ვისწავლე არსენას ლექსების კითხვა და რიონში ცურვა, აქამდე გამომყვა რძია-რძიისა და ლაფანის სინედლე – რომელიც ერთად ერთი ატრიალებს ლირიკის წისქვილს.

მაგრამ, ბევრი რამ გადალაგდა სამყაროში ამ ათიოდ წელში, გადალაგდა წიგნების გეგმაც და წერის მანერაც.

ეხლა მე ნაკლებათ საინტერესოთ მიმაჩნია საკუთარი პირადი განცდა და ჩემი მეზობლების რომანტიულ ცხოვრებასაც ნისლი გადაეფარა. ეხლა მე მინდა, ვუმღერო იმ საქმეს, რომელიც საერთოა ჩემთვის, ჩემი მეზობლებისა, ყველა ქართველისა, და ასე ყველა მშრომელისათვის მთელ მსოფლიოში, სადაც განვდება კომინტერნის მერიდიანი.

ამ საქმეს ჩემი მეზობლები დიდიდან პატარამდე, პიონერიდან მოხუცებამდე, კოლმეურნეობაში, თუ ქარხანაში – ბართა, ნიჩაბითა, თოხითა, თუ სხვა იარაღით, გულდაგულ ემსახურებიან, მეც მინდა ჩემი წარმოების იარაღი, რომელიც წინად ბატის ფრთა იყო, ეხლა კი ოთხ ოციან თოხზე უფრო დამძიმებულია, ამ საქმეს მოუსადაგო და ჩემ მეზობლებთან ერთად გავიტანო სვრელი ახალ სოციალისტურ ყანაში, სადაც ბოლო დროს ყველაფერი დაითვლება, როცა გავიტანთ ლელოს...

გრანდიოზული პერსპექტივა, რომელსაც იძლევა სუბტროპიკული კულტურის განვითარება დასავლეთ საქართველოში, ჯერ სპეციალურ ლიტერატურაში შეუსწავლელია. რამდენადაც მე საშუალება

მქონდა, გავცნობოდი ამ ლიტერატურას, და რამდენადაც არა სპეციალისტს შეუძლია გაერკვიოს ასეთ რთულ საკითხში.

მე მგონია, ჯერ კიდევ შორს არი ის დრო, როცა საბოლოოთ ამონურული იქნება კოლხიდის პრობლემა.

ჩემ მოგზაურობის დროს ხშირად მინახავს გაფითრებული სპეციალისტი, ზოგჯერ ხუთნღედის რომელიმე სექტორის გეგმის ავტორი, რომელიც ძირიანათ შერყეულა ახლათ გადაშლილ შესაძლებლობით.

აქ ერთი ძვირფასი მცენარე სცვლის მეორეს – უმთავრესად ჩაი და რამი და ამას მისდევს კიდევ სხვა ახალი სახის მცენარის კულტურა და ერთხელ გამზადებული გეგმით ჰქეტარები ხელმეორედ ლაგდებიან და საგრძნობლად იცვლება რაოდენობა, მინის ნაჭრებისა მათ გამოსაყენებლათ.

ერთი ჰიდრო-ელექტრონის სადგურის პროექტი სცვლის მეორეს, სხვა ვარიანტი უფრო ძლიერი, იაფი და ადვილია და მათი შესაძლებლობის შედარებითი სიმრავლე იძლევა ამ ვარიანტების შეჯიბრებას.

უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს ფართობის სივრცის გადიდება, აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სრულიად ახალი პერსპექტივა ჩნდება და წინად დახაშული და ჭაობიანი ადგილები ემზადებიან ახალი კულტურის მიღებისთვის.

და კოლხიდის აგრო-ინდუსტრიალური კომბინატის რადიუსი თანდათან ფართოვდება, და მთელ დასავლეთ საქართველოს იტევს.

ათი წლის წინათ ვინ იფიქრებდა, რომ საკავშირო მინათ-მოქმედების კომისარის, აშხ. იაკოვლევის ტეზისი სიმინდის კულტურის მოსპობისა დღის წესრიგში დადგებოდა მთელ იმერეთში.

შესაძლებელია, წინათაც იყო ზოგიერთი გამჭრიახი სპეციალისტი, რომელსაც შეეძლო ასე გაბედულათ შეეხედა კოლხიდის მომავალისთვის, მაგრამ რეალურათ ეს საკითხი დადგა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს და ისიც უკანასკნელ ხანს, როცა წამოიჭრა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხი, როცა უმთავრესად ფართო მასებს მოედვა თვითმოქმედების მძლავრი ტალღა.

ეს სოციალისტური მშენებლობისათვის დაძაგრული, რკინის ენერგია, მოკრეფილი მშრომელი მასა – მთავარი ელემენტი ახალ კოლხიდის პრობლემაში.

ეს მასების აქტივობა არის უმთავრესი მომქმედი ძალა, ეს აძლევს ფუძეს, საძირკველს, სტიმულს და დულაბს აქ წარმოებულ მუშაობას.

ამ ხნის განმავლობაში, რაც მე პირველად ვნახე შავი ზღვის სანაპიროები, მასების აქტივობა უფრო იზრდება: თავს იჩენს სამრეწველო-საფინანსო და შემხვედრ გეგმისთვის გამდაფრებული ბრძოლა,

სოციალისტური შეჯიბრება, მუშათა დამკვრელ ბრიგადებს მეტი ენ-
ტუზიაზმი შეაქვთ ამ საქმეში.

ოქტომბრის გრიგალში და ცეცხლში ნაწრთობი თაობა უკანას-
კნელ იერიშებზე გადადის სამეურნეო ფრონტზე.

ახალ კოლხიდის აწერის დროს, უმთავრესად უნდა აინეროს ის
კლასი, რომელიც აწარმოებს ამ იერიშს.

ეს უძლიერესი კოლექტივი მაინც ნაწილებისაგან შედგება, სანამ
გასწორდებოდეს ბრძოლის ხაზი და ერთი პირით გამოვიდოდეს გა-
მარჯვებული მთელი ხალხი, ეს ხალხი მაინც გაბნეულია სხვადასხვა
კუთხეში, სხვადასხვა ქარხნებში და წარმოებებში.

მართალია, საერთოა მათი სოციალისტური შეტევის ფრონტი,
მაგრამ სხვადასხვა სექტორებიც აქვს.

ჩაქვში, ოჩიგვარში, ოზურგეთში, ჩაის პლანტაციებზე და ჩაის
ქარხნებში, ბზიბისა და ენგურის ტყეებში:

ან ტყვარჩელის ქვანახშირის მალაროებში.

ზოგი ბათუმის აზნავთის უზარმაზარ ქარხანაში, ჭალადიდისა
და პალიასტომის საირიგაციო პუნქტებში.

შამგონის თუ საჭილაოს ხე-ტყის ქარხანებში.

ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის აბრეშუმის ქარხნებში, დელ-
ფინის ქარხნებში და თამბაქოს პლანტაციებზე, სამანქანო სატრაქ-
ტორო ან კლიმატიურ სადგურებზე, კოლმეურნეობათა ან, როგორც
უბრალოთ ეძახიან, კოლექტივების ყანებშია გაფანტული, და ვინ
მოთვლის, კიდევ რამდენია და სად გაფანტული მუშათა რაზმები, რო-
მელნიც ერთად შეერთებული ჰქმნიან ახალ კოლხიდის საფუძველს.

საჭიროა სათითაოდ ყველა მათგანის გაცნობა, მათი სულისკვე-
თებით გამსჭვალა, მათთან შეზრდა და შესისხლხორცება, რომ დაი-
ნეროს ის ეპოპეია, რომელსაც ეწოდება ამიერიდან „ახალი კოლხიდა“
და რომელიც უთუოდ უფრო რომანტიულია და, ყოველ შემთხვევაში
უფრო დამაჯერებელი და უფრო ხსნის მომავლის სახეს, ვიდრე ათასი
წლებით გადმოცემული ლეგენდა, თუ ძველი ბერძნული მითოსი არგო-
ნავტელთა ლაშქრობაზე კოლხიდაში ოქროს ვერძის მოსატაცებლად.

მართალია, ამ ლეგენდამ იმიტომ გაძლო აქამდე, რომ ეს მითოსი
გამოსახავდა მაშინდელ განათლებულ ქვეყნის, ამ შემთხვევაში სა-
ბერძნეთის აგრესიას წინა აზიაში, და ემორჩილებოდა ერთ განსაზ-
ღვრულ ეკონომიურ ტენდენციას, არა ნაკლებ კიდევ, რასაკვირველია,
იმიტომაც, რომ ამის შესახებ თავიანთ უკვდავ ლექსებში სთქვეს:

ჰომეროსმა,

აპოლონ როდოსელმა,

და სხვათა.

მართალია, დღეს მუშათა კლასს არ ყავს ოსტატი, რომელიც შეედრება ამ არგონავტელების ავტორებს.

მართალია, არგონავტელთა ოქროს ტრირემაზე იჯდა უტკბილესი მგოსანი ორთეოსი, რომელიც მომხიბლავ ხმით ზღვის ტალღებს აძინებდა.

მართალია, იმ სამუშაოებზე, სადაც გაბნეული არიან სოციალისტურ მშენებლობისთვის ასე თავგამოდებული მუშათა რაზმები, ჯერ კიდევ:

ბაყაყები

და გომბეშოები

მწუხარე ხმით აღუნებენ მათ ნებისყოფას და ორთეოსის მაგიერობას ეწევიან.

მართალია, ოქროს ვერძს აეტის სამეფოში სდარაჯობდა მხოლოდ ერთი გულმემზარავი და დაუძინებელი, მაგრამ მაინც ერთი დრაკონი, რომელიც მედეას შხამმა და სანამლავმა დააძინა.

ახალ კოლხიდის სანაპიროებს კი უდარაჯებენ: ყველა ჯურისა და ქვეყნის იმპერიალისტები, ფაშისტები და ინტერვენტები – უთვალავი ზედრედნოუტებითა და უთვალავი ცეპელინების ესკადრილიებით.

დრაკონის კბილებზე უფრო მაგარია ფოლადის ტანკები და უფრო განმანადგურებელი მხრჩოლავი გაზები და შეიძლება, ჯერ კიდევ უცნობი ქიმიური სანამლავები.

და ეს ხალხი სასტიკათ განაფულია ინდო-ჩინეთში, პალესტინაში, არაბეთში, ინდოეთში და სხვაგან, მოაწყონ დამრბვეი ექსპედიციები.

მოლალატე მედეაც მარტო ერთი ამზადებდა შხამს და სანამლავს. მუხანათობით და გაცემით არ ინდობდა თავის სამშობლო ქვეყანას და ძმის სისხლში გაისვარა ხელი.

და, რა დასამალია, დღეს კიდევ ბევრი ილესავს გულში სანამლავს და ეწევა ჩუმსა და აშკარა მავნებლობას, როცა ერთი კაცი აქცევს და ანადგურებს ათასის გაკეთებულს, როცა ხელის აუკანკალებლათ შიმშილით და რბევით ემუქრება ოფლში განურულ მშრომელთა მასებს.

მაგრამ, ამ მაგრამსაც აქვს თავისი მაგარი მაგრამი...

არგონავტელები იყვენ ერთი მუჭა ავანტიურისტები, მართალია გულადი და რაინდი, მაგრამ მაინც ერთი მუჭა ავანტიურისტები და თავგადასავლის მაძიებელი.

აქ კი ახალ კოლხიდის ლაშქრობაში ჩაბმულია მშრომელი კლასი, მშრომელი ხალხი, რომელიც აქ ამ ფრონტზეც მილიონებია, ისე კი მთელ ქვეყანაზე თავის მოკავშირეებს ასი მილიონობით ითვლის.

ეს ხალხი იბრძვის ახალი სოციალისტური კულტურისათვის, მას უნდა საუკუნო ბნელეთიდან გამოსვლა, ადამიანური ცხოვრების პი-

რობების შექმნა, შრომის ექსპლოატაციის მოსპობა. ის იბრძვის ადამიანის ბუნებრივ უფლებებისათვის და ამ ბრძოლაში დაუნდობელია და მკაცრი კლასიურ მტერის წინააღმდეგ.

აქ ვინც მას ხელს უშლის – თავის საკუთარ საფლავს ითხრის, ორივე თვალს ივსებს.

– ენგური უკან არ დაბრუნდება!

– იალბუზს ტანკი ვერ გადაუარს!

ამიტომ არის ეს ხალხი თავისი მოიმიდე, შრომით, ოფლით მებრძოლი მუშათა მასსა წინდანინ გრძნობს გამარჯვებას და ეს არის მისი ალფრთოვანება.

და რაც უნდა პირამდე არ იყოს შეიარაღებული ინტერვენციის ლაშქარი, რაც უნდა დოგმატიკის მალაყიებს არ გადადიოდენ მათი დამქაშები, რაც უნდა განიარაღებაზე ლაყობით არ აპირებდენ ომის უცბად დანთებას, მათი რიცხვი მაინც განსაზღვრულია, ისინი ერთი მუჭა ავანტიურისტები არიან მშრომელ მასებთან შედარებით.

აი, ეს არის რევოლიუციის უბრალო არითმეტიკა და ოქროს ვერძის ლეგენდის თანამედროვე ქარაგმა.

შეუძლებელია, ჩვენი თაობის კაცს არ ჰქონდეს იმედი, რომ გახედეს ამ მშრომელი ხალხის ჰომეროსი, ან აპოლონ როდოსელი. ორფეოსის მომხიბლავი მუსიკის შრიალი არისტოკრატიული კასტის შთაგონება იყო.

და გრიგალივით მოვარდება მილიონების შთაგონება.

– ჯერ სანამ იბრძვის წერაქვი,

– სანამ მალაროში ბნელა,

– სანამ ჭაობებში ხალხი მუხლამდე ეფლობა,

– სანამ ფაცხებში კიდევ კვარი ანთია,

– სანამ ომის აჩრდილი ტრადიციულ სიკვდილის ცელით სდგას,

– და მუხანათურად მხოლოდ დროს ელის დაცემისა და განადგურებისთვის.

მარტო ტკბილ ამბებისთვის ვერ მოიცლის ადამიანი, რომელიც შეერთებულია თავისი ბედით ამ მილიონებთან, სამაგიეროთ იბადება ახალი ადამიანი, ახალი სოციალისტური კულტურით შთაგონებული ორგანიულად არის დაკავშირებული ხალხთან.

ეს ახალი ადამიანი გამოდის იმ კლასიდან, რომელიც უშუალოდ იბრძვის ამ ახალ კულტურისთვის. მითქვამს და ისევ გავიმეორებ ამ ახალ კაცზე:

ალბათ სადღაცა ზის უსახელო,

იქნებ ნიფხავი ჯერ არც კი ეცვას,

მაგრამ გაშლილი აქვს მას საყელო,
ღია თვალებით უყურებს ზეცას.
მის მაგიერად რამდენი მკლავი
შრომობს, ირჯება და ოფლს ინურავს.
ხუთკუთხიანი მისი ვარსკვლავი
სამშობლო ცაზე სხვაგვარად სცურავს.
ეცვას პერანგი დღეს ნარმიანი,
ის მაინც სხვაა ადამიანი.
ოქტომბრის ქარი ზუზუნით ზრდიდა,
არ მოვარდნილა უეცრად ციდან.

.....
.....

გამოიჭედა ეს საქართველო
ფოლადის, რკინის ახალ ჯავშანში,
გატანილია იმისი ლელო,
არ დაიხრჩობა ჩვენსავით ფშანში...

ახალი კოლხიდა სწორედ ამ ფშანის ამოშრობაა: ეს არ არის ფი-
გურალი თქმა, და ამ კოლხიდის ფშანების ამოშრობაზე და სუბტრო-
პიკული კულტურის განვითარებაზე არის დაწერილი ეს პოემა.

ორი თვე არ არის საკმარისი, რომ გაეცნო ამ უზარმაზარ გეგმას,
რომელსაც ხუთწლელი ისახავს კოლხიდის ალორძინებისათვის. მით
უმეტეს, არ არის საკმარისი სუბტროპიკული კულტურის სავსებით
გაცნობისთვის.

მე მხოლოდ ერთი თვალთ შევხედე ამ უზარმაზარ პრობლემას.

ძალიანაც ვიცი, რომ საჭირო იყო ახლოს გაცნობა იმ ხალხის,
რომელიც უშუალოდ ჩაბმულია ამ სამუშაოში.

საჭიროა შესწავლა და შეზრდა ამ წარმოებაში და იქ ჩაბმული
ხალხის სულისკვეთების გადმოცემა.

მერე რამდენია ახალ წამონყებული წარმოება!..

თან ყველაფერი ეს ხდება ისეთ მძაფრ პერიოდში, როგორც არის
მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა და მის ბაზაზე კულაკობის,
როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

როცა დედაბუდიანად იცვლება ძველი ყოფა-ცხოვრება და მი-
ნის ძვრის ტემპით იზადება ახალი სამყარო.

ბუნებრივია, რომ ამ წიგნს არა აქვს პრეტენზია ამ დიდი ამბე-
ბის დამტვევი და მემატრიანე იყოს.

და თუ მაინც ვაქვეყნებ ამ წიგნს – მე მივმართავ, პირველ ყოვ-
ლისა, იერიშზე გადასულ პროლეტარიატს, რომ ვსთქვა:

– პირდაპირ, გულდაგულ, მთელი ხმით და კაცურ კაცობის შეგნებით.

– მხოლოდ მტერი უყურებს შორიდან ზე-ადამიანურ ეპოპეას, რომელსაც ჰქვია სოციალისტური ქვეყნის შენება.

– რომ არ არის განსხვავება ჩემსა და ჩემს მეზობელთა შორის, რომ მეც მინდა ვიყო ბარისა და ნიჩაბის დამკვრელი, და რომ სოციალიზმის პერიოდში გადასვლამ გაათანასწორა:

– დამკვრელი მუშა და მწერალი.

არ შეიძლება, რომ აქაც არ იყოს ლირიკის რეციდივი, ძალიან დიდხანს იყო ამ წისქვილის ქვაზე მიგდებული წყალი.

მართალია, მე ხშირად ვცდებოდი.

მაგრამ არასოდეს არ ვყოფილვარ მარტო „დადაისტი“ და ყოველთვის მანვალეზა ჩემი ქვეყნის ბედი.

პოეზიაში მე დავიწყე „ქალდეას ქალაქებით“, საიდანაც მცემდა დამწვარ ქალაქებისა და გადასულ კულტურათა ჩამქრალი ცეცხლის ბოლი და კვამლი.

ქალდეა მაშინ ჩემთვის პირველი ბუდე იყო ძველი საქართველოსი.

ესლა მე ვხედავ ამომავალ მშრომელი კლასის სოციალისტურ ქალაქებს.

მისი ერთი პლაცდარმია „ახალი კოლხიდა“, ახალი საქართველო, და რაც მსოფლიოში შორს გაიწევა ამ ქალაქების რადიუსი, მით უკეთესი საქართველოსთვის და მისი პოეტებისთვის.

ჩემ მოძმე პოეტებსაც უნდა მივმართო ასეთი ბოლო სიტყვით:

– როცა შავი ზღვის სანაპიროებზე მოგზაურობის დროს ჩვენ ავტომობილით სოხუმიდან მივდიოდით გაგრაში, ახალ ათონთან შემოგვალამდა. გზა ტყეში ისე იგრძობოდა, როგორც ალავერდის გუმბათის შესავალ კარების ღვიმეში. ავტომობილის პროჟექტორი ძლივს ანათებდა უზარმაზარი ხეების შუა ტანს.

უცებ ჩვენ თვალწინ გადიშალა ვებერთელა კოცონი, ბზიბის ტყეს ცეცხლი ედებოდა და ნახევარი ცა აღმურში იყო გახვეული, ჩვენი შოფერი, ავსტრიელი-გერმანელი გვეუბნება, ასეთი ცეცხლი აქ თურმე მთელი თვეობით გრძელდება.

გარსია ვენტურა კალდერონის პერუს ლანდშაფტია.

ცეცხლი ანადგურებდა ბზიბის ტყეს და კვამლის ღრუბლები რგოლებად იდგა ცაზე.

– როცა ბათომიდან ჩაქეში მივდიოდით, ციხისძირში, რომელიც წინად გურიის მთავრების ციხე-გალავანი იყო, და ესლა ჩაის პლანტაციებით მოფენილია, ჩვენი ყურადღება მიიპყრო მძლავრმა ლა-

ლუმის ცემამ. მართალია, ეს მთავორიანი ადგილია, მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ ლალუმები მინდორზე სკდებოდა.

– აქაც შოფერმა, აჭარელმა აგვისსნა: ამ მინდვრებს ამზადებენ ჩაის დასარგავად, მინიდან ლალუმებით ხეების ძირებს გლეჯენ და მართლაც, მალე, ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ყუმბარები თხრიდენ გაჩეხილ ასწლიან ხეების ძირებს და მთელი ველი მოფენილი იყო ამ გარუჯული კუნძებით.

– ეს ამბავი, თუ იგავი აქ იმიტომ გავიხსენეთ,

– ბზიბის ტყის ხანძარმა და ცეცხლმა უნდა დაცხრილოს და გადაბანოს ახალი სული.

– ციხისძირის ხის კუნძებივით ლალუმებით უნდა ამოითხაროს და ამოიბუგოს წარსულის უკულმართობა,

– რომ თანამედროვე მწერალი გამოდგეს მოიერიშეთ სოციალისტურ ქვეყნისათვის ლაშქრობაში.

ორი ორიენტაცია

კოლხიდის პრობლემა – ერთი რგოლია საერთო სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე. ჩვენთვის ბევრი იქნებოდა გაუგებარი სოციალიზმის ფუნდამენტის აშენებისთვის, თუ თავიდანვე არ გავერკვეოდით ზოგიერთ საკითხებში, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის პრობლემისთვის.

რაც უნდა მძაფრი არ იყოს შენების ტემპი, რაც უნდა სახე არ იცვალოს კოლხიდამ სუბტროპიკული კულტურის გაშენების შემდეგ – მთავარია, ვინ ენევა ამ აღმშენებლობას და რა ძალა ხელმძღვანელობს მასების მოძრაობას.

აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ორიენტაციის გარკვევას. ჩვენთვის, მით უმეტეს, საინტერესოა ამ საკითხზე შეჩერება, რომ კოლხიდა იმ თავითვე მთავარი პუნქტი იყო, საიდანაც იწყებოდა ორიენტაციის სახსრების გამართვა.

შემდეგ თავებში ჩვენ შევხებით, რა ეკონომიური საფუძველი აქვს ბერძნულ მითოსს ოქროს ვერძის შესახებ, რა ამოდრავებდა ძველ საბერძნეთს და რომს, როცა ასეთი ექსპანსიით მოემართებოდა კოლხიდაში. აგრეთვე, როგორ წარმოედგინა შავი ზღვის სანაპიროები რუსეთის ბიუროკრატის რევოლიუციამდე და რა ზომებს იღებდა, რომ ეს მხარე გაეხადა თავისი კოლონიზატორულ პოლიტიკის დასაყრდენათ.

აგრეთვე, რა როლი ითამაშა ბათომმა უკანასკნელად რევოლიუციის შემდეგ, როცა სამი წელი აქ თარეშობდენ ინგლისის საოკუპაციო ჯარები.

ამისთვის ჩვენ დაგვჭირდება ზოგიერთი ისტორიული ფაქტების მოგონება, მათი ანალიზი თანამედროვე პოლიტიკის მიხედვით, უამისოთ არ იქნებოდა კოლხიდის პრობლემა მთელი სისრულით წარმოდგენილი.

საერთოდ, კოლხიდასთან დაკავშირებულია ერთი მეტად ჩვენ დღეებშიც ბევრის მთქმელი ისტორიული მოგონება ორიენტაციის საკითხის გარკვევისთვის.

ბევრად ადრე, სანამ პროფ. ზ. ავალიშვილი დასწერდა თავის წიგნს „საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში 1918–1921 წელს“, და ამ წიგნის შესავალში მოიგონებდა იმ ამბავს, როცა გუბაზის სიკვდილის გამო კოლხიდელები არკვევენ თავიანთ პოლიტიკურ ორიენტაციას სპარსეთსა და საბერძნეთს შორის, მე ჩემ წერილში „წინა აზია“, რომელიც დაიბეჭდა 1918 წელს, დამოუკიდებლად ვიგონებდი ამ ანალოგიას, როცა მაშინდელი საქართველო არკვევდა თავის ორიენტაციას ევროპასა და ოქტომბრის რევოლუციას შორის.

ჩემი ფორმულა ასეთი იყო:

- ერთი მხრივ დგას რევოლუცია და მესამე ინტერნაციონალი.
- მეორე მხრივ – ანტანტა და მოკავშირენი.

– როდესაც ასეთი დაპირისპირებაა ძალების, შეუძლებელია ნეიტრალიტეტის დაცვა, არც იქით და არც აქეთ. მაშინდელი გავრცელებული დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკური ფორმულა მე სირაქლემის თავის მოტყუებათ მეჩვენებოდა და მალე, მართლაც, საბოლოოდ გამოირკვა, ვის მხარეზე უნდა დამდგარიყო საქართველო.

არა ნაკლები სიმწვავეთ მდგარა ეს საკითხი ისტორიულადაც კოლხიდაში.

ამის შესახებ ჯერ კიდევ 554 წელს კამათობდნენ ლაზები და კოლხიდელები.

ბიზანტიელი მეისტორიე Agathuas-ი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს:

„კოლხიდელების საქმე იმ დროს აშლილი იყო და თავი და ბოლო არ უჩანდა. მთავრებმაც კი არ იცოდნენ, რა მოელოდათ კოლხიდელებს და ან ვისთვის მიემართათ. ამისათვის კოლხიდელებმა კავკასიის რომელიღაც ხეობაში საიდუმლოთ მოუწოდეს დიდძალ ხალხს, ისე კი, რომ ბერძნებს არ გაეგოთ, რასაც დააპირებდნენ.

აქ დაიწყეს სჯა, რა სჯობია, სპარსელებს მივმხროთ, თუ ისევ ბერძნების მომხრენი ვიყოთო.

ამ საგანმა ცხარე ბაასი და დიდი კამათი ასტყესა.

ერთნი ამბობდნენ, სპარსელებისკენ გადავიდეთო, მეორენი – ისევ ბერძნებისკენ ვიყვნეთო. შემდეგ ატყდა საერთო ყაყანი, აირია ლა-

პარაკი და კაცი ვერ გაარჩევდა, ვინ რას ამბობდა, მაშინ უფროსები ჩაერიენ და უბრძანეს კრებას, გაჩუმებულიყვენ.

უფროსებმა განკარგულება მოახდინეს, ვისაც უნდა რიგიანი რამ სთქვას, გამოდგეს წინ და დალაგებით და წესიერათ ილაპარაკოსო. სულ ერთია, ვინც უნდა იყოს ლაპარაკის მსურველიო.

მაშინ გამოვიდა წინ ერთი წარჩინებული კაცი, სახელად აეტი, რომელიც ყველაზე უფრო უკმაყოფილო იყო კოლხიდის საქმეთა გამო და რომელსაც სძაგდა ყოველივე ბერძნული და მუდამ სპარსეთისკენ ჰქონდა გული.

აეტმა დრო იპოვა და უფრო გააზვიადა, რაც მოხდა კოლხიდაში. დაიწყო ლაპარაკი, რომ სჯა და თათბირი არც კია საჭირო, ეხლავე უნდა ავდგეთ და გამოცხადებით მივემხროთ სპარსელებსო.

შემდეგ მოყვანილია ამ დარბაისელი და ენაწყლიანი ორატორის სიტყვა, რომელიც ჩაითვლება კლასიკურ ნიმუშად, თუ როგორ შეიძლება მიკერძოებულმა კაცმა მოთხაროს და გაათახსიროს მოპირდაპირე, თუ მისი მტრობა აქვს გულში.

აეტი ათას გაიძვერობაში, გაუტანლობაში, ლალატში და მუხანათობაში სდებს ბრალს ბერძნებს და მკვეთრად იძლევა შემდეგ ფორმულას:

– ჩემი სურვილი და ნატვრა ის არის, კოლხიდელების სამეფო ისევე ყოვლად ძლიერი იყოს, როგორც წინად ყოფილა, რომ არავითარი შემწეობა უცხოეთიდან არ ეჭირვებოდეს და რომ სრულიად დამოუკიდებელი იყოს, როგორც მშვიდობიანობას, ისე ომიანობის დროს. მაგრამ, რა კი დროთა ბრუნვის გამო, ანუ ბედის დაუდგრომელობის, ანუ შესაძლოა, ამ ორთავე მიზეზით ერთათ, ისე დაუფძლურდით და ჩავუვარდით ხელში სხვებს, გონიერება უფრო ის იქნება, იმათ ხელში ვირჩიოთ ყოფნა, ვინც უფრო ზომიერები და მართალის მოყვარენი არიან, და უფრო გატანა იციან თავიანთ მომხრეების...

აეტი დაეუფლა ყრილობას.

მთელმა კრებამ – განაგრძობს აგატიასი, აღტაცებით მოისმინა ეს სიტყვები და დაეთანხმა კიდევ და კოლხიდელებს, თუმცა არ იყვენ მოლაპარაკებული, იმ დღესვე უნდოდათ გადასვლა სპარსელების მხარეზე.

აქ მემატთანე დაუმაღლავი ირონიით შენიშნავს:

„ასეთი ჩქარი გადაწყვეტილება სჩვევია საზოგადოთ დიდ კრებულს და ბრბოს, რომელიც მუდამ ეტანება ახალ-ახალსა და სიხარულით ეგებება ახალ ცვლილებას.

მხოლოდ ამ შემთხვევაში კოლხიდელები ჩვეულებრივზე მეტად აღელდენ, არა იმიტომ, რომ ბარბაროსები იყვნენ, არამედ იმიტომ,

რომ ჯერ იყო, გონებდენ, ჩვენ მართალი ვართ ამ საქმეშიო და აეტის ლაპარაკმა მოხიბლა და აიტაცა...

როცა ამ გვარად ჩოჩქოლი შეუდგათ, დაიწყო ლაპარაკი ერთმა, სახელად ფარტაცმა, კაცმა დიად გონიერმა, დარბაისელმა და თავდაჭერილმა, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა განთქმული და დიდ პატივს ცემდენ კოლხიდელები.

დაიწყო ლაპარაკი, ამშვიდებდა კრებას და ევედრებოდა, დაწყნარდით, ნუ აყვებით გულის თქმასა და ნურას დაიწყებთ ისე, რომ ჩემიც არ მოისმინოთო. ძლივს მოახერხა და დააჯერა, რომ გაჩუმებულიყო, ესეც იმიტომ, რომ დიდ პატივს ცემდენ და ხათრი ვერ გაუტყხეს.

გამოვიდა ფარტაცი, დადგა შუაში და წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც სრულიად გააბათილა აეტის მოსაზრებანი. მართლაც რომ, იშვიათი სილამაზით არის ამენებული ეს რიტორიული ტირადა, გრძელი რომ არ იყოს. შეიძლებოდა წაცდენა და მოყვანა კიდეც.

უმთავრესად ფარტაცი ლაპარაკობდა რომაელების საერთო ძლიერებაზე და შეჩვეულ ჭირს ამჯობინებდა შეუჩვეველ, საეჭვო ბედნიერებას.

მთავარი არგუმენტი იყო მანც სარწმუნოების ერთიანობა და ამით გაიმარჯვა კიდეც.

ფარტაცის სიტყვის მოსმენის შემდეგ კოლხიდელებმა სულ სხვა კილოზე დაიწყეს ლაპარაკი. ვაი თუ მართლმადიდებელი სარწმუნოება დავკარგოთ თუ სპარსელებს მიუდევითო. გაიმარჯვა ფარტაცის აზრმა. ამოიჩინეს, ვინც უფრო დარბაისელი და დიდებული კაცი იყო, კოლხიდელებმა და გაუგზავნეს დესპანებათ იმპერატორ იუსტინიანეს, დაუდვეს თითქოს რაღაც პირობა, მაგრამ საერთოდ, მანც აირჩიეს ბიზანტიის ორიენტაცია...

ეს ამბავი იმისთვის არის მოსატანი, რომ შემდეგშიაც ორიენტაციის საკითხი საქართველოში ყოველთვის მწვავედ იდგა. მისი ისტორიული ანალიზი შორს წაგვიყვანდა, მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში დაკავშირებით, შეუძლებელია უახლოესი ეტაპების არ მოგონება.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ასეთი ორიენტაციის საკითხი ახალი სიმწვავეთ დადგა.

სამი წელი, რომელთაც საქართველო ჩამორჩება ოქტომბრის რევოლიუციას, საკმარისი იყო, რომ კავკასიაზე კვლავ გაჩენილიყვენ იმპერიალისტური სვავები და თავიანთი კერძი მოეთხოვათ.

ჯერ იყო გერმანია და მისი მოკავშირენი: ვოლფ-სკელი, ენვერი, ვეხიბი და სხვა ფაშები, შემდეგ ინგლისელები: ტომსონი, კორი, სტოქსი და კუკოლისი.

აქაც სწორედ შავი ზღვის სანაპიროები გახდა იმპერიალისტების ზრუნვის საგნად.

განსაკუთრებით ბათომი იპყრობდა მათ ყურადღებას.

ჯერ იყო, თათრებმა ჩაიგდეს ხელში, მერე კიდევ ინგლისელებმა გამოაცხადეს თავის ბაზად და ჩამოჭრეს საქართველოს.

ინგლისელების დროს იქ თარეშობდენ რუსეთის ცარიზმის ნაშთები, რომელთაც დარიგებული ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროზე ადგილები და ასე იოლად არ თმობდენ თავიანთ უფლებას.

მერე კიდევ ოსმალები – მართალია უკანასკნელნი ოფიციალურად იდევნებოდენ ინგლისელებისაგან, მაგრამ ისე მაგრად ჰქონდათ აქ კრაზანის ბუდე დაბურდული თავიანთი ბანდიტი ემისრების საშუალებით, როგორც იყო სერვერგ-ბეი და კისკინ-ზადე, რომ... დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარე ევედრებოდა ინგლისელების საოკუპაციო მთავრობას – მოგვაშორეთ სერვერგ-ბეიო, რომელსაც დაეარსებია ყარსის რესპუბლიკა.

გენერალი კორი პირდება, ჩამოვახრჩობ ამ ავაზაკსო, ნამდვილად კი სერვერგ-ბეი ნამდვილ ომს აწარმოებდა ახალციხეში.

და შოტლანდიელები, ინგლისელების და მათი ფერადი ჯარების ჯორები უწყალოდ ხრავდენ ბათომის სანაპიროებზე წლობით გაშენებულ პალმებსა და სხვა ძვირფას მცენარეთ.

აგატიასზე არანაკლები ბიზანტიური ქრონიკის დამაჯერლობით, მოყოლილია პროფ. ზ. ავალიშვილის ჩვენგან უკვე ნახსენებ წიგნში, ბათომის ამბები ქართულ დიპლომატიურ დელეგაციის კანოსას დროს ევროპაში.

სანრემოს კონფერენციის წინ მოკავშირეთა მთავარი საბჭო სცდილობს ა/კავკასიის რესპუბლიკების მთავრობათა მორიგებას ბათომის საკითხში. აქ შუამავლის როლში გამოდის ვინმე მისტერ რობერტ ვანსიტტრატი და დაჟინებით ურჩევს სამივე რესპულიკას მორიგდენ, რომ ერთი ფრონტი გაშალონ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

და ეს მოლაპარაკება ჩაშალა ბათომის საკითხმა. სომხეთის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდენ ნუბარ-ფაშა და ავეტიკ-აგარონიანი მოითხოვდა შავ ზღვაზე გასავალს სომხეთისათვის ჯერ ლაზისტანში და მერე ბათომში.

ბათომი საერთოდ ცხადდებოდა პორტო-ფრანკოთ, ნამდვილად კი უნდა ყოფილიყო ინგლისელების გიბრალტარი კავკასიის ნავთის საბუდობისთვის.

ეს იყო ის დრო, როდესაც გამარჯვებული ანტანტა თვალთმაქცურად ამზადებდა ეხლა ყველასათვის სამარცხვინო სერვის ხელ-

შეკრულებას, რომელსაც უნდა დაენგრია ოსმალეთი, ნამდვილად კი ეს ხელშეკრულება გახდა უამრავ პროვოკაციის ქსელად.

ქართულ დელეგაციას არაფერი ქონდა საწინააღმდეგო, ბათომი ინგლისელების ხელში ყოფილიყო, მხოლოდ ვერ მოენებებია, რომ სომხეთს უნდა გაეყვანათ რკინის გზა ყარსიდან არდიგანით ბათომამდე, თანაც უარყოფდა საქარველოს სუვერენიტეტს ამ ოლქზე.

ამ ფანტასტიურ რკინის გზის პროექტს კიდევ შეურიგდა ქართული დელეგაცია, მაგრამ აქ გამწვავება გამოიწვია ფორმულამ, რომ ეს რკინის გზა უნდა ყოფილიყო „სომხეთის სრული საკუთრება“...

აზერბაიჯანის დელეგაციასაც ჭამის დროს მადა გაეღვიდა და ბათომზე განაცხადა თავისი პრეტენზია, ჯერ ერთი, მონინდომა ჩამოყოლოდა ბაქოს ნავთს და მის ნავთსადენს შავ ზღვამდე და მერე ნაეპოტინა ეტნიურ პრინციპს და აჭარა, როგორც სამუსულმანო პროვინცია, თავის გავლენის ქვეშ დააყენა.

მართლაც, ეშმაკი ფეხს მოიტეხდა ასეთ სიტუაციაში. ბათომში რალაც მოჯადოებული წრე გაიხლართა და გულუბრყვილო ბავშვივით კარლო ჩხეიძეს, ქართულ დელეგაციის თავმჯდომარეს ვერ გაეგო, რაში იყო საქმე და, მიუხედავად ყელზე მიჭერილ დანისა, მაინც ეწინააღმდეგებოდა რობერტ ვანსიტრატს, რომელიც წამებს ითვლიდა და ცდილობდა შეურიგებელის შერიგებას.

ოსმალეთის დიპლომატიაში ჭკუა დაქნილი სომხები ეგვიპტელ ნუბარ-ფაშა და გაბრიელ ეფენდი ნურადინი, არანაკლებ ყიზილ-ბაში ალი ტოზჩიბაშევი და მეორე ინტერნაციონალის დოგმატიკურ კარსეტში გადიპლომატებული კარლო ჩხეიძე, ამ რობერტ ვანსიტრატის ხელში მართლა რომ იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა.

მაგრამ ეს იყო ფინალი იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდა მაშინდელი მთავრობა.

ერთი მხრივ იდგა ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია, ინგლისის მეთაურობით.

მეორე მხრივ საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც ლაპარაკობდა ლენინისა და რევოლიუციის ენით.

აქ უნდა მომხდარიყო არჩევანი.

ან პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო, ან ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა კოალიცია.

ორი გზა არ იყო.

ფორმულაც არც აქეთ, არც იქეთ, თანდათან ჰკარგავდა თავის აზრს.

ფაქტების ლოლიკა თავის თავად ლაპარაკობდა, თუმცა დაგვიანებული, მაგრამ მაინც დასრულებული, მჭრელი და მკვეთრი ფორმულა ამ ეპოქას მისცა მაშინდელმა მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორ-

დანამ, როცა სამუდამოთ დასწყევლა „ბარბაროსი“ და „ფანატიკოსი“ ბოლშევიკები, და აირჩია „ცივილიზატორი“ კაპიტალისტების გზა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ დემოკრატიულ პრინციპებზე აღზრდილი და რუსეთის სოციალდემოკრატიაზე ჭიპმონყვეტილი ხალხი იძლეოდა ასეთ ფორმულას, რას იტყოდენ ყველა ჯურის ნაციონალისტური პარტიების ერემიები.

უეჭველია, აქ ზედაპირზე გაიმარჯვა პირველმა ორიენტაციამ და თუმცა მორცხვათ, მაგრამ მაინც დაიწყო საჭის მოტრიალება.

მხოლოდ იმ დროს ხალხის მასებში სხვა ორიენტაცია იდგამდა ფესვებს.

ეს იყო კომუნისტურ პარტიის ორიენტაცია ოქტომბრის რევოლუციისაზე, რომელმაც გაიმარჯვა.

ეს საკითხი ეხლა ათი წლის პრაქტიკით გადაჭრილია.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხის გარშემო ეხლაც არ იყოს ძველი დავა.

ეხლაც უცხოეთში გადატანილი დემოკრატიული რესპუბლიკის შტაბი იცავს თავის ძველ ტეზისს.

მაგრამ ყოველი დღე ძირს უთხრის მის რეალურ შესაძლებლობას.

აღმოსავლეთის ხალხებში იზრდება ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ ეროვნულ განთავისუფლებისთვის.

არაბები პალესტინაში, ინდოელები და ჩინელები და სხვა ერთ ჩაუმიქრალ აჯანყების ცეცხლში ტრიალებენ.

მაგრამ სხვის მაგალითზე ძნელია ჭკუის სწავლა.

ახალი კოლხიდის პრობლემა სწორეთ ამ პოლიტიკის ასპექტში ჰკარგავს ლოკალურ მნიშვნელობას და უკავშირდება სოციალიზმის აშენების პერიოდს. მშრომელი მასა გააღმასებული ენერგიით შეესია ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობას და ხელჩართული ომია გაჩაღებული.

აქ კოლხიდა მხოლოდ ერთი ცოცხალი უჯრედეია საბჭოების სოციალისტურ ფრონტზე.

აქ არ იქნება ისეთი დავა, რომელიც გამართული ჰქონდათ მისტერ რობერტ ვანსიტრატის კაბინეტში კავკასიის ცრუ გოგი მაგოგებს.

აქ არ იქნება დავა სუვერენიტეტზე, რადგან სუვერენიტეტი ეკუთვნის მშრომელ ხალხს და ყველა ინანილებს აღმშენებლობის შრომას.

მითოსის დიალექტიკა

როცა საქმე ძველ კოლხიდას ეხება, არც ისე იოლია ისტორიის ჩამოშორება, თუნდაც ზოგიერთს ისტორიზმი გადაჭარბებულიც მოეჩვენოს.

კოლხიდის ისტორია შორიდან იწყება, მისი ძირი იკარგება ბერძნულ მითოსებში, მაგრამ ამ მითოსებს აქვს თავისი დიალექტიკა.

დიუბუა დე მონსპეროს აზრით, რომელმაც იმოგზაურა კავკასიაში – თუ დავუჯერებთ ბერძნების ისტორიკოსებს, ბერძნებმა დააარსეს უძველეს დროიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას ორი ახალშენი (საკოლონიო ამხანაგობა) აქელეემისა და ჰენიქელეებისა, დააარსეს სწორედ იმ ხანში, როცა აქეთ-იქეთ გასვლის წყურვილი არ აძლევდა ბერძნებს მოსვენებას და ამიტომ, ადვილად მიემგზავრებოდნენ შორეულ ქვეყნებისაკენ: ტროადას, კაიროს და კოლხიდისაკენ.

ბევითად ვიცით, რომ როდესაც მილეზიელნი ბრძანებლობდნენ შავ ზღვაზე, ისინი ამ ზღვის ნაპირას ბლომათ აფუძნებდნენ ახალშენებს და არ ტოვებდნენ უყურადღებოთ არც ერთ კუთხეს, რომელიც კი გამოსადეგი იყო მათის მრენველობისა და ალებ-მიცემისთვის.

ყოველ დიდ მდინარის ბოლოში, ყოველ მოხერხებულ ზღვის ყურეში, ყოველ სავაჭრო ადგილზე დიდ ქალაქებს აფუძნებდნენ.

როცა ამისთანა ქალაქი გამდიდრდებოდა, მაშინ ქალაქი თავის გამრუმემო პატარა ქალაქებს დააარსებდა და თვითეული მათგანი დიდათ სარგებლობდა, როგორც მიწის ნაწარმოებით, ისე მცხოვრებლების ნიჭიერებით.

ამისთანა ქალაქები იყო: ფანაგორია, რომლის მდებარეობა მდ. ყუბანის ბოლოში ძალიან მოხერხებული იყო: აქ მოდიოდნენ სავაჭროთ აზიელნი, ბოსფორელნი, მეოტელნი და ყველა თესლი კავკასიისა.

გელენჯიკისა და სუჯუკ-კალეს (ანინდელი ნოვოროსიისკი) ზღვის ყურეში იყო ქალაქები: ტორაკოსი და ბატა.

მშვენიერი აფხაზეთის გულში იყო დიოსკურია (ანინდელი სოხუმის მახლობლად), რომელიც ახლო მცხოვრებს მთიელებს ტყავებზე და სხვა ნაწარმოებზე უცვლიდა პანტიკაპეადან (ანინდელი ქერჩი) მოტანილ მარილს. დიოსკურიის შემდეგ უმთავრესი ახალშენები ბერძნებისა იყო: გენოსი ანუ ანინდელი დგვანისი, რომელიც მდებარეობს მარკულას მდ. ნაპირას, ილორი, ბედია, ჰერეკლეა, ანუ ანინდელი ანაკლია.

ამ ახალშენებს ძალიან ეშინოდათ გარშემო მოსახლე ხალხებისა, რომელთა შორის ყველაზე მამაცნი იყვნენ სვანები და კორაქსელები, ანუ ანინდელი წებელდელები.

ეს უძველესი ახალშენები ბერძნებისა დაიპყრო მირტიდატმა და მირტიდატის სიკვდილის შემდეგ, დაიმორჩილეს რომაელებმა.

რომაელებმა თავიანთი მეციხოვნენი დააყენეს ყველა ქალაქებში.

პლინის დროს (74 წ. ქრ. დ.) დიოსკურია, სადაც ცოტა წინად რომაელებს ას ოცდა ათი თარჯიმანი ყავდათ, თავის სავაჭრო საქმე-

ებისათვის, წარმოადგენდა მხოლოდ უბრალო ციხეს. და დღეს კი, არაფერი არ გვაგონებს დიოსკურიას, ასე რომ, მოგზაურნი ვერც კი პოულობენ იმ ადგილს, სადაც ის არსებობდა...

შავი ზღვის ნაპირას ფაზისის (ანინდელი რიონი) მდინარის ბოლოს იყო ფაზის ქალაქი (ანინდელი ფოთი). ეს ქალაქი იყო კოლხიდელების სავაჭრო ადგილი, საიდანაც გაჰქონდათ: სელი, კანაფი, ცვილი, კუპრი, ტილო, საშენებელი ხე-ტყე და თაფლი. ყველა ეს ახალშენები ახლა დააარსეს მილიზიელებმა, ანდა განაახლეს.

შავი ზღვა გვიმალავს ძველ დროთა წყვედიადში იმისთანა საიდუმლოებს, რომელთა ახსნა ჩვენთვის ძნელია, თითქმის ყველა იქაური მითოსი, რომელიც მოგვითხრობს ამ ახალშენების დაფუძნებას, ეკუთვნის ბევრად უფრო ძველ დროს, ვიდრე მილიზიელები გამოჩნდებოდნენ და თვით ამ მითიურ ალეგორიების ქვეშ დაფარულია, ცოტათი თუ ბევრად, ცნობილი ისტორიული ფაქტები.

ვინც კი წაიკითხავს ჰომეროსს, ვინც კი შეისწავლის თქმულებას არგონავტებისა, ფრიქსისა და ჰელასასასა და წაიკითხავს ევროპის მოტაცების ამბავს ჰეროდოტეს ნიგნში და სხვ. ის ხშირად ასეთ აზრს დაადგება და დარწმუნდება, რომ ბერძნებმა ბევრად თუ ცოტათი მიიღეს განათლება იმ ერებისაგან, რომელთაც ისინი ბარბაროსებს უწოდებდნენ.

თვით მეფე, რომელმაც არგონავტები, ტირიელები, ტროადელები და სხვა მიიღო და თვით მისი ერიც, განათლებით უფრო მაღლა იდგა, იმ ავანტიურისტებზე და იმ ჯარებზე, რომელიც ესტუმრენ მას იმისავე გასაძარცვავად და სტუმარ-მასპინძლობის წესის დასარღვევად.

თითქმის ყველა უძველეს პოეტებს და ისტორიკოსებს თავიანთ გმირების საარაკო საქმეების ასპარეზად შავი ზღვა აურჩევიათ, მათის მოთხრობით ეს გმირები მიიზიდებიან აღმოსავლეთისაკენ, რომელიც გამოხატულია განათლებისა და სიმდიდრის წყაროთ.

როცა „ოდისეაში“ ვკითხულობ ულისის ამბავს, ჩვენ ადვილად ვცნობთ კოლხიდას და მის აღწერილობას. მართლა და ვინ არ მიხვდება, რომ აქ კოლხიდაზეა ლაპარაკი, როცა იხსენება იგი ფართო მდინარე, რომელშიაც შესულა ულისის ხომალდები, ის ვეება ტყე, რომელიც მოდებულება ზღვის ნაპირზე, ის ირმები, აქ რომ ბლომათ შეხიზნულან და ის სასახლე, რომელიც ტყით დაბურულია.

ადვილი გამოსაცნობია ამ აწერილობით ანინდელი ნოქალაქევი. ღვინო და თაფლი აქ დღესაც ისევ ჩინებულია და ქალები დღესაც ისე ხელსაქმობენ ქარგაზე, როგორც ჰომეროსის დროსო.

კოლხიდის ორმაგი ბუნება

ძველ საბერძნეთისა და რომის კლასიკურ მწერლობაში კოლხიდას აქვს ორნაირი რეპუტაცია, ორივე შემთხვევაში მსოფლიო რეპუტაცია, რადგან რომი და საბერძნეთი მათი წარმოდგენით ამონურავდენ მაშინდელ განათლებულ მსოფლიოს.

კარლოს რიხტერი თავის წიგნში „მინათმფლობელობის ისტორია“ ამის შესახებ სწერს:

უძველეს დროიდან, არგონავტებიდან დაწყებული, ბერძნებს კოლხიდასაკენ ჰქონდათ მიქცეული ყურადღება და ეძებდნენ იქ ოქროს მატყლოვან ვერძს.

მხოლოდ ბერძნების მითიურ და ზეპირ გადმოცემას ოქროს მატყლოვან ვერძის შესახებ საფუძვლად უდევს ნამდვილი ფაქტის ხსოვნა, საბერძნეთის და მდიდარ აღმოსავლეთის შორის სავაჭრო მისვლამოსვლა უმოკლესი გზით.

ბერძნები კოლხიდელებს, როგორც ბევრ სხვა ერსაც, უწოდებდნენ ჩრდილოეთის ბარბაროსებს, თუმცა ისინი სრულიად ბარბაროსები არ ყოფილან, არამედ როგორც ყველაფრიდან სჩანს, კოლხიდელები ძველის-ძველად განათლებული ერი იყო. ბერძნები, მეტადრე მილეტიელები, არგონავტების გალაშქრების დროიდანვე სცდილობდნენ დამკვიდრებულიყვნენ კოლხიდელების მიწა-წყალზე ფაზისის ნაპირებზე.

აპოლონი როდოსელის აღწერილობა არგონავტების გალაშქრებისა და სხოლიასტის განმარტება ამ ამბისა გვარწმუნებს, რომ კარტოგრაფიულის ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს.

იგი უფრო ადრე ყოფილა ხმარებაში კოლხიდელ მოგზაურ ვაჭართა შორის. ამ გარემოებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის ისტორიისთვის, რომელშიაც ჯერ კიდევ ბევრი რამ გაუგებარი და საარაკო არის დარჩენილი.

აპოლონი როდოსელის (argonaut, IV, 280 და შემდეგი) და მისი სხოლიასტის სიტყვით, კოლხიდელებს ჯერ კიდევ ძველიდანვე ჰქონდათ წინაპართაგან დასწავლილი ზღვისა და ხმელეთის გზების ფირფიტაზე გამოსატვა თავიანთ სამგზავროთ, ეს ფირფიტები ჯერ ხისა იყო, შემდეგ ქვისა.

მათ ეწოდებოდათ კურბეისი, იგივე სახელი, რომელიც ერატოს-თენმა უწოდა ათინელთა კანონების ძველ ფიცრებს.

უეჭველია, ეს ფირფიტები ნასახია ლანდქარტებისა და ადვილად საფიქრებელია, რომ ჰეროდოტეს თვალწინ ქონდა ამისთანა ფირფი-

ტები, როცა ჩამოსთვალა ჩრდილოეთის ერთა სავაჭრო გზები ბორის-
თენისა და პონტის მიდამოებში.

კოლხიდელები ჩვენი აზრით უკიდურესი კალონიაა, ჰეროდოტოზე
ბევრად ადრე გამოსული ზემო ინდოეთიდან ანუ ბაქტერიიდან, ძველ-
თა სერთა ქვეყნიდან და გავრცელებული ოქსუსის სათავიდან კასპიის
ზღვისა, რახსისა და მტკვარისაკენ, ფაზისისა და შავ ზღვამდე...

აქ იყო უმთავრესი სავაჭრო გზები, სადაც მიდიოდენ სკვითის ტო-
მები. სკვითები მოდიოდენ კოლხიდაში თავიანთი ბორბლიანი ურმე-
ბით მეოტიის ზღვის ყინულებზე.

აქ შეკრიბა ჰეროდოტემ ყველა თავისი ცნობანი შუა გულისა და
ზემო აზიის შესახებ და სხვაგან არსად შეეძლო ამ ცნობების შეკრება.

ტრაგიული მედეა

ჩვენი ნარკვევისთვის არ იქნებოდა ინტრეს მოკლებული, მოგვეყ-
ვანა მითოსი არგონავტებთა ლაშქრობისა კოლხიდაზე, მაგრამ ვგუ-
ლისხმობთ, რომ ეს მითოსი ყველასათვის ცნობილია.

კოლხიდის პირველი ბუნება, რომელიც წყაროა სიმდიდრისა და
კეთილდღეობის, აქ დიდებულად არის გადმოცემული, მაგრამ აქვეა
აგრეთვე მოცემული კოლხიდის მეორე ბუნებაც, რომელიც დამლუპ-
ველია და თავის თავშივე ატარებს საკუთარ განადგურებას.

რუსეთის გამოჩენილმა პოეტმა და კლასიკურ ფილოლოგიის და-
უცხრომელმა მკვლევარმა – ინოკიენტი ანენსკიმ მიაგნო სწორედ მე-
დეაში ამ ორმაგობას. მისი ევრიპიდეს „მედეას“ რუსულ თარგმანის
ნინასიტყვაობა ამის საუკეთესო დასაბუთებაა.

მედეა, რომელიც ჯადოქარია და სანამლავის ოსტატი, თავის ბუნებაში
ატარებს სიკვდილს და აქ მისი სანამლავი უკვე სიმბოლოს სახეს იღებს.

მედეა თითონ კოლხიდაა – ულამაზესი და ამაყი, მას ყოველთვის
გააქვს თავის გულის ნადები და გალალეებულია, მაგრამ მის ბუნება-
ში მოცემულია იმ თავითვე მეორე ბუნება, რომელიც ებრძვის პირ-
ველს და ამარცხებს კიდევც.

მედეას სანამლავი ეს არის კოლხიდის მალარიის ოხშივარი, ტრო-
პიკული ციების კანკალი.

აქ წინდანინ მოცემულია მედეას შვილების დალუპვაც.

შეიძლება მატემატიკური სისწორით ანალოგიის გაყვანა.

ზოგიერთი სუბტროპიკების მკვლევარი მედეას სანამლავში ეძებს
ნამლავის მცენარეების კულტურის ჩანასახს ძველ კოლხიდაში, მაგ-
რამ არავის არ მოსვლია თავში, რომ თვითონ მედეა თავისი საბედის-
წერო ცხოვრებით – სახეა სწორედ კოლხიდის ბუნებისა.

ჰიპოკრატეს დიაგნოზი

თუ მედეას ტრაგიული ბედი კიდევ არ არის დამაჯერებელი, რომ ის პოეტური ასახვაა კოლხიდის ორმაგი ბუნებისა, სამაგიეროდ, არავითარ ეჭვს არ იწვევს ანტიური მედიცინისა და საერთოდ, მედიცინის მამამთავრის ჰიპოკრატეს მკაცრი დიაგნოზი იმ სენისა, რომელიც კოლხიდას მუსრს ავლებს და რომელსაც ეწოდება მალარია.

„ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის ფაზის მდინარე, არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილია ტყით.

მთელი წლის განმავლობაში აქ დიდი წვიმები მოდის.

იქაურნი მკვიდრნი ცხოვრობენ ჭაობებში, წყალში იშენებენ სახლებს ხისას, ანუ წნელისას.

გარეთ გამოდიან მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქში ან ბაზარში უნდა წავიდნენ.

ამ ქვეყანაში ბევრი არხია; შიგ უდგიათ მთლიან ხისაგან გაკეთებული ნაგები და ამ ნაგებით შემოუვლიან გარშემო თავიანთ მამულებს.

ხმარობენ წვიმის წყალს, რომელიც არის თბილი, მდორე და აყროლებული სიცხისაგან.

ფაზის ყველა მდინარეებზე უფრო მდორე და ნელი მიმდინარეობა აქვს.

ამ ქვეყნის ხილი ცუდი თვისებისაა უგემური, და წყლის სიუხვის გამო არასდროს არა მწიფდება.

წყალისაგან რომ ნისლი ადის, მუდამ გარს არტყია ამ ქვეყანას, ამ მიზეზს უნდა მიეწეროს, რომ აქაური მცხოვრებლები ეგრე განირჩევიან ყველა სხვა ერთაგან.

ისინი ტანით მალალი არიან, მაგრამ იმოდენათ სუქნები, რომ არ უჩანთ არც სახსრები და არც ძარღვები.

ფერი აქვთ ყვითელ-მწვანე, თითქო სიყვითლით არიანო ავათ.

ხმა სხვებზე უფრო გაუთლელი აქვთ, რადგან სუნთქამენ უწმინდურ და სველ ჰაერს, ღინღლსავით სქელს.

ყველაფერს ერიდებიან, რაც კი დაღლის.

ამ ქვეყანაში ზამთარს და ზაფხულს შორის დიდი გარჩევა არ არის სითბო-სიცივის მხრივ.

იცის ქარი, რომელიც არის ფრიად ძლიერი, ცხელი და უსიამოვნო, ამ ქარს ეძახიან კეხრონს“. და ასე.

ეჭვი არ არის, რომ ეს არის მალარიისა და მისი გავლენის აწერა.

უეჭველია, ეს სიტყვები დაფაზე უნდა ეწეროს და ეკიდოს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტებში.

პატრონის მოლოდინში

ასეთი ორმაგი გავლენის ქვეშ იდგა ყოველთვის კოლხიდა. და დასაბამიდან თანდაყოლილი გაორება ბორკავდა მის კეთილდღეობას. მარტო ისტორიული უკუღმართობის ბრალი არ იყო, კოლხიდის კულტურის ჩაქრობა და ოდესღაც მდიდარი ქვეყნის გაჩანაგება.

ისტორიული ბედი მაინც არ იყო ყოველთვის ღმობიერი.

თავისი მდებარეობით კოლხიდა ყოველთვის პლაცდარმი იყო ახალ კულტურათა შეჯახებისა.

ყოველი წელ-მომავრებული დამპყრობელი აქეთკენ მოისწრაფოდა, მითიურ არგონავტებს მოსდევდენ მირტიდატისა და მერე რომის ლეგიონერები, არაბები, სელჯუკები, ოსმალები, გენუელები, რევოლიუციამდე კიდევ ასი წელი რუსი იმპერატორების ჯარები.

Их ведет грозя очами

Генерал седой...

და სწორედ ეს ბებერი გენერლები კიდევ სცდილობდენ შავი ზღვის სანაპიროების თავის ზღვის კურორტებათ გარდაქმნას.

ფრანგი მოგზაური და მეცნიერი დიუბუა დე მონსპერო, რომელიც ჩერქეზეთში იმყოფებოდა და ჯერ არ ენახა დასავლეთი საქართველო, ასე სწერდა:

„მინდა ჩემი თვალით ვნახო ის ძლიერი ერი, რომელსაც ისტორიის დასაბამიდან პირდაპირ დამოკიდებულება ჰქონია ყველა დანარჩენ ერებთან და თუმცა არ მიუტოვებია განგებისაგან მისთვის მიჩენილი მიწა-წყალი, მაგრამ რაც კი სადმე, აზიასა და ევროპაში ცვლილება მომხდარა, ყველა გამოუვლია და შეუთვისებია კიდევც.

მე ამას ვამბობ დიდებულ ქართველ ხალხზე, რომელსაც უძველეს დროდან უჭირავს კავკასიის ყელი და შავისა და კასპიის ზღვის ნაპირები.

ეს ერი, როგორც გრძელ ტოტემიანი დიდი ხნის ხეზე გასული ვაზი, ხშირად გაუტაცნია, შეურყევია და აუკლია ქარიშხალს, მაგრამ ნიადაგიდან ამოგლეჯა მისი კი ვერ შესძლებია.

ამ დიდმნიშვნელოვან ნანგრევებს, – განაგრძობს ძველი კოლხიდის დიდებით აღტაცებული და მისი თანამედროვე კოლხიდის განადგურებით აღშფოთებული ავტორი, – ფარავს მშვენიერი ტყე, რომელშიაც აქა-იქ გაფანტულია აფხაზეთის სოფლები.

ეს შეუვალი ტყე და ეს მდინარეს უდაბნო ნაპირები კაცმა რომ ნახოს, განა შეიძლება იფიქროს, რომ ეს ის ადგილია, სადაც ისტორია დაწყებულა? რომ ეს უძველეს ზღაპრების და მითოსების ქვეყანაა?

რომ ეს ის ადგილია, საიდანაც გავრცელებულა კულტურა?

რა მდგომარეობაში-ლა დარჩენილა ეხლა ის ხალხი, რომელიც ტკბებოდა ამ სამოთხის მზგავს ქვეყნის ნეტარებით.

დღეს თითქოს მიტოვებულია ადამიანისაგან ეს მშვენიერი ქვეყანა.

ვინ იცის, იქნებ განგება ისე ასვენებდეს სამეფოებსაც, როგორც კაცი საყანებს!..“

ამ ტირადას გულამომჯდარი ფრანგი მეცნიერი ნახევარ საუკუნის წინად ამბობდა, როცა ცარიზმი ახრჩობდა ყოველივე ხალხის შემოქმედების წამოწყებას.

თუ სულ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მოგზაურს, თითქო განგება ასვენებდეს ქვეყანას, როგორც კაცი საყანეს, ერთი მაინც ახდა ამ წინასწარმეტყველებიდან.

დიდხანს იყო კოლხიდა გავერანებული, მაგრამ მოვიდა კაცი მხვნილი და მთესველი და დაეპატრონა ამ ქვეყანას, თავისი მასიური ნებისყოფით რომ ჩაყაროს სოციალიზმის საფუძველი.

შეიძლება, არც ის იყოს მოკლებული ერთგვარ წინაგრძნობას, რასაც ვივიან დე სენტ მარტენი ამტკიცებს კოლხიდელთა სახელწოდების წარმოშობის შესახებ:

„მეცნიერებს ძალიან გაუჭირდათ კოლხიდელების სახელწოდების წარმოშობის ახსნა, თუმცა ჩვენთვის ცხადია მისი წარმოშობა, თუ ვიხელმძღვანელებთ ადგილობრივი ენით.

სიტყვაში „კოლხი“, რომელსაც ბერძნები უწოდებენ ფაზის ნაპირების მცხოვრებთ, ისმის ქართული სიტყვა „ხალხი“, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სპარსულ და არაბულ „ხალხის“, ებრაულ „ქაალს“ (კრება-ყრილობა), ბერძნულ „ოხლოს“, გერმანულ „volk“ და ლათინურ „გულგუს“. მართლაც, ამ ხალხის სახელწოდება ნიშნავს ხალხს და ასე...“

ყოველ შემთხვევაში, ერთი ფაქტია, კოლხიდის აღორძინება სწორედ სახალხო საქმეთ იქცა და მისი ბედი ხალხის ერთი მთლიანი კოლექტივის ხელშია...

II. კოლხიდის ქაობის ამოშრობა

კოლხიდამ ძველი სახელი მდიდარი ქვეყნისა, რომელიც ყოველი მხრიდან იწვევდა კოლონიზატორებს, დიდი ხანია დაკარგა.

როგორც მოვისხენეთ, ჯერ კიდევ დე-მონსპერო დასტიროდა ამ გაპარტახებულ ქვეყანას, რომელსაც არავითარი ნიშან-წყალი არ შერჩა ოქროს მდინარეებისა.

უფრო საგრძნობი შეიქნა კოლხიდის მეურნეობის დაცემა რევოლუციის წინა ხანებში. რალაც ბედის ირონიით ქუთაისმა მაინც შეირჩინა

ძველი გერალდიკა და ქალაქის გერბს მაინც ამკობდა ბოლო ხანამდე ოქროს ვერძი – მაგრამ ეს ამ ხანად უფრო დაცინვას წააგავდა, ისეთი იყო მეურნეობის განადგურება და ხალხის გაღარიბება. აშკარა იყო მეორე ბუნება კოლხიდისა, როგორც ჭაობიანი და ჟამიანი ქვეყნისა, როგორც ტროპიკულ მაღარიის ბუდობისა უფრო მტკიცდებოდა და ქვეყანას გადაშენებით ემუქრებოდა. ამ მეორე ბუნების გადალახვა, კოლხიდის ჭაობების ამოშრობა და მეურნეობის ახალ ნიადაგზე დაყენება თავის ამოცანად დასახა საბჭოთა ხელისუფლებამ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში.

ამ ნაირად კოლხიდის პრობლემა ჩაიჭედა ხუთწლიან გეგმაში.

უეჭველია, შეუძლებელი იქნებოდა კოლხიდის პრობლემის ცალკე გამოყოფა – ის უნდა შეზრდოდა საერთოთ საბჭოთა კავშირისა და კერძოთ, ამიერ კავკასიის სახალხო მეურნეობის გეგმას.

თავისი მდგომარეობით და გამოჩენილ პერსპექტივებით კოლხიდა უნდა გამხდარიყო ერთი სექტორი სოციალისტური მეურნეობის მთლიანი გეგმის ფარგლებში.

უამისოდ მას არ მიეცემოდა მასშტაბი და არც სახსარი გამოჩნდებოდა მის გარდაქმნისთვის.

აქ კოლხიდის პრობლემა ეყრდნობა ტექნიკურ კულტურათა განვითარებას და თავის თავად შედის დიდ ორბიტაში, რამდენადაც ცნობილია შავი ზღვის სანაპიროები, სადაც მოქცეულია კოლხიდა, ერთადერთი სუბტროპიკული კუთხეა საბჭოთა კავშირში.

პროფ. ა. კრასნოვი უდიდესი ენტუზიასტი და დაუცხრომელი მკვლევარი კოლხიდის ბუნებისა, რომელიც დასაფლავებულია თავის მიერ გაშენებულ ბათუმის ბოტანიკურ ბაღის შუაგულში, გარემოცული სუბტროპიკულ მცენარეთა ტყეებით, თავის წიგნში „სამხრეთი კოლხიდა ერთად-ერთი სუბტროპიკული მხარეა რუსეთში“ – ასე ათავებს თავის გამოკვლევას: „მსგავსად ვულკანურ კუნძულის ნიადაგისა, რომელიც გაჩნდა ოკეანის ფსკერიდან, ბათუმის სანაპიროებს არ ქონდა თავისი მცენარეობა, არამედ მიიღო მეზობელ კავკასიის უფრო მაღალ ადგილებიდან, სადაც ყინულის პერიოდიდან დარჩენილი იყო უმცირესი პროცენტი სუბტროპიკულ მესამე ფაზის ფორმებიდან. როგორც ცნობილია, ევროპაში განადგურებულნი, ისინი შეინახეს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ადგილებში გაბნეული, ამიტომ გამოუყენებელი დარჩა ჰავის მხრივ უპირატესი მდგომარეობა ახალ ხმელეთისა სამხრეთზე. ადამიანის დახმარებით მათი დამკვიდრება შეეძლო მხოლოდ კავკასიის ფლორის ელემენტებს. აქ მათ შეეძლოთ

გაფურქვნილიყვენ, მაგრამ ახალი სახის მიღებას ვერ მოასწრებდენ. სამაგიეროთ, ახალი ხმელეთის უპირატესობა ისეთი აღმოჩნდა, რომ მათთან დაბრუნება ადამიანის საშუალებით შეეძლო სხვა სუბტროპიკულ მხარეთა მცენარეებს, რომელიც ნაწილობრივ ევროპაშიც ცხოვრობდენ, შორეულ გეოლოგიურ წარსულში. დაბრუნებული და დამკვიდრებული სამხრეთ კოლხიდაში ისინი აძლევენ მის მცენარეობას აშკარად გამოჩენილ სუბტროპიკულ ხასიათს, რომელიც განირჩევა სხვა დანარჩენ კავკასიის სანაპიროებიდან. ყველაფერი ეს ნებას გვაძლევს, მივიჩნიოთ სამხრეთი კოლხიდა სხვა ბიოლოგიურ ქვეყნის კუნძულად და ერთად ერთ სუბტროპიკულ პატარა კალონად მთელ რუსეთში“.

ამნაირად, თუ კოლხიდის ჭაობის ამოშრობას, როგორც ქვევით დავინახავთ, შეუძლიან მისცეს დასავლეთ საქართველოს 200 ათას გექტარამდე ახალი მიწა, რომელიც წინათ გამოუყენებელი იყო და მხოლოდ ჰაერს ალბობდა, ამას ისიც უნდა მივმატოს, რომ ეს მიწა გამოსაყენებელია, როგორც სუბტროპიკების ზონა ტენიკურ კულტურათა განვითარებისთვის. ამიტომაც, კოლხიდის ჭაობის ამოშრობის მნიშვნელობა ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ დასამუშავებელ მიწის მომატება.

უმთავრესად ეს უდევს საფუძვლად კოლხიდის აღორძინებას. უეჭველია, ეს გრანდიოზული პრობლემა არ დაისმებოდა, რომ არ ყოფილიყო მშრომელი მასების ამოძრავება და პროლეტარულ რევოლუციას ძირიან ფესვიანად არ შეეცვალა ეკონომიური პირობები.

ამას ვერ ამჩნევდა ევროპიელი ფილისტერი ჰ. უელსი, როცა სწერდა წიგნს „რუსეთი ნისლში“, სადაც მოთხრობილია მისი შეხვედრა და საუბარი ლენინთან. ბნელით მოცულ ქალაქში ლენინი ოცნებობდა ელექტროფიკაციაზე. რასაკვირველია, უელსს ეს ეჩვენებოდა ფანტასტიურად და მთელი გეგმა ქიმერიულად, მაგრამ ფანტაზიამ სულ მოკლე ხანში ხორცი შეისხა და დღეს პიონერსაც შეუძლია დარწმუნდეს, რამდენათ თხუნელის ხედვა აქვს ლენინთან შედარებით უელსს, თუნდაც ის ასე ცნობილია, როგორც სოციალურ უტოპიების ავტორი.

ბევრათ ადრე, სანამ რეალურად დაისმებოდა კოლხიდის პრობლემა, ლენინი სჭვრეტდა იმის აუცილებლობას, რომ შეუძლებელია საქართველოს და ამიერ-კავკასიის განვითარება, თუ სამეურნეო კითხვები არ იქნება დროზე დასმული და გადაჭრილი.

თავის ისტორიულ წერილში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტანის მთის რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებისადმი ლენინი სწერდა: „ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მინათმოქ-

მედებისა და მესაქონლეობის განვითარებას. რაც არ უნდა დაგვიჯდეს, მიწის მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა, ყველაზე უფრო გარდაქმნის ქვეყანას, ააღორძინებს, დამარხავს მის წარსულს და გააძლიერებს სოციალიზმში გადასვლას“. ასევე ითქმის ჭაობების ამოშრობაზეც.

ეს სიტყვები სატივეარივით ურტყამს საფეთქელში ყველას, ვინც ეხლა მუშაობს ბამბის ავრალზე, ვინც მისევია კოლხიდის ჭაობის ამოშრობის სამუშაოს და ვინც ამზადებს სოციალისტურ გიგანტიზმისთვის ტექნიკურ კულტურათა ნედლეულს.

როგორც ირკვევა, საქართველოს წყლის მეურნეობისაგან შეკრებილ მასალებიდან და კოლხიდის ჭაობების ამოშრობის თათბირების ოქმებიდან, კოლხიდის ჭაობების ამოშრობის საკითხი ჯერ კიდევ ომის წინათ მდგარა, მაგრამ ამ საკითხის დასმას არც მაშინ და არც გასაბჭოების პირველ პერიოდში არ ქონია მიცემული გეგმიანი ხასიათი.

კოლხიდის ჭაობებს იხილავდენ ცალ-ცალკე, სხვადასხვა განკერძოებულ ადგილებზე. გამოკვლევა, რომელსაც აწარმოებდენ უფრო კერძო ინიციატივით, არაფრით არ გავდა სახელმწიფოს გეგმიან მუშაობას. მხოლოდ უკანასკნელ დროს მთელი სიგანით დაისვა კოლხიდის პრობლემა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის პერიოდთან დაკავშირებით.

მრეწველობის განვითარების ტემპები, კერძოთ, საფეიქრო მრეწველობისა, რომელიც მოითხოვს საკუთარ ნედლეულით უზრუნველყოფას და სხვა მტკიცენიული მეურნეობის საკითხები, როგორც მიწის სივინროვე, სახალხო ჯანმრთელობის დაცვა და სხვა, დღის წესრიგში სვამს მსხვილ სამელიორაციო პრობლემებს და ერთი ასეთი პრობლემათაგანია კოლხიდის ჭაობის ამოშრობა.

ეხლა უკვე სწარმოებს გეგმიანი კვლევითი მუშაობა და კოლხიდის მელიორაციისა და სუბტროპიკულ კულტურათა საცდელი სადგურები მტკიცე ნიადაგზე დგანან.

ყველაფერი ეს გულისხმობს, რომ ჩაედგა საძირკველი იმ შენობას, რომელიც სულ მოკლე ხანში უნდა აშენდეს უდაბურ და ჭირიან ჭაობების ამომშრალ მიწაზე.

1929 წელს შესდგა ფოთში საცდელი სადგურის ორგანიზაციის მოსაწყობად თათბირი, ჩვენ მოვიყვანთ ზოგიერთ რეზოლიუციებს, რომ შემდეგ საშუალება გვქონდეს გავარკვიოთ, როგორი ტემპით მიდის მუშაობა დღეს და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას.

კოლხიდის საცდელ სამელიორაციო სადგურთან მონყობილი თათბირი აუცილებლად სცნობს კოლხიდის ჭაობის ამოშრობის დაჩქარებას, რადგან ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთო

საბჭოთა კავშირისთვის და კერძოთ, საბჭოთა საქართველოსთვის. კოლხიდის დაბლობის მელიორაციასთან დაკავშირებით უნდა გადამწყვეტი მნიშვნელოვანი პრობლემების მთელი რიგი, ასე საბჭოთა კავშირისთვის მთლიანად, ან და ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვნად გადაწყვეტილი იქნება შემდეგი საკითხები:

ტერიტორიის სივრცის გადიდება, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც სუბტროპიკული ჰავის ზონა.

სამხრეთისა და სუბტროპიკულ კულტურათა ბაზის შექმნა.

ვალეუტის ეკონომია ხსენებულ ნედლეულობის ბაზის განვითარებასთან დაკავშირებით.

საკურორტო მშენებლობის განვითარება (საზამთრო კურორტებისა კოლხიდის სანაპიროებზე).

საქართველოსთვის გადაწყვეტილი უნდა იქნას შედეგი პრობლემები:

სახალხო ჯანმრთელობის დაცვა მალარიის მოსპობით, როგორც კოლხიდაში, ისე მოსაზღვრე რაიონებში.

რესპუბლიკის კულტურულ მინის გადიდება საერთოდ და კერძოთ, სუბტროპიკულ ჰავის ზონაში 200-ათასს გექტარამდე.

ხალხის აგრარულ ზედმეტ მოსახლეობის სიმწვავის შემცირება, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც ყველაზე უფრო საგრძნობია მოსახლეობის სიჭარბე.

მრეწველობის განვითარება ნედლეულობის ბაზის შექმნასთან დაკავშირებით.

განვითარება რკინის გზისა, წყლისა და მდინარის ტრანსპორტისა. ინტესიფიკაცია და რეკონსტრუქცია კოლხიდაში სასოფლო მეურნეობისა და მისი საქონლიანობის საგრძნობლად განვითარება.

სოციალისტური სექტორის განვითარების ფართო პერსპექტივები კოლხიდის ტერიტორიაზე.

აღნიშნავდა რა კოლხიდის ქაობის ამოშრობის ასეთ იშვიათ მნიშვნელობას, თათბირი ამტკიცებდა, რომ არ არის საკმარისი შეკრებილი სტატისტიკური ეკონომიური და ბუნებრივ-ისტორიული მასალები, რომ ამ მასალების უქონლობის გამო ძნელი ხდება სასოფლო-სამეურნეო პერსპექტივების საორგანიზაციო ვარიანტების შედგენა. ამ პროექტის შედგენის დროს უნდა გამოყენებულ იქნას კოლხიდას სპეციფიური, ბუნებრივი – ისტორიული პირობები. აგრეთვე ნედლეულის ბაზა, რომელიც ეყრდნობა სამხრეთის სუბტროპიკულ კულტურებს. ამასთან ერთად მებოსტნეობა, მესაქონლეობის წვრილი დარგები. მე-

ლორეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა და პროდუქტიანი, სხვილ-რქიანი მესაქონლეობა და საკურორტო მშენებლობა.

საქართველოს წყალთა მეურნეობის მიერ შემუშავებული სადგურის ორგანიზაციის გეგმა მოწონებულ იქნა, ხოლო საჭიროდ დაინახეს, ხაზი გაესვათ იმისთვის, რომ მთელი სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრების რეკონსტრუქცია საბჭოთა კავშირში, მუშაობის ტემპი, როგორც ჰიდრო ტექნიკური, ისე სამეცნიერო კვლევისა, რომელიც მიმართულია კოლხიდის დაბლობის, როგორც მთელ კავშირში ყველაზე უფრო სუბტროპიკულ სარტყელის მასივისა, უნდა გაძლიერებულ იქნას. მოინახოს საჭირო თანხები და საშუალებანი სამრეწველო სუბტროპიკულ ნედლეული ბაზის გასაფართოვებლად და უზარმაზარი მალარიით შეპყრობილი კოლხიდის რაიონის მოსახლეობის გასაჯანსაღებლად.

ამის შემდეგ ორი წელი მიდის.

აქ წელი უწინდელ საუკუნეს უდრის, ეხლა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელია.

არ შეიძლება ითქვას, რომ კოლხიდის პრობლემა მთლიანად იყოს მომწყვეტილი ხუთწლედის ჩარჩოებში, ან და სავსებით გადაწყვეტილი იქნას ამ პერიოდში, მხოლოდ ეს არი, რომ, როგორც თავიდანვე იყო საქმის მეთაურთაგან გათვალისწინებული, ცხოვრება ფაქტიურად წინ უსწრებს კოლხიდის ჭაობების ამოშრობის ტემპებს, და ამჟამად მთელი რიგი ორგანიზაციებისა მოედვენ ჯერ კიდევ ამ აუშრობელ ჭაობებს, რომ გააშენონ კანაფისა და რამის პლანტაცია.

ამის გარდა, თვითონ კოლხიდის რაიონი, ჭაობების გამოკლებით, შეიქნა სუბტროპიკულ კულტურათა ბაზა და აქ გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს.

ამიტომ, ჩვენი წიგნი არ შეეხება მარტო კოლხიდის ჭაობების ამოშრობას და მომავალ სასოფლო-სამეურნეო პერსპექტივის მუსიკას, აქ აგრეთვე აწერილი იქნება ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს საერთოდ, შავი ზღვის სანაპიროებზე ტექნიკურ კულტურათა განვითარებისთვის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში.

ერთი მხრივ აწერილი იქნება ის მუშაობა, რომელიც დღეს სწარმოებს კოლხიდაში, რაც სიმინდის რესპუბლიკას აქცევს უმდიდრესს სუბტროპიკულ ძვირფას მცენარეთა კულტურის ქვეყანად და მეორე მხრივ, ამის გაგრძელება, როცა ამ ზონას მოემატება 200 ათასი გექტარი მიწა, რომელიც სოციალისტურმა შრომამ უნდა წაართვას ურჩ ბუნებას და გახადოს ხალხის კეთილდღეობის საფუძვლად.

აქ ურყევი ფაქტები, მოცემული და გაკეთებული საქმე შეეწონება მომავლის მუსიკას და შესაძლებლობის ფარგლებს, რომ მთლიანად წარმოვიდგინოთ ახალი საბჭოთა კოლხიდა.

III. ნაოსნობა რიონზე

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია წარმოდგენილია ტრანსპორტის გარდაქმნის გარეშე.

ტრანსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა დღეს და დამკვერელ ამოცანად არის გამოცხადებული ტრანსპორტზე ჩამორჩენისა და გარღვევის ლიკვიდაცია. მეტი მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე წყლის ტრანსპორტს. საკავშირო მთავრობამ გამოჰყო კიდევ წყლის გზათა მიმოსვლა, საზღვაო ტრანსპორტი და პორტის მეურნეობა ახალ წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატში.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. სტალინი და საკავშირო სახ. კომისართა საბჭოსი – ამხ. მოლოტოვი ა/წ 5 თებერვალს აქვეყნებენ თავიანთ მონოდებას წყლის ტრანსპორტის შესახებ ყველა პარტიულ, საბჭოთა სამეურნეო, წყლის ტრანსპორტისა, პროფკავშირებისა და კომკავშირის ორგანიზაციების მიმართ.

მონოდებაში ნათქვამია:

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ზრდა მოითხოვს მდინარის ტრანსპორტის, მისი მუშაობის ძირეულ გარდაქმნას, გაშლილი სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპებთან შედარებით.

ამავე დროს, მდინარის ტრანსპორტი აქამდე ვერ გარდაიქმნა და მისი დახასიათება, რომელიც მოცემულია ცეკას ანგარიშებში მე-16-ტე ყრილობაზე, დღემდე რჩება ძალაში. სამეურნეო მდგომარეობა მდინარის ტრანსპორტისა ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებას წყლის ტრანსპორტისადმი.

წლიდან წლობით მეორდება სანარმოვო პროგრამის შეუსრულებლობა, აქამდე ვერ შეუდგენ რეკონსტრუქციას, დიდია ავარიის პროცენტი, არ არის შესრულებული ცეკას დირექტივა ერთმართველობის შესახებ, სუსტად გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება და დამკვერელობა.

უნწევს რა ანგარიშს ყველაფერ ამას საკ. კომ პარტიის ცეკა და საბჭოთა კავშირის კომისართა საბჭო, აუცილებლად სთვლიან ცხოვრებაში გატარებულ იქნას შემდეგი ზომები და ჩვენ ვიცით, რომ პრესაში და ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში ამუშავებენ ამ ზომებს.

ამ მხრივ მეტი მნიშვნელობა ეძლევა რიონის მდინარის ტრანსპორტს და ერთ აქტიურ საკითხად ხდება.

ამასთან ერთად იზრდება რიონ-პორტის როლი კოლხიდის ქაობების დაშრობასთან დაკავშირებით და საერთოდ, სუბტროპიკულ კულტურათა განვითარების ფონზე.

რიონი, ანუ როგორც ცნობილია, ძველი საბერძნეთისა და რომის მწერლობაში ფაზისი – ძველადვე ითვლებოდა სანაოსნო მდინარეთ. ზოგიერთ მწერალთა ცნობით, გემები ქუთაისამდეც მიდიოდნენ.

დავა, სად გადმოვიდენ არგონავტელები: ქუთაისში თუ ფოთში? ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

უდავოა, რომ რიონი ძველად განთქმული იყო თავის ვაჭრობით და საქონლის გადაზიდვა ხდებოდა გემებით.

წარსულ საუკუნის მესამოციანე წლებშიაც იყო ცდა რიონზე გემების მიმოსვლის აღდგენისა. ამის შესახებ შენახულია ბევრი მოგონება, მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ ორ მათგანს, ერთი ეკუთვნის კორ. ბოროზდინს – „Закавказские воспоминания“ („Мингрелия и Сванетия“) და მეორე – სახელგანთქმულ საფრანგეთის რომანისტ ალექსანდრ დიუმას, რომელმაც იმოგზაურა სამოციან წლებში ჩვენ ქვეყანაში.

კ. ბოროზდინი ასე აგვიწერს ორპირში პირველ გემის „აკერმანი“-ს შემოსვლას. ბოროზდინი სტუმრად არის ორპირში პოლკოვნიკ გეგიძესთან, რომელიც ითვლებოდა „სკაპცების“ ბატალიონის უფროსად და რომელსაც ებარა სანაოსნო პუნქტი მარანში.

„ამ ნაირად, მაისში, როცა მე გეგიძესთან ვიყავი სტუმრად 23 რიცხვში, მის ტერასაზე იჯდა რამდენიმე მგზავრი, რომელნიც ფოთში მიიჩქაროდა, საუბარი შეეხებოდა დილისთვის ნავების დაქირავებას.

უცებ შორი ახლო გაისმა ზარბაზანის გასროლა. „ეს რას ნიშნავს? რა უნდა აქ ზარბაზანს?“ – მცირე სიჩუმის შემდეგ ვილაცამ სთქვა: „ეს ალბათ თოფის გასროლის ხმა იყო და თუ ასეთი ძლიერი ხმა იყო, ეს ალბათ იმიტომ, რომ წყალში იყო გასროლილი“.

მაგრამ ზარბაზანის ხმა განმეორდა და ეზოში ატყდა ხმაურობა. გაისმა ხმა – გემი, გემიო!

იმ წამში ჩვენ ნაპირზე გავჩნდით და დავინახეთ პირველი, სრულიად მოულოდნელი გემი, რომელიც აპობდა რიონის ზვირთებს.

აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. გემიდან ერთხელ კიდევ გაისმა სალიუტი და ნაპირიდან ვაშას ძახილი. მალე ნავთსადგურთან აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, გადმოაგდეს ტრაპი და ნაპირზე გამოვიდა კაპიტანი.

კაპიტანი მიიღეს, როგორც ძვირფასი სტუმარი და მალე მან გადმოგვცა შემდეგი დაბეჭდილი განცხადება:

„კავკასიის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისთვის შავი და აზოვის ზღვათა სხვადასხვა ადგილებში რუსეთის სანაოსნო და სა-

ვაჭრო საზოგადოებამ გადაწყვიტა, გახსნას გემების მიმოსვლა რიონზე, ფოთიდან სამტრედიამდე. ამ მიზნით შეუკვეთა ინგლისში გემი, რომელიც უნდა ჩავიბაროთ პირველ იენისს, ახალი სტილით, ახლა კი ნაოსნობის დასაჩქარებლად, რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების მთავარ კანტორის განკარგულებით რიონში მოვიდა გემი „აკერმანი“, რომელიც დაინყებს მოქმედებას ინგლისში შეკვეთილ გემის მოსვლამდე.

ამიტომ, იმ პირთ, ვისაც სურთ მიიღონ სამგზავრო ბილეთები, შეუძლიათ მიმართონ ფოთში და სხვა პუნქტებში გემის კაპიტანს“...

ამ ნაირად გემი „აკერმანი“ მხოლოდ წინამორბედი იყო ნამდვილი რიონის გემისა. საზოგადოებამ მიიჩნია მისი პირველი რეისი სახიფათოდ და ხელმძღვანელობა მიანდო გამოცდილ კაპიტანს ბ. ზაბოლოტნის, რომელიც გამოვიდა ფოთიდან დილის 9 საათზე, გამოიარა სიფრთხილით ყველა ჯილოებით და ხერგებით გადაღობილი ადგილები და ორპირში ჩამოვიდა საღამოს 7 საათზე“.

შემდეგ ბოროზდინი განაგრძობს, რომ „აკერმანის“ მოსვლამ დიდი ფაცა-ფუცი და ალიაქოთი გამოიწვია მიყრუებულ კუთხეში, ყოველ მხრივ აწყდებოდა ხალხი ორპირს, რომ დაენახა გემი. რალაც ახალმა სიომ დაბერაო, ამბობს ავტორი, რომელიც დიდი მოამაგეა ძველი რუსული ბიუროკრატობისა, რალაც ცივილიზაციის სამყაროს ნიშანი ვიგრძენითო, გემის მოსვლა ჩვენ გვაერთებდა ახლად ჩასახულ სა-ვაჭრო გზასთანაო.

კაპიტანი ზაბოლოტნიც თავაზიანი კაცი აღმოჩენილა და არავის უშლიდა თურმე დაეთვალაიერებინა გემი. ცნობის მოყვარე ხალხი კი ბევრი მოაწყდა.

ერთგვარ ინტერესს არც ის არის მოკლებული, რომ ამ კაპიტანთან გემის სანახავად თავისი აუარებელი ამალით ჩამოსულა კნეინა მენიკა დადიანი, მფლობელი თავადი შერვაშიძის გაყრილი მეუღლე, ახირებული და ნახევრად გიჟი დედაკაცი. დაუთვალაიერებია გემი და თავის თარჯიმანის პირით უკითხავს კაპიტანისთვის:

– კითხეთ მაგას, რომელი უფრო ოსტატია, რომელმაც ეს ორთქლის მანქანა გააკეთა თუ ის, რომელიც საათებს აკეთებსო.

კაპიტანმა ვერ მოასწრო თურმე ეპასუხა ამ კითხვაზე, რომ კნეინამ განაცხადა სურვილი, ეყიდა ეს მანქანა და გადაეტანა ქვაშიხორში.

კაპიტანი დაპირდა თურმე სწორედ ასეთი მანქანის გამოწერას.

უეჭველია, დღეს აქაურ გლეხობაში რიონის გემები არ იწვევს ასეთ გაკვირვებას.

აქაური გლეხები უკვე საკმაოდ იცნობენ ზღვის ტრანსპორტს, როგორც ბათომში, ისე ფოთში.

უფრო საინტერესოა ალექსანდრ დიუმას მოგზაურობა ამ ადგილებზე სწორედ იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ბათომის და ფოთის რკინის გზა და არც ორპირის გემები. აქ, გამოჩენილ რომანისტს მართლა იშვიათი ჭკუამახვილობით აქვს აწერილი სამეგრელოს „კოსმიური ტალახი“.

„ვისაც ეს სამეგრელოს ტალახი არ გამოუცდია, მას საერთოდ არაფერი გამოუცდიაო, – იწყებს ა. დიუმა, – ერთი საათი არც კი გასულიყო, რომ დაემგვანა მღელვარე ჭაობს, რომელშიაც ეფლობოდა ჩემი ცხენი, ჯერ ჩლიქების ზევით, მერე მუხლამდის და ბოლოს მკერდამდე ჩაეფლა.“

ამ ჭაობს უერთდებოდა ნიაღვარი, რომელშიაც დაცურავდა ცხენიცა და მარხილიც. რალაც დაუდევრობით ერთი წამი შევჩერდი ერთ ფონზე და საკმაო იყო, ცოტა ხანი დავრჩენილიყავი ამ ადგილას, ცხენი ტალახში დაიყურა.

რამდენი არ დავაპირე ცხენის ტალახიდან ამოყვანა, ვერაფერი გავაწყე, სანამ ზედ ვიჯექი, მალე ჩამოვხტი და მუხლამდი ტალახში ჩავეფალი, მერე ცხენს დავცხე მათრახი, რომ ამოცურებულიყო ამ ტალახის ზღვიდან.

როგორც გვითხრეს, ასეთი მოგზაურობა მარანში ჩვეულებრივი ამბავია“.

შემდეგ აწერილია ცხენის წყალის შესართავი რიონთან, იგივე „სკაპცების“ პოლკოვნიკი გეგიძე და მერე ამ „სკაპცების“ მოგზაურობა ნავებით ფოთამდე.

„გადავწყვიტე დილას, ადრიანათ გავსულიყავით გემით, მაგრამ პოლკოვნიკმა, რომელმაც იცნობდა თავის ხალხის ზნესა და ჩვეულებას, გაგვაფრთხილა, იმედი არ გვქონოდა 8 საათამდე გასვლისა.“

სკაპცები ქალებს იმითაც გვანან, რომ ძალიან ძნელია მათი ლოგინიდან აყენება, თუ ლოგინი დაერქმევა იმ ფიცრებს, რომელზედაც ისინი წვანან“.

დიდი ვაივაგლახით, უსმელ-უჭმელი, ძილ გატეხილი ორი დღე მიდიოდა ამ სკაპცების არგოთი თავისი მხლებლებით ფოთამდე ა. დიუმა.

დიუმას მართლაც სამართლიანად ეეჭვებოდა, რომ ასეთი დავიდარაბა გადაეტანათ არგონავტელებს თავიანთი საგმირო ექსპედიციის დროს.

ორი დღის უსმელი ფრანგი მგზავრები იხვებზე ნადირობით ირჩენდენ თავს. ზარმაცი, ან უილაჯო სკაპცები ზლაზნითა და ზმორებით აგვიანებდენ და გზას ბოლო არ უჩანდა. მაგრამ როგორც იყო, იმათ მიუღწევიათ ფოთამდე და ნავი მიდგომია ნაპირს, ერთი მენავე გადასულა მიწაზე, მოუწევია ბანრით ნავი და მგზავრები ისევ მუხ-

ლამდე ჩაფლულან ტალახში, ეს მოგზაურობა ა. დიუმას მართლაც იშვიათი კომიკური ჟანრით აქვს გადმოცემული. უეჭველია, ბევრიც რომ იყოს აქ ეგზოტიკისთვის ჩამატებული, მაინც გასაგებია, რა საძნელო იქნებოდა ამ გზით მოგზაურობა და რამდენათ ეხლაც, როცა არსებობს კიდევ რკინის გზა, მაინც საჭირო ხდება რიონზე გემების მიმოსვლის აუცილებლობა.

ჩვენ, რასაკვირველია, თავს ვიკავებთ ამოვწეროთ ეს ადგილები, თუმცა ამას ძალიან დამაჯერებელი გავლენა ექნებოდა ჩვენი მოთხრობისათვის. აქ ისტორია პირდაპირ ემთხვევა დღევანდელ სინამდვილეს და კონტრასტით გადმოგვცემს ზოგიერთ ანალოგიებს. ჩვენ თავს ვანებებთ აგრეთვე იმასაც, როგორ მართავდა დიუმა ბანკეტს ბანკეტზე თავისი ნანადირევით, ზოგს შემთხვევაში შეუძლებელია აქ არ იყოს გადამეტება. აგრეთვე იმას, თუ როგორ გაურიგდა მებადურებს თევზის საჭერად პალიასტომში და ორ საათში იმდენი თევზი დააჭერია, რამდენიც მათ თვეობით არ დაუჭერიათ; იმასაც, თუ როგორ იღლიტებოდენ ფოთის სასტუმროს პატრონები, როგორც იაკობია, მომავალი გ. წერეთლის ბახვა ფულავას პირველი პორტრეტი. იაკობის სასტუმროში ზევით იდგენ უცხო სტუმრები, ქვევით კი ღორები ბუნაგობდენ. ჩვენ თავს ვანებებთ მოვიგონოთ აგრეთვე მონობით ვაჭრობის ბაზრების აწერა და გემ „დიდ მთავარ კონსტანტინე“-ზე ყაბარდოელთა აჯანყება, შარიატის მოთხოვნით, კაპიტანის მიერ მათი ცხელი წყლით დამდულრა და დამორჩილება.

უფრო საინტერესოა მოგონება, თუ როგორ გამოცხადდა ა. დიუმას იქ ყოფნის დროს ფოთი ქალაქად.

აქ აწერილია რუსის მოხელის მიერ ფოთის ქალაქად გამოცხადების პროცედურა: „ფოთი 1859 წელს, პირველ იანვრიდან გამოცხადებულია ქალაქად, ორი წლის წინად ნავთსადგურად. ჩვენ ვნახეთ, ეს რა პორტია. ვნახეთ, რა ქალაქი გამოვა ფოთიდან ორი წლის შემდეგ... მაგრამ მე ყველაზე უფრო მაინტერესებდა ის კაცი, რომელიც ასეთი რიხით აცხადებდა ფოთს ქალაქად. სანამ ის მოდიოდა ტალახში და ჩერდებოდა, არა უშავდა რა, ზოგ ადგილზე დაყრილი ქვები და პატარა ფიცრები ნებას აძლევდა, როგორც იყო, დიდი წვალეებით ფეხი მოეკიდებია და ეს კაციც აწევდა იმ ადგილამდე, საიდანაც უნდა წაეკითხა თავისი პროკლამაცია.“

მაგრამ როგორც კი გაჩერდებოდა და კითხვას დაიწყებდა, თან და თან ჩადიოდა ტალახში და ალბათ სულ ჩაინთქებოდა ამ ტალახში, რომ ბარაბანს არ მიყრდნობოდა. მაშინ უახლოვდებოდენ ამ დიდ მოამბეს და ზოგი ხელით, ზოგი ჯოხით და ზოგი ბანრითაც

სცდილობდა მის ტალახიდან ამოყვანას. ცოტა ხნის შემდეგ, ერთი ადგილიდან ამომძვრალი განაგრძობდა გზას და სხვა კვარტალებში კითხულობდა თავის განცხადებას“.

*

მე წინდანინ მომზადებული ვიყავი ასეთი განწყობილებით, როცა ბათომიდან მივდიოდი ფოთში.

ფოთში მე წინადაც ვყოფილვარ – მაგრამ მაშინ უფრო უზრუნველი მგზავრი ვიყავი და ნარკვევების წიგნზე არ ვფიქრობდი.

მაშინ ბევრის არც შემჩნევა შემედლო ალბათ, როგორც უკვირდებოდი ეხლა საკუთარ თავს. ეს არის, რომ ჭალადიდისა და პალიასტომის ბაყაყები მაგონებდენ ლოტრეამონის გომბეშოს მონოლოგს, რომელიც ქართულად ვთარგმნე კიდევ.

მე მგონია, მთელ მსოფლიო პოეზიაში ლოტრეამონის გომბეშოს დიალოგზე უფრო სასონარმკვეთი სტრიქონები არც კი მოიპოვება.

აქ მორალური ქვეყანა ქიმიურად არის დახსნილი.

ყველა ეს ალბინოსები, აკვარიუმის სასწაულები, ჯილეზე მიმპალი, დამხვრალი ძაღლები, ნურბელები, ყველაფერი, რაც ძილის მომგვრელია და ანემიური, რომელიც ბორკავს ნებისყოფას და გადაშენებით ემუქრება სამყაროს...

უჭკველია, დაეთანხმები ლოტრეამონს:

როცა ხედავ ამ უმსგავსობის და უწმინდურობის ბუდეს, საჭიროა რაღაც რეაქცია.

მაგრამ წინათ ამ რეაქციაზე მე არც კი ვფიქრობდი. ეხლა თვით ცხოვრებამ, ჯანსაღმა ადამიანურმა ინსტიქტმა, რომელიც მოყვება წელმაგარ ხალხს, თვითონ მაჩვენა ამ უწმინდურობის საწინააღმდეგო გზა.

უკეთესს ანალოგიას კაპიტალისტურ ქვეყნის დახსნისა, კრიზისისა და გადაგვარებისას ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს, როგორც ლოტრეამონის ნახევრად გიჟური სტრიქონებია, აქ ვერაფერს შველის ამერიკის სტაბილური კაპიტალიზმი, რადგან ისიდორ დუკასი – ლოტრეამონი სწორედ ამერიკიდან მოველინა საფრანგეთს და მისთვის გზა მონტე-კვიდეოდენ პარიზამდე – ერთი განუწყვეტელი რგოლია.

ეს საწინააღმდეგო გზა არის სოციალისტური მეურნეობის რეკონსტრუქცია, რომელსაც ეხლა ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ.

ფოთში ღამე მივედით გემით.

ჩვენ გემს „კრეჩეტს“ დაავგიანდა და ნავთსადგურში ტრანსპორტის ნასახიც არ სჩანდა.

ერთად ერთ „ლინეიკას“ ხელათ გაუკეთა რეკვიზიცია იმ სამხედრო კომისიამ, რომელიც ბათომიდან გამოგვყვა, მე დარწმუნებული ვარ,

რომ ამ კომისიის თავმჯდომარე ალბათ ამ დანჯღრეულ ეტლზეც თავის დელფინის კონსერვებს აქებს, იმდენად არის გატაცებული ამ ახალი წამონწყებით და იმდენათ მოელის ამისგან საქმელის რეგოლიაციას; მთელი გზა გემზე ამაზე ლაპარაკობდა და დაუზოგავათ აქებდა დელფინის კონსერვებს, რომელიც მისთვის მიუციათ სანიმუშოთ – უკეთესს ხელობას, ალბათ, კაცი ვერ მოიგონებდა.

ვარჩევდი გამეგრძელება ეს საუბარი ამ „ლინეიკაზე“ – მაგრამ მე მარტო დავრჩი ამ უდაბურ პორტში და ძე ხორციელი არ ჩანდა, მხოლოდ შემდეგ შევამჩნიე კიდეც სხვა მგზავრები, რომელნიც ელოდენ ტრამვაის.

მე ჯერ არ მახსოვს, რომ ფოთში ჩავსულიყავი და უცაბედი რამ არ შემთხვეოდეს, ყოველ შემთხვევაში წვიმა აუცილებლად უნდა მოსულიყო და ფოთის წვიმა მართლაც რომ დამაფიქრებელია.

იშვიათი კაცი იქნება, გული არ შეულონდეს და რაც არ უნდა იყოს, ურწმუნო, ბიბლიურ წარღვნის განმეორებამ არ შეაშინოს. იძულებული შევიქენით გვეცადა „კონკისათვის“.

ფოთის „კონკა“ კარიკატურაა ინდუსტრიის ქარცეცხლში და რეკონსტრუქციის პერიოდში.

მაგრამ მაინც გულზე მომეშვა, როცა შევხედე გადატყაულ ცხენებს და მომესმა ეფვნების ჟღარუნი.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ უკვე ვიყავით სასტუმრო „კოლხიდა“-ში და ხვალინდელ მაშრუტზე ვმსჯელობდით.

წვიმა გადაუღებლად ასხამდა და ეს ქალაქი თითქოს შეუერთდა შავ ზღვას და მელანქოლიურად ქანაობდა.

მომავონდა, რომ ამ ცამეტი წლის წინათ ჩვენ, პირტიტველა ენტუზიასტები ვმართავდით პოეზიის საღამოებს; და ამ ციებ-ცხელეობაში გატანჯულ ხალხს ვუკითხავდით მალარმეს სონეტებს.

ბევრი რამ მოსანანიებელი უნდა ითქვას ამ ცხოვრებაზე ახლად თვალ გახილულ ადამიანებისაგან, მაგრამ ეს პოემა არ არის მარტო აღსარება დაბნეულ სულის, ეს არის ფიზიკურად მეორედ შობილი ადამიანის ახალ ცხოვრების ხელშეხება:

აქ მონანიებაც ზედმეტია.

დილას წვიმამ გადაიღო და ტფილისიდან გამოტანებულ მისამართებით დავანწყვეთ მარშუტის მოგვარება.

ჩვენი მიზანია ფოთიდან გავყვეთ გემს ორპირამდე.

როცა რიონის ნავთსადგურში მოვედით, გავიგეთ, რომ გემი „შალვა ელიავა“ უკვე გასულიყო.

გემით წავიდა საქართველოს წყლის მეურნეობის ადმინისტრაცია მუშებისათვის ფულის დასარიგებლად, გემი უკანასკნელ პუნქტამდე მივიდოდა, მგზავრები არ წაუყვანია.

მეორე რეისს უნდა ველოდეთ ორი დღის შემდეგ, როცა გემი დაბრუნდება.

მეორე გემი „ეგნატე ნინოშვილი“ დაზიანებულია და რიონში არ გადის.

პორტის უფროსი, ამხ. კრილოვი ძალიან ცდილობს როგორმე დაგვეხმაროს, ის ჯერ აქ ახალი კაცია, როსტოვიდან გადმოუყვანიათ, ტიპიური ყუბანელია.

შემდეგ გავიგე, რომ ის აქ გადმოუყვანიათ დაქვეითებით, მას ჰქონია ერთი ცუდი ზნე, რომელიც ძალიან ვნებდა.

ერთ თვეს შეეძლო ფხიზელი ყოფილიყო, მაგრამ ერთი დათრობით სულ გაანადგურებდა თავის მთელი თვის სიფხიზლეს – ეს ალბათ ამ ადამიანის სენი იყო, სიმთვრალის დროს პაროქსიზმამდე დადიოდა, ეხლა კიდეც გადაუყვანიათ აქედან დაბალ სამუშაოზე. საერთოდ, ალკოგოლი, როგორც გვითხრეს, სენია აქაურ ტრანსპორტზე მომუშავეებისათვის, ფოთის ბუნება თითქოს ხელს უწყობს ამ სენის გავრცელებას, მაგრამ პროფორგანიზაციები გააფთრებით ებრძვიან ამ სენს და სცდილობენ მის აღმოფხვრას და საგრძნობლადაც შეუმცირებიათ კიდეც.

მეორე ჩვენი მისამართია – ექვთიმე გაგუა – ძველი წყლის ტრანსპორტის მუშა, ეხლა დანინაურებული, რომელიც სულია და გული ამ სამუშაოსი და რომელმაც ყოველი წვრილმანი ისე იცის, თითქოს ამ რიონში დაბადებულიყოს. როცა ამხ. ექვთიმემ გაიგო, რომ ჩვენ ძალიან გვინტერესებდა გზა ფოთიდან ორპირამდე და აგრეთვე კოლხიდის ჭაობების ამოშრობისათვის გაყვანილი არხების მდგომარეობა, ყოველი ღონე იხმარა, გზა გაეხსნა ჩვენთვის და არ დავეყოვნებით – მაგრამ ორპირამდე ჩასვლა შეუძლებელი შეიქნა, ეს მისი სიტყვით, არც იყო ისე საინტერესო, ჩვენ გავიარათ ნახევარ გზას და მთავარ სამუშაოებს დავათვალიერებთო.

წყალთა მეურნეობას, გემების გარდა, აქ ყავს კატერები. ერთი იმათგანი „რუძუტაკი“ დაგვითმო ექვთიმემ და თანაც თვითონ გამოგვყვა ადგილების დასათვალიერებლად. ეს კატერი ამხ. რუძუტაკს გამოუგზავნია წყალთა მეურნეობისათვის, შარშან თვითონ დაუთვალიერებია ეს ადგილები. ექვთიმე ამბობს, მუხლებამდე ტალახში იდგა რუძუტაკი და გვაკვირვებდა საქმის ცოდნით და სიყვარულითო, აქაურ მუშებზე დიდი გავლენა მოუხდენია ამხ. რუძუტაკის მგზავრობას. საკავშირო მთავრობამ თავის თვალთ ნახა, როგორ სჭირია

ჩვენ ქვეყანას ჭაობების ამოშრობა, რა დიდებული მომავალი ექნება ამ მხარეს – თუ საჭირო თანხები მოინახა და მუშაობას სისტემატიური ხასიათი მიეცა. კატერ „რუძუტაკს“ გამოჰყვა ახალგაზრდა მეზღვაური მიხა დავითჩენკო. ექვთიმე ამბობს: მშვენიერი მეზღვაურია და კარგი ბიჭიაო. ამას წინათ თურმე ძალიან ისახელა თავი გემი „პესტელის“ ავარიის დროს. აუარებელი ხალხი გადაურჩენია, ბევრი საჩუქარი მიუციათ და ჯილდოებიც.

მშვენიერად ლაპარაკობდა ქართულს. ეტყობა, ფოთშია დაბადებული. ისედაც მკვირცხლი და მარჯვე ახალგაზრდაა, მაგრამ ექვთიმეს ქებამ და ჩვენმა გამოკითხვამ და ცნობის მოყვარეობის გამოჩენამ, კიდევ მეტი სიყოჩაღე მისცა და მართლაც, უამისოდ ჩვენ ვერ მოვანყობდით ამ მგზავრობას. ამხ. კრილოვმა ჩამოგვიტანა კოლხიდის დაბლობისა და მდინარე რიონის ქარტა და ჩვენი თავი ექვთიმეს ჩააბარა.

რიონი შავი ზღვის შესართავთან თითქოს ზღვის უბეა – თვალი ვერ გადანვდება.

გვინდოდა, ზღვიდან შემოვსულიყავით რიონში – მაგრამ როგორც დავითჩენკომ სთქვა და სხვა მეზღვაურებმაც დაუმონმეს, ნუხელის აქ ყოფილა ზღვის ფურთუნი (ჰმინხ), რაც ძალიან სახიფათოა მგზავრობისათვის.

გაუდექით ისევ ზევით გზას ჭალადიდისაკენ.

გზა და გზა გვხვდებოდენ აუარებელი უზარმაზარი ნავეები, ზოგი შეშით იყო დატვირთული, ზოგი კიდევ ბრუნდებოდენ შეშის გამოსატანად. შეშით დატვირთული ნავეები არც კი მოსჩანდენ – თითქო შეშა თავისით მოსცურავდა მდინარეზე. ექვთიმე გაგუა გვიხსნის, რომ ეს შეშა მოდის ჭალადიდიდან, რომ ეს ნავეები არა, მისი გამოტანა არც კი შეიძლებოდა, რომ აქ უდიდესი მარაგია შეშის და ჩვენი რესპუბლიკა მთელი წლეობით ვერ გამოზიდავს ამ მარაგს.

მართლაც, როგორც შენიშნავს აგრონომი ნ. კანდაუროვი – თითქმის მთელი კოლხიდა, მხოლოდ ძვირფასს კულტურის მცენარეთა მცირე სივრცის გამოკლებით, ერთი მთლიანი ტყეა – დაახლოვებით 60% უჭირავს ჭაობიან ტყეებს, თბილი და სველი ჰავა, ნიადაგის ზედმეტი სინედლე ხელს უწყობს ხის მცენარეთა ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა დაუნდობლად ეკიდება ტყეს, უკანასკნელი მაინც პირდაპირ ზღაპრულად იზრდება და ხელმეორედ იპყრობს გაჩეხილ სივრცეს.

საკმარისია 2-3 წელი დაასვენო გაჩეხილი მიწის ნაჭერი, რომ ველურად ამოვარდება ენერი. უმთავრესად აქ იცის თხმელის ჯიში, რო-

მელიც ეხლა თითქმის ავსებს კოლხიდის ტყეებს, დანარჩენ ჯიშიდან – რცხილა, კოპიტი, მხოლოდ მეჩხრათ იზრდება მუხა.

პროფ. ფლეროვი ჩერდება რა კოლხიდის თანამედროვე მცენარეულობაზე და აღნიშნავს რა მის შემადგენლობაში ბზას, ლელვს, დაფნას, თუთის ხეს, ბრონეულს, კოლხიდის ფშატს და სხ., მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჩამოთვლილი ჯიშები ამტკიცებენ კოლხიდაში მთელ რიგ სამხრეთის სუბტროპიკულ კულტურათა შესაძლებლობას. სპეციალისტების აზრი ჯერ კიდევ არ არის დიდხნის გამოცდილებით დამტკიცებული, მაგრამ საერთოდ უნდა მიღებულ იქნას პროფ. სელიანინოვის დასკვნა: რომ ბუნება ძალიან სასტიკი შერჩევას აწარმოებს და ადამიანისთვის ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ერთხელ საუკუნეში რომელიმე მცენარის დაღუპვა სამუდამოთ შლის მას ადგილობრივ ფლორის სიებიდან, მაშინ როცა ნამდვილად 20 წელშიც დაღუპვა რომელიმე მცენარისა არ რიცხავს მის კულტურის შესაძლებლობას.

ჩვენი კატერი გულდაგულ მიარღვევს რიონის ტალღებს.

ამ ადგილას რიონს დაუკარგავს თავისი სიჩქარე და მდორეა, როგორც ტბა.

ნაპირზე აუარებელი საქონელი – მეჯოგეებს გაუშლიათ ფარები.

ეს ადგილი ცენტრი იქნება მესაქონლეობის, ხშირად სჩანს კამეჩიც, რომელიც საერთოდ იმერეთში იშვიათად იცის.

აქ ჯერ კიდევ არ იციან კარაქის კულტურა, ნიგვზის ზეთი თითქო სწევს მის მაგიერობას – სამაგიეროთ, აქაური მეგრული სულგუნი მთელ საქართველოშია ცნობილი. ექვთიმე გვიყვება ერთ ასეთ საბჭოთა მამულის შესახებ, კარგი იქნებოდა, დაგვეთვალიერებია, მაგრამ ამის დრო აღარ არის.

ჩვენი ყურადღება ექვთიმემ მიაქცია ერთ ახალ სოფელს, რომელიც ეხლახან შენდება. აქ ჩამოსულან ყუბანიდან ყაზახები – უმთავრესად მისდევენ მესაქონლეობას. თურმე გარშემო არც კი იციან გლეხებმა, როდის გაჩნდა აქ ახალი კოლონია – ამ ადგილას ხალხი ვერ წვდება – ეს მხოლოდ მეჯოგეების სამეფოა.

ექვთიმე გვიჩვენებს გაუჩეხავ ტყეს. ამ ტყეში ხის მოჭრა არ შეიძლება, ეს ქალაქის ტყეა – ქარისაგან იფარავს ფოთსო.

ნამდაუნუმ ჩაიქროლებს უზარმაზარი ნავი და ისმის სხაპა-სხუპით მოწყვეტილი მეგრული დიალექტი.

ექვთიმეც ეხმაურება მენავებს, ის ალბათ ყველას იცნობს და მენავებიც დიდი მორიდებით აძლევენ პასუხს.

აქ შეშას ამზადებს გლეხკომი – თითო ნავი ათ საყენ შეშას იტევს.

რიონის ორივე ნაპირზე ითესება სიმიდის ყანები – მაგრამ ეტყობა, მდინარის ახლოს, რადგან უფრო შორს დიდი ქაობებია.

უეცრად ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ხაბოზე მობმულმა პატარა ნაგმა, რომელზედაც ეწერა „Отчаянная Соня из Синдиката“.

მართლაც, სად არ მიაღწევს მცოცავი ობივატელური უგემურობა. ფოთიდან ორპირამდე 106 კილომეტრია. გემი ერთ დღეს ჩადის. „რუტუტაკის“ ჩქარი სვლა აქვს, მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ არ წავსულიყავით ორპირამდე, გვენახა მხოლოდ არხები ქალადიდის ზევით.

შორი ახლო მოყვინთავენ იხვები.

უფრო შორს დაბაჯბაჯებენ ყანჩები.

და ბაყაყებისა ხრიალი მეორეთ მოსვლის მუსიკას ემსგავსებოდა. მიუახლოვდით ამ არხებს.

იქ დაგვხვდა კაპიტანი პანამაროვი, რომელიც ამ სადგურის უფროსია და მებაქანე ანდრო ფალავა, წყლის მზომელი.

ექვთიმე მიესალმა დამხდურებს, რომელთაც მიემატათ ძველი მეზღვაური ვიქტორ მაგილესი და დავინყეთ არხის დათვალიერება. ამ სამუშაოს უფროსი ინჟინერი მ. კუზნეცოვია, მხოლოდ ამ უამად აქ არ არის. მაგრამ მისი სისტემა დაყვანილია ყველა სამუშაოს მონაწილემდე და აქ ისინი გვინერენ მის მუშაობას.

ამ ადგილას ხდება ქაობის დასაშრობი კოლმატაციის ცდა. კუზნეცოვი ითვლება კოლმატაციის სისტემის მომხრეთ და მისი სიტყვით, მას ამისთვის მთელი რიგი საფუძვლიანი მოსაზრება აქვს.

ნიადაგის ზევით აწევა საჭიროა, რომ მივიღოთ ისეთი ნიადაგი, რომელიც გამოდგება სუბტროპიკულ კულტურისათვის, ზოგი სპეციალისტების გამოანგარიშებით რიონისაგან დატოვებული შლამი უკეთესია ნილოსის შლამზე. უკვე სამ წელზე მეტია აქ სწარმოებს მუშაობა და საგრძნობი შედეგებიც სჩანს.

უკვე ამომშრალია 3 ათასამდე გექტარი – ეს არის პირველი ცდა და ამ ცდაზე ბევრია დამყარებული. ეს, ისე ვთქვათ, პირველი ფრონტია, აქ გამარჯვებას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. საერთოდ, კუზნეცოვს შედგენილი აქვს ქალადიდის აგარაკის ამოშრობის პროექტი – 18 ათასს გექტარისა.

ამ პროექტმა გაიარა საკავშირო წყალთა ყველა ინსტანციებში და დამტკიცებულია სამუშაო გეგმა.

უკანასაკნელი ექსპერტიზა ინჟ. კუზნეცოვის კოლხიდის ქაობის ამოშრობის პროექტს მისცა იტალიელმა ინჟინერმა, ომედეომ, რომელიც ითვლება საერთაშორისო ავტორიტეტით მელიორაციის საკითხებში. თა-

ვის დროზე საბჭოთა პრესამ ომედუოსაგან ინჟ. კუზნეცოვის პროექტის მონონება აღიარა საბჭოთა მეცნიერულ აზრის დიდ გამარჯვებათ.

მაგრამ კოლხიდის პრობლემა ისეთი მასშტაბით არის განზრახული, რომ ჯერ კიდევ ბევრი სახსარი, ბევრი კვლევა ძიება და მუშაობაა საჭირო, რომ კოლხიდის ქაობის დაშრობა ჩადგეს მკვიდრ კალაპოტში და საბოლოოთ გადაწყდეს.

რიონზეც გემების მიმოსვლა დაკავშირებულია კოლხიდის ქაობის ამოშრობასთან.

რამდენადაც ინტენსიური იქნება სასოფლო მეურნეობა, იმდენათ რიონ-პორტს მიეცემა მეტი აზრი და გამართლება.

როცა უკან ვბრუნდებით, ჩვენ სხვანაირათ დავათვალიერეთ ფოთი – განსაკუთრებით მისი ნავთსადგური, რომელიც საუკეთესოდ ითვლება მთელ შავ ზღვაზე.

ფოთი მზად არის გარდაქმნილ კოლხიდისათვის. შეიძლება ცოტა ხანში – რიონის გემების „პრისტანიც“ ისევე მონუმენტალური იყოს, როგორც ფოთის ნავთსადგურია, ჩვენ ამ ტემპებს მივეჩვიეთ. ამაზე ფიქრით ჩვენ უკვე ავტომობილით მივედით პალიასტომის სათავესთან, სადაც უფრო მოსახერხებელი იყო წყალთა მეურნეობის სამმართველოს ქაობის დასაშრობათ წარმოებული მუშაობის დათვალიერება.

აქ უკვე გამოუცდელი კაციც მიხვდება, როგორი ტემპით სწარმოებს მუშაობა, დავყურებდი ფოთის გარშემო მოვლებულ ზვინებს და ქალაქი მეორე სახეს იღებდა.

ეს არ იყო ალ. დიუმასაგან აღწერილი სასაცილო დაბა, რომელიც ქალაქად გამოაცხადეს, ფოთი ემზადება ამომშრალ კოლხიდის სატახტო ქალაქად იქცეს, როცა ვათვალიერებდით ფოთის შესანიშნავ კანდელს – სწორედ ეს აზრი დაგვტრიალებდა.

ეხლა ხსენება არ იყო დიუმას აწერილ „სკაპცებისა“ – ამ გადაშენებულ სოფელს მხოლოდ ქოსნატი ჰქვია – ალბათ ქოსა ხალხმა შეარქვა „სკაპცებს“ და მათ ნასოფლარს კიდევ ქოსნატი.

1 მაისის მოედანზე, სადაც ჩვენ გავიარეთ და აქაურებმა გვიამბეს, თუ როგორი ჯირითობა და ბურთის თამაში იყო წინათ აქ განთქმული, ეხლა კომკავშირელები თამაშობდენ ფუტბოლს და თავდაცვა ავიოქიმის რაზმები ვარჯიშობენ. ეს არის ის ხალხი, რომელიც დაეპატრონება ამ ამომშრალ ქაობებზე აყვავებულ ქვეყანას.

არ იყო შემთხვევითი, რომ სწორედ კამკავშირმა აიღო შეფობა კოლხიდის ქაობის ამოშრობაზე და გადაუდებელ ამოცანად გამოაცხადა საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღების მობილიზაცია კოლხიდის პრობლემის გარშემო. და აქ უნებლიეთ გამახსენდა ერთი შემთხვევა.

როცა ორი წლის წინათ საბჭოთა მწერლების ფედერაციამ მოიარა მეზობელი რესპუბლიკები ინტერნაციონალური კავშირის გაბმისათვის, ჩვენ ჩავედით ბაქოში – იქ გვიჩვენეს ახალი ნავთის ბუდობები, რომელიც მუშებს წაურთმევიათ კასპიის ზღვისათვის, ზღვა ამოუშრიათ, რომ მის ძირიდან ამოიღონ ნავთი.

ამ ადგილს ჰქვია „ილიჩის ბუხტა“. ამას წინათ ბაქოს პროლეტარიატმა იდღესასწაულა თავისი გმირული გამარჯვება 5-წლიანი გეგმის 2 ნახევარ წელში შესრულება. „ილიჩის ბუხტა“ საგრძნობლად მოემატა გეგმის ასრულებას.

აქაც მუშათა კლასი ებრძვის პალიასტომის და ჭალადიდის ტბას და უთვალავ ჭაობებს, ნაართვას და მოტაცოს მინა ძვირფასს ტეხნიკურ კულტურის განვითარებისათვის.

აქაც გამარჯვება აუცილებელია – აქაც სტიქია დაძლეული იქნება, რადგან ფოლადის სიმტკიცე აქვს იმ კლასს, რომელიც იბრძვის ახალ ყოფის დადგენისათვის.

ამ მაჯის ცემას უფრო გრძნობს ადამიანი, რომელიც პირისპირ ხედავს ადამიანისა და ბუნების შებმას.

– კარგი საქმეა, კარგი, ამხანაგებო, – გვეუბნება ჩვენი ექვთიმე გაგუა, – ეს მართლა ზღვის კაცი, ლარიბი ხალხია ჩვენი ხალხი, შრომა არ ეზარება, მაგრამ გაჭირვებიდან ვერ ამოდის. ეხლა კი კარგი პირი უჩანს საქმეს. დასწერეთ, ძამია, სთქვით რამე, სხვა ხალხმაც გაიგოს, რა კეთდება ჩვენს კუთხეში.

დანერა ადვილი საქმეა, ჩემო ძვირფასო ამხანაგო ექვთიმე, ძნელია თქვენი საქმე, რომ წყალში და ჭაობში დგეხართ და გააფთრებით ებრძვით ბუნებას ახალ მომავალისათვის – ძნელი საქმეა, მაგრამ სიძნელის დაძლევით იკაფავს გზას გამარჯვებული მუშათა კლასი...

IV. ზღვის კურორტი: ანაკლია

სუბტროპიკული კულტურის განვითარების გეგმა დასავლეთ საქართველოში სხვათა შორის მიზნათ ისახავს შავი ზღვის სანაპიროების ერთ მთლიან კურორტად გარდაქმნას.

ვინც ამ გეგმას გაეცნობა და დაათვალიერებს, რაც ხდება ეხლა შავი ზღვის სანაპიროზე, ის გაიგებს ხუთწლიან გეგმის გრანდიოზულ ბუნებას.

რამდენიმე წლის წინათ ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა, ეხლა საკმაოა ელაპარაკო რომელიმე ენტუზიასტს, რომელ სამეურნეო ფრონ-

ტვც გინდათ, რომ კონკრეტულად შეიგნო და განიმჭვალო აღმშენებლობის პათოსით და წინ გადაგეშალოს ენტუზიასტების ანთებული გზა.

კოლხიდის აგრო-ინდუსტრიალური სუბტროპიკულ კომბინატის დაარსების იდეამ პირველად გადაშალა ჯერ უცნობი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერსპექტივა.

ჩაი და რამი – არის უმთავრესად კოლხიდის აგროკომბინატის საფუძველი, მაგრამ ყოველი დღე, თანდათან, აფართოებს ძვირფას მცენარეთა კულტურის ბაზას.

პირდაპირ გეცოდება საკუთარი თავი, როცა ელაპარაკები შავი ზღვის სანაპიროებზე მომუშავე აქტივისტებს.

თითქო ვიღაცამ მართლა ორმოდან ამოგვიყვანა და ახალ ცხოვრებაზე გაგხილა თვალი.

ყველა ჩვენგანი, უთუოდ, კითხულობს გაზეთებში და უსმენს მოხსენებებს ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის შესახებ, მაგრამ პოეტის ფანტაზია უძლურია წარმოიდგინოს ის, რაც ხდება ეხლა სამეურნეო ფრონტზე.

საჭიროა საკუთარი თვალთ ნახო, ებასო და გამოკითხო ამ ახალ ადამიანებს, რომელთა არსებობაც ბევრმა თბილისელმა არც კი იცის, რომ იგრძნო უდიდესი დანაშაული ჩამორჩენისა და თავის კანში ჩაკეტივისა, რომ იგრძნო, როგორ მონყვეტილი ხარ ამ სოციალისტურ აღმშენებლობას, რომელიც ძირიან-ფესვიანათ სცვლის ცხოვრებას, ანადგურებს ძველ ყოფას და ჟრუანტელის მომგვრელ ტემპით ჰქმნის მომავლის სახეს.

აქ რომელიმე აგრონომი, რომელსაც სულ 1925 წელს გაუთავებია თბილისის უნივერსიტეტი, თავის მიწასთან ახლოს ყოფნით მთელი თავით მალლა სდგას, ვიდრე მწერალი, რომელსაც პრეტენზია აქვს ამ ცხოვრების ასახვისა და რომლის ანალიზი ყოველთვის ყალბი იქნება, თუ საკუთარი თვალთ არ ნახა ამ ფრონტზე გაჩაღებული მუშაობა.

მზე ხარბათ ედება სახეს და ცხუნვარეთ სწვავს.

მაგრამ არა ნაკლები ცეცხლია ჩაქვის მამულის წარმოების დირექტორის ამხ. დ. ცქიტიშვილის თვალეშში, როცა ის გვათვალთვლებს და გვიხსნის ჩაქვის მამულში ჩაის საქმეს.

ასე მგონია, ყოველი ჩაის ბუჩქი ამ კაცის ტანში იშლება და მის ძარღვებს ეზრდება.

ერთი თვე მე ყოველ დღე ვნახულობდი ასეთ ახალ ადამიანებს.

კოლხიდის დაბლობის ამოშრობა შავი ზღვის სანაპიროებს აქცევს ერთ მთლიან კურორტათ.

როგორც ირკვევა სტატისტიკურ მასალებიდან, რომელთა დაგროვება ეხლა იწყება კოლხიდის პრობლემასთან დაკავშირებით, 1925 წელს მალარიით ავად ყოფილა 340.000 კაცი, უმთავრესათ დასავლეთ საქართველოში, მხოლოდ მუშა-ხელის გაცდენა ამ ავადმყოფობიდან ერთ წელში გამოიხატება 5-მილიონ მანეთის ღირებულებაში. ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი სოფლები ჩვენი თვალის წინ გადაშენდნენ და გაჰქრნენ, როგორც ორპირი, დაფნარი, ციცი და სხვა.

ეს საშინელი სენი, თუ ისე განვითარდა, როგორი ტემპიც მას აქამდე ჰქონდა, გადაშენებით ემუქრება ნახევარ იმერეთს, ამიტომ არის, რომ კოლხიდის დაბლობის ამოშრობა პირველ რიგში დგას ჩვენი ქვეყნის სამეურნეო რეკონსტრუქციის დროს და უკვე საგრძნობელი შეიქნა გარდატეხა ამ ფრონტზე.

ამ მხრივ, სრულიად ახალი პერსპექტივა იშლება სუბტროპიკული კულტურის განვითარებით.

მარტო ბათომიდან სოხუმამდე ორას კილომეტრზე მეტი სანაპიროს გადაქცევა შეიძლება კურორტათ და ადვილი წარმოსადგენია, რა მნიშვნელობა ექნება ამას ჩვენი ქვეყნისათვის.

ამიტომ მე მინდა აქ, ანაკლიის მაგალითზე ვაჩვენო, როგორი იქნება მომავლის მუსიკა, როცა ხუთწლიანი გეგმა შეასრულებს მთავარ სამუშაოს.

ანაკლია მხოლოდ ერთი რგოლია ამ ფრონტზე.

ამ დღისთვის ზუგდიდის მაზრის პარტკომის მდივანი, ამხ. ისაკი ჟვანია აპირობდა ანაკლიაში წასვლას.

ჩვენ სიხარულით მივიღეთ მისი წინადადება წავსულიყავით მასთან ერთად, მართლაც, უკეთესად ვის შეეძლო ეჩვენებინა ეს მხარე. ზუგდიდიდან ანაკლიამდე 30 კილომეტრი იქნება.

იშვიათი ლამაზი გზაა. საერთოდ, სამეგრელოს ეტყობა, რომ გზის კეთებას დიდი ყურადღებით ექცევიან.

მახსოვს, როცა დავსწრებივარ საქართველოს საბჭოების ყრილობას, პროვინციიდან ჩამოსული დელეგატები ერთხმად ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ: გზა უნდა შევაკეთოთ, გზა უნდა გავიყვანოთ, ხიდები და გზები – ერთბაშათ შეთქმულებივით გაიძახოდნენ ყველა კუთხის წარმომადგენლები.

გზა ზუგდიდიდან ანაკლიამდე მაინც იშვიათი სილამაზისაა, ასეთი გზატკეცილი მე არ მინახავს ბათომიდან სოჭამდე.

გზას ორივე მხრივ არტყია ალვის ხეების განუწყვეტელი ხეივანი. ხეივანიც ისე სიმეტრიულად არის დარგული, რომ ერთ თვალუწვდენ პარკის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ორივე მხარეს შემჭიდროებული მოსახლეობაა.

კონინდარით ამწვანებული მობიბინე ეზოები.

ყველგან მაღალი ოდები ზოგან ყავრითა და ზოგან კრამიტით დახურული.

შუა სამეგრელოში პირველად ვარ და მრცხვენია ყველაფრის გამოკითხვა, მაგრამ მაინც დავსძლიე უხერხულობა, მით უმეტეს, რომ ჩვენი თანამგზავრი იშვიათი თავაზიანი კაცია.

– ამხ. ისაკ, ეს მეგრული ნაქები ისლით დახურული ფაცხები სადღა არიან, აქ სულ ოდები ჰქონიათ ნამოჭიმული.

– ფაცხებში ეხლა მხოლოდ მეჯოგეები ცხოვრობენ მთებში, აქ კი უმთავრესად ასეთი სახლები აქვთ; ეს რაიონი მაინც ერთ-ერთ მდიდარ რაიონათ ითვლება. ბევრი სიმიდი მოდის და თხილსაც ბევრს ყიდიან.

მართლაც, ეზოებში ყველგან თხილის ხეების ტყეებია. თხილიც საუკეთესოა, ეგრ. ნოდებული „ქალის თითები“.

– ანაკლიას ეხლა ჩვენ ზღვის კურორტად ვაკეთებთ. მივალთ და ნახავთ, როგორ ზედ გამოჭრილია საბავშო კურორტისათვის.

აღბათ გემახსოვრებათ, ერთმა ამერიკელმა, გვარად, მგონი, გიბსონმა, საბჭოთა კავშირს შესწირა რამდენიმე ათასი დოლარი საბავშო კურორტის მოსაწყობათ.

ჩვენ შევეუთვალეთ მოსკოვში, დაათვალიერონ ანაკლია, იმედი გვაქვს, რომ თუ კომისია ჩამოვიდა, უთუოდ მოიწონებს ამ ადგილს.

ანაპის გარდა, მთელ შავ ზღვაზე არ არის ასეთი პლიაჟი, უპირატესობაც აქვს. ანაპაში ერთი მწვანე ხე არ მოიძებნება, აქ კი შეიძლება ულამაზესი პარკის გაშენება.

მართლაც, მთელ სამეგრელოში პალმებისა და მაგნოლიების ტყეებია.

ყოფილი სამეგრელოს მთავრის დადიანის პარკი ზუგდიდში მთელ საბჭოთა კავშირში საუკეთესო პარკათ ჩაითვლება.

ეს პარკი ყირიმის ომის შემდეგ არის გაშენებული, ჯერ ასი წლის არც კი არის და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ გაუჩეხიათ თათრებსა და არც ადგილობრივ მკვიდრთ დაუკლიათ ხელი, მაინც იშვიათ სანახაობას წარმოადგენს.

თუმცა, რასაკვირველია, ატყვია იმ პერიოდის გავლენა, როცა უძველესი ჭანდრისა და მაგნოლიის ხეები და პალმები გლეხებს შეშისთვის გაუჭრიათ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სუბტროპიკული ბაღი ზუგდიდში სილამაზითა და სიმდიდრით, როგორც იტყვიან, ერთ სახელმწიფოთ ღირს.

მაგრამ ჩვენ ანაკლიისაკენ მივდივართ.

ანაკლიის გზა ანერილი აქვს ლეო ქიაჩელს თავის ნოველაში „თავადის ქალი მიაა“.

ეს ნოველა, გარდა მხატვრულ ღირებულებისა, იშვიათ ეტნოგრაფიულ მასალასაც შეიცავს და ბევრი დამახასიათებელი მომენტია გამოყენებული.

მაგონდება ქიაჩელის მოთხრობები, სადაც მთავარ გმირებათ გამოყვანილია: ენგური, ტეხურა და გაუტეხავი ტყე.

ანაკლიისკენ ერეტის გზით მიდის, თავადის ქალის, მიაას ურემი.

ზღვაზე საბანაოთ ერქარება, მას იქ პაემანი აქვს დანიშნული, მე თითქო ვხედავ ახალ ცხოვრებით აცახცახებულ მეურმე ბოლშევიკ ამბაკოს და მეოცნებე დაფინოს ზღვის ფერ თვალებს.

და აი, გამოჩნდა კიდეც ანაკლია:

„შავი ზღვის ნელი სუნთქვა ზაფხულის მინურულში. სამეგრელოს ნაპირების ლურჯი ქარგები და შორეული ჰორიზონტების მიზნედილი სიმშვიდე. სალამოს მოახლოვება – ლურჯი ქვიშა და ლურჯი ზღვა. ლურჯივე ცა და ამავე ფერის ტყეები. შორს კიდეც ზმორებით გადმომცქირალი ნისლიანი ლანდები და მათ შორის დაკარგული ლურჯი ზღაპრის მოზმანება. ზღვის ნაპირას ნააბანოებ მოაგარაკეთა ერთი ჯგუფის მინურული დღის სითალხეში გახვეული მდუმარება. ორიოდ ბალლი ქვიშაზე და მოშორებით ფინია, რომელიც სადღაც შორს ღრუბელის უცნაურ სახეს უყეფს“...

ეს ამონაწერი ადგილი „მიაადან“ იმასა ნიშნავს, რომ ანაკლია წინათაც ყოფილა ზღვის პრიმიტიული კურორტი და საბანაოთ აუარებელ ხალხს იზიდავდა მახლობელ კუთხეებიდან.

ასე რომ, ანაკლიას კურორტად გარდაქმნა უცებ არ მოსვლიათ თავში ხელისუფლების მესვეურთ.

საერთოდ ანაკლიას, ისე როგორც სხვა, ეხლა მიყრუებულ ადგილებს შავი ზღვის სანაპიროებზე, უდიდესი წარსული და ისტორია აქვს.

ამის შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი, ანაკლია წინათ იყო ბერძნების ახალშენი „ჰერეკლეა“. ანაკლია საშუალო საუკუნეებში ცნობილი იყო, როგორც მონებით ვაჭრობის პუნქტი.

ეს ბარბაროსული ჩვეულება მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე შეირჩინა სამეგრელოს ფეოდალიზმმა.

მთელი ლეგიონები იყო წარსულში კაიროში, ალექსანდრიაში და სხვა მახლობელ აზიის ცენტრებში გაყიდულ მონებისა, რომელთაც მამელუკები ერქვათ.

ბედის ირონიით, ზოგი მათგანი სახელგანთქმულ ნაპოლეონსაც ებრძოდნენ ეგვიპტეს დაპყრობის დროს.

ერთი ასეთი მამელუკის საოცარი თავგადასავალი ნაამბობი აქვს უიარაღოს თავის ყოველმხრივ შესანიშნავ მოთხრობაში „მამელუკი“.

ეს მოთხრობა ჯერ კიდევ არ არის ისე დაფასებული, როგორც ერგება ამ პატარა შედეგს. საჭიროა ეს წიგნი ცალკე გამოვიდეს, რომ დღევანდელმა ახალმა მკითხველმა იგრძნოს ფეოდალიზმის უკუღმართი ისტორია.

ამ მხრივ ეს მოთხრობა შეიძლება შეუდარებელიც იყოს ახალ ქართულ მწერლობაში.

ფრანგი მოგზაური კავალერი შარდენი, რომელსაც სპარსეთში უმოგზაურია სამეგრელოდან, სადაც დიდი გაჭირვება გამოუვლია, იგონებს ასეთ ამბავს:

როცა თურმე ერთმა თავადმა გადაწყვიტა ცოლი შეერთო, დაიწყო ქორწილისათვის მზადება.

უეჭველია, ქორწილი ჩინებული უნდა გადაეხადა და ამისათვის, მიუხედავად ნატურალურ მეურნეობისა, მაინც ფულები დასჭირებია, ამ დროს თურმე ანაკლიას პორტს მოადგა უცხოელი ხომალდი და თავადი რის თავადი იყო, თუ ხომალდის მოსვლას არ გამოიყენებდა და გადაუწყვეტია თავისი ყმების გაყიდვა.

მაგრამ გლეხებსაც კარგათ ცოდნიათ თავიანთი საზიზღარი პატრონის ბინძური ჩვეულება და ცოლშვილიანათ, დედანულიანათ მთებში გახიზნულან.

ფეოდალის გულის წყრომას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მთებში გასულ ხალხს რას დააკლებდა.

მაშინ თურმე თავადმა გადაწყვიტა ასეთი ოინის გაკეთება.

მოიმიზეზა ახლად გარდაცვალებული მამის სულის ხსენება და გადაწყვიტა წირვის გამართვა.

დაუძახა თორმეტამდე მღვდელს, მაგრამ წირვა ჯერ შუამდე არ მისულიყო, რომ სტაცეს ხელი, სათითაოდ გაპარსეს და გაყიდეს „წმინდა“ მამები ოსმალეთში მონებათ.

ადვილი წარმოსადგენია, თუ სამღვდელოებას ასე ექცეოდა, რა ხელს დააყრიდა თავის ყმებს ეს გულზვიადი მებატონე.

ქართულ კლასიკურ მწერლობაში ჩვენ უკეთესი ადგილიც მოგვეპოება ამ სამარცხვინო ადამიანის ვაჭრობის შესახებ. ეს არის უმთავრესად „კალმასობა“, უდიდესი ეპოპეა მე-18 საუკუნის ფეოდალურ საქართველოსი, სადაც პირველად გაისმა ბატონყმობის წინააღმდეგ ხმა ქართულ მწერლობაში. „კალმასობა“-ს იმ ადგილს, სადაც მოთხრობილია ბერი იოანე ხელაშვილის მოგზაურობა იმერეთში, ჩვენ ასეთი

ეპიზოდი გვხვდება: გურიის მთავარს, გურიელს საუბარი აქვს იოანე ბერთან ალებმომცემობისა და ვაჭრობის შესახებ.

მთავარს სამარცხვინოთ მიაჩნია ვაჭრობის ხელობა.

გურიელს უზარმაზარი ჯოგი ჰყავს ჯიშიანი ცხენებისა, მაგრამ ერცხვინება გაყიდვა, ეს არ შეშვენის კეთილშობილ გვარსო.

მაშინ ბერი იოანე მიმართავს მრისხანე თავადს და პირში მიახლის – როგორ არის, რომ ამ თავადებს ცხენების გაყიდვა სამარცხვინოთ მიაჩნიათ და თავიანთ ყმებს, ადამიანის შვილებს, ასობით ყიდვან ურჯულოებზე, განა ადამიანი ცხენზე უფრო გასამეტებელიაო? ეუბნება ის მონებით მოვაჭრეს.

არც ისე შორს არის ის დრო, როცა ადამიანებს ძალღებზე ცვლიდნენ, როცა ცხენების გაყიდვას თაკილობდნენ და ადამიანებს კი დაუნდობლად აშორებდნენ თავის ქვეყანას და უცხოეთში მონებათ ჰკარგავდნენ, სატანჯავათ და სანამებლად.

და ანაკლიას ზემო ციხეს კიდევ ჰქვია „სატანჯო“.

ეს იყო უმთავრესი სტრატეგიული პუნქტი გლეხებზე სანადიროთ და მონებით დატვირთულ გემების რეზერვუარი.

თითქო ზღვის ზვირთებში კიდევ ისმის ძუძუმწოვარა ბავშებისა და უცხოეთში გასაუპატიურებლად გაყიდულ ქალ-ვაჟთა და გამწარებულ დედების ყრუ ქვითინი.

და როცა ამ მოგონების შემდეგ, თვალს ავლებ ახალ სოციალისტურ მშენებლობას, რალაც არაადამიანური ჟრუანტიელი გივლის ტანში.

ამხ. ისაკი ფვანია გვიყვებოდა ამ ამბებს მთელ გზაზე – ანაკლიამდე. ავტომობილი პირდაპირ მიადგა ენგურის ბორანს.

აუარებელ ხალხს მოეყარა თავი.

ალბათ ელოდნენ ჩვენ მისვლას.

ყველაზე უფრო ჩემი ყურადღება მიიქცია გრძელწვერიანმა რუსებმა. ჩასუქებული, უკვე მზით გარუჯული რუსის მუჟიკები დიდი ალამ-სალამით მიესალმნენ ისაკის.

ეხლა კი მართლა დაიჩრდილა ისაკის ეგზოტიური ნვერ-ულვაში, მაგრამ „ხოლოკებთან“ ერთად თავი მოიყარეს მეგრელებმაც.

იმპროვიზაციით პატარა მიტინგი მოენყო.

პირდაპირ გაიმართა საუბარი საჭირ-ბოროტო საქმეებზე. ეს, ასე ვსთქვათ, გაერთიანებული პლენუმი მთხოვნელებისა.

ირკვევა, რომ აქ შაბათობა ყოფილა მონყობილი ზღვის ნაპირის გასანმენდათ, ამიტომ ყოფილა ამდენი ხალხი შეკრებილი. ნაწილი ელოდა ბორანით მეორე ნაპირას გადასვლას, ნაწილი კიდევ გაღმა მუშაობდა.

ამ სამუშაოს დასათვალისწინებლად მივდიოდით ჩვენც.

როგორც გამოიჩინა, 40-მდე ყუბანელ რუსს უთხოვია აქ დასახლება. ადგილობრივ ხელისუფლებას გადანყვეტილი აქვს, ნააქვოს მეთევზეობა ამ კუთხეში და ამიტომ დაურთავს ნება რუსი მეთევზეებისათვის აქ დასახლებისა.

აქ მიწა ბევრია, მაგრამ საჭიროა დიდი კულტურა, რომ გამოსადეგი გახდეს. უმთავრესად, რასაკვირველია, მალარიას ამ ადგილის მუსრის გამკვლევი.

ისე ბევრია აქ გამოსადეგი ადგილი, რომ ერთმა სოფელმა არც კი იცის, მეორე სოფელში ვინ ესახლება: ასე იყო ქალაქდიდშიც.

იმერეთში კი, ერთი ნაჭერი მიწისთვის, წინათ მაინც, ძმა-ძმას თავს გაუპობდა.

როგორც განზრახულია, იმ ტემპით რომ წავიდეს აქ ჩაისა და სხვა ძვირფასი მცენარეთა კულტურის გაშენება, არავითარი ეჭვი არ არის, რომ მუშა ხელით მდიდარი დასავლეთი საქართველო სანახევროდაც ვერ აწვდება მუშა ხელის მოთხოვნილებას.

განსაკუთრებით დიდი შრომაა საჭირო ჩაის მომზადებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ეგუება შრომის მექანიზაციას.

ამ ადგილას მე პირველად ვნახე ენგური. ენგურზე კი ბევრი რამ უცხო და ფანტასტიური მსმენია.

უთქვამთ, თერგი ტბორია ენგურთან შედარებითო. ამიტომ ენგურის ნახვას მოუთმენლად მოველი.

მაგრამ აქ ენგური შავ ზღვას ერთვის და მთის მდინარის ყველა თვისება დაკარგული აქვს, არავითარი გარჩევა არ იყო ქალაქდიდის რიონისაგან.

მეგონა კიდევ, ეს რიონია და მხარი მეცვალა.

აქ ენგურს მეორე ნაპირს თვალს ვერ გაუნვდენ, ისე ფართო აქვს კალაპოტი, უნდათ კი ამ ადგილას საცალფეხო ხიდი ააგონ.

წინათ ეს იქნებ შეუძლებელი იყო, მაგრამ როცა აკვირდები გარშემო მშენებლობის ტემპებს, უკვე შეუძლებელი არაფერია.

ნაპირზე აუარებელი ბადეებია გაშლილი, ზოგი შრება, ზოგს კიდევ აკერებენ და ლამბავენ. ბადეებიც სხვადასხვანაირია, ზოგი ჩემთვის უცნობია, ზოგი კი ბავშობიდან მინახავს, როგორც „ხოლოხი“ ბადე და ზუთხის საჭერი კვახიანი ბადეები.

ასეთ ბადეებს ორპირში ხმარობენ ზუთხის საჭერათ.

ნაპირზე პატარა ხომალდებია მომდგარი და აუარებელი ნავეები.

ნავეებში გაირჩევა მეგრული ბაიდები.

ზევით უფრო მკაფიოთ მოსჩანს ციხე ანაკლია.

იმ ადგილას, სადაც ენგური უერთდება ზღვას, ჩნდება ნახევარ-კუნძული.

სწორედ ამ ადგილზეა განზრახული კურორტის გაშენება.

ჩვენც უნდა გავიდეთ გაღმა.

მოაცურეს ნავეები: „გელი“ და „მეომარი“. მომაგონდა, როცა ფოთში ვიყავი და პალიასტომის ტბაში უნდა შევსულიყავით, ყველანი დაფიქრებული იყვნენ, არ გვირჩევდენ ზღვაზე გასვლას, ძალიან სახიფათოა, ნუხელი ლელვა იყო და „ტბორია“-ო.

იმდენი ხანი იმეორეს მაშინ ეს სიტყვა, თანაც ისეთი დაშინებული ხმით, ძალა უნებურად მეც გადამედო მათი შიში.

აქაც ხომ ზღვის შესართავია და ენგურიც, რაც არ უნდა იყოს, ენგურია, თვითნიერი კია, მაგრამ ალბათ ერთი შეხედვით.

ვინ იცის, ძნელი სანდობია ეს თვალუნვდენი ენგური.

ამის გარდა, მე უკვე დიდი ხანია არ მიცხოვრია ორპირის რიონთან და შეიძლება, ვერც კი მოვიგონო ცურვა, თუმცა ბავშობისას არავისზე ნაკლები ცურვა არ მცოდნია.

ამის გარდა, ჩვენი კინო ექსპედიციის ჯგუფის მეთაური რეჟისორი ქალია და ამ შემთხვევაში რაინდობა სავალდებულოც არის, მაგრამ როცა შევავლე თვალი რამდენიმე მენავეს, რომლებიც საჭეს თასმასავით გაკროდენ, გული დამიმშვიდდა.

ისე კი, მართლა კაცს გული შეუღონდება ამ ნავში.

მივადექით ერთ ადგილას, ნავი სილაზე გარიყა, გაღმიდან გამოვიდნენ მეგრელები და როგორც იყო, გაგვიყვანეს მეორე ნაპირას.

ჩვენ თვალის წინ გადიშალა თვალწარმტაცი სურათი:

ეჭვი არ იყო, ნამდვილი პერუს ლანშაფტი წარმოსდგა ჩვენ წინ, გგონია, თითქო ტყიდან გამოვა „პერუს მოთხრობების“ ავტორი მექსიკანელი მწერალი გარსია ვენტურა კალდერონი, რომელიც სიამაყეა ლათინურ ამერიკის ახალი მწერლობისა.

ეს კალდერონი ჩემი უკანასკნელი გატაცებაა, მისი ოფორტები მოთხრობებით უფრო მეტყველია, ვიდრე ტრაქტატები ტროპიკებზე.

აქ მართლაც, სუბტროპიკების ზენიტია.

ამ კუნძულზე ძველიდან დარჩენილი თათრებია დასახლებული.

ეხლა მათთვის სხვაგან მიუციათ სამოსახლო ადგილები, აქედან კი აყრილან, რადგან კურძული უნდა გაინმინდოს.

ზოგ სახლებს ეხლა იღებენ, მაგრამ ამ სახლებს მხოლოდ სახელი ქვიათ სახლებისა, ისე ფაცხებია ჭუჭყიანი და ჭვარტლიანი. სახლების უკან მიმდგარია გაუტყეხელი ტყე, წინ ალვის ხეებითა და ვერხვებით დაბურული ეზოებია.

იშვიათი პლიაჟია.

ნაპირის ქვიშა მაგარია, მაგრამ ფოთოლივით ნედლი, გეგონება, სველ აბრეშუმს ეხები.

ზღვის ნაპირზე წყალი არ არის ღრმა, ზოგან რამდენიმე კილომეტრზე კაცი არც კი დაიყურება.

ამ ადგილს ორი მხრიდან ხვდება ქარი.

თუ წარმოიდგინეთ, რომ ანაპამდე შავ ზღვაზე არ არის საბავშო კურორტი, მაშინ ადვილი იქნება იმ ენტუზიაზმის გაგება, რომლითაც აღტაცებულია ამ საქმის მესვეური ხალხი.

ყველაფერს აბრკოლებს უსახსრობა, მაგრამ უსახსრობას კიდევ გაუძლებს კაცი, ეხლა მეტი საშუალება გვაქვს გავაჩალოთ ახალი წამონყება, ზოგჯერ უფრო ძნელია ცენტრში აუხსნა ადგილობრივი საჭიროება. უნდა თვალთ ნახოს კაცმა, რიდან რა საქმე გამოვა.

ეხლა აქ შაბათობა არის, ხალხი თვითონ გამოვიდა სამუშაოთ, ცოტა ხნის შემდეგ რომ მოსულიყავით და გენახათ, ბევრათ აჯობებდა. ზოგი სამუშაო გაკეთებული იქნებოდა, ბალსაც გავაშენებდით, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის აყვავებული.

ეს უნდა ნახოთ მანისის ბოლოს – სილამაზეა თვალის მომჭრელი.

მაგრამ ჩვენთვისაც ადვილია იმის წარმოდგენა, რომ ეს სილამაზე მართლა ზღაპრულია.

დიდი ენტუზიასტია ამ შაბათობის მომწყობი თემალმასკომის თავმჯდომარე აქვსენტი ყორშია.

აქვსენტი მეგრულათ აბარებს ისაკის პატაკს.

ისმის სხაპა-სხუბით ლაპარაკი, გარშემო მეგრელებიც ერევიან ლაპარაკში.

იწონებენ აქვსენტის ნალაპარაკებს, ალბათ პირობას იძლევიან მალე მოათავონ სამუშაო. საერთოდ, დიდი იმედი აქვთ ამ კურორტის, ამას მალე შეიტყობ და იოლადაც, მეგრული რომ არ იცოდე.

სიტყვაზე უფრო მეტყველია მათი სახე.

ყველაფერს ამბობენ გაბრწყინებული, გახარებული და დაიმედებული გლეხის თვალები.

მაგრამ, როგორია კლიმატიური პირობები?.. – ვეკითხებით ჩვენ ისაკის.

აქ კი ვერ მოვასწარი ჩამენერა ერთი მეთაედიც.

ამხანაგი ისაკი ლაპარაკობდა: ქართულად, მეგრულად, რუსულად.

პროფესორ ვორონინის დასკვნით, 24 წლის გამოცდილებით, ხალხის დაკვირვებით, მისი საკუთარი მოსწრებითა და გამოკითხვით, მერე სხვადასხვა ექსპერტებისა და მედიცინის ავტორიტეტე-

ბის დასკვნით, ეს ადგილი სწორეთ გამოჭრილია საბავშვო კურორტისათვის. მე თავში მიტრიალებდა ანტიური და თანამედროვე მედიცინის მამამთავრის, წყეული ჰიპოკრატეს მომაკვდინებელი დახასიათება ამ კოლხიდისა და მისი მალარიის დიაგნოზი.

მაგრამ ისაკიმ აქაც უარჰყო ყოველივე ხსენება კოლოებისა და მალარიისა და საერთოდ, ყველა ასეთი „მავნებლებისა“.

ყოველ შემთხვევაში, როცა მოთავდება კოლხიდის დაბლობის ამოშრობა, ანაკლიის საბავშვო კურორტი მთელ კავშირში გაითქვამს სახელს.

თავზე გადაგვიარა გარეულ იხვების გუნდმა. ეხლა ჩვენ ვისმენთ, როგორია საერთოდ ანაკლიის მიდამოების სამეურნეო პერსპექტივები:

სიმინდი და თხილი. აქედან უნდა გაიტანონ ხე-ტყე. ამ რაიონში უთვალავია და ზევით ენგურიდანაც ჩამოაქვთ, აქ კარგათ დანვდება გზა, ახლო შენდება უზარმაზარი შამგონის ქალაღდის ქარხანა, არა მარტო საქართველოსათვის, მთელი ამიერ-კავკასიისათვისაც.

მესაქონლეობის მომავალი უზრუნველყოფილია.

რამდენიმე ათასი ჰექტარი ეხლაც დათესილია თუთუნი.

მეაბრეშუმეობით განთქმულია ეს კუთხე, ეხლა ჩაის პლანტაციების და რამის თესვასაც შეუდგენ.

მაშინ ძველი ანაკლიის სახელოვანი პორტის სახელიც აღდგება, მართლაც, პორტი აქ მხოლოდ უკანასკნელად იმპერიალისტურ ომის დროს გაუუქმებიათ. ეხლა მხოლოდ სანაპირო ჯარის ნაწილების სადარაჯო პუნქტია.

უკან დაბრუნებისას უფრო დიდი გვეჩვენა დაბა ანაკლია:

ფოსტა-ტელეფონის კანტორას რადიო მიემატა.

გლახთა ახალგაზრდობის სკოლას – სუბტროპიკული, აგროინდუსტრიალური ტექნიკუმი.

ბადეების ახლო თითქო დელფინების ქარხანაც გაჩნდა.

მაგრამ პირველ ყოვლისა და უმთავრესად ჩვენ გონებას ეხატებოდა:

ანაკლიის პლიაჟზე, „სატანჯიოს“ დაბლა, გაიშლება პიონერების ბანაკები. პატარა საყვირები და დაფდაფები შეუერთდებიან ენგურის ზვირთებს და ათასობით მზით დარუჯული გოგო-ბიჭები საბავშვო მოედნებზე ტანს გაიმრთელებენ და ჯანსაც მოიმატებენ.

ენგურზე გაჩნდება ნაქცეულ ეიფელის კოშკის მაგვარი საცალფეხო ხიდი, გაიშლება საბავშვო სანატორია და კულტურისა და დასვენების პარკი და იმ „სატანჯიოს“ მაგიერ, როცა ფეოდალიზმის შავბნელ დროს დედებს გულიდან უსინდისოთ სტაცებდნენ ძუძუმწოვარა ბავშვებსაც კი, და როცა ქალ-ვაჟებს თხების ველად ძოვება არ შეეძლოთ, მოიტაცებდნენ და სათათრეთში მონებათ გაჰყიდდნენ, ეს-

ლა აგუგუნდება ახალი ცხოვრება, ადგებიან ახალი კადრები ახალი ნყობილების განსამტკიცებლად.

ზღვის კურორტი ანაკლია პირველი უჯრედია შავი ზღვის სანაპიროების მთლიანი კურორტისა, რომელიც ორას კილომეტრზე გაიჭიმება ბათომიდან სოხუმამდე, სადაც იქნება მუშებისა და გლეხების უმთავრესი „ჯანმრთელობის სახელოსნო“.

მე მჯერა, არ გავა რამდენიმე წელი და ზღვის კურორტი ანაკლია ყველას ეცოდინება.

ჩვენ დავესწართ პირველ „შაბათობას“, პირველ აგურის ჩადგმას და საძირკვლის ჩაყრას და მიხარია, რომ პირველს მიხდება წერა ამ დიდი გამარჯვების შესახებ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

[1931]

Из автобиографии

Родился я в 1895 году, 2 апреля, в Западной Грузии, в деревне Шуамта – близ Орпири.

Орпири входит в округ Сачино, в переводе – видный, замечательный.

В годы моего детства никто не верил, что в летописях Сачино считалось житницей Грузии. Так запустел этот богатый когда-то край.

„В дни голода Сачино прокормит Имеретию“ (иначе Колхиду), подтверждал предание знаменитый географ царевич Вахушти.

Орпири я вспоминаю скорее у древне-греческих авторов.

Гиппократ так описывает этот край:

„Страна, по которой протекает река Фазис, болотистая, знойная, влажная и покрыта лесом. Круглый год здесь выпадают дожди. Местные жители строят из бревен или из тростника жилища в болоте, в воде. Выходят из дому тогда, когда отправляются в город или на базар... Плоды этой страны никогда не созревают. Густой пар от реки вечно окутывает край, и этому нужно приписать, что местные жители отличаются от других. Ростом они высоки, но настолько тучны, что нельзя различить ни суставов, ни вен. Кожа желто-зеленого цвета, точно больны они желтухой...“

Самые причудливые пейзажи окружали меня с раннего детства. Особенно я помню закаты в долине Риона, когда дневное светило опускалось в горящем пурпуре в Палиастомское озеро, охватывая пожаром полнеба над морем.

Тропические папоротники, лианы, густые ряды чинар и тополей, необычайный простор пашен, вперемежку с болотами издавна составляли фон для романов Майн Рида и необычайных приключений героев Александра Дюма, который, кстати, в 60-х годах прошлого столетия сам побывал в наших краях и оставил изумительное описание Орпири и потийских болот.

„Орпири лежит у падения горной реки Цхенис-Цхали в Рион и название этой реки некогда было Таквери, – повествует тот же Вахушти, – и когда унесла она в пучину шестьдесят тысяч воинов отброшенного от Анакопии арабского полководца Мурваня Глухого, за это прозвана она была Цхенис-Цхали (река Коней)“.

Старики ведут счет годам со времени чумы и большого наводнения Риона, когда разбушевавшаяся река несла разрушенные жилища, детские люльки и нырявшие в мутных волнах гробы из развороченных

могил. Неделями выжидали, когда войдет в берега рионский потоп и остановится жуткий оползень.

С незапамятных времен Орпири считался портом на Рионе. Еще на моей памяти заходили сюда речные пароходы и вывозили кукурузу, сушеные фрукты.

В более зрелые годы Орпири и дельта Риона напоминали мне Шельду – родину Э. Верхарна, вызывая в памяти миф о Золотой Триреме Арго и о воинственных аргонавтах, которые именно в этих местах высадились, усыпили дракона и похитили у колхидского царя Аэта золотое руно и красавицу дочь – Медею. Трагическая судьба Медеи – убивающей своих детей воплощает в мифотворчестве судьбу Колхиды с ее неумолимым бичом – тропической малярией.

На моих глазах целые деревни вымирали от лихорадки и жители с проклятием оставляли насиженные места.

От этих „галюцинирующих деревень“ легко было мне переключиться и на французского поэта Лотрэмона. Монолог жабы в „Песнях Мальдорора“ – это повседневный оркестр лягушек в Орпири, песни вырождения. Усилиями советской власти в Грузии этот район сейчас превращен в цветущий цитрусовый сад. Осушение колхидских болот и внедрение субтропических культур на Черноморском побережье совершенно изменяют облик страны, оставляя далеко позади миф о золотом руне.

Отец мой с достоинством носил имя древнего философа Юстина, – но античную философию он легко променял на русский нигилизм.

Воспитанник тифлисской духовной семинарии, очага революционного брожения в бурные дни 80-х годов – он был замешан в беспорядке и выгнан из 6-го класса, не окончив курс студента семинарии. Поводом послужило нашумевшее тогда дело об убийстве ректора семинарии протоиерея Чудецкого – учеником Иосифом Лагиашвили. Всю свою жизнь отец мой благоговел перед русскими просвещенцами: Н. Чернышевским, Н. Добролюбовым и Д. Писаревым и почти до конца жизни помнил всего Некрасова наизусть. Отец мой скоро сблизился с литературными кругами Грузии и принимал участие в журнале и газете „Иверия“ Ильи Чавчавадзе.

Скоро отец мой устроился секретарем только что организованного тогда в Тифлисе юридического общества, но через три года приехал к нему его отец, сельский священник, умоляя вернуться в деревню, занять его место и облегчить старость.

Внезапное-ли появление деда и его настойчивость, или всегдашнее безволие отца – не знаю, что решило его судьбу, но он окончательно оставил Тифлис и уехал в добровольное изгнание в деревню, где был посвящен в сан священника Имеретинским епископом Гавриилом, в мире Герасимом Кикодзе, автором одного из первых учебников психологии и логики на русском языке, в свое время удостоенном похвального отзыва Н. Добролюбова. В первые годы по инерции отец еще занимался литературой, выписывал все журналы и газеты, сотрудничал в печати и был в постоянной переписке с друзьями, но скоро почувствовал, что навсегда оторвался от города и ограничил себя деревенской жизнью. По болезни оставил учительство в основанной им приходской школе, где я получил первоначальное образование.

Я не помню, как научился грамоте. Четырехлетним уже посещал школу в нашем доме и легко разбирался в азбуке, на радость моей матери Елизаветы Окропировны, замечательной и трудолюбивой женщины, которая и воспитала нас, детей, когда мы рано лишились отца.

Больной и раздражительный, отец пользовался всеобщим уважением во всем округе, к нему ходили за советами из далеких сел и горных поселков, хотя он был необщителен и в одиночестве доживал свою, как он думал, загубленную жизнь. Зато мать за всех попевала, соседи ее ставили всем в пример, она не гнушалась даже полевой работы, оправдывая свой суровый труд болезнью мужа и множеством детей, хотя работа была ее стихией, а в деревне, как она говорила, есть только одна работа – в хозяйстве.

Отцу моему ничего не стоило настоять на моем светском образовании, хотя для этого требовалось больше средств. В 1905 году отец взял меня в Кутаис – подготовить для первого класса классической гимназии.

Помню, поезд нам попался революционный: везли из Одессы убитого там черносотенцами проф. Сабу Клдиашвили. На вокзале в Кутаисе поезд встретили знаменами и пением марсельезы, похороны обратились в многотысячную демонстрацию и потому привычной показалась мне новая квартира старого преподавателя Ав. Сулаквелидзе, куда меня поселил отец. Это была штабквартира революции: сыновья и дочери моего скромного учителя были главарями движения, и я обычно спал на кровати с винтовками под матрацом и как-бы заведывал складом листовок, печатавшихся тогда в бесчисленном количестве. В этом доме я познакомился почти со всеми выдающимися деятелями первой ре-

волюции – многие из них были активными участниками Октября. Несмотря на большой конкурс, я попал в первый класс гимназии, которую окончил в 1913 году.

Наша гимназия отдала свою дань и революции, и новейшей левой поэзии. Русский читатель это легко вспомнит по автобиографии Владимира Маяковского, питомца нашей гимназий, почти одних лет со мною.

Со всеми друзьями из группы содружества „Голубые Роги“ я был знаком еще в гимназии, еще подростками мы мечтали о перевороте в грузинской поэзии. В Кутаисской гимназии, как везде в бывшей империи, царил суровый режим, много было у нас Передоновых, но были и преподаватели, которым я навсегда остался признателен.

Как обычно тогда, грузинский язык был в загоне, в неделю раз всего один, пятый или шестой урок, но у нас расцветали подпольные литературные кружки, где с успехом шло изучение родной речи; мне особенно помогало, что в детстве почти наизусть знал грузинскую Библию и общался в деревне с трудовым народом.

Стихи я начал писать очень рано, печататься с 6 класса гимназии, сначала в кутаисских газетах, а потом и в Тифлисе – в том числе ряд переводов: А. Блока, В. Брюсова, Ф. Сологуба, И. Аненского, „Легенду о великом инквизиторе“ Ф. Достоевского и французских поэтов.

Вспоминаю один случай из гимназической жизни, который неожиданно кончился для меня благополучно.

В романовские юбилейные дни я написал грозную прокламацию, где со всем пылом обрушился на династию. Скоро через кого-то из наших товарищей это стало известно гимназическому начальству; директор резко упрекнул меня в крамоле. Заинтересовались и в Попечительстве Округа, начали следствие, меня ждал арест, но директор не выдал. Спасал ли он честь своей гимназии или молодого поэта, не знаю, но он мужественно меня выгородил из этого дела.

Кутаис представлялся нам тогда „Мертвым Брюгге“ Роденбаха. На фоне этого мертвого города оживали галлюцинирующие призраки, и мы были в плену литературных образов.

Город обнищавших мелкопоместных дворян, давно спустивших свои имения, какой-то „аристократической богемы“, изощренных в хитрых выдумках праздных тунеядцев и остряков легко настраивал нас на оппозицию мещанству и „пощечину общественному вкусу“.

В 1913 году я поступил в Московский императорский университет на филологический факультет, по конкурсу аттестатов на историческую секцию пятого философского отделения.

Московский университет я застал после разгрома университетской автономии министром просвещения Кассо; лучшие профессора оставили наш университет и понятно, что наше сознание двоилось, и мы предпочитали слушать лекции опальных тогда профессоров А. Мануилова, Мензбира и др. При этом я проходил курсы некоторых профессоров Лазаревского Института Восточных языков и академика Н. Я. Марра, которого до сих пор считаю не только величайшим лингвистом, но и основоположником грузинского научного литературоведения. Из наших профессоров с особенной любовью я вспоминаю декана нашего факультета Аполлона Аполлоновича Грушко, в чьем доме жил А. Скрябин и академика Матвея Ник. Розанова, который читал курс эпохи Возрождения и просвещения, семинарии Льва М. Лопатина; меня остро огорчило, что уже отзвучали согретые Тютчевской „последней любовью“ речи проф. Ключевского, которого никак не мог заменить М. Любавский, наш ректор, ставленник Кассо, одноглазый циклоп.

Но уже приближался канун великой войны, и в воздухе запахло порохом. Позорное дело Бейлиса особенно возбуждало студенчество. Наконец, убийство эрцгерцога положило водораздел нашей жизни. Литературная Москва была в плену у символистов. Только что приехавший из Дорнаха Андрей Белый принес свое томление по Иоаннову Зданию, горячие споры о Гете и лекции о театре жеста. Смерть и похороны А. Скрябина, культ скрябинской музыки и, вместо Иоаннова Здания, храм в Гималаях „Поэма экстаза“. Бесчисленные поэзо-вечера – парфюмерного Гарун-Аль-Рашида Игоря Северянина, заседания религиозно-философского общества и формулы: „От Канта к Крупну“, отход русских войск на германском фронте, оставление Варшавы и конгрессы славянского общества, приезд Маринетти и Эмиля Верхарна в Москву, заседания общества свободной эстетики в художественном кружке и выступления Валерия Брюсова, атаки на символистов, акмеистов и адамистов, знакомство с К. Д. Бальмонтом, переводившим тогда поэму Руставели „Носящий барсову шкуру“, увлечение Ал. Блоком и Иннокентием Анненским – и, наконец, появление на московских улицах и эстрадах Владимира Маяковского, позднее В. Хлебникова и других русских футуристов – вот что вспоминается мне из круга моих исканий и настроений, что меня влекло, и, так или иначе, отразилось в дальнейшей работе.

В 1915 году мною и моими друзьями, молодыми поэтами Грузии, была создана школа поэтов, под причудливым названием „Голубые Роги“.

Мне пришлось написать два манифеста для журнала, называемого также „Голубые Роги“ и целый ряд лет редактировать газету „Баррикады“. В манифесте обобщался опыт французского и русского символизма, а с другой стороны здесь нашло отражение и то, что символизм из революционной когда-то школы превратился в академическую, и футуризм начинает завоевывать подступы к литературе. Эта двойственность не могла не вызвать двойственность сознания.

Как французские символисты воскресили Ронсара, так и мною был выдвинут Бесики (Бесарион Габашвили), замечательный поэт конца XVIII века, тончайший мастер стиха и александриец. С тех пор он неоспоримо занимает виднейшее место в грузинской поэзии. Как русские символисты – Ф. Тютчева, так я выдвинул Важа Пшавела, величайшего из старшего поколения поэтов Грузии, который в монументальных образах создал грузинский эпос, используя для своего творчества народную поэзию горной Грузии, Пшаветии и Хевсуретии. Авторитет Важа Пшавела до сих пор непоколебим в Грузии. Перевод нескольких его поэм уже дал ему всесоюзное признание.

Грузинская поэзия к тому времени была совершенно лишена воздействия этих поэтов, и процветало эпигонство народников и Надсона, на что мы со всей силой обрушились. Как известно, грузинская поэзия имеет многовековую культуру: среди величайших поэтов древней Грузии, перекликающихся с великими иранскими лириками и европейскими поэтами – Руставели предвосхищает в великом своем творении „Витязь, носящий барсову шкуру“ итальянское возрождение. Он как бы предшествует Данте, также как у Давида Гурамишвили мы находим переключку с „Большим завещанием“ Франсуа Вийона. Поэты начала XIX века Ал. Чавчавадзе, Н. Бараташвили, Гр. Орбелиани – заканчивая иранское влияние и восприняв Байрона, Пушкина и Мицкевича, создали полноценную поэзию, органично связав ее с грузинскими корнями. Защищая этих поэтов, по существу архаистов – перед последующей школой, которую я называл эпигонами запоздалого русского народничества, я упустил из виду их заслугу в приближении поэтического языка к народной речи, целеустремленность и общественное их значение. Ясно и то, что декларация приближения к истокам грузинской поэзии долго не находила воплощения в творческой практике поэтов из группы „Голубые Роги“.

Но на фоне обнищавшего тогда грузинского стиха при всем своем отрыве от действительности новая школа поэтов сыграла громадную

роль. Впервые были введены в строй грузинского стиха слова, изгнанные из употребления или вовсе не использованные. Впервые были написаны правильные сонеты, терцины, триолеты, оглушенная рифма нашла новый простор, обновился ритм стиха, впервые начали разрабатывать свободный стих, аллитерации и ассонансы. Переводы Ш. Бодлера, П. Верлэна, Артура Рэмбо, Ж. Лафорга и других французских, русских новейших поэтов расширили круг поэтических образов, метафор и грузинский стих обрел новое звучание.

Эта наша заслуга не отрицалась никем в грузинской критике, и в пору, когда поэты из группы „Голубые Роги“ выносили лобовую атаку дореволюционной мещанской среды.

То, что наша школа возникла на закате символизма и на заре футуризма – дало нам некоторое преимущество критического осознания нашей действительности, свободных от узких догм обеих школ нам легче было самоопределиваться в грузинской среде и найти национальную почву.

Создавая одной рукой недостающие тогдашней грузинской поэзии образцы символической поэтики, мы через атаку футуристов чувствовали их призрачность и точно бились „на пороге как бы двойного бытия“.

Три года меньшевистского господства в Грузии и отрыв от Октябрьской России еще больше усложнили и запутали наше творчество и в начале советизации мы еще тяготели к французским сюрреалистам и дадаистам. Односторонне и пристрастно понимая классическое наследие грузинской поэзии, мы заразились от него националистическими концепциями. Нас, как и русских футуристов, спасла Октябрьская революция совершенно перестроив всю нашу жизнь и в перестройке жизни изменив сущность поэзии.

К этому времени относится мое большое стихотворение – „Конь с ангелом“, написанное, как диссертация на звание „короля грузинской поэзии“, восторженно принятое некоторой частью грузинского общества.

Это стихотворение не вошло в книгу моих избранных произведений, настолько оно оторвано от действительности и насыщено идеями грузинского мессианизма, что правильно отметила марксистская критика.

Нас, как и русских футуристов, спасла Октябрьская революция, совершенно перестроив всю нашу жизнь в перестройке и изменив сущность поэзии. Три года от Октября до советизации Грузии, близость с друзьями из молодых большевиков, работников грузинского подполья, внесли некоторую трезвость в сознание, но этого было недостаточно для нашей перестройки. Для тогдашнего настроения ха-

рактарно мое открытое письмо к известному армянскому поэту, председателю армянских землячеств в Тифлисе – Ованесу Туманяну во время армяно-грузинской войны, напечатанное в грузинской газете „Сакартвело“. В письме осуждается македонский метод разрешения национального вопроса меньшевиками и дашнаками и звучит призыв к интернациональной дружбе. Ответ Ованеса Туманяна, напечатанный в тифлиских газетах – образец искренности и возвышенной любви великого поэта к достоинству соседнего братского народа и томления по национальному миру, что удалось в Закавказье осуществить только при ленинско-сталинской национальной политике.

С первых же дней советизации Грузии начинается перестройка рядов грузинской литературы. Политическим декларациям не всегда отвечала художественная продукция – нелегко было освободиться от пережитков буржуазного искусства и ложно понятой национальной природы. К этому времени относится появление в Грузии запоздалых эпигонов русского футуризма. Еще в 1925 году они превозносили „замную“ поэзию, лишённую национального колорита. Просуществовав три-четыре года, большинство из них навсегда вышло из литературы, часть же, пройдя влияние русского „Лефа“ и отчасти поэзии „Голубых Рогов“, впоследствии, только немногие из них вросли в литературу или переключились на работу в кино.

Незавершённый цикл становления новейших поэтических школ в Грузии, зигзагообразный путь их развития, перекрестное влияние французской и русской поэзии и сравнительно быстрое самоопределение некоторых видных поэтов на национальной почве, а потом и в советской поэзии понятно вызывает некоторое недоумение советской критики, которой трудно разобраться в этой обстановке. Ещё больше способствует путанице отсутствие в грузинской критике подлинного изучения новейшей поэзии в целом. Только этим можно объяснить утверждение Д. Мирского: „Уже ясно, что ни о каком знаке равенства между грузинским и русским (а тем более французским) символизмом не может быть и речи“ („Лит. газета“, №59, 1935 г.) и „В Грузии весь цикл новой поэзии, начавшись почти на четверть века позже, чем в России, развернулся и закончился в какие-нибудь десять лет“ („Знамя“, №3, 1936 г.).

На самом деле, творческий путь некоторых грузинских символистов начался не в 1915 году, в год декларации школы „Голубые Роги“, а гораздо раньше.

Сохранив почти целиком весь наличный состав школы, не все поэты, участники этого движения одинаково входят в советскую поэзию.

Мне самому так представляется пройденный мною поэтический путь. В первом цикле стихов „Халдейские города“, я писал „Art poétique“:

„Розы Гафиза я кладу в вазу Прюдома,
В саду Бесики сажаю ядовитые цветы Бодлэра“.

Под розами Гафиза я разумел давнишнюю тягу грузинской поэзии к иранским лирикам. Прюдома я брал, как образ французской формы, помня из письма Г. Флобера. Сад Бесики – цветник грузинской поэзии „восточно-западный диван“ – где грузинский стих дошел до предельного совершенства после Руставели, сохраняя величайшую напевность и органичность. Тогда мне казалось, что „злые цветы“ Бодлэра тоскуют по этому саду. Однако во всем цикле „Халдейские города“ больше романтики и мистического тумана. Воспевая Халдею, как прародину, я больше восходил к историческим истокам, почти позабыв о „цветах зла“. Этот налет романтизма в стихах долго сопутствовал мне в поэзии, сближая то с Жюлем Лафоргом, с этим французским Гейне, то с Александром Блоком, что дало некоторым критикам право называть меня „грузинским Блоком“. Правда, меня долго увлекали Жюль Лафорг и Артур Рэмбо, Александр Блок и Андрей Белый, впоследствии Вл. Маяковский и Борис Пастернак.

В Лафорге я чувствовал иронию, переходящую у Рэмбо в цинизм, неожиданность откровений и необузданную фантазию. Через них я почувствовал „проклятых поэтов“, а последние четыре русских поэта в разное время открылись для меня, как воплощение поэтического подвига.

Одна разнородность этих поэтов исключает их влияние на меня.

Больше всего я чувствую некоторое соответствие моих стихов досоветского периода с стихами А. Блока „О России“ и веянье Жюля Лафорга в цикле „Сезон в Орпири“.

В самый разгар словотворчества и формализма я защищал первоуродство вдохновения:

„Не я пишу стихи, они, как повесть, пишут меня,
И жизни ход сопровождает их,
Что стих? Обвал снегов. Дохнет и с места сдышит
И заживо схоронит, вот что стих!“

(Пер. Б. Пастернака).

Я давно не защищаю этот тезис, но, может быть, в этом ожидании „наития“ я много раз пропускал настоящее вдохновение, которое дается в результате упорного труда и чувства действительности.

Еще прежде, но явственнее, с 1921 года по 1926 год я почувствовал тягу к грузинским классикам, больше всего романтикам Н. Бараташвили, Гр. Орбелиани и условному романтику Важа Пшавела. В стихах этого периода есть переключки с ними, но больше всего противопоставление им новой поэтики. Несмотря на новизну темы и ощущения пейзажа, я все же думаю, что иногда я, конечно, отталкивался от классиков. В этом было иногда выявление националистического рецидива. Грузинские поэты XIX века возвели в идеал формулу А. Мицкевича, что родину любит тот, кто ее потерял. Они восхваляли историческую Грузию, героические подвиги, романтику рыцарских обычаев, а Важа Пшавела распад родового быта ощущал, как конец мира. Но что было закономерно, даже действенно раньше, потеряло всякое оправдание в наши дни, когда Советская Грузия обрела настоящую самостоятельность и ряд за рядом начали появляться люди новой социалистической культуры.

В поисках национальной формы я много думал и писал тогда о Важа Пшавела, художнике Нико Пиромани, режиссере К. Марджанове, композиторе Н. Сулханишвили – основоположниках в своих разделах грузинского искусства. Это для меня пора изживания формалистических приемов и подхода вплотную к советской поэзии. Этот цикл лирических стихов заканчивается стихотворением „Тифлисская ночь“.

„Я сам на загнивающем плоту,
На том дощатом лебедь сосновом,
Но я не кончил. Я еще расту,
Еще надеюсь. Все начнется снова“.

(Пер. П. Антокольского).

До этого у меня были лирические стихи на советские темы: „Петербург“ – написанный в ночь на 25 октября 1917 года, „Новый Мцхет“ – о первенце электрификации Грузии и „Сталин“ – напечатанный в 1926 году. Кажется, это первое стихотворение во всем Советском Союзе, посвященное Сталину, но конечно, как и во всех последующих стихах на эту тему, не дающее образ великого вождя народов, как бы мне этого хотелось. Зато это стихотворение грузинской эмиграцией тогда было принято грозно, и я был прозван Сталинским поэтом, неразумные не знали, что чести этой добиваются сейчас все честные и революционные поэты мира.

Первая моя большая советская вещь – „Рион-Порт“. На фоне описанной мною Орпирской природы, где народ вырождался от тропической малярии выступает советская власть, перестраивая жизнь, изменяя лицо страны. На место диалога жабы у Лотрэамона выступают новые люди, объятые энтузиазмом созидательной социалистической культуры.

Затем следует цикл лирических стихов „Всем сердцем“, где дается вся Грузия первой пятилетки в действии, и цикл „В Армении“, где я выразил торжество национальной политики великой партии Ленина-Сталина.

В цикле „Родина“, мне кажется, я больше всего приближаюсь к социалистическому реализму.

За последнее время мне очень много приходилось путешествовать, побывал я почти во всех уголках Грузии. Особенно меня влечет зона субтропических культур на Черноморском побережье Грузии, где осушается двести тысяч гектаров заболоченной земли и разводится гигантский цитрусовый сад. Много я ездил и по Советскому Союзу – бывая часто в Москве, в Ленинграде, на Украине, в Белоруссии, в Армении, на Северном Кавказе и Средней Азии, знакомясь с строительством социализма, с новыми людьми и среди них с поэтами, гордясь дружбой с некоторыми из них.

Так готовится моя следующая книга „Родина“ – о Великом Советском Союзе и моя другая книга переводов лучших советских поэтов.

15 апреля 1936 г.

Тифлис

მიმონება



Յոսիպովի Գրական Պատկեր

Երևանի քաղաքում, Կոմունիստական կուլտուրայի - աստիճան
Միջին դպրոցի Կուլտուրայի ժողովարարությունը շատ հաջողակ
և զարգացող է իր գործունեությամբ և շատ արագությամբ
աշխատում է -

Մեր գործունեության մասին և ձևերի մասին -
1) Կրթության մասին, և քաղաքի մասին!

2. Կուլտուրայի մասին.

Կայծակի և 2 օրվա ընթացքում
չստացանք ձեր բացատրությունները և կարծիքները
Ձեր հարցերի կազմակերպության մասին շատ հարցեր
և անհամար քննարկներ
և քաղաքի մասին թե և քաղաքի մասին,
և Կուլտուրայի մասին և քաղաքի մասին
և Կուլտուրայի մասին և քաղաքի մասին
և Կուլտուրայի մասին և քաղաքի մասին
և Կուլտուրայի մասին և քաղաքի մասին

Երկրորդ ժողովարարության կողմից
և քաղաքի մասին, զարգացող է իր
կուլտուրայի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին

Մեր քաղաքի մասին - Կուլտուրայի
Մեր քաղաքի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին
և քաղաքի մասին և քաղաքի մասին

Յոսիպովի

ტიციან ტაბიძე –

იუსტინე ტაბიძეს და ელისაბედ ფხაკაძე-ტაბიძეს

პირველად მოკითხვას მოგახსენებთ, ჩემო საყვარელო დედ-მამაო და თქვენს მშვიდობას ყოვლის შემძლებელს ღმერთსა ვთხოვ. გარდა ამისა, ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მე კარგად ვარ და კარგადაც ვსწავლობ, ღვთის წყალობით. გარდა ამისა, მოკითხვას მოგახსენებთ ცაგოს, სონიჩკას, სიმონას, იოსებს და ევგენიას. ეგზამენები მყავდა – რუსული და სამხთო რჯული და ორივეში „ჩეთირე“ მივიღე და წარდგენაც 4-ები მქონდა.

ეს წერილი ეკუთვნის ტაბიძეს იუსტინეს ძეს.

ეს წერილი მიერთვას მის კურთხევას იუსტინე სტეფანეს ძე ტაბიძეს.

ჭყვიში

1904 წ. 11 მაისი

ტიციან ტაბიძე – გიორგი მუმლაძეს

ძმაო გიორგი...

შენი მილოცვა მივიღე... ძალიან გამიკვირდა, როგორ გაგახსენდი... მე ქუთაისში მეგონე... ჩვენ გაზეთში იბეჭდება პატარა ფელეტონები „უჩარდიას“ ფსევდონიმით, მე შენი მეგონა... ასეა განა?

დროს, ვიცი, არ გააფუჭებ... ერთად ერთი კაცი ხარ ჩვენში, უკოპ-ლიმენტოდ გელაპარაკები, რომელსაც შეუძლია სალად მუშაობა... სხვა რა ამბებია გურიაში... როგორ გრძნობ თავს... იქნებ შალვა დადიანის ადრესი გამიგო... მინდა, ერთი წერილი მივწერო, შენ შემაყვარე ის კაცი...

მეგობრული სალამი და იმედის აყვავება... მოგიკითხა კ. აბა-შისპირელმა...

შენი ტიტე ტაბიძე

ქ. მოსკოვი

[29 იანვარი, 1914]

ტიციან ტაბიძე – იაკობ ფხაკაძეს

ქ. მოსკოვი.

915 წელი, 15 ნოემბერი.

ძვირფასო ბიძია იაკობ!..

თქვენი გამოგზავნილი ამანათი მივიღე, რამაც უზომოთ გამახარა. როგორ არ მეჭირვებოდა ეხლა ფული, მაგრამ თქვენმა წერილმა და მორალურმა დახმარებამ ზედმეტად გამახარა... ის, რასაც წინად ვგუმანობდი უფრო ინტუიციით, ვიდრე ნამდვილი ცოდნით, სრულიად გამართლდა... მე მყავს ახლა ძვირფასი ადამიანი, რომელმაც შორიდან გაიგო ჩემი მდგომარეობა... და რომლის ქალარა ინახავს ახალგაზრდა და კეთილშობილ გრძნობებს და აქეზებს დამწყებს შრომისა და მეცადინეობისთვის... ყველაზე სასტიკი გრძნობა ის არი, როცა კაცი ლატაკად გრძნობ თავს, რომ გადაუხადო შენ მოამაგეს სიკეთე... მაგრამ მე ვეცდები, ჩემო ბიძია... თუ ჩირაღდნათ არა, კაპიციან სანთელივით მაინც დავინვები ხელოვნების და საქართველოს წინ...

ყველაფერი ჯერ კიდევ მომავალშია... მხოლოდ მომავალზე ბევრის ლაპარაკიც არ ვარგა...

შარშანწინ ზაფხულში ვანო მელაპარაკებოდა, რომ თქვენ ამზადებთ შრომას, დალაგებით იმას არაფერი უთქვამს ამ შრომის ხასიათზე. მე მგონია, რომ ის იქნება მეცნიერული ხასიათის და რადგან ამგვარი შრომა ჩვენში დიდი ბიბლიოტეკების უქონლობით ძალიან ფერხდება, მე შემიძლია, რამეთი ვიქნე საჭირო... თუ თქვენ წიგნს იცნობთ ბიბლიოგრაფიით და ისე ხელად ამყამად არ გაქვთ, მე შემიძლია, მოსკოვის რუმინანცევის სამკითხველოში ამოგინეროთ თქვენთვის საინტერესო ადგილები, ან უნივერსიტეტიდან პირდაპირ წიგნები გამოგიგზავნოთ. თუ ჩემი შრომა თქვენ რაშიმე დაგჭირდებათ, მე თავს დავალბებულად ჩავთვლი, რომ შემეძლება თქვენთვის მუშაობა. ეპარქიალურ სანთლის სანყოფნებში ვიყავი ორჯერ: ჯერ სთქვეს, რომ სხვა ეპარქიაში არ ვაგზავნი ნახშირსო, შემდეგ – რკინის გზა არ ღებულობს საქონელსო... აფთიაქის მაღაზიებშიც ვიკითხე, რადგან ზოგი ეკლესიები იქედან ხმარობენ ნახშირს, მაგრამ არც იმათ მოისურვეს გამოგზავნა...

მოსკოვი ეხლა არაჩვეულებრივია.

უზარმაზარი გუმბათები საყდრების და როგორც ზღაპრული სოკოები, ამართულად მალლა.. ივერიის ღვთისშობლის ხატის წინ მთე-

ლი ღამეები განუწყვეტლივ დგას აუარებელი ხალხის ბრბო და ლო-
ცულობენ... მისტიური სურათია.

ყოველ სახლში ღაზარეთია, ქალაქის განაპირა აგარაკებშიც.

ქალაქი პოლონელებით არის სავსე.

ისეთი მყუდროებაა, თითქო ჟამიანობა იყო..

მაგრამ თავს არ შეგანყენო.

*თქვენი მორჩილი პატივისმცემელი და მოყვარული დისწული
ტიტიკო ტაბიძე*

ტიციან ტაბიძე – იაკობ ფხაკაძეს

ძვირფასო ბიძია იაკობ!..

თქვენგან გამოგზავნილი ორი თვის ფული მივიღე. პირველ მიღე-
ბისთანავე დაუზღვეველი დახურული ბარათი გამოგიგზავნეთ, ალბად
გზაში დაკარგულა, ამას წინადაც გამოგზავნე ღია ბარათი, შესაძლე-
ბელია, არც ის მიიღოთ, რადგან ეს საერთო ნაკლია ჩვენი ფოსტის,
ქართული გაზეთები კვირაში ორი ნომერი თუ მოვიდა, სხვა არ მოვა.

ძვირფასო ბიძია, მე არ მოვყები იმის გამოთქმას, თუ როგორ გა-
მეხარდა თქვენი პასუხი და ჩემი გრძნობების გაგება, აქ ყველა სიტ-
ყვა ბანალურია იმის გამოთქმად, რასაც სული იგრძნობს, როცა მის
სათხრობელს მიხვდენ. მე თქვენ სამუდამოთ დამავალეთ, ვეცდები
ვალიდან გამოვიდე პატიოსანი და ბეჯითი შრომით, სხვა მომავლის
და ღმერთის საქმეა. ყველაზე უფრო ის მიხარია, რომ მე თქვენი სი-
კეთილშობილე ჩემზე ვიგრძენი და ჩემ თავს ნებას მივსცემ, პირველ
შეხვედრისთანავე დაგიკოცნოთ, მართალია, მრავალწლიანი, მაგრამ
მაინც უდროვო ჭალარა.

რადგან თქვენი საქმე პენსიის შესახებ ასე ცუდად წასულა, მე
გთხოვთ, ბიძია, თქვენ ნუ მოიკლებთ ჩემ ფულს. მე იმედი მაქვს, რომ
თებერვალში მოვენყობი, როგორც მე მინდა. ამ იანვრის სესიაში ჩა-
ვათავებ საჭირო ეგზამენებს და პრაქტიკულ სამუშაოსაც მოვიცილებ.

მართალია, საძნელო იქნება შვიდი საათი სხვისთვის მუშაობა
და დამღლის კიდევ, მაგრამ ფუფუნებაში არც ერთი ქართველი არ
ცხოვრობს... ეს ორი თვე კი გთხოვთ, კიდევ გამიგრძელოთ ფულის
გზავნა, რომ ეგზამენებზე დამშვიდებული ვიყო... ყოველ შემთხვე-
ვაში, თქვენი გამომხაურება ჩემი თხოვნის სიკვდილამდი არ დამა-
ვინწყდება.

თქვენგან დაბარებულ საცეცხლურის ნახშირზე. სამჯერ ვიყავი ეპარქიალურ სკლადში, არასგზით არ გამოგზავნეს, ჯერ თქვეს, რომ სხვა ეპარქიაში არ ვაგზავნითო, მერე ფორტა არ იღებო, შემდეგ სთქვეს, რომ ოთხი მანეთის გულისთვის კაცს ვერ გავაცდენთო... მე, რასაკვირველია, ვერაფერს ვეტყოდი წინააღმდეგს, თუნდა მართო მიტომ, რომ როცა მივედი, გამგეობის კრება იყო და ხუთი დეკანოზი იჯდა ერთად მაგიდასთან.

შემდეგ ვიკითხე აფთიაქის მაღაზიებში, ზოგი ეკლესია იქედან ხარჯობს, მაგრამ მაინც არ ქნეს.

ძალიან ვწუხვარ, რომ ასე უბრალო დავალებაც ვერ შევასრულე. გილოცავთ დამდეგ დღესასწაულებს.

თქვენი მარადის პატივისმცემელი და მოყვარული დისწული

ტიტიკო ტაბიძე

ქ. მოსკოვი

21 დეკემბერი, 915 წ.

ტიციან ტაბიძე – სიმონ ტაბიძეს

ძვირფასო სიმონიკა,

როგორა ხარ? როგორ ცხოვრობ! მომწერე ყველაფერი შენ საქმეებზე. სახლში რა ამბებია, ან ჩემი წერილი თუ მიიღეთ შობებზე? ბავშვები რას შვრებიან. როგორ ცხოვრობენ. ან სოფელში რა ამბებია. აგრეთვე, თუ გჭირია რამე, მომწერე, თებერვლიდან მე მგონია, შეძლება მექნება, როგორმე დაგეხმარო. წერილი „სახალხო ფურცლის“ საახალწლო ნომერში წაიკითხე და უთუოდ გაუგზავნე მამას. აგრეთვე ჩემი წერილი, რომელიც, დაიბეჭდება, სახლში გააგზავნე. გალაკტიონი თუ ნახო, ჩემ მაგიერ აკოცე. შენი იმედი მაქვს. იყავ ყოჩაღად. უთუოდ მიპასუხე.

გკოცნის შენი მოყვარული ძმა

ტიციან ტაბიძე

1916 წლის 15 იანვარი

ტიციან ტაბიძე – იაკობ ფხაკაძეს

1916 წელი, 17 იანვარი.

ქ. მოსკოვი.

ღრმად პატივცემულო და ძვირფასო ბიძია!..

ხშირი წერილებით, ალბად, თავს გაბეზრებთ, მაგრამ მაინც მინდა, რომ გამოგესაუბროთ; ამ წერილს ცოტა თავის გამართლების ხასიათიც ექნება... ჩემ პირველ წერილს თქვენ ძალიან ენდევით, მაშინ არაფერი გარანტიები არ იყო იმის, რომ ჩემი შრომა ვისმედან ფასდებოდა, მე ამით ყველაზე უფრო ვარ დავალებული; იმის შემდეგ იბეჭდებოდა ჩემი წერილები და ლექსები გაზეთ „საქართველოში“. არ ვიცი, იღებთ თუ არა?

„სახალხო გაზეთის“ სახალწლო ნომერში დაიბეჭდა წერილი გრიგოლ რობაქიძის ახალ მწერლობაზე. საანგარიშო წელში მეც ვარ მოხსენებული და ორ ადგილას. ყოველ შემთხვევაში, ახანდელ მწერლებში გრ. რობაქიძე ყველაზე მეტია და მის დაფასებას აქვს რაიმე ფასი.

14 იანვარს მოსკოვში წმ. ნინოს დღეობა გადაიხადეს, პარაკლისი ორ ადგილზე იყო. მონასტერში გადაიხადა ეპისკოპოზმა ექვთიმემ (ელიავამ), საზოგადოებაში პოლკის ქართველმა მღვდელმა. იმ დღისთვის გამართული იყო დიდი საღამო თეატრში – „რუსთაველის საღამო“. რუსეთის გამოჩენილი მწერალი კ. ბალმონტი კითხულობდა ლექციას რუსთაველზე და მონაწილეობას იღებდნენ თავადი ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი (იმპერატორის ტეატრის მართველი და არტისტი) და კომპოზიტორი დ. არაყიშვილი.

ღამე გამართეს ბანკეტი, რომელსაც დაესწრო ორასზე მეტი სული კაცი და ქალი. მონწეული იყო კ. ბალმონტი... იყო აგრეთვე მოსკოვის გრადონაჩალნიკის თანაშემწე ნაზანსკი, რომელსაც ცოლად ყავს თავადი მაჭუტაძის ქალი. ვახშამზე თამადა იყო ალ. სუმბათაშვილი. ბევრმა თქვა სიტყვა და სხვათა შორის, მეც.. მე ყველაზე ნაკლებად მაქვს ორატორობის პრეტენზია, მაგრამ ბალმონტმა მიპასუხა: „Я не думал, что этот милый ручей может обратиться в водопад красноречия“, თუ არ გკოცნი, მარტო იმიტომ, რომ სტოლები მიშლიანო. სუმბათაშვილი ფეხზე ადგომით მიკრავდა ტაშს.. მეორე დღეს კ. ბალმონტი ყველა თავის ნაცნობებს ელაპარაკებოდა ამ ამბავს. თუ გწერთ ამას, იმიტომ, რომ მე მიხარია და ჩემი სიხარული თქვენც გაგახარებთ და ბოდიშს მომხდის, რომ თქვენ განუხებთ.

ერთი სიტყვით, პატიოსანი სიტყვა მოგეცით, რომ ვეცდები, ვიყო ღირსი თქვენი ყურადღების და სიყვარულის.

მოსკოვში ეხლა მორიგე ამბავი მიტროპოლიტ პიტირიმის ამაღლებაა. ყველანი იმაზე ლაპარაკობენ. თუ მართალია და გულწრფელი მისი ქართველების სიყვარული, მგონია, ბედი ელიმება ჩვენ ეკლესიას. ეს კია, რომ იმპერიაში ეხლა ის ყველაზე თვალსაჩინოა და დიდი გავლენა აქვს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

*მარადის თქვენი მოყვარული დისწული
ტიტიკო ტაბიძე*

ჩემი ახალი მისამართი: Поварская, Хлѣбный пер., д. 22.

ტიციან ტაბიძე – იაკობ ფხაკაძეს

18 მარტი, 1916 წ.

ქ. მოსკოვი.

ღრმად პატივცემულო და ძვირფასო ბიძია იაკობ!..

წარსულ თვეში დაუზღვეველი წერილი გამოგიზავნეთ, ალბად არ მიგიღიათ. ამ თვეში ჩემი საქმე ცოტა წინ მიდის, თქვენ გამხნევებას, გაგებას და რჩევას ბევრს უმადლი. თავადი ა. სუმბათაშვილის ინიციატივით მოსკოვში მცხოვრებმა ცნობილმა ქველმოქმედმა – ლ. ზუბალაშვილმა დააარსა სამი სამეცნიერო სტიპენდია – ექვსასი მანეთი წელიწადში, უნივერსიტეტში დატოვებულ სტუდენტების საპროფესოროთ მოსამზადებლად, ან იმათვის, ვისაც დატოვებენ, ვინც ქართულ მეცნიერებისთვის რაიმე საიმედო იქნება. დიდი კონკურსი იყო, მონაწილეობას იღებდენ თითქმის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებისგან პროფესორების რეკომენდაციით უნივერსიტეტ გათავებულნი, მომღერლები, მხატვრები და მწერლები. გამგეობამ ერთხმად დაადგინა, სტიპენდია მოგვეცეს: დ. არაყიშვილს, კომპოზიტორი არი და რამდენიმე წიგნი აქვს გამოცემული, ერთს აქ, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე დატოვებულს და მე.

მე ყველაზე უფრო მახარებს მათი ჩემი ასე დაფასება, განსაკუთრებით ა. სუმბათაშვილის.

სტიპენდია ჯერ არ ამიღია, თუმცა იანვრიდან მერგება თხუთმეტი თუმანი; მინდა, რაც უნდა გახდეს, წელს ერთი წიგნი დავბეჭდო და გამოუშვა. ჩემ მომავლისთვის ამას ძალიან მნიშვნელობა ექნება.

მართალია, მე ძალიან მიწევს აკადემიური კარიერა უნივერსიტეტში დარჩენის, მაგრამ მაინც მინდა, რომ ეს არაფერს უშლიდეს ჩემში ქართველ მწერალს, მით უმეტეს, რომ ჩემ ნაწერებზე, როგორც რუსეთელ ნაცნობი დიდი მწერლების და ქართველი საპატიო მწერლებიდანაც გამხნეების სიტყვა პირველად მესმის.

ჩემი ლექსები გადაითარგმნება რუსულადაც, მალე ძალიან გამრავლდება მათი რიცხვი.

ძვირფასო ბიძია, მიუხედავად იმისა, რომ ტანისამოსი სულ არ მაცვია და საზაფხულოდ ვერაფერს ვერ შევიკერავ, მე მაინც მინდა, ეს ფული არ დავხარჯო; თუ ძალიან ველურად არ მოგეჩვენებათ, უკანასკნელი თხოვნა იქნება, რომ მაისამდი გამიგრძელოთ კიდევ თქვენი დახმარება.

მართალია, თქვენგან საუკუნოდ დავალებული ვარ, მაგრამ ეს უკანასკნელი იქნება და ვეცდები, როგორმე გადაგიხადოთ. ყოველ შემთხვევაში, თქვენგან ერთ ბარათს მაინც ველი, სად იქნებით ზაფხულში და ან როგორ შეხედავთ იმას, რომ დედას და მამას სამუდამო აუსრულებელი სურვილია და ნატვრა, თქვენი, ერთხელ მაინც, ჩვენ ოჯახში ნახვა.

თქვენი გამოგზავნილი ფული და წერილი მივიღე 9 თებერვალს. წერილში რაღაც ბიბლიური სევდა იყო, თქვენ უჩიოდით ბედს, რომ ძუნწი იყო ბედნიერებაზე, მაგრამ:

Но если изменить восторгов путь,
Въдь можно сердце обмануть!..

მე მგონია, თქვენ ყველაზე უფრო შეგიძლიათ გულის მოტყუება და ის სამოცი წელი, რომელიც თქვენ გაგისტუმრებიათ მარადისობაში, ალბად, ბევრს ინახავენ უბედობასთან ერთად თეთრ სიამეს და ლხენას. და ეს ასე იქნება ანიც, სული იცოცხლებს ახალგაზრდობით ჭალარაშიც და თქვენდან დანალოცი დისწული გისურვებთ თქვენ ბედნიერ დღეებს და სიხარულს..

*მარადის პატივისმცემელი და მოყვარული
ტიტიკო ტაბიძე
Москва, Скатертный пер., д. 17., кв. 2.*

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ძვირფასო ჭიჭიკო!

მომწერე ერთი წერილი, რა ამბებია ქუთაისში, ამ თვის დამლევს მე მანდ ვარ. პაოლო რას შევება, ან გრიშა ვეშაპიძე თუ ნახე მანდ და სალდათობის რა ქნა.

ველი თქვენ ნახვას.

გაკოცებ შენი Titis Tabize

Cm. Campedu, T. T.

[ჭყვიში, 25 ივნისი, 1916]

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ოთხშაბათი, 3. 9. 916 წ.

ჭიჭიკო ჩემო!

აბა, თქვენ იცით, თუ მინახულებთ, კვირას, ორშაბათისთვის. იქნებ იმ დრომდე გრიგოლ ვეშაპიძე იყოს მანდ, იმასაც მივსწერე. პაოლო თუ იქნება, ბოდიში თქვენ მომხადეთ.

სახლის დახურვას მანამდე მოვასწრებთ ალბად, თუ ვერ მოვასწარით, მაინც არა უშავს... იქნება, წვერა, ღვინო, ყურწენი, ლელვი და სხვა ორიენტალისტური *natura morta* და აგრეთვე ცოცხალი ნატურაც.

შენი ტიტე ტაბიძე

[ჭყვიში]

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ძვირფასო ვალერიან!..

მე ამ თვის დამლევამდე ვერ ვიქნები ქუთაისში; საძაგელ ხასიათზე ვარ და თან ავადაც. მალარია, მგონი, განვიცადე და მალე კიდევ ავამლერებ.

მანდ რა ამბებია, პაოლო რას შევება, ფოთში ხომ არ მიდიხართ? მომწერე ერთი ბარათი, ერთი კვირის შემდეგ მანდ ვიქნები. მეშინია, რომ ვერ გნახავ.

გალაქტიონი რას შვება ან ლელო ჯაფარიძე ხომ არ ჩამოსულა? ერთ წერილს ნუ დამამადლი, რა ცვედნობაა, რა ცვედნობაა, ვკვდები კაცი.

Самтреди, Т. Т.

*შენი მარადის ტიტე ტაბიძე
[ჭყვიში, 25 აგვისტო, 1916]*

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

28 სექტემბერი, 916 წ.

ქ. მოსკოვი.

ძვირფასო ჭიჭიკო...

მიიღე ჩემი სალამი შენდა და პაოლოს გადასაცემდაც. როგორც იქნა, მივედი მოსკოვში, მაგრამ უბედურებაა ნამდვილი, რა ვქნა, არ ვიცი... მე მგონია, შენც გაგიჩდებოდა ეხლა ახალი ხლაფორთი. მოსკოვის პირველ სიცივეს ანთებს ალით ელენე დარიანი, რომელიც რაღაც ბედით აქ მოხვდა. ხშირად გიგონებთ შენ და პაოლოს. ნავიკითხეთ ერთად უკანასკნელი ლექსები.

წერილებს დალაგებულს შემდეგ, მანამ სალამი, თუ იყონ მანდ, ბედნიერ ლელიანს და კოლიას.

შენი Titico Tabize

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ქ. მოსკოვი. 9/X. 916 წ.

ძვირფასო ჭიჭიკო,

ელისთან, შოთასთან, გალაქტიონთან გიგონებთ.

აქაც თეთრი ღამეები, დილის ნისლით და ხანდისხან აქაური არაყით დასველებული.

„Что в гроб уснувший Теодорих

О бурь жизни не мечталь“.. და მიდის სალომეა окровавленной головой... ბლოკი კიდევ ტირის უკანასკნელ ლექსებში. მალე გექნებათ. ამ ცვედნობის ბიულეტენებს ანი გავახშირებ. ჩემი მანდ გამოგ-

ზავნილი „ყანნების“ წერილის მეშინია, ღმერთს გეფიცები, ხელმეორედ არ წამიკითხავს.

ველი „ყანნებს“ მოუთმენელად, ახალ ლექსებს და ახალ ატირებას. როგორც გავიგე, მალე გამოვა ჩერუბინა-გაბბრიაკის ლექსების კრებული.

იყოს ეს უსტილო ბარათი სახსოვრად, რომ მუდამ გვახსოვხართ და ბარათის სანინდრათ. პაოლოს მაინც ვაკოცებ, თუმცა ძალიან ცვედნობს და წერილს არ ინერება.

არჩილის ვერაფერი გავიგე.

სალამი ელისგან, შოთასა და გალაქტიონისგან.

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ქ. მოსკოვი.

2/1. 917 წ.

ძვირფასო ჭიჭიკო! გვიანად გილოცავ უკვე წასულს დღესასწაულს. ამნაირი მოწყენა და სიცივე არასდროს არ მიგვრძნია მოსკოვში, როგორც ეხლა. ამ წლის დასასრული ჩემთვის ერთი გაუთავებელი კოშმარია. როგორც გამწარებული მშვიერი მგელი, ისე ვიკბინები გარშემო. მეგობრები არ მყოლია, მაგრამ თანდათან მაინც მიდიან... იქნებ გზა იქეთ ქონდეთ.. რეტიანივით ვზივარ ფილიპოვის კაფეში და მაგონდება „რაიმსი“ და „სამოთხე“. ამ ცვედნობას თქვენ აძლევდით სიცოცხლეს.. არ ვიცი, ეს რითი გათავდება, მე ბევრის მეშინია. თუ დავეშვი, შემდეგ ვერაფერი გამაჩერებს. თქვენ, როგორც გეტყობათ, კიდევ გამოგყვით ქართული მზე და ლოთობაში კენტავრობთ პოეზიაში... მე ძალიან მაინტერესებს „ყანნები“, თუმცა პაოლოს სუფრის ბოლოში მიუყიგდივარ. თუ ინტერესი არა, წელთა დამსახურება მაინც წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო ამის. რასაკვირველია, ეს წვრიმალა, მაგრამ ეხლა ისე ცუდათ ვგრძნობ თავს, რომ ამასაც აქვს მნიშვნელობა. ამის გარდა, აქ აზურთავებენ ერთ ჭორს, ვითომ პაოლო უნდა უმოყვრდებოდეს ერთ სკვითელ ქალს, რომელსაც შორიდან ჩვენც ვიცნობთ. რამდენად მართალია ეს ამბავი და თუ ჭორია, რისგან გავრცელდა?.. მე იმისთანა კაცმა გადმომცა, რომ არ შეიძლებოდა, არ ცოდნოდა. რატომ უნდა გავიგო მე უკანასკნელმა?

თქვენ წერილებს მხოლოდ მპირდებოდით, რათ არ მიგონებთ, თუნდა მაშინ, როცა ლოთობთ, ჩემი მშვიერი და ხარბი სული ხომ თქვენ-

თანაა.. გალაქტიონის სადამომ როგორ ჩაიარა, „მეგობარში“ წავიკითხე რეცეზია, თითქო ძალიან საინტერესოა, მაგრამ გიტარის რომანსებს იმის გარდა, რომ პროვინციის სუნი უდის, ისედაც მიუღებელია, მე მგონია. ჟურნალები ძალიან ვრცელდებიან, ეს „ლეილა“ და „საფირონი“. „ლეილაში“ გრიშაშვილმა თითქო გადამიხადა სამაგიერო ჩემი „ყანნების“ პირველ ნერილისთვის. მაგრამ ღმერთია მოწმე, რომ მე გულწრფელი ვიყავი და ამასთან სიყვარულით ყოველთვის მეტს ვლაპარაკობ, ვინემ ობიექტიურ ღირებულებას შეუძლია მაჩვენოს. ყოველ შემთხვევაში, ჩემზე გადარება პირველი არ არი, მე მხოლოდ ის მაშინებს, ეს მეგობრებსაც არ გადაედვას. ჭიჭიკო, მაპატიე, ეს უსტილობა, მაგრამ ცუდათ ვარ, ცუდათ. ეჭვები ისე მჭამენ, როგორც როლინას ჭიები. ცუდ ხასიათს ვიბედე სახალწლოთ. შეიძლება, ეს საბედისწეროც იყოს. დავდივარ ხშირად ბალმონტთან, ამას ჩემთვის არ აქვს უკვე შთაგონების და აღტაცების ნიშნები, როგორც პირველად. ორში ერთია, ან მივეჩვიე ან ცუდათ ვარ, თუმცა ბალმონტი ძალიან საინტერესოა ხანდისხან. მისი უკანასკნელი წიგნი „თაფლის, მზის და მთვარის სონეტების“ უსათუოდ საინტერესოა, ყოველ შემთხვევაში, რუსულ ახალ პოეზიასთან შედარებით. ვ. კამენსკის წიგნი მივიღე. უმრავლესობა ამ ლექსების რუსული „გარმონიკის“ დამღერება ანუ ულ ხასიათზე, რასაკვირველია, არის შიგ ადგილები, მაგრამ სინმიდე არ არი, სინმიდე!.. მე პედანტი გავხდი ბოლო დროს, უსათუოდ „ტანჯვა უნდა იყოს პოეტისთვის, რაც სხვას მუსიკად ეჩვენება“, ან რაღაც ამგვარი. შეიძლება, ეს ჩემი მინორის ბრალია. გინერტერცინებს ბალმონტის სონეტისას „ჩრდილოეთის ცის ქვეშ“, რომელიც წინუძღვნა ახალ გამოცემას ლექსების კრებულებისას, ნელს რომ დაიწყო ვ. პაშუკანისმა. ამას ხშირად ვიმეორებ, უბრალო სიტყვებია, მაგრამ მაინც მიყვარს. იწყება: До самого конца вы будете мне милы, родного съвера непышные цветы.

ტერცინები:

Судьба счастливая дала мне первый день,
 Судьба жестокая второй мой день послала.
 И в юности моей не медь я зналъ, а жало.
 Под громкий лай собакъ бѣжал в лѣсах олень.
 И пена подала. А слѣдом расцвѣтала
 Грустянка синяя, роняя в воду тень.

1916, 7 сентябр.

Над Окой

შემდეგ კიდევ ერთს სონეტს, რომელიც მე ამომივიდა ბედათ, როცა სონეტებით მკითხაობდა თავის ნაცნობებში.

На огненномъ пиру
Когда я думаю, что предки у коня,
Въ безчисленныхъ вѣкахъ, чьи густы вереницы,
Являли странный ликъ с размѣрами лисицы,
Во мнѣ дрожитъ восторгъ, пронзающій меня.
На огненномъ пиру Творящаго Огня
Я червь, я хитрый змѣй, я быстрокрылость птицы,
Умъ человека я, чья мысль быстрѣй зарницы,
Сознаніе мировъ живеть во мнѣ звеня.
Природа отошла отъ своего Апрѣля,
Но наслоеніями записаны слова.
Мѣняется размѣр, но песня в немъ жива.
И Божья новая еще нас ждетъ недѣля.
Не такъ ужъ далеки предъ ликомъ Божества
Акулы, плавники и пальцы Рафаеля.

შენი ვერხჰარნის სონეტის პირველი რვა ბნკარი დიდებულია, ერთ ალაგას გადადის ტირილში გალიუცინატ бездомный. პირველი ტერცი-ნაც კარგია, უკანასკნელი ნაკლები. ასეთი იყო პირველი ჩდაბეჭდი-ლება. ველი „ქ“ და „ლეილა“-ს ლექსებს... მაინტერესებს ძალიან ე. დარიანის „მე და კატა“ და პაოლოს „ფარშავანგები ქალაქში“. რაც შეეხება „ჭლექიან მისალმებას“, მე მგონია, პაოლოს ჭლექზე ისე არ აუდგება, როგორც მაჰმადიან საჭურისს, მაგრამ მაინც ვინ იცის?.. საახალწლოთ თუ იქნა რამე ჩვენზე, ვიცი წინდანინ, ჩემზე არ იქნება ხელსაყრელი, წინათგრძნობით ვგრძნობ. გიგზავნი ერთ ჩემ საკუთარ სონეტს „ფატმანს“, პირველი, რომ შემოვიღო ტრადი-ციათ წერილში ლექსის ჩადება, მეორე, რადგან ეს პირველი სონე-ტია, შენც მითხარი შენი აზრი, თუ გამიპირდები, მე მინდა, წიგნში შევიტანო რამდენიმე სონეტი.

.....

დავწერე ერთი ტყუბი სონეტი (ნлизнецы), არ ვიცი, როგორ მო-გენონება ეს იდეა. ვაშენებ სამ კარავს, როგორც ფერიცვალების მოციქული შენთვის, პაოლოსა და გრიგოლისთვის. წიგნი უნდა და-ვამზადო ამ ზაფხულისთვის. იქ ელენე დარიანიც შევა და გალაქ-ტიონი და ალიც. ჩემი „ქალდეას ქალაქები“-ს კედლები თანდათან შენდებიან, ვდგევარ მენამულ ქარბუქში და მიდიან: ჟონგლერები,

მისტაგოგები, დედოფლები, ძველი ოსტატები და წარმოიდგინე, კონკვისტატორნიც. როცა ქალაქები აშენდებიან...

მოსკოვში იანვრის სიცივეებია. პუშკინის ძეგლი სდგას, როგორც კამანდორი, ასე შეადარა ერთმა მოსკოველმა კულტურისტმა კარალევიჩმა, რომელმაც დასწერა საინტერესო წიგნი სათაურით მაინც „Студенты столицы“. ბევრია სურათების გამოფენა, თუ დაგაინტერესებს, რეპროდუქციებს მაინც გამოგიგზავნი. მაქს ვოლაშინმა გამოაფინა სურათებათ „სონეტების გვირგვინი“. ძალიან საინტერესოა, ყოველი სტრიქონი სურათია – „Монастыри в предверии пустыни“, „Мѣдных солицъ гудящiе закаты“, აგრეთვე სურათი ალტმანის „ანნა ახმატოვა“.

მალე გამოვა აღმნახი, სადაც ვალერი ბრიუსოვი აგრძელებს პუშკინის „Египетскiя ночи“-ებს. თუ დაგაინტერესებს, გამოგიგზავნით.

ელი არ ჩამოსულა განჯიდან, პაოლოს სიჩუმე იმ წერილზე, ჩვენ რომ გამოუგზავნეთ, ღორობაა და უსინდისობა.

მარიჯანი ვინ ეშმაკია, ან განჯას რად აწერეს, იქნებ გაიგო, მე მაინტერესებს ძალიან.

ჭიჭიკო, ჭიჭიკო..

მათხოვარივით გთხოვ, ღვინით დასოლებული ღია წერილები მაინც გამომიგზავნოთ.

ვკვდები, ვიყინები სკვითების ქვეყანაში, ვიმარხები თოვლით მარტო, უმეგობრო; შემაბით პოეზიის ეტლში მეც.

ადლეგძელეთ და მოიგონეთ.

.....

P. S-5. ნიკო ლორთქიფანიძეს მალე გამოუგზავნი ანდრეი ბელის „Серебрянный голубъ“-ს. ძველი გამოცემა არ არი, პაშუკანისი ამ დღეებში უშვებს.

P. S-6. „ცისფერ ყანებზე“ მკლავენ, გამომიგზავნეთ რამდენიმე ეგზემპლარი „საზოგადოების ნევრებისა“.

P. S-7. „ყანებზე“ ბევრს ლაპარაკობენ და ნერვიულად ელიან.

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ძვირფასო ჭიჭიკო!

ყოველ ჩვენ დღეებს თბილისში შენზე ფიქრით და ოცნებებით ვაღამებთ, პაოლომდი და შემდეგაც. შენი მარტოობა გვაშინებს. ალბად ლექსებათ დაიცლები. ჩვენ ფუჭ დღეებზე პაოლო გეტყვის. ხშირად ვკითხულობ შენ ლექსს ჩემზე და დავრწმუნდი, რომ სამაგიეროს ვერ

გადავიხდი, მაგრამ ნურბელივით მაინც მიყვარს პოეზია. ჩემ „ვანქის ტაძარზე“ პაოლო გეტყვის. ძალიან მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ კოლომბინა არი ავად, ქლექიანი ქალი ჩემთვის, მგონი, საბედისწერო შეიქნეს!.. ხშირად გიგონებს შენ და პაოლოს, ხანდისხან ტირილამდის, პაოლოს მეგობრობის გამოცდა იქნება დაგვიანებაა.

ნავიკითხე „აისი“. არ ვუმაღავ რედაქტორს, ეს შენი მონაფეების დღესასწაულია. მე მაგათი მჯერა. ჭიჭიკო, ყოველ ღამე ვიმეორებ: ვილუპებით ჩვენ ორი და უკვდავ ყორნის მაგონდება მე „nevermore“...

არასდროს არ ვყოფილვარ ასე დამონებული, როგორც დღეს. მაგრამ არასდროს არ მწამებია „ყანების“ ისე, როგორც დღეს. „მხოლოდ ლექსი არ შესწყვეტს მღერას“, <...>.

შენი ტიციან
[თბილისი, 1918]

ყარა-ღარვიშ – ტიციან ტაბიძეს

Тициану Табидзе.

К большому моему сожалению, я первый раз в таком большом грузинском обществе.

Но сюда меня потянуло то глубокое и неразрывное чувство, которое я питаю к тебе, дорогой Тициан, и к твоим соратникам по творчеству от Голубых Рогов.

Я к сожалению не умею читать Ваши произведения, но я их прочитал и изучил в подленике – я читал и изучил Вашу прекрасную душу и я убежден, что и Ваши произведения так же прекрасны и великолепны, как и Ваша душа.

Вы – Голубые Роги, носители дум и чаяний молодой Грузии, ибо Вы как поэт драгоценный сосуд высоких духовных ценностей Вашего народа.

Я узнал близко и почувствовал Ваш народ через Вас и услышал через Голубые Роги и полюбил, и породнился с ним.

В Вашем творчестве звучат, как колокол, вечные звуки – песни любви к человеку.

Гуманность к человеку – великий принцип – основной мотив Вашей поэзии.

Наше родство не спроста и не случайна.

В нашем народе идет процесс нового молодого творчества.

И я, как идеолог новой армянской поэзии – творческой мысли, заявляю, что мы вместе ногу в ногу, хотя и разными путями, идем в „обетованный Рим“ – „новый Рим“, где уже развеивается новое знамя, на котором начертано великий лозунг братства и любви народов – и в частности кавказских народов.

Наши языки разные, но у нас есть общий язык, на котором мы понимаем друг друга, и это язык чувства и аппарат его сердце.

Так позвольте же мне сегодня здесь, через Ваши головы послать свой братский привет и поцелуй Вашему возрождающемуся и рыцарскому народу.

И пусть отныне ни одно мрачное чувство не омрачит сердца двух братских народов, ибо за спиною их стоят воины духа и кузнецы нового грядущего счастья – мы с Вами, которые в недрах творческой мысли своих народов куют новые звенья солидарности и братства Кавказских народов.

И Мы и Вы горды тем чувством, что наша поэзия, наше творчество поведет молодое поколение по путям единения двух народов на благо и счастье их.

И пусть мой голос гулко раздастся и аккордами разнесется в одну общую симфонию в сердцах молодого поколения и вселит в них надежду и веру, что их баяни – певцы никогда не изменят великим лозунгам, рожденным из мировой революции и докатившимся волною к неприступным и скалистым берегам нашей общей родины.

Кара-Дарвиш

1919 г., IV-17

Тифлис

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ჭიჭიკო, უშენოთ ეს დღე ჩემთვის არ იქნება. როგორც მიუსსე, ვაპირებ იმ ღამეს მარტო სტელაზე ჯდომას „ქიმერიონის“ მარკის ღვინით.

გრიგოლი არ არის, ნუთუ შენც არ იქნები. ყველაფერი მზად იქნება შენი დახვედრისთვის.

გაკოცებ ბევრს და მოგელი

შენი ტიციანი

[თბილისი, 1919]

ტიციან ტაბიძე – კოლაუ ნადირაძეს

კოლაუ! მოგელით ტფილისში უსათუოდ, როგორი რემბო ხარ. ქუთაისს ვერ მოშორდი ამდებანს. აქ დაგხვდებით ღირსეულათ...

ტიციან ტაბიძე
[თბილისი, 1919]

ტიციან და ნინო ტაბიძეები – კოლაუ ნადირაძეს

ოთხშაბათს ჩვენი ქორწინებაა. გაგვახარე და ჩამოდი. ეცადე ვალერიანის ნამოყვანაც.

ნინა, ტიციან
თფილისიდან
12. I. 1920

ჰოვანეს თუმანიანის შვილები – ტიციან ტაბიძეს

9/V. 1920.

В день вашего светлого праздника – мы пришли к вам с цветами – символом поэзии поздравить вас. Но не застав вас дома, оставили вам цветы с нашими лучшими пожеланиями.

Привет всем вашим товарищам.

С приветом Туманянцы (без отца)

ტიციან ტაბიძე – სახელგამის სარედაქციო კოლეგიას

ს.ს.ს.რ. სახელგამის სარედაქციო კოლეგიას.

ვიღებ რა მხედველობაში, რომ სიტყვიერების თეორია არ არის შეტანილი ტექნიკუმების ძირითად პროგრამაში, აგრეთვე იმასაც, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე არ იკითხება არათუ სიტყვიერების თეორიისა და ესტეტიკის კურსი, არამედ არც ერთი კურსი თანამედროვე ლიტერატურისა – დაწყებული მე-19 საუკუნიდან დღევანდლამდე და მათ შორის ქარ-

თულისაც – აგრეთვე იმას, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის მასსაში სახელმწიფო უნივერსიტეტში და მუშფაკებში შემჩნეულია ძლიერი გადახრა საზოგადოთ ლიტერატურის პრობლემათა ძიებისკენ, მე საჭიროთ მიმაჩნია, რომ სახელგამმა გამოსცეს ერთი წიგნი საზოგადოთ პოეტიკის პრობლემაზე. ამ წიგნში განხილული იქნება ლექსის საკითხები შეფარდებული სიტყვიერების თეორიასთან. წიგნში ახსნილი იქნება თეორია პროზისა და პოეზიის და ბუნება შემოქმედებისა, აგრეთვე ახსნილი იქნება ვერსიფიკაციის კანონები.

მთელი ახალგაზრდობა და მუშკორთა ჯგუფები დღესდღეობით მოკლებული არიან ლექსის ტექნიკის ელემენტარულ ცოდნას. ამ წიგნში მოცემული იქნება მაგალითებით წერა: ჰეგზამეტრის, ტერცინების, სტანსების, სექსტინის, ტრიოლეტისა, სონეტისა, რონდელოსა, ჰაზელისა და სხვა მრავალ ლექსის ფორმათა.

აგრეთვე ახსნილი იქნება საკითხები რიტმისა და რიტმის, მეტაფორები, ტროპები, ალეტერაცია და სხვა.

ასეთი წიგნი ჯერ არ არსებობს ქართულ ენაზე, თვით სიტყვიერების თეორიაზე, რომელიც წინათ შედიოდა შკოლების პროგრამაში, არსებობენ ძალიან მოძველებული წიგნები: კათალიკოზ კირიონისა, მღ. მელ. კელენჯერიძისა და იპოლიტე ვართაგავასი, რომელთაც ძირითადი შესწორება დასჭირდებათ თანამედროვე ეპოქასთან შეფარდებით.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ ეს საკითხები, რუსეთშიაც კი, სადაც საკმაოდ დამუშავებული იყო ეს დარგი, ეხლაც ინვეს დიდ ინტერესს და მართო რ.ს.ფ.ს.რ. სახელგამს გამოცემული აქვს ოც წიგნზე მეტი, რომ არ ავიღოთ სხვა კერძო გამომცემლობები, რომელნიც ბევრჯერ აღემატებიან რიცხვით სახელგამის გამოცემათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ვენგეროვის მოწაფეების ჯგუფი და პუშკინის აკადემია.

მოსკოვში არსებობს ცალკე ინსტიტუტი მხატვრული სიტყვისა, რომელსაც წინათ ხელმძღვანელობდა ვალერი ბრიუსოვი და რომელსაც აქვს მთელი სერია გამოცემათა ლექსის მეცნიერებაზე.

პრობლემა ლექსისა მე მაინტერესებდა ჯერ კიდევ მოსკოვში, როცა ვსწავლობდი მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორიო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. მე დღესაც ხელთა მაქვს საჭირო ლიტერატურა და თუ წიგნი პრინციპიალურად მიღებული იქნება, მაშინ წარმოვადგენ დაწვრილებით პროგრამას და წიგნის სქემას.

ტიციან ტაბიძე

22/VIII – 21 წ.

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ძვირფასო ძმაო ვალერიან,

თქვენი წერილი ორივე მივიღე და აგონია გამინათა. ჯერ ქობულეთი რა მოწყენაა, მერე სანატორიუმი და მერე ისე დატვირთული ავადმყოფობით, როგორც მე ვარ – ალბად ერთი წელიწადი ვერ გამოვკეთდები, თუ საერთოდ გადავრჩი მაინც. შორიდან ვუყურებ თქვენი სეზონის ჩემპიონობას. თუ ძმა ხარ, არავინ დაგვჩაგროს – მგონი, დიდი მზადებაა აქეთ-იქეთ. თუ უფრო კარგად შევიქენი, ვრცელ წერილს მოგწერ. მომიკითხე ირა და ყველა ჩვენი მეგობრები. თუ ძმა ხარ, მოინერე ახალი ამბები, შენ რომ იცი გამოტანა ისეთი ამბებისა.

„3. B.“ – როგორაა? მაგათი ფუტურისტების დისკუსია სასაცილოა.

შენი ტიციან ტაბიძე

ჩემი მისამართი: ქობულეთი, მესხეთის ქ. 77.

[12 ოქტომბერი, 1921]

ტიციან ტაბიძე – კოტე მაცაშვილს

ძვირფასო კოტე!

ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ ჩვენმა კავშირმა მიიღო სამი მილიონი მანეთი. მართალია, მე პირადათ არ მქონია თქვენი დასტური, მაგრამ ვფიქრობ, ალბათ არ იქნება უხერხული, რომ თქვენ სოფელში ფული დაგჭირდებათ და ჩვენ დავადგინეთ, კერძოთ, ასი ათასი მანეთი გადმოგცეთ სესხათ. ფორმა მაშინ მიეცემა, როცა თქვენ დაბრუნდებით. მე ეს მით უფრო გავბედე, რომ ნავიკითხე თქვენი წერილი პაოლოსთან. პაოლო თავის თავად ეცდება უეჭველათ. ჩვენ ყოველდამე გიგონებთ ხოლმე სიყვარულით, განსაკუთრებით ვალერიანი. უთქვენოთ კომიტეტი გაუქმებულ ეკლესიათ გადაიქცა, ჩვენ თუ ვიკრიბებით, ღამე სალაპარაკოთ. თქვენთვის დაპირებულ ლექსებს უთუოდ დავამზადებთ და სოფელში გადმოგიგზავნით. სალამი ნინასგან. სალამი თქვენებს.

თქვენი ტიციან ტაბიძე

[თბილისი, 1921]

გიონ საგანელი – ტიცინ ტაბიძეს

24/XII – 21 წ.

ბ-ნო ტიცინ!

მე არ ვიცი, რომელი თავმოყვარეობით გელაპარაკო. უნდა გითხრა, რომ იმ სიტყვების შემდეგ, რომელიც რესტორანჩიკთან „ხიმერიონში“ მითხარი, უჩემოდ არ ისადილოვო, ამით იმდენად შეურაცყოფილად ვგრძნობ თავს, რომ მოსვენება აღარ მაქვს. ბოლო ყველაფერს აქვს. დღე გამოშვებით სადილობისთვის დიდი მადლობელი ვარ. დღემდე „ხიმერიონში“ არ ვსადილობდი და არც თქვენი მფარველობა მქონია, მარა შიმშილით არ მომკვდარვარ და იმედია, არც შემდეგში მოვკვდები...

ყველაფერზე გმადლობთ. ჩემი სალამოს შემდეგ ვცდილობდი თქვენთან მეტად დაახლოვებას და დაკავშირებასაც, რომ არ გამემართლებია პაოლო იაშვილის სიტყვები, რომ მე საშიში პიროვნება ვარ, რომ ჩემი დანდობა არ შეიძლება. არ მინდა ამ სიტყვების გამართლება, მარა იძულებული ვარ, ჩემი სურვილების წინააღმდეგ ვიმოქმედო. იმ შეურაცყოფის გამო, რომელიც თქვენგან მივიღე, გადავწყვიტე – გამოვიდე იმ ახალი მწერლობის კავშირიდან, რომელიც ჩვენ გვაერთებდა. რასაც თქვენ, ალბად წაიკითხავთ „ტრიბუნაში“, მიუხედავად ჩემი შეურაცყოფისა, თქვენი გარეგნობით თქვენ ჩემში გექნებათ პოეტის სახელი, რომ არაფერი დასწეროთ, მაინც. ერთი კვირა იქნება, რაც ფული არა მაქვს, მარა ჩემს სიამაყეს ოდნავადაც არ დავხრი. თავს მოვიკლავ და ქვეყანას მაინც გაუსწორდები.

გიონ საგანელი

ტიცინ ტაბიძე – ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს

ნინა, გწერ ამ წერილს შემთხვევით, დღეს მოდის საშა რუხაძე – რომელიც ამ წერილს მოგიტანს; ბათომში წასვლა ვერ მოვახერხე, რადგან გზებია გაფუჭებული. მგონი, ვერც პაოლომ მოაწყო სალამო. ჩვენი სოფელი რიონს სულ გაუფუჭებია. ელიან სიმშვილას. მე, როგორც იქნება, უნდა წამოვიდე კახეთში დასასვენებლათ, თორემ საძაგელ ხასიათზე ვარ. თუ შევძელი, ალავერდობამდე ჩამოვალ. წამოსვლისას მოგწერ. ფული 1.500000 მაიკას გამოვატანე. ერთ მილიონს

კიდევ გიგზავნი. მომწერე წერილი, რამდენი დამჭირდება, ორი კვირა რომ ვიცხოვრო თელავში.

გაკოცებთ ბევრს შენ და ნიტას.

სალამი დედას.

შენი ტიცვიან

16/X – 922 წ.

ტიციან ტაბიძე – მამია ორახელაშვილს

ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის თავმჯდომარეს – ამხ. მამია ორახელაშვილს

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის და საქართველოს ახალ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგის – ტიცვიან ტაბიძის

განცხადება

ქართული წიგნის გამომცემლობის მრავალ წლობით შესწავლამ მე დამარწმუნა, რომ საქართველოში არ შეიძლება არსებობდეს სხვა გამომცემლობა, გარდა ისეთ გამომცემლობისა, რომელსაც სახელმწიფო განაგებს თავის მამულებით. ამის შესახებ მე ვწერდი სხვადასხვა დროს პერიოდულ გამოცემებში და მწერალთა კავშირის დავალებით ვადგენდი პროექტს სახელმწიფო გამომცემლობისას 1920 წელს, საქართველოს გასაბჭოებამდე ადრე. 1921 წელს, როცა ხდებოდა საქართველოში ორგანიზაცია სახელმწიფო გამომცემლობისა და საქმეს ვერ ეძლეოდა შესაფერი მიმართულება, მე გაზეთ „კომუნისტ“-ში მოვათავსე ამის შესახებ წერილები (წერილები დასაბუთებული იყო რ.ს.ფ.ს.რ. სახელგამის ანგარიშებით და ოქმებით).

როგორც ერთი ხელმძღვანელთაგანი ქართველ ხელოვანთა ორგანიზაციებისა და კვალიფიციური ბეჭდვის მუშაკი ჩემ ერთადერთ საზრუნავს საგანს შეადგენდა და შეადგენს გამომცემლობის დარგში მუშაობა. ამიტომ მე ვითხოვ, მომეცეს საშუალება, ჩემი გამოცდილება და საქმის სიყვარული გადავიტანო სახელმწიფო გამომცემლობაში.

მე ვფიქრობდი, რომ ჩემი მუშაობა არ იქნებოდა ზედმეტი. როგორც ქართულ, ისე უცხოელ უახლოესს მწერლობის გამომცემის საქმეში, აგრეთვე შემეძლო მუშაობა, თუ სახელ. გამომცემლობა, როცა მორჩებოდა სახელმძღვანელოებისა და აუცილებელ საჭიროების წიგ-

ნების გამოცემას, ხელს მიჰყოფდა დიდტანიან ჟურნალის ორგანიზაციას. ასეთ ჟურნალის უქონლობას დღეს ყველა გრძნობს საქართველოში და აგრეთვე ისიც ცხადია, რომ თუ სახელმწიფო გამომცემლობა, სხვა რომელიმე ორგანიზაცია ამ ჟურნალის გამოცემას ვერ შესძლებს.

დეკემბრის პირველ რიცხვებში მე მივემგზავრები მოსკოვში, რომ უშუალოთ შევისწავლო უკანასკნელი წლების რუსული მწერლობა და რ.ს.ფ.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობის აპარატი. ამ ჩემ მიზანს მეტი გამართლება ექნებოდა, რომ მე დარწმუნებული ვიყო ჩემი გამოცდილებით და საქმის შესწავლით დავეხმარებოდი საქართველოს სახელგამს.

უფრო დალაგებით შემედლო მომავალი მუშაობის გეგმა გადამეშალა, თუ მექნებოდა საშუალება პირადი შეხვედრისა. ამიტომ გთხოვთ, მე დამნიშნოთ სახელგამის კოლეგიის წევრად (ახალ მწერლობის კავშირს უმისოდაც არ ყავს იქ თავის წარმომადგენელი), რაც შეეხება გასამრჯელო ჯამაგირს, ამას ჩემთვის არ ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა და გამოირკვეოდა იმ მუშაობის მიხედვით, რომელსაც მე შევძლებდი, გამეკეთებია.

[1923]

სერგეი ესენინ – ტიციან ტაბიძეს

Милый друг Тициан! Вот я и в Москве. Обрадован страшно, что вижу своих друзей и вспоминаю и рассказываю им о Тифлисе. Похождения наши здесь уже известны вплоть до того, как мы варили кепи Паоло в хаши.

Грузия меня очаровала. Как только выпью накопившийся для меня воздух в Москве и Питере, тут же качу обратно к Вам, увидеть и обнять Вас. В эту зиму в Тифлисе вероятно будет целый съезд москвичей. Собирается Качалов, Пильняк, Толстая и Вс. Иванов. Бабель приедет раньше. Уложите его в доску. Парень он оч. хороший и стоит гостеприимства. Спроси Паоло, какое нужно мне купить ружье по кабанам. Пусть напишет №.

Передай привет всем моим добрым друзьям – Паоло, Робакидзе, Леонидзе и Гаприндашвили. Поцелуй руку твоей жене и дочке и если нетрудно, черкни пару слов.

Брюсовский д. 2 корпус правды А, кв. 27. С. Есенину.

20/III. 25

[მოსკოვი]

ლადო გუდიაშვილი – ტიციან ტაბიძეს

2/VIII – 25 წ., პარიზი.

სალამი ტიციანს და მეუღლეს;

მოვდივარ და მიხარია, კვლავ ახლად ჩავექსოვები ლამაზ არშიაში. მოკითხვა ყველას. მალე გნახავთ, გამოვალ 15 აგვისტოს მარსელიდან.

შენი ძმა ლადო გუდიაშვილი

ლელი ჯაფარიძე – ტიციან ტაბიძეს

ტიციან, ჩემო ძვირფასო!

მხოლოდ ეხლა ვიგრძენი, თუ რა არის თბილისი უშენოთ – შენც ნახვედი და უცბად დაიცალა და გაბითურდა ყველაფერი. ველი მოუთმენლად შენს მოსვლას, რომ გაეხსნათ ახალი სეზონი, რომელიც ალბათ საინტერესო უნდა იქნეს – ეხლა უფრო მოშინაურებული ვარ და უფრო ხალისიანად ვიგრძნობ ალბათ ყველაფერს. იყო პაოლო სამი დღით – მოფრინდა – ერთი მაგრად შესძრა თბილისი და გაბრუნდა – მეც მივდიოდი ქობულეთში მასთან, მაგრამ მატარებელზე დამიგვიანდა და დავრჩი – შესაძლებელია, რომ ამ დღეებში ნავიდე. ამბობენ, იქ მოუყრია ყველაფერს თავი. აქ აღარავინ არ არის. თამუნია აბასთუმანშია, გოგლა – ქობულეთში. მხოლოდ „დურუჯი“ ჩამოვიდა და სეზონისათვის ემზადება. გრიგოლმა მიიღო როლლანის მეორე წერილი – ახურავს ტუნისელ კოლონიზატორის ქუდი და ისე დაიარება, როგორც მაგარი ინგლისელი დრედნოუტი. მინიშვინი კიდევ უფრო გახდა ჩვენს წვალეაში და სულ აღარ სჩანს მინიდან – უკანასკნელი მიღწევა მისი: ბარონი ფანჯარასთან დააჯინა და თქვენ მის ოთახში გადაგიყვანათ. აკოცე ჩემს მაგივრად ნინას და პატარა ტანტ ტაბიძეს და მალე ჩამოგვიყვანე აქეთკენ.

შენი ლელი

[თბილისი, 14 სექტემბერი, 1925]

კონსტანტინე ჯაფარიძე – ტიცინ ტაბიძეს

ამხ. ტიცინ!

მე მოგწერეთ წერილი არა იმიტომ, რომ რამეთი ვიყო უკმაყოფილოდ, არამედ იმიტომ, რომ იმისთანა მცირე შრომის დაბეჭდვა, როგორც მე წარმოვადგინე – არა ღირს. თქვენ არ მოგიციათ ჩემთვის არავითარი საბუთი, რომ მე უკმაყოფილო ვიყო. პირიქით – მე მადლობელი ვარ თქვენი.. ეხლა, თუ მართალია ის, რომ შეიძლება მომანოღონ გორკის რომელიმე თხზულების გადათარგმნა – ძალიან მადლობელი ვიქნები. მაგრამ უფრო მადლობელი ვიქნები, რომ თუ საქმე პირდაპირ თქვენთან მექნება. გარდა ამისა, გთხოვთ, ამ საკითხის გადანყვეტა, თუ თქვენზედ არის დამოკიდებული – დააჩქაროთ. ბლოკნოტი კი დამიბრუნეთ (ლექსები).

პატივისცემით,

კ. ჯაფარიძე

2/X – 25 წ.

ლევან ასათიანი – ტიცინ ტაბიძეს

დ. ტიცინ!

დასწერე პატარა წერილი მაინც და გადმომეცით ხვალ 12 საათამდე. ძალიან მენწყინება, თუ არ დამინერთ. იმედი მაქვს, დასწერთ.

პატივისცემით,

ასათიანი

24/XII. 25

ტიცინ ტაბიძე – ჟანგო ლოლობერიძეს

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო,

ნება მომეცით, თქვენ პატივცემულ გაზეთში მოვათავსო შემდეგი: კვირას, 16 ინვარს გამოვიდა გაზეთი „დროული“ №2. ასეთი უნმანური ფურცლები წინადაც ბევრი გამოსულა, მაგრამ ამისთვის ჩვენ არავითარი ყურადღება არ მიგვიქცევია, რადგან ვიცოდით, რომ ეს ლიტერატურის გარეშე დარჩება სამუდამოთ. ეხლაც უყურადღებოთ

დავტოვებდით ამ ყმანვილების ნაცოდვილარს, რომელნიც მე ერთხელ „ბარრიკად“-ში დავდალე სიტყვით, რომელსაც ეხლა არ სჭირია განმეორება, თუ მათ ისეთ ხერხისთვის არ მიემართათ, რომელიც ძალა უნებურად მოითხოვს მათზე შეჩერებას. ჩვენთვის და არავისთვის არ შეადგენს ინტერესს, თავის აზრი გამოთქვას ამ H და ნულების (რატომ ორი ნული და არა შვიდი, მათი რიცხვით, თუ აქაც „სპეციფიური“ არ იყოს რამე) ნაწერებზე. აქ კონტრაბანდით დაკანონებაა ლიტერატურულ „მაფალუ“-სი („ციბუ“ და „ხავბერა“) – რაც მგონია, თვითონ „მაფალუსაც“ შეარცხვენდა. აქ ბლომად დაბნეულია სოლომონ ზურგიელიძის აფორიზმები, რომელიც რატომღაც „დადაისტურად“ საღდება, ალბად იმიტომ, რომ ზოგან შიგ ურევია ჩემგან ორი წლის წინად გაზეთ „რუბიკონ“-ში დაბეჭდილი სტრიქონები ტრისტან ტცარას და ფილიპპო სუპოს მანიფესტებისა. ყველაფერი ეს შენელებულია პირაღებული ლანძღვით ქართულ მწერლობისა – მაგრამ ყველაფერი ეს მათი ჭირის სანაცვლოდ იქნებოდა, რომ მათ პოლიტიკური „დანოსები“ არ დაენყოთ და ისიც სრულიად უმიზეზოთ.

ვიღაც ანონიმი ამ გაზეთში ეხება მომავალ მწერალთა ყრილობას და მოითხოვს, რომ იქ არ იყვენ დაშვებული ქართველი მწერლები და მათ შორის „ცისფერი ყანები“-ც, როგორც პოლიტიკური საბოტაჟნიკები. ამას უკვე ცუდი სუნი უდის და ჩვენ არსებითად არც კი უპასუხებთ, მხოლოდ მოვაგონებთ იმას, ვინც ამ სტრიქონებს უშვებდა, რომ ეს არ ეთანხმება იმ პასუხისმგებელ ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებას, რომელსაც ბევრჯერ ჰქონია ადგილი ქართულ პრესაში, თუნდა უკანასკნელ თვეშიც... ჩვენ ეს ღვარძლიანი გამოსვლა უფრო იმით გვინდა გავიგოთ, რომ ვითომდა „ფუტურისტების“ საბჭოს მეთაურებს დაბრმავებით მოსდით და არ იციან, რას შვებიან.

მეორე მომენტი, რომელსაც აგრეთვე მინდა მივაქციო ყურადღება, შემდეგს შეიცავს: ტფილისში გამართულ სერგეი ესენინის ხსოვნის საღამოზე განათლების მუშაკთა სახლში მე წარმოვსთქვი სიტყვა: ჩემი ტეზისები და ფრაზები უცერემონიოთ წაუღია პავლე ნოზაძეს თავის წერილში ხსენებულ გაზეთში სერგეი ესენინზე. მე მომყავდა ესენინის ანალოგიები: ჟურარ დე ნერვალთან, ლოზინო-ლოზინსკისთან, ბლოკთან, ვიონთან: მე ვამბობდი, რომ ესენინში იყო კარამაზოვის სისხლი და შევადარე ის მონგოლის ცხენს, რომელზედაც იჯდა ბატია და ჩალატარი, და ბევრი სხვა, რომელიც ასე უცერემონიოთ წაუღია წერილის ავტორს. ალბად მოლა-მასრადინას არაკი დაუჯერებიათ ამ ყმანვილებს. იქნებ მართლა იფიქრეს, რომ ჩვენ იმდენად დაჩუმებული ვართ, რომ ასე ცოცხლათ შეიძლება მარადიურობა (სხვა არ იყოს რა, ამ საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო და მათ შორის ზოგი ქართველი პოეტიც)...

საზოგადოთ, ეს ჩვეულება ბედის ქუდათ დაბედებით ამ „ფუტურისტებს“: ჩვენზე ამბობენ, რომ ლიტერატურას თავი დაანებესო – და უწყალოთ სწინკნიან „ცისფერი ყანწები“-ს ჯიქანს. ვისი ბრალია, რომ რეზინათ ეჩვენებათ ამ წერა-კითხვის უცოდინარ ბავშვებს ზოგი რამ: ალბად კანტის კატეგორიებზეც ასეთი წარმოდგენის იქნებიან თარაქამების მოდგმის ხალხი. ჩვენ გვგონია, ლიტერატურული სირცხვილია, რომ პოეტებზე სწერდე უმგვანო ცილის წამებას და მაიმუნივით ბაძავდე კიდეც (თვითონ „დროულის“ ეხლა გადაკეთებული ფორმატი, მიუხედავად შრიფტის და გამოცემის კულტურის საქმის ბევრი ანალიზისა, პირწავარდნილი „ბარრიკადის“ კლიშეა და სიტყვა „დროული“-ც გრიგოლ რობაქიძემ შემოიღო პირველად ხმარებაში).

მაგონდება, ამ გაზეთის გამოსვლის წინ, ჩემთან მოვიდა მისი რედაქტორი და მსთხოვა წერილი სერგეი ესენინზე, რაზედაც მე, რასაკვირველია, უარი უთხარი: უტაქტობისა და ფამილიარობისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ეს საუბედუროთ ამ ყმანვილების ჩვეულებაა.

ეხლა აუღია ამ მოხერხებულ რედაქტორს და ჩემი სიტყვა დაუბეჭდია წერილათ, მხოლოდ ჩემი სახელის უხსენებლად და სხვისი სახელის და გვარის მიწერით.

იქნებ ამას ეძახიან ეს ყმანვილები „ფორმალურ მეტოდს“. ამას ჩვენში კალამ-გირებს ეძახიან... ძალიან საწყენია ასეთი ხერხით პასუხის მიღება, მაგრამ ესეც ბედი ყოფილა.....

ტიციან ტაბიძე
17/1. 926 წ.

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

30/VII-926.

ვალერიან, შენ ასე ჩუმად გაიპარე და არაფერსაც არ გვაგებიებ შენ ამბავს.

ჩვენ ვიხრჩობით სიცხეში და კრიზისები გვიპირებენ გადაშენებას. იყო აქ ერენბურგი – შეიძლება შეგხვდეთ კიდეც ბორჯომში შენთან ერთად. პაოლო ქობულეთისკენ გვეწევა. თუ წავედით, უშენობა ვერ იქნება. სალამი ირას.

სალამი რაჟდენს – ალბად თქვენ იცლებით ლექსებათ.

თქვენი ტიციან
[თბილისი]

ილია ერენბურგ – ტიცვიან ტაბიძეს

Сердечный привет. Пишем уже с отошедшего парохода-суди.

Ваш И. Эренбург

Самый лучший привет Вам и Вашим.

И. Эренбург

[ბათუმი, 6 აგვისტო, 1926]

ვალერიან გაფრინდაშვილი – ტიცვიან ტაბიძეს

ძმაო ტიცვიან!

დიდი მადლობა გახსენებისთვის. რა ამბავია ტფილისში? აქ საუცხოვო ბუნებაა, მაგრამ მოწყენაც დიდია. დავწერე ერთი ლექსი: „მოაგარაკე-იდიოტი“. როგორ არიან ალი, კოლაუ, გოგლა, სანდრო, ნიკო (მინიშვილი), *Вспоминайте ли вы поэта Гафриндашвили?* (მანდელშტამის რეზონანსი). ამას წინად სიზმარში ვნახე შალვა აფხაიძე. აქ ხანდახან ვკითხულობ ვაჟას. დიდებულისა:

შენს და შოთაის მარჯვენას

ვემთხვევ ზედი-ზედაო.

ახალი ფუნაგორიები ბლომად ექნება დანერვილი კოლაუს. ნინო ყიფიანის სახლიდან, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, კარგი გასახედავია. ჩვენს წინ თვალუწვდენელ მინდორზე მოსჩანს კალოები და მოჭრილი პურის ზვინები საყდრის გუმბათებივით. რაჟდენი და ვასო გორგაძე იყვნენ ბორჯომში და იქ გრიგოლი ინახულეს. კარგს იზამთ, თუ გამოივლით ქვიშხეთისაკენ. აქ ყველაფერი იშოვება, მხოლოდ ძნელი საშოვარია ღვინო. რა ამბავი მოგდის წინადან? ხომ კარგად არის ნიტა? ირა მოკითხვას გითვლის. ის კმაყოფილია ქვიშხეთით. სანდრო რომ აქ წამოსულიყო, არ ინანებდა.

გიგზავნი ლექსს „ალი არსენიშვილზე“, თუ გვიან არ არის, დააბეჭდვინე კოლიას „ქართულ მწერლობაში“.

გავიგე შენი ლექსის ამბავი („თამუნია წერეთელს“) და არ ვამტყუნებ კოლიას, თუმცა შეიძლებოდა სხვა სათაურით დაბეჭდვა.

ნუ დაგვივინწყობთ.

ნახვამდი.

პაოლო, ალბად დაეუფლა აჭარას.
მოკითხვა ყველა დასიცხულ ამხანაგებს.

ვალერიან
ქვიშხეთი
9 აგვისტო, 1926 წელი

დავით კაკაბაძე – ტიცციან ტაბიძეს

